ი. ჩიქავა

საქართველო სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების პერიოდში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1972

9(C4Ს)
9 (47.922) 1937-1941
Ჩ 69

მონოგრაფია მოგვითხრობს საქართველოში სოციალისტური საზოგადოების განმტკიცების პერიოდში (1937 — 1941 წლის ივნისი) სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი სრულყოფის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კულტურული მშენებლობის ისტორიას.

1 — 6 — 1
133 — 72 ადგ.

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის მასების ბრძოლის ისტორიის შესწავლაში დიდი როლი ეკისრება საზოგადოებრივ მეცნიერებებს. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთავარი ამოცანაა „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შესწავლა და თეორიული განზოგადება, სოციალიზმის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა და კომუნიზმში მისი გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა, კომუნისტური აღზრდის პრობლემის დამუშავება“ [1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის დადგენილებაში „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპი და მეცნიერული ცოდნის პროგრესი მოითხოვს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გმირობის ჩვენებას, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, ხალხთა შეგობრობის განმტკიცების გამოცდილების განზოგადებას.

სკკპ XXIV ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სულ უფრო მკვეთრი შე-

---

[1] სკკპ პროგრამა, თბ., 1967, გვ. 145.

მობრუნება აწმყისა და მომავლის აქტუალური პრობლემების შემუშავებისაკენ — ეს რა გვჭირდება ჩვენ[1].

სოციალისტური [illegible]ების მშენებლობის კანონზომიერებანი საერთო იყო [illegible]ერ კავშირის ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, მაგრამ ამავე დროს საქართველოში, ისევე როგორც სხვა რესპუ[illegible]ებში, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა, რაც განსაკუთრებული ისტორიული და ეკონომიური პირობებით განისაზღვრებოდა. სოციალიზმის მშენებლობა, როგორც ცნობილია, [illegible]ინარეობდა მრავალი ობიექტური და სუბიექტური ხასიათ[illegible] სიძნელეთა გადალახვის ვითარებაში. ეს განპირობებული იყო [illegible]ით, რომ საბჭოთა ხალხი პირველად აშენებდა ახალ საზ[illegible]ებას, პირველად იკვლევდა გზას კაცობრიობის ნათელი [illegible]მომავლისაკენ. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ზოგიერთი შეცდომებიც და დამახინჯებანიც ხელმძღვანელობის დარგში. [illegible]მაგრამ ამის მიუხედავად ყველა სიძნელე გადალახულ იქნა და საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სოციალიზმი.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ როგორც სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებებს, ასევე რესპუბლიკის კონკრეტულ პირობებში ამ კანონზომიერებათა გამოვლინების თავ[illegible]ებურებებსაც.

მეფის რუსეთის ერთ-ერთ განაპირა მხარეში — საქართველოში — სოციალიზმის აშენებისა და მისი განმტკიცების ისტორიული გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას დიდი მეცნიერული და საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იმ ხალხებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუვლია განვითარების ის ეტაპი, რაც ეროვნულმა რესპუბლიკებმა განვლეს საბჭოთა კავშირში.

სოციალიზმის აშენებისა და მისი განმტკიცება-განვითარებისათვის ბრძოლაში ქართველმა ხალხმა დიდი ისტორიული

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, თბ., 1971, გვ. 119.

გამოცდილება დააგროვა. ეს გამოცდილება კი დღემდე მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი და განზოგადებული.

წინამდებარე მონოგრაფიაში გადმოცემულია საქართველოს მშრომელების ბრძოლის ისტორია სოციალისტური საზოგადოების განმტკიცება-განვითარებისათვის, სოციალისტური მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის.

სოციალისტური საზოგადოების განმტკიცება-განვითარების პერიოდში ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხალხთან ერთად განახორციელა დიდი ღონისძიებანი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. მესამე ხუთწლედის წლებში მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების სწრაფ განვითარებაა საქართველოში, როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიური კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველი ხალხის ბრძოლის ჩვენება ამ დიდი საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შესრულებისათვის ხელს შეუწყობს სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული პროცესის უკეთ შესწავლას.

ომამდელი ხუთწლედების განხორციელების შედეგად საბჭოთა საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიული, მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობისა და მოწინავე კულტურის რესპუბლიკად. საბოლოოდ დამკვიდრდა სოციალისტური წარმოების წესი. სოციალიზმის აშენების შედეგად მარქსიზმ-ლენინიზმი საბჭოთა საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგია გახდა. ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვება. საქართველოში ამ უდიდესი ისტორიული პროცესის ზოგიერთი თავისებურების შესწავლა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა.

ომისშემდგომ წლებში ისტორიის ბელადუაზიულმა ფალსიფიკატორებმა გააძლიერეს მუშაობა, გაბოროტებით ეროვნულ რესპუბლიკებში, საბჭოთა საზოგადოების ისტორიის, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ფალსიფიცირებისათვის. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მდიდარ ოქტობრივ მასალაზე, კონკრეტულ მაგალითებზე დაფუძნებით კომუნის-

ტური პარტიის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკული შედეგების ჩვენება.

სოციალიზმის განმტკიცება-განვითარების პერიოდში ეროვნულ რესპუბლიკებში დაგროვილი მდიდარი ისტორიული გამოცდილების შესწავლას და დამუშავებას, როგორც უკვე აღენიშნეთ, აქვს საერთაშორისო მნიშვნელობაც. იგი შეიძლება წარმატებით გამოიყენონ სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარმა, განვითარებადმა ქვეყნებმა.

მესამე ხუთწლედისათვის საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამთავრა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. ეს იყო უდიდესი ვადირობა, რომელიც განხორციელდა მოკლე ისტორიულ დროში, წინათ ეკონომიურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში, მტრული კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვაში. ამავე დროს იგი განხორციელდა მრავალეროვან ქვეყანაში; მოხდა ერებს შორის არსებული ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია. ამ მოვლენის კანონზომიერებათა შესწავლას აგრეთვე დიდი თეორიულ-მეცნიერული და საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

წინამდებარე მონოგრაფია ეყრდნობა პარტიის XVIII ყრილობის (1939 წლის მარტი) გადაწყვეტილებებს, რომლებშიც დასახული იყო უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პროგრამა. ეს პროგრამა ჩამოყალიბებული იყო სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიან გეგმაში, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა.

პარტიამ კურსი აიღო სამეურნეო განვითარების ისეთ ტემპებზე, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში დავწეოდით და გაგვესწრო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეკონომიურ დარგში. მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სსრ კავშირში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებსა და მხარეებში საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმით დასახულ იქნა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. იგი ითვალისწინებდა მეურნეობისა და კულტურის უფრო სწრაფ განვითარებას, ვიდრე სსრ

კავშირის მასშტაბით იყო გათვალისწინებული, სოციალისტური წარმოების წესის საბოლოო დამკვიდრებას საქართველოში. ამ პერიოდის ცენტრალური საკითხები იყო მრეწველობის შემდგომი მძლავრი განვითარება, პირველ რიგში მძიმე მრეწველობის, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცება, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და კულტურული რევოლუციის განხორციელება.

მესამე ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლამ აამაღლა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. ხალხის გმირული შრომა სასწაულებს ახდენდა. ამ საქმეში ხელმძღვანელი როლი საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ეკუთვნოდა. ქართველი ხალხის უდიდესი მიღწევები წარმოადგენდა საქართველოს კომპარტიის მტკიცე და მართებული ხელმძღვანელობის შედეგს, იგი წარმართავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, ალაფრთოვანებდა მასებს შრომითი მამაცობისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურმა შეჯიბრებამ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში მიიღო საყოველთაო სახალხო ხასიათი, წარმოიშვა სოციალისტური შრომის ახალი ფორმები, გაფართოვდა ნოვატორობა, რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა. ყველაფერი ეს აჩქარებდა საბჭოთა საზოგადოების წინსვლას სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ.

საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიამ ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება ეროვნულ რაიონებში და კერძოდ საქართველოში მიმდინარეობდა საერთო კანონზომიერების საფუძველზე. მაგრამ ამ საერთო კანონზომიერების ფარგლებში მეურნეობის გარდაქმნის ტემპებსა და ფორმებში ადგილი ჰქონდა არსებით განსხვავებას, რასაც განაპირობებდა საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებანი. მონოგრაფიაში ამ პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული.

თავი პირველი

სოციალიზმის გამარჯვება საქართველოში

სოციალიზმის მშენებლობის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ლენინური მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის შესახებ. ამ მოძღვრებიდან უშუალოდ გამომდინარეობს სოციალიზმის მშენებლობის აუცილებლობა და შესაძლებლობა, რომლის მეცნიერული პროგრამა დაამუშავა ვ. ი. ლენინმა.

რუსეთის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმა ითვალისწინებდა ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, სოციალისტური ეკონომიკის, ახალი საზოგადოების ყველაზე მოწინავე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ქვეყნის გადაქცევას მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და მეურნეობის ყველა დარგის ზრდის საფუძველზე მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფას.

ამ გეგმის დედაბოძი იყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაცია. საბჭოების ქვეყნის მშრომელებმა პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ისტორიულად უმოკლეს ვადაში, პირველი ხუთწლედების სახელოვან წლებში. სსრ კავშირი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფო.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო ინდივიდუალური, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა გლეხობის ნებაყოფლობითი საწარმოო კოოპერირების გზით.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა წვრილ საქონელმწარმოებელთა მილიონნიანი მასების სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის ისტორიული აუცილებლობა, დაამუშავა მისი

კონკრეტული ფორმები. ეს იყო სოციალისტური განსაზოგადოების კოოპერაციული ფორმები.

ლენინურ გეგმაში ორგანულად შედიოდა კულტურული რევოლუციის. სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრების მომზადების ამოცანები.

მასების მძლავრ შრომით აღმაფლობაზე დაყრდნობით პარტიამ წარმატებით დაძლია სიძნელენი. მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებას, გეგმით დასახული ამოცანების ვადამდე შესრულებას. პირველი ხუთწლედის წლებში მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი გამსჭვალული იყო სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტური მშენებლობის პათოსით. მოკლე ვადაში შეიქმნა ათასობით საწარმო, მრეწველობის მთელი რიგი დარგები, რომლებიც უცნობი იყო რევოლუციამდელი რუსეთისათვის.

პირველი ხუთწლიანი გეგმა სახალხო მეურნეობის მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამას წარმოადგენდა. მისმა შესრულებამ უზრუნველყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა — სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აშენება. ხუთწლედის შედეგებმა მთლიანად დაადასტურა პარტიის გენერალური ხაზის სისწორე: ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ლენინური თეორიის ძლევამოსილება.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში აშენდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი, განადგურებულ იქნა უკანასკნელი კაპიტალისტური კლასი — კულაკობა. ხოლო გლეხობის ძირითადი მასა — კოლმეურნეები — გახდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენი სოფლად.

პირველი ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირში შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად მოწინავე მრეწველობა, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებები მიღწეული იყო თანამედროვე მძიმე ინდუსტრიის — სოციალიზმის მატერიალური ბაზის — შექმნის საქმეში.

ისტორიულად უმოკლეს ვადაში სსრ კავშირში შეიქმნა მძიმე მრეწველობა განვითარებული მანქანათმშენებლობით.

სახალხო მეურნეობისათვის მომზადდა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პარტიამ განახორციელა ლენინური კოოპერაციული გეგმა. საზოგადოებრივი საკუთრების ორი ფორმა — საერთო-სახალხო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ფორმები — გახდა ეკონომიური ურთიერთობის საფუძველი სოფლის მეურნეობაში.

პირველმა ხუთწლედმა მყარი ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ საბჭოთა ქვეყანა გადასულიყო მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების ეტაპზე.

სოციალიზმის გაშლილი შეტევა მთელ ფრონტზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა შეუდგა სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო გრანდიოზული მეორე ხუთწლედის ამოცანების შესრულებას. მეორე ხუთწლედი იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების, სოციალიზმის გამარჯვების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის წლები.

მეორე ხუთწლედის განხორციელების დაწყებით სსრ კავშირი შევიდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების პერიოდში. მეორე ხუთწლედის პირველი და ძირითადი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ამოცანა იყო კაპიტალისტური ელემენტებისა და საერთოდ ექსპლოატატორული კლასების საბოლოო ლიკვიდაცია და იმ მიზეზთა სრული მოსპობა, რომლებიც წარმოშობს კლასობრივ განსხვავებასა და ექსპლოატაციას. ხუთწლედის მეორე მთავარ და გადამწყვეტ ს ა მ ე უ რ ნ ე ო ამოცანას წარმოადგენდა მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, რომლის გადამწყვეტი პირობა იყო ახალი ტექნიკისა და ახალ წარმოებათა ათვისება. მეურნეობის მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია და ერთიანი სოციალისტური ეკონომიკის შექმნა, სსრ კავშირის გადაქცევა ტექნიკურად და ეკონომიურად დამოუკიდებელ ქვეყნად და სხვ. მესამე მთავარი ამოცანა იყო მშრომელთა მატერიალურ-ტექნიკური დონის შემდგომი ამალ-

ლება, სახალხო მეურნეობის დონის ერთიორად და უფრო მეტად ამაღლებით.

ეკონომიკის დარგში ამ ამოცანების გადაწყვეტა განაპირობებდა ძირეულ ცვლილებებს კლასობრივ და ეროვნებათაშორისო ურთიერთობებსა და საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობაში.

საბჭოთა ხალხმა თავდადებული შრომით მიაღწია იმას, რომ მეორე ხუთწლედი, ისევე როგორც პირველი, შესრულებულ იქნა ვადამდე, 1937 წლის 1 აპრილისათვის, ე. ი. 4 წელიწადსა და სამ თვეში. გადაიჭრა მეორე ხუთწლედის ძირითადი ისტორიული ამოცანა — სსრ კავშირში საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა ყველა ექსპლოატატორული კლასი, საესებით მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, საზოგადოების ანტაგონისტური დაყოფის პირობები.

ასეთი იყო სოციალიზმის გამარჯვების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრების შედეგები. გადაწყვეტილ იქნა სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა — ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შექმნა.

საქართველოში ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის განხორციელება იყო მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელი ინტელიგენციის თავდადებული და შეუპოვარი შრომის შედეგი ომამდელ პერიოდსა და განსაკუთრებით პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში.

პირველი ხუთწლედის წლებში საბჭოთა საქართველომ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი აგრარულიდან ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევის გზაზე. შეიქმნა მტკიცე საფუძველი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებით დამთავრებისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ხუთწლედში დაიწყო საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ობიექტების (ტყვარჩელის შახტები, თბოელექტროსადგური, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რიონჰესი, მანქანათმშენებელი ქარხნები და სხვ.) მშენებლობა, რაც უზრუნველყოფდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომ ინტენსიურ ზრდას მეო-

რე ხუთწლედში. 1932 წელს საბჭოთა საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია (1926 — 1927 წლების უცვლელ ფასებში). 1927 — 1928 წლებთან შედარებით. 5,6-ჯერ და 1913 წელთან შედარებით 9.5-ჯერ გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 1932 წელს სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია (1926 — 1927 წლების უცვლელი ფასებით) 1928 წელთან შედარებით 2,3-ჯერ და 1913 წელთან შედარებით 3,3-ჯერ გადიდდა [1].

საქართველოს კომუნისტების VIII ყრილობამ (1932 წ.) შეაჯამა სოციალისტური მშენებლობის შედეგები რესპუბლიკაში და შეიმუშავა მეორე ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის პროგრამა. საქართველოს სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმა სსრ კავშირის ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად შედგა და მის ნაწილს წარმოადგენდა.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის და მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ინტერესებმა გამოხატულება პოვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სახელმწიფო გეგმაში. თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკა შეადგენდა საბჭოთა კავშირის ეკონომიური ორგანიზმის ნაწილს, რომლის განვითარება ერთიანი სახელმწიფო გეგმითა და ერთიანი ბიუჯეტით განისაზღვრებოდა. მეორე ხუთწლედში მწარმოებლურ ძალთა განლაგების დადგენილი პროგრამა უზრუნველყოფდა „ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოფხვრას, მწარმოებლურ ძალთა უფრო თანაბარზომიერ განლაგებას და მრეწველობის მიახლოებას ნედლეულის წყაროებთან, ძირითადი რაიონების სპეციალიზაციას სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების მისედვით"[2].

ბრძოლა ახალი ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის მუშების, გლეხების, ყველა მშრომელის სასიცოცხ-

---

[1] Грузинская ССР за 20 лет. 1941, стр. 51; Развитие советской экономики, 1946, стр. 16.

[2] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, თბ., 1956. ნ. III. გვ. 300.

ლო მნიშვნელობის ამოცანად გადაიქცა. მეორე ხუთწლედი ითვალისწინებდა 2025 მლნ მანეთის დაბანდებას მთელ სახალხო მეურნეობაში. ფაქტიურად კი დაბანდებულ იქნა ნავარაუდევზე ბევრად უფრო დიდი თანხა — 2581,5 მლნ მანეთი, აქედან მრეწველობაში — 976,6 მლნ მანეთი. აქ საინტერესოა ვიცოდეთ, რომ პირველ ხუთწლედში დაბანდებული იყო 786.8 მლნ მანეთი, მრეწველობაში შესაბამისად — 321,5 მლნ მანეთი.

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის მრეწველობას უნდა გამოეშვა 604 მლნ მანეთის პროდუქცია, სოფლის მეურნეობას კი 264 მლნ მანეთის. საქონელბრუნვას უნდა შეედგინა 1 602 მლნ მანეთი [1].

მეორე ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში საწარმოო გეგმები შესრულებულ იქნა გადაჭარბებით. შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები. მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპები განაპირობა ჩვენი ქვეყნისა და განსაკუთრებით წარსულში ჩამორჩენილი განაპირა მხარეების უსწრაფესი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რომელსაც კომუნისტური პარტია ახორციელებდა.

საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ერთ-ერთ მკაფიო მაჩვენებელს წარმოადგენდა მრეწველობის ხვედრითი წილის ზრდა მთელ სახალხო მეურნეობაში. მეორე ხუთწლედში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი სახალხო

---

[1] Грузинская ССР за 20 лет. стр. 22; საქართველოს ისტორია. 1960. ტ. III, გვ. 142; იხ. აგრეთვე წიგნში. საქ. სსრ შოკლე ისტორიულ-ეკონომიური მიმოხილვა, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1952, გვ. 309. ცხრილი № 1 (აქ კაპიტალური დაბანდების თანხა შესაბამისად ნაჩვენებია 1120,7 მლნ მანეთი და 2783.6 მლნ მანეთი, 1955 წლის ფასებით). სხვა ცნობით გეგმით გათვალისწინებული 2023 მლნ მანეთის ნაცვლად კაპიტალურმა დაბანდებებმა შეადგინა 2240.8 მლნ მანეთი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი. (შემდეგში შემოკლებით: პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VII, საქ. 9337, ფურც. 23.

მეურნეობის მთელ პროდუქციაში გაიზარდა პირველ ხუთწლედთან შედარებით 46 პროცენტიდან 75,2 პროცენტამდე [1]. სოფლის მეურნეობის პროდუქციის აბსოლუტური მატების (მაგრამ საერთო ხვედრითი წილის 54 პროცენტიდან 24.8 პროცენტამდე შემცირების) პირობებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საქართველოში წარმატებით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო დამოუკიდებლობის განმტკიცებას. საქართველოს ქარხნები თანდათანობით ეუფლებოდნენ რთული მანქანების წარმოებას, რომლებიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ.

მეორე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა დაახლოებით ორი მეხუთედი ინდუსტრიულ მშენებლობაში იქნა გამოყენებული. მთლიანად სათბობ-ენერგეტიკულ მრეწველობაზე (ქვანახშირის მრეწველობა, ნავთობის მოპოვება-გადამუშავება და ელექტროენერგეტიკა) კაპიტალდაბანდებათა 41,3 პროცენტი მოდიოდა.

წარმოების საშუალებათა წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებისათვის განკუთვნილ კაპიტალდაბანდებათა დიდი ხვედრითი წილი ნათლად ამტკიცებს საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას. ამან შექმნა სათანადო მატერიალური ბაზა საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებისათვის. ომამდელი ხუთწლედების პერიოდში კაპიტალდაბანდებათა უდიდესმა ზრდამ შესამჩნევად შეცვალა საქართველოს სახალხო მეურნეობის და კერძოდ მრეწველობის სტრუქტურა ინდუსტრიული განვითარების მიმართულებით.

კაპიტალური დაბანდების ასეთმა ზრდამ, ცხადია, გამოიწვია საქართველოს მრეწველობის ძირითადი ფონდების და პროდუქციის გამოშვების გადიდებაც. კერძოდ, მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება.

საქართველოს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია, 1926 — 1927 წლების ფასებით, 1913 წელს შეადგენდა

---

[1] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1938, № 2, გვ. 11; ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1937, № 11, გვ. 30-31.

45,0 მლნ მანეთს, 1932 წელს კი შეადგენდა 427,0 მლნ მანეთს, ე. ი. გაიზარდა 9,5-ჯერ, 1937 წელს — 908,6 მლნ მანეთს, ე. ი. გაიზარდა 20,2-ჯერ [1].

საქართველოს მსხვილ მრეწველობასთან ერთად იზრდებოდა მისი უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციაც. მსხვილი მრეწველობის ძირითადი ფონდებისა და საერთო პროდუქციის ღირებულების გადიდებამ გამოიწვია სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდა საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში.

წლითიწლობით იზრდებოდა მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულებაც. 1927 — 1928 წლებში გამოშვებული იყო 73 მლნ მანეთის საერთო პროდუქცია, 1932 წელს — 422,8 მლნ მანეთის, 1936 წელს — 784,2 მლნ მანეთის, ხოლო 1937 წლის მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ 19,5-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს[2].

მრეწველობის განვითარებასთან ერთად უდიდესი შინაარსის სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები მოხდა სოფლად პირველ და მეორე ხუთწლედებში: *განხორციელდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.*

სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა იყო ჩამორჩენილი წვრილგლეხური სოფლის მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. ვ. ი. ლენინი კოოპერაციაში ხედავდა გლეხობის კონკრეტულ გზას დაქუცმაცებული წვრილგლეხური მეურნეობიდან მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობაში გადასასვლელად.

„თუ გლეხურ მეურნეობას შეუძლია შემდგომ განვითარდეს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — საჭიროა მტკიცედ უზრუნველვყოთ გადასვლაც, ხოლო შემდგომი გადასვლა აუცილებლად იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელი და ყველაზე მეტად ჩამორჩენილი, წვრილი, განცალკევებული გლეხური მეურნეობა თანდათან გაფართოვდეს და

---

1 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, თბ., 1961, გვ. 154.

2 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1938, № 2, გვ. 11.

გადაიქცეს საზოგადოებრივ. მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობად" [1].

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმა დიდსახელოვანი ნაბიჯი იყო კომუნიზმის მშენებლობის შესახებ ლენინური მოძღვრების განვითარებაში.

საქართველოს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას. ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარებას, საფუძვლად დაედო ლენინის კოოპერაციული გეგმა [2]. იგი პარტიის პროგრამას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებით. ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ გლეხურ მეურნეობათა კოლექტიური მეურნეობის რელსებზე გადაყვანას. კომუნისტურმა პარტიამ შემდგომ განავითარა ლენინური მოძღვრება კოოპერაციის შესახებ საკოლმეურნეო მშენებლობის ეტაპების შესაბამისად და პრაქტიკულად განახორციელა იგი.

სოფლად ამ ამოცანების დასახვისა და განხორციელების მიმდინარეობისას პარტიამ წამოაყენა ჩვენი ქვეყნის აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის საბრძოლო ლოზუნგი. მაგრამ ითვალისწინებდა რა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სიძნელეებს, პარტიამ ინდუსტრიალიზაციის განხორციელების პროცესშივე წამოაყენა წვრილგლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნის ამოცანა. „გამოსავალი, — წერდა ი. ბ. სტალინი, — არის წვრილ და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გადასვლაში მსხვილ და გაერთიანებულ მეურნეობებზე — მიწის საზოგადოებრივი დამუშავების საფუძველზე. მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე გადასვლაში ახალ, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. გამოსავალი იმაშია. რომ წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობებს თანდათანობით. მაგრამ განუხრელად. არა იძულების წესით, არამედ ჩვენებისა და დარწმუნების წესით,

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 357 — 358.

[2] იხ. ი. მირცხულავა. ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში. თბ., 1968.

ერთიანებდეთ მსხვილ მეურნეობებად მიწის საზოგადოებრივი, საამხანაგო, კოლექტიური დამუშავების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენებით, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული ხერხების გამოყენებით. სხვა გამოსავალი არ არის"[1]. ამ მითითებათა საფუძველზე ჩატარებული ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებების შედეგად საბჭოთა მთავრობა და ბოლშევიკების პარტია გადავიდა საკოლმეურნეო მშენებლობაზე.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და ტექნიკური რეკონსტრუქცია საქართველოში განხორციელდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწორი პოლიტიკის განხორციელების შედეგად განვითარდა სამამულო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა და ამით სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის მტკიცე საფუძველი შეიქმნა. სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ გადამწყვეტ პირობას სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეურნეობის ახალი, სოციალისტური ფორმების — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანერგვით და განმტკიცებით შეიქმნა საუკეთესო პირობები საწარმოო ძალთა აღმავლობისათვის, რაც ხორციელდებოდა წარმოებაში უახლესი ტექნიკის, ახალი მაღალმწარმოებლური იარაღ-მანქანების ფართოდ გამოყენების, შრომის მწარმოებლურობის ზრდის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, შრომის სოციალისტური ორგანიზაციის და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვისა და მატერიალური დაინტერესების პრინციპის განმტკიცების საფუძველზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა მეორე ხუთწლედში. წვრილი გლეხური მეურნეობის საწარმოო ურთიერთობანი, რომლებიც აფერხებდნენ საწარმოო ძალების განვითარებას, მეორე ხუთწლედში შეიცვალა ახალი, სოციალისტური ურთიერთობებით. ეს

---

1 ი. ვ. სტალინი. თხზ., ტ. 10, გვ. 327.

ლებმაც ფართო გასაქანი მისცეს სოფლის საწარმოო ძალების განვითარებას. სოციალისტური საწარმოო ურთიერთობანი სოფლის მეურნეობაში შეიქმნა სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებისა და წვრილ-გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გარდაქმნის გზით.

წვრილი, დაქსაქსული ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებამ მტკიცე შესაძლებლობა შექმნა მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოყენებისათვის.

საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა სოციალისტურ სოფლის მეურნეობას — კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს. სახელმწიფო დიდ სახსრებს ებანდებოდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. პირველი და მეორე ხუთწლედების განმავლობაში საქართველოს სსრ სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს მიერ დაბანდებული იყო 776,9 მლნ მანეთი. აქედან პირველ ხუთწლედში — 217,9 მლნ მანეთი, მეორე ხუთწლედში — 559,9 მლნ მანეთი [1].

მეორე ხუთწლედის ბოლოს სასოფლო-სამეურნეო არტელებში გაერთიანებული იყო მთელი გლეხური მეურნეობის 76,5%, რომელზედაც მოდიოდა ნათესი ფართობის 82,8%. 4 366 კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 378,4 ათასი კომლი [2].

1937 წელს კოლმეურნეობებში 16 877 ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა შევიდა. 1938 წლის 1 აპრილისათვის კი უკვე გაერთიანებული იყო 382 051 გლეხური მეურნეობა, რაც 77,9 პროცენტს უდრიდა. კოლმეურნეობებს გარეთ დარჩა მხოლოდ 108 ათასი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სოფლად

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1961 წწ., თბ., 1961, გვ. 295 — 296.

2 საქართველოს კპ (ბ) XI კრებების სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1939, გვ. 32.

გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს, განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით მეურნეობის სოციალისტური სისტემა გადაიქცა მიწათმოქმედების ერთადერთ ფორმად საქართველოში. პარტიისა და მთავრობის ყოველმხრივი ზრუნვის შედეგად წლითიწლობით იზრდებოდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და მათი ძირითადი ფონდების ღირებულება. 1932 წელს საქართველოში კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 60.2 მლნ მანეთს შეადგენდა, კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების ღირებულება კი 80.1 მლნ მანეთს. 1935 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა მიიღეს 177.3 მლნ მანეთი ფულადი შემოსავალი, ძირითადი ფონდების ღირებულება კი 214,3 მლნ მანეთამდე გაიზარდა. 1936 წელს კოლმეურნეობებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. მათი ფულადი შემოსავალი 235 მლნ მანეთამდე გადიდდა, ძირითადი ფონდების ღირებულებამ 339,1 მლნ მანეთს მიაღწია. 1937 წელს კი მათ მიიღეს 316.0 მლნ მანეთი და 5 143 518 ცენტნერი მარცვლეული[1]. სახელმწიფომ კოლმეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტები მისცა: 1932 წელს 3,8 მლნ მანეთი, 1935 წელს — 34.2 მლნ მანეთი, ხოლო 1936 წელს 36,0 მლნ მანეთი.

მოსავლისა და შემოსავლის ზრდის შესაბამისად ღიდდებოდა შრომადღის ანაზღაურება. უხვი საკოლმეურნეო შემოსავლით კოლმეურნეებმა იწყეს შეძლებული და კულტურული ცხოვრების შენება. 1936 წელს კოლმეურნეებმა რესპუბლიკაში ერთ შრომადღეზე საშუალოდ მიიღეს 1 მანეთი და 90 კაპ. ფულად და 3,8 კგ მარცვლეული. ერთი კომლის (საშუალოდ) წლიური შრომადღეების საზღაურმა შეადგინა 10,1 ცენტნერი მარცვლეული და 544 მანეთი ფულად. კაპიტალურმა დაბანდებამ საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე შეადგინა 21 200 მანეთი, ხოლო ერთი კომლის პირად მეურნეობაზე — 248 მანეთი[2].

---

[1] ა. ნუცუბიძე. საქართველოს სოფლის მეურნეობა 1935 — 1940 წწ., ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 123.

[2] Колхозы во второй пятилетке. М., 1939, стр. 109, 111, 130.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ კოლმეურნეობები მტკიცედ მიდიოდნენ წინ შემდგომი განმტკიცებისა და გაძლიერების გზით.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებით მოისპო კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთები საქართველოში, სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლის მეურნეობაში.

მუშათა კლასმა, სოციალისტურმა ქალაქმა დიდი დახმარება გაუწია მშრომელ გლეხობას კულაკობის საბოლოო ლიკვიდაციისა და სოფლად კაპიტალიზმის სრული განადგურების საქმეში.

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ძირითადად დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. წარმატებები საკოლმეურნეო მშენებლობაში მიღწეული იყო პარტიული ორგანიზაციების მიერ სოფლად დიდი მუშაობის ჩატარების შედეგად. თვით ეს ორგანიზაციები განმტკიცდნენ საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებთან ბრძოლაში, იდეურად გამოიწვრთნენ, აამაღლეს თავიანთი რიგების ბრძოლისუნარიანობა და დააგროვეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მდიდარი გამოცდილება.

ჩვენი ქვეყნის მთლიანი კოლექტივიზაცია წარმოადგენდა უდიდეს რევოლუციურ გარდაქმნას. ეს იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მეორე უდიდესი გამარჯვება. მთლიანმა კოლექტივიზაციამ საბოლოოდ მოუღო ბოლო სოფლად სიღატაკესა და ჩამორჩენილობას. კოლექტივიზაციის განხორციელებამ ძირფესვიანად შეცვალა საქართველოს სოფელი, შეცვალა საქართველოს გლეხობის ცხოვრება.

ამრიგად, ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნამ გადაჭრა სოციალისტური რევოლუციის ურთულესი ამოცანა.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია დაბეჯითებით მოითხოვდა ხალხის ფართო მასების კულტურის მნიშვნელოვან ამაღლებას. მეცნიერებისა და კულტურის გარეშე შეუძლებელი იყო თანამედროვე მოწინავე მეურნეობის შენება, ახალი სოციალისტური ურთიერთობის შექმნა და განმტკიცება.

კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის კომუ-

ნისტურმა პარტიამ თავიდანვე ყურადღების ცენტრში დააყენა წერა-კითხვის უცოდინარობის სწრაფი ლიკვიდაციის საკითხი, დაწყებითი და საშუალო განათლების ქსელის, ბეჭდვითი სიტყვისა და რადიოს. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარების ამოცანა.

1920 წელს წერა-კითხვის უცოდინარი იყო საქართველოს მოსახლეობის 81 პროცენტი, 1928 წელს — 40,9 პროცენტი, 1935 წელს — 6 პროცენტი, ხოლო 1936 წელს მხოლოდ 3,8 პროცენტი. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 16 იანვრის დადგენილებით წერა-კითხვის უცოდინარობის (14 — 15 წლის ასაკში) ლიკვიდაცია უნდა დამთავრებულიყო 1937 წელს, ხოლო მცირემცოდნეობის — 1938 წელს. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1936 წლის 12 მარტს და 23 ოქტომბერს დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ უზრუნველყო წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის აღმოფხვრა საქართველოში.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული უმაღლესი სკოლის განვითარებაში, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ამზადებდნენ მრავალრიცხოვან მაღალკვალიფიციურ კადრებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგისათვის. საქართველოში 1934 წელს 19 უმაღლესი სასწავლებელი იყო, ხოლო 1937 წელს — 21 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 23 ათასამდე სტუდენტი. ამასთან ბევრი ქართველი ახალგაზრდა უმაღლეს განათლებას მოსკოვის, ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში იღებდა [1].

რესპუბლიკაში არსებობდა 170 სამეცნიერო დაწესებულება, მათ შორის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, მუზეუმები და სხვ.

მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეს ემსახურებოდა კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები და სხვ. აგრე-

---

[1] საქართველოს ისტორია, თბ., 1960, ტ. III, გვ. 146.

თვე პრესა, რადიო, კინო, სააგიტაციო-მასობრივი და კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის მრავალი საშუალებანი.

1937 წელს საქართველოში იყო 1229 საკლუბო დაწესებულება (ქოხსამკითხველოების ჩათვლით), ნაცვლად 841 დაწესებულებისა 1932 წელს. ამ ხნის განმავლობაში მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა გაიზარდა 693-დან 1926-მდე [1].

კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მიღწეული წარმატებები იყო უპირველეს ყოვლისა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა საბჭოთა კულტურამ, მეცნიერებამ, ტექნიკამ მოკლე დროში მიაღწია არნახულ მაღალ დონეს.

პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულებამ, სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების შექმნის ამოცანათა წარმატებით გადაჭრამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, მისი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ მშრომელების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების მაჩვენებელი იყო მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და კოლმეურნე გლეხობის შემოსავლის გადიდება. მათი მზარდი მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილება ფართო მოხმარების საქონლით, კომუნალური მომსახურებით და სხვ. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში 1937 წელს შეადგენდა 359 ათას კაცს, ნაცვლად 43 ათასისა 1923 წელს. მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდებოდა როგორც ხელფასის საერთო ფონდი, ისე საშუალო წლიური ხელფასი. მაგალითად, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი 1928 წლიდან 1937 წლამდე 846 მანეთიდან გაიზარდა 3330 მანეთამდე, ე. ი. თითქმის ოთხჯერ და ა. შ.

---

[1] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1938, № 3—4, გვ. 18.

ყოველწლიურად იზრდებოდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. 1937 წელს კოლმეურნეობათა მთლიანი ფულადი შემოსავალი გაიზარდა 365,5 მლნ მანეთამდე, ნაცვლად 83,6 მლნ მანეთისა 1932 წელს, ხოლო შრომადღეებზე გაცემულ იქნა ფულად 1932 წელს 17,2 მლნ მანეთი და 1937 წელს— 198.2 მლნ მანეთი. 1932 წელს ერთ შრომადღეზე გაიცა ფულად 90 კაპ., ხოლო 1937 წელს — 2,2 მან.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარების შედეგად ალმავალი გზით მიმავალი საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგში ჩადგა. ქართველი ხალხის თავდადებული შრომით მოპოვებულმა გამარჯვებამ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1935 წლის მარტში საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წლების მანძილზე სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მოპოვებული მიღწევებისათვის საქართველოს სსრ ლენინის ორდენით დააჯილდოვა. მოპოვებული წარმატებებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვდა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ.

მაღალი ჯილდო ქართველ ხალხს საზეიმო ვითარებაში გადაეცა 1936 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავზე. ამ მოკლე ისტორიული პერიოდის განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა საქართველოს სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობილება. გადამწყვეტი წარმატებები იქნა მიღწეული სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ქართველ ხალხს მისალმება გამოუგზავნეს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ [1].

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში საბჭოთა ხალხს და (კერძოდ) ქართველ ხალხსაც უდიდესი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. მრეწველობა ის იყო ვითარდებოდა და არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა საბჭოთა ქვეყნის და ასევე საქართველოს მოთხოვნილებანი. იგრძნობოდა კვალიფიციური კადრების და-

---

[1] ვაზ. „კომუნისტი", 1936, 25 თებერვალი.

დი ნაკლებობა, არ გაგვაჩნდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გამოცდილება. არ იყო განმტკიცებული საკოლმეურნეო წყობილება. კოლმეურნეთა — ცოტახნის წინანდელი ერთპიროვნული მეურნის — შეგნებაში თავს იჩენდა კერძომესაკუთრული გადმონაშთები. შემორჩენილი კულაკური ელემენტები წინააღმდეგობას უწევდნენ და ზიანს აყენებდნენ საკოლმეურნეო წყობილებას.

მუშათა კლასმა განსაკუთრებული როლი შეასრულა მეორე ხუთწლედის ვადამდე შესრულების საქმეში. მუშაკისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების გმირულმა ბრძოლამ და შემოქმედებითმა შრომამ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. მრეწველობაში დაიბადა წარმოების ნოვატორთა — სტახანოველთა მოძრაობა, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა. ეს მოძრაობა განვითარდა სოფლის მეურნეობაშიც.

სოციალიზმის აშენების შედეგად როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში ძირეულად შეიცვალა საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა. პროლეტარიატმა, რომელიც წარმოადგენდა გაბატონებულ კლასს, მშრომელ გლეხობასთან კავშირში საბოლოოდ მოახდინა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია. გლეხობა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მტკიცედ და საბოლოოდ დაადგა სოციალიზმის გზას.

საბჭოთა საქართველოს ინტელიგენცია გადაიქცა ნამდვილ სახალხო ინტელიგენციად. იგი გამოვიდა მუშათა კლასისა და გლეხობის წრიდან და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღიზარდა, იყო საბჭოთა ხელისუფლების ერთგული. ძველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი შეერწყა თავის საქმიანობაში ახალ მშრომელ ინტელიგენციას და მასთან ერთად, მთელ მშრომელ ხალხთან ერთად ჩაება სოციალიზმის მშენებლობაში.

სოციალისტური მშენებლობა საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდებოდა გარეშე და შინაური რეაქციული ძალების, პარტიის შიგნით მოკალათებული აგენტების—ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუა-

ზიული ნაციონალისტებისა და სოციალიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში[1].

მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის დაძაბული შრომისა და გმირობის შედეგად 1937 წლისათვის გადალახულ იქნა რესპუბლიკის განვითარების ახალი მიჯნა — ძირითადად დამთავრდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. 1921 — 1937 წლებში, განსაკუთრებით პირველი და მეორე ხუთწლედების მანძილზე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად საქართველო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა. არსებითად შეიცვალა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, ძირითადად დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების აშენება. სოციალისტური წარმოების წესის გამარჯვება და დამკვიდრება კანონმდებლობითი წესით გაფორმდა სსრ კავშირისა (1936 წ.) და საბჭოთა საქართველოს (1937 წ.) ახალ კონსტიტუციებში.

---

1 თეზისები საქართველომ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1971, 21 მარტი.

თავი მეორე

საქართველოში სოციალისტური საზოგადოების განმტკიცება-განვითარების პროგრამა და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის

§ 1. სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისა და სოციალიზმის მშენებლობაში მიღწეულ წარმატებათა შედეგად დაიწყო საბჭოთა კავშირის განვითარების ახალი პერიოდი — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის პერიოდი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ძირითადი ამოცანები სოციალისტური მშენებლობის ამ ახალ ეტაპზე განსაზღვრა საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობამ.

საწარმოო ფონდების, წარმოების იარაღებისა და საწარმოო ნაგებობათა სოციალისტური საკუთრება მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოო ფონდის 98,7 პროცენტს შეადგენდა. წარმოების სოციალისტური სისტემა გახუყოფლად ბატონობდა სსრ კავშირის მთელ სახალხო მეურნეობაში: მრეწველობის საერთო პროდუქციაში მისი წილი შეადგენდა 99,8 პროცენტს, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში, კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის ჩათვლით — 98,6 პროცენტს, საქონელბრუნვის მხრივ — 100 პროცენტს[1].

1 სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში..., ნაწ. III, გვ. 469.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად ჩვენს ქვეყანაში ძირითადად განხორციელებულ იქნა კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი. გადაწყვეტილ იქნა ისეთი მთავარი სამეურნეო ამოცანა, როგორიც იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება.

წარმატებების მიუხედავად საბჭოთა ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე უფრო ნაკლებ პროდუქციას უშვებდა, ვიდრე მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები.

ბუნებრივია, რომ ახალი პერსპექტიული გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო ამ ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევა, რაც გათვალისწინებული იყო კიდევაც სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტში. პროექტი საყოველთაო — სახალხო განხილვის მიზნით წინაწარ გამოქვეყნდა თეზისების სახით.

თეზისების გამოქვეყნებამ, რომლებიც იძლეოდნენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ახალი აღმავლობის ნათელ პერსპექტივებს, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოს ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინიგზებზე, კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა ბრძოლა საწარმოო გეგმების ვადამდე და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის. მშრომელებმა გამოავლინეს დიდძალი რეზერვები წარმოების გასაფართოებლად, შეიტანეს ბევრი საქმიანი წინადადება მუშაობის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ[1] (1939 წლის თებერვალი) შეაჯამა თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები, ერთსულოვნად მოიწონა ისინი და დასახა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობას, რომელიც 1939 წლის მარტში ჩატარდა. ყრილობამ განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938 — 1942 წლებში), რომლის გან-

---

[1] პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VII, ს. 9390.

ორიენტაცია დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სსრ კავშირისათვის. საბჭოთა ხალხის უახლოეს ამოცანად დასახული იყო ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაგვესწრო ევროპის ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის[1].

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის წინ ვ. ი. ლენინმა ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებით ეს გახდა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის უახლოესი პრაქტიკული ამოცანა.

მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ქვეყნის შემდგომ ინდუსტრიულ განვითარებას, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას, საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. 1942 წელს ნაკარაუდევი იყო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების თითქმის ერთი ორად გადიდება 1937 წელთან შედარებით. კაპიტალურ დაბანდებათა ის ოდენობა, რაც გეგმით დასახული იყო მესამე ხუთწლედში, დაახლოებით უდრიდა პირველ და მეორე ხუთწლედებში გაწეულ მთელ კაპიტალდაბანდებათა თანხას. მესამე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო თავდაცვითი მრეწველობის განვითარება, სათბობის, ელექტროენერგიისა და წარმოების სხვა დარგებში დიდი სახელმწიფო რეზერვების შექმნა. დასახული იყო დუბლიორ საწარმოთა მშენებლობა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში — ურალზე, ვოლგისპირეთში, ციმბირსა და შუა აზიაში. გეგმა ითვალისწინებდა ქვანახშირისა და მეტალურგიის ბაზის გაფართოებას ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ნავთობის ბაზის შექმნას ვოლგასა და ურალის შუა რაიონში, მარცვლეულის — სსრ კავშირის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში[2].

ამრიგად, საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობამ გამოაცხადა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პროგრამა.

---

1 სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში..., ნაწ. III, გვ. 475.
2 სკკპ ისტორია, თბ., 1961, გვ. 635.

„ახლა, როდესაც სსრ კავშირი ჩამოყალიბდა, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, — აღნიშნული იყო საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციებში, — როდესაც მან ძირითადად დაამთავრა სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია და მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების ტექნიკის დონის მხრივ ევროპის ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაზე წინ დგას, — ახლა ჩვენ შეგვიძლია პრაქტიკულად მთელი სიგრძე-სიგანით დავაყენოთ და კიდევაც უნდა დავაყენოთ და განვახორციელოთ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტა"[1].

ამისათვის ყრილობა სახავდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ტექნიკური შეიარაღების შემდგომ მნიშვნელოვან გაზრდას და, პირველ რიგში, მანქანათმშენებლობის, მთელი მძიმე მრეწველობის განვითარებას.

მესამე ხუთწლედში დასახულ იქნა სამრეწველო პროდუქციის 1.9-ჯერ გადიდება. პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა კი გათვალისწინებული იყო 14 პროცენტით.

ამასთან ერთად აუცილებელი იყო სახალხო მეურნეობის ისეთი ზრდა და საქონელბრუნვის ისეთი განვითარება, რომ მესამე ხუთწლედის განმავლობაში 1.5 — 2-ჯერ გაგვედიდებინა სახალხო მოხმარება[2].

მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება, მისი შემდგომი შეუფერხებელი აღმავლობის უზრუნველყოფა საერთო სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, იმპერიალიზმის აგრესიული ძალების გააქტიურება მოითხოვდნენ დიდი სახელმწიფო რეზერვების შექმნას, უწინარეს ყოვლისა, სათბობისა და ელექტროენერგიის, თავდაცვითს მრეწველობასა და ტრანსპორტის განვითარების დარგებში.

უმნიშვნელოვანესი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, მრეწველობის შემდეგ, ეჭირა სოფლის მეურნეობას. უწინარეს ყოვლისა, საკოლმეურნეო წარმოებას. სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე დამოკიდებული იყო ყველა პროდუქტების

---

1 სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში..., ნაწ. III, გვ. 475.
2 იქვე, გვ. 476.

წარმოების გადიდება. აგრეთვე ნედლეული ბაზის გაფართოება მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობა ომის წინა წლებში დიდ სიძნელეებს განიცდიდა, რაც გამოწვეული იყო დაძაბული საერთაშორისო ვითარებით და ომის საფრთხით, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით აღჭურვის საქმეში.

მიუხედავად ამისა, საკოლმეურნეო წყობილება და ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გაწეული მუშაობა ამ ძნელ პირობებშიც კი უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის განუხრელ ზრდას. 1940 წელს კოლმეურნეობები ყველა გლეხური კომლის 96.9 პროცენტს აერთიანებდნენ. მათ ხელში იყო ნათესი ფართობების 99,9 პროცენტი. კოლმეურნეობებს ემსახურებოდა 7 ათასი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ჩვენს ქვეყანაში 4 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობა იყო. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მუშაობდა 531 ათასი ტრაქტორი და 182 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 228 ათასი სატვირთო ავტომობილი, 1400 ათასზე მეტი ტრაქტორისტი, კომბაინერი და შოფერი ემსახურებოდა მანქანების ამ უდიდეს პარკს [1].

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება სოფლად პარტიული ორგანიზაციების მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში პარტია ეყრდნობოდა კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს. საკოლმეურნეო წყობილების განვითარებასთან ერთად იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ პარტიული ორგანიზაციები. კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები თავის გარშემო რაზმავდნენ კოლმეურნეთა აქტივს, მუშაობაში აბამდნენ სოფლის მოწინავე ძალებს. საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში იზიდავდნენ კომკავშირლებს, რომლებიც სოფლად დიდ ძალას წარმოადგენდნენ. კომ-

---

1 სკპპ ისტორია, გვ. 657.

კავშირული ორგანიზაციები კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის საბრძოლველად რაზმავდნენ სოფლის ახალგაზრდობას.

ომის წინა წლებში პარტიამ განახორციელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლების განსამტკიცებლად.

მიწათმოქმედებაში სოციალისტური სისტემის დამკვიდრებამ გააძლიერა საბჭოთა სახელმწიფოს მგეგმავ-მარეგულირებელი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მაგალითად, გეგმიანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობამ მკაფიოდ იჩინა თავი ტექნიკური კულტურების ნათესების გაფართოებით, რაც აუცილებელი იყო. ტექნიკური კულტურების ფართობი 1941 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად (4,9 მილიონი ჰექტარიდან 11,8 მილიონ ჰექტარამდე).

პარტია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის საფუძველია მარცვლეულის წარმოება, რომ მის ბაზაზე წყდება სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანები.

პარტიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად კოლმეურნეობებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს მარცვლეული წარმოების აღმავლობაში. საერთოდ პარტიამ, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ომამდელ წლებში საგრძნობლად განამტკიცეს სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი დარგი—სოფლის მეურნეობა. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობას უნარი აღმოაჩნდა გაეძლო მძიმე განსაცდელისათვის ომის დროს და საჭირო რაოდენობით მოემარაგებინა არმია და ქვეყანა სურსათითა და ნედლეულით.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში სსრ კავშირში განხორციელდა კულტურული რევოლუცია. მესამე ხუთწლედში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას.

მესამე ხუთწლედის ძირითადი ამოცანების შესაბამისად აუცილებელი იყო ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მთელი მასის კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების უზრუნველყოფა, მუშათა, სოციალისტური საზოგადოების ამ მოწინავე და ხელმძღვანელი ძალის, კულტურულ-ტექნიკური განვითა-

რება. ქალაქად საყოველთაო საშუალო სწავლების და სოფლად საყოველთაო შვიდწლიანი საშუალო სწავლების განხორციელება, კინოთეატრების, კლუბების, ბიბლიოთეკების. კულტურის სახლებისა და სამკითხველოების ქსელის გადიდება, ამასთან სტაციონარული და სხვა ხმოვანი კინოდანადგარების ფართო ორგანიზაცია [1].

მესამე ხუთწლიანი გეგმა მუშებისა და სოფლის მშრომელების მატერიალური დონის ამაღლების დარგში სახავდა შემდეგ ამოცანებს: მშრომელთა მოხმარების საგნების 1,5-ჯერ გადიდება, მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა შემოსავლის ზრდის შესაბამისად; მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის გაზრდა 37 პროცენტით; სახელმწიფო ხარჯების მატება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ეს იმ თანხების გარდა, რასაც სახელმწიფო გასწევდა საბინაო და კომუნალურ მშენებლობაზე — 53 მილიარდ მანეთამდე; კოლმეურნეთა შემოსავლის მნიშვნელოვანი გაზრდა, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლება ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოების შედეგად. საბინაო მშენებლობის გაძლიერება ქალაქებსა და მუშათა დაბებში — მესამე ხუთწლედის განმავლობაში 35 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი გადაეცემოდა მშრომელებს; ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი სრულყოფა და განვითარება; გათვალისწინებული იყო საბჭოთა ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარება; ყრილობამ განსაზღვრა მესამე ხუთწლედის განმავლობაში სახალხო შემოსავლის ზრდა 1,8-ჯერ [2] და სხვ.

ასეთი იყო ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დაისახა მესამე ხუთწლედში საბჭოთა ხალხის წინაშე.

ამრიგად, მესამე ხუთწლედი თავის ამოცანებით არსებითად განსხვავდებოდა პირველი და მეორე ხუთწლედებისაგან. მაშინ საქმე ეხებოდა სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების აშენების ამოცანებს. მესამე ხუთწლედისათვის კი სო-

---

[1] სკკპ..., რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, თბ., 1956, გვ. 503 — 504.

[2] იქვე, გვ. 503 — 506

ციალისტური საზოგადოება ძირითადად უკვე აშენებულ იქნა. საბჭოთა კავშირი შევიდა ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

* * *

საქართველოს სსრ რესპუბლიკამ მეორე ხუთწლედში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებით საქართველო წვრილგლეხური, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად. ამაღლდა მშრომელი მასების შრომითი და შემოქმედებითი აქტივობა, რამაც თავის გამოხატულება პოვა სტახანოვურ მოძრაობაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მშრომელთა კულტურული და მატერიალური კეთილდღეობა.

ახალ საწარმოთა ამუშავების, აგრეთვე ძველ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად, საქართველოს მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ მეორე ხუთწლედის დამლევს — 1937 წელს — შეადგინა 1047 მლნ მანეთი, ნაცვლად 503 მლნ მანეთისა 1932 წელს, ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად[1]. საქართველოს სსრ მსხვილი მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულება ამავე პერიოდში 3,5-ჯერ გადიდდა.

მეორე ხუთწლედში მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე შესაძლებელი გახდა დიდი ამოცანების დასახვა მესამე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სსრ კავშირში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებსა და მხარეებში საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას; პარტიის XVIII ყრილობის რეზოლუციაში აღინიშნა, რომ უზრუნველყოფილ იქნას ე რ ო ვ ნ უ ლ ი რესპუბლიკების და მხარეების მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა მესამე ხუთწლედში საწარმოო

---

1 საქართველოს ისტორია, თბ., 1960, ტ. III, გვ. 153.

ძალების განლაგების ძირითადი ამოცანების შესაბამისად. ეს იმას ნიშნავდა, რომ სახალხო მეურნეობის და პირველ ყოვლისა მრეწველობის გეგმები შეხამებული უნდა ყოფილიყო ეროვნული რესპუბლიკების ბუნებრივ პირობებთან. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად საქართველოს მესამე ხუთწლიანი გეგმა, ისევე როგორც წინა ხუთწლედების გეგმები, ითვალისწინებდა მეურნეობისა და კულტურის უფრო სწრაფ განვითარებას, ვიდრე სსრ კავშირში საერთოდ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე დასახულ იქნა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

საგრძნობლად უნდა გადიდებულიყო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. სახელდობრ, 1942 წელს საქართველოს სსრ მსხვილ მრეწველობას დაახლოებით 1,8-ჯერ მეტი მთლიანი პროდუქცია უნდა გამოეშვა 1937 წელთან შედარებით. საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა პროდუქცია იზრდებოდა 79 პროცენტით. 1940 წელს 1939 წლის გეგმასთან შედარებით, საერთო პროდუქციის ზრდას სამივე დაქვემდებარების საწარმოთა ხაზით 14,5 პროცენტი უნდა შეედგინა, ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით 9,5 პროცენტი[1].

ამ დავალების შესაბამისად იყო გათვალისწინებული კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება.

თუ მეორე ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობაში წლიური კაპიტალდაბანდება 516 მლნ მანეთს უდრიდა, მესამე ხუთწლედში იგი 768 მლნ მანეთამდე გაიზრდებოდა, ე. ი. ზრდა 50 პროცენტს აღემატებოდა.

გეგმა ითვალისწინებდა მრეწველობის უპირატეს განვითარებას, ამიტომ მის სხვადასხვა დარგში კაპიტალური დაბანდების მატება წინა ხუთწლედთან შედარებით 75 — 100 პროცენტს შეადგენდა.

---

[1] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1940, № 1-2, გვ. 75; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ს. 10517, ფურც. 82.

პროდუქცია უნდა გაზრდილიყო საქართველოს ადგილობრივ მრეწველობაში 14,7 პროცენტით. მსუბუქ მრეწველობაში — 8.9 პროცენტით, კვების (რესპუბლიკურ) მრეწველობაში — 12.3 პროცენტით [1].

ცალკეული დარგების მიხედვით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმით დაისახა შემდეგი ამოცანები:

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა მისი ენერგეტიკული ბაზის ჩამორჩენა. 1937 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს სულ 413,5 მლნ კილოვატსაათი ენერგია, მაშინ როდესაც ელენერგიის მინიმალური მოთხოვნილება შეადგენდა 541 მლნ კილოვატსაათს. მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდებოდა მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და 1942 წლისათვის მას უნდა შეედგინა 1500 მლნ კილოვატსაათი. ელექტროსადგურები, რომლებიც საქართველოში შენდებოდა, მესამე ხუთწლედში (მათი მშენებლობის დამთავრების შემთხვევაშიც) ვერ დააკმაყოფილებდა ელექტროენერგიის მოხმარების ასეთ მზარდ მოთხოვნილებას.

საქართველოს კპ (ბ) მეათე ყრილობამ (1937 წ. მაისი) ამის გამო დასახა ამოცანა არსებული ელექტროსადგურების მუშაობის გაუმჯობესებისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 13 ოქტომბრის დადგენილების — „ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის შესახებ" განუხრელად შესრულებისათვის. ამასთან ერთად ყრილობამ მიიღო დადგენილება მშენებლობაში მყოფი ელექტროსადგურების: ხრამჰესის — 1939 წლისათვის, თბილისის თბოელექტროცენტრალის პირველი რიგის მშენებლობის — 1937 წლისათვის დამთავრებისა და აგრეთვე პატარა სასოფლო ჰიდროელსადგურების მშენებლობის გაშლის შესახებ [2].

ხუთწლიანი გეგმით გარდა ამისა გათვალისწინებული იყო აგრეთვე სოხუმჰესის მშენებლობის დამთავრება, ტყვარჩელის ნახშირის ბაზაზე 24 ათასი კილოვატიანი რაიონული

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1938, 27 მარტი.

[2] ეურნ. „პარტიული მშენებლობა", 1937, № 9 - 10, გვ. 71, 98.

თბოსადგურის. მცირესიმძლავრის კომუნალური და დარგობრივი ელექტროსადგურების მშენებლობა და რეკონსტრუქცია[1].

ვინაიდან აღნიშნული ელექტროსადგურები ვერ უზრუნველყოფდნენ სახალხო მეურნეობაში მზარდ მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე, ფართოდ უნდა გაშლილიყო საკვლევი სამუშაოები საქართველოს მდინარეების ჰიდრორესურსების შესასწავლად.

ელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად გაიშალა გადამცემი ხაზების: ხრამჰეს-თბილისი, სოხუმჰეს-ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, ცხაკაია-ფოთის, რიონჰეს-ტყიბულის მეორე წრედის, რიონჰეს-ზესტაფონის და ზაჰეს-ნავთლუღის ხაზის მშენებლობა, რაც უნდა დამთავრებულიყო მესამე ხუთწლედში.

მძიმე მრეწველობის დარგში არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის გარდა, გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ახალი მსხვილი საწარმოების მშენებლობის დამთავრება და ექსპლოატაციაში გადაცემა, რომელთა მშენებლობა მეორე ხუთწლედში დაიწყო.

მძიმე მრეწველობის განვითარებაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის ქვანახშირის მრეწველობას.

ვ. ი. ლენინი მრეწველობის ამ დარგის მნიშვნელობას ასე განსაზღვრავდა: „ქვანახშირის მრეწველობის გარეშე, არავითარი თანამედროვე მრეწველობა, არავითარი ფაბრიკები და ქარხნები არაა წარმოსადგენი, ქვანახშირი ნამდვილი პურია მრეწველობისათვის, ამ პურის გარეშე მრეწველობა არ მოქმედებს, ამ პურის გარეშე რკინიგზის ტრანსპორტი განწირულია ყოვლად უმწეო მდგომარეობისათვის და ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღსდგება;

ამ პურის გარეშე ყველა ქვეყნის მსხვილი მრეწველობა იშლება, ირღვევა, პირველყოფილ ბარბაროსობას უბრუნდება"[2].

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 2, გვ. 55.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 602.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ახლად შექმნილი და რეკონსტრუირებული დარგები ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებდნენ ქვანახშირის მრეწველობას. ქვანახშირის ამოღება 1942 წლისათვის 5-ჯერ უნდა გაზრდილიყო 1937 წელთან შედარებით და მიეღწია 2,2 მლნ ტონამდე[1].

ამისათვის ტყიბულში მწყობრში უნდა შესულიყო ახალი შახტები, გამაუხვებელი ფაბრიკები ტყიბულსა და ტყვარჩელში. მესამე ხუთწლედში ქვანახშირის ამოღება უნდა გაშლილიყო გელათსა და ახალციხეში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათბობით უზრუნველყოფაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ნავთობის მრეწველობას.

გათვალისწინებული იყო, რომ 1942 წლისათვის მიგვეღო სულ მცირე 200 ათასი ტონა ნავთობის პროდუქტები[2]. დიდი ამოცანები ჰქონდა დასახული ჭიათურის მანგანუმის მრეწველობას. სასაქონლო პროდუქციის გადიდება გათვალისწინებული იყო 1650 ათასი ტონიდან, 1937 წელს, 2500 ათას ტონამდე 1940 წელს[3].

ამისათვის აუცილებელი იყო მანგანუმის მრეწველობის რეკონსტრუქციის დასრულება, ახალი მაღაროების და გამაუხვებელი ფაბრიკის შენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ მომზადება.

ამასთან ერთად გათვალისწინებული იყო ფეროშენადნობთა ქარხნის 18 ღუმელის სრული დატვირთვით ამუშავება, კაპიტალური დაბანდება ფეროშენადნობი ქარხნის გაფართოებისათვის (ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 29,6 მლნ მანეთის ოდენობით)[4]. თუ ქარხანამ 1937 წელს მოგვცა 40 მლნ მანეთის პროდუქცია, ხუთწლედში მისი პროდუქცია საგრძნობლად იზრდებოდა ძირითადი საამქროების პროდუქცია კი — 320 პროცენტით.

მძიმე მრეწველობის წამყვანი რგოლია მ ა ნ ქ ა ნ ა თ მ შ ე-

---

1 ეუნრ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 2, გვ. 56.

2 იქვე.

3 იქვე.

4 გაზ. „კომუნისტი", 1939, 14 თებერვალი.

ნ ე ბ ლ ო ბ ა. ამიტომ მესამე ხუთწლედში დიდი ამოცანები იყო დასახული მისი განვითარების დარგში.

მეორე ხუთწლედში მიღებულმა გამოცდილებამ და მაღალკვალიფიციური კადრების შექმნამ ნიადაგი მოამზადა მესამე ხუთწლედში საქართველოში დაზგათმშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა ჩაის მანქანათმშენებლობა.

საქართველოს მანქანათსაშენ ქარხნებს 1938 წელს უნდა გამოეშვათ მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების პროდუქცია 3,3 მლნ, ხოლო 1942 წელს უკვე 12,6 მლნ მანეთის რაოდენობით[1].

სუსტად ვითარდებოდა ქ ი მ ი უ რ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. მეორე ხუთწლედში იგი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი საწარმოთი — თბილისის ქიმიური კომბინატით, რომელიც 1937 წელს უშვებდა 1 112 ათასი მანეთის პროდუქციას. მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო მრავალი ახალი სახის ქიმიური პროდუქციის გამოშვება და ახალ საწარმოთა მწყობრში ჩაყენება. მათ შორის ქუთაისის ლითოფონის, რიონის აზოტსასუქის კომბინატის, თბილისის ავტოსაბურავების ქარხნისა და სხვ.

მშენებლობის გათვალისწინებული მოცულობის განხორციელებისას მესამე ხუთწლედში მძიმე მრეწველობის გამოშვებულ პროდუქციას ძირითად სახეებში უნდა შეედგინა[2] — (იხ. ცხრილი 1).

მესამე ხუთწლედში საქ. სსრ მძიმე მრეწველობაში აღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად აუცილებელი იყო 923, 5 მლნ მანეთის დაბანდება, მათ შორის ძირითად დარგებში: ქვანახშირის — 126, 2 მლნ, ნავთობმოპოვების — 327 მლნ, მანგანუმის — 88 მლნ, ქიმიური — 206,1 მლნ, მანქანათმშენებლობაში — 43,9 მლნ და საშენ-მასალების მრეწველობაში — 48 მლნ მანეთი[3].

---

[1] სცსა (თბილისი), ფ. 2512. ს. 55 ა, ფურც. 27; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 441, ს. 36, ფურც. 21.

[2] სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 13.

[3] იქვე.

ცხრილი 1

პროდუქციის სახე (ათას ტონებში)	1937 წ	1942 წ.
ქვანახშირი	750,0	2709
ნავთობი	12,0	1089
მანგანუმი	1650,0	2500
ფეროშენადნობი	14000,0	75000
სილიკატები	12360,0	48000
ფეროსილიციუმი	11500,0	49800
ლითოფონი	—	20000
ალუმინის ფანგი	—	10000
ხვადასხვა დაზგები (ცალობით)	809	2900
ელექტრომანქანების აწყობა	—	19000
ცემენტი	160	320

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის დირექტივებში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების საკითხებს. კვების ძირითადი პროდუქტების წარმოება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკათა ხუთწლიან გეგმებში. ეს მითითება საქართველოს კვების მრეწველობის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს ავალებდა თავიანთი მუშაობა იმგვარად გარდაექმნათ, რომ მაქსიმალურად გაედიდებინათ მაღალხარისხოვანი პროდუქტების გამოშვება.

მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო რესპუბლიკაში კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება 82,4 პროცენტით, სულ უნდა გამოეშვათ 562,6 მლნ მანეთის პროდუქცია[1]. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა გაფართოებულიყო ასორტიმენტი და გაუმჯობესებულიყო ხარისხი.

კვების მრეწველობის ცალკეული დარგებიდან განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ჩაის მრეწველობა, რო-

[1] სცსა (თბილისი). ფ. 600, ს. 5293, ფურც. 83—84.

მელსაც უნდა გადაემუშავებინა 1942 წელს 70 743 ტონა, ნაცვლად 27 312 ტონისა 1937 წელს. ხუთწლედში ჩაის მრეწველობაში უნდა დაებანდებინათ 110 მლნ მანეთი[1].

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ი ს სწრაფ განვითარებას.

ღვინის დამზადება 1155 ათასი დეკალიტრიდან 1620 ათას დეკალიტრამდე გადიდდებოდა, კონიაკების — 76.0 ათასი დეკალიტრით, ლიქიორების — 85,0 ათასი დეკალიტრით.

საქართველოში ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარებამ, მთელ რიგ რაიონებში შამპანური ჯიშის ვენახების გაშენებამ. ბუნებრივია, დააყენა მძლავრი შამპანური ქარხნის მშენებლობის საკითხი.

თბილისში გათვალისწინებული იყო შამპანური ღვინოების დიდი კომბინატის ამუშავება, რომელსაც ყოველწლიურად უნდა მოეცა 4 მლნ ბოთლი შამპანური.

კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობას მეღვინეობაში მესამე ხუთწლედის მანძილზე 20.307 ათასი მანეთი უნდა შეედგინა[2].

დასახული იყო თ ა მ ბ ა ქ ო ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს საწარმოების ტექნიკურ შესაძლებლობათა სრული გამოყენება. პაპიროსის გამოშვება 1942 წლისათვის 7000 მლნ ცალამდე უნდა აგვეყვანა, ე. ი. 1937 წელთან შედარებით მისი წარმოება 45,6 პროცენტით გაიზრდებოდა.

მესამე ხუთწლიანი გეგმით კვების მრეწველობის სხვა დარგებიდან განსაკუთრებით დიდი ამოცანები იყო დასახული ხორცის, რძის ნაწარმის და თევზის მრეწველობის განვითარებისათვის. ხორცის შესყიდვა 1937 წელთან შედარებით უნდა გადიდებულიყო 30 პროცენტით. მისი განვითარებისათვის გათვალისწინებული იყო 615 მლნ მანეთის დაბანდება[3]. ყველისა და კარაქის მრეწველობაში — 11 მილიონზე მეტი მანეთი

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1939, 27 თებერვალი.

2 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 8, გვ. 33.

3 [illegible] გვ. 34.

და ამ პროდუქციის გამოშვება უნდა გადიდებულიყო 29 პროცენტით[1].

მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა პურ-ფუნთუშის ნაწარმის ასორტიმენტი და უმჯობესდებოდა ხარისხი. პურ-ფუნთუშის პროდუქციის ზრდა ნავარაუდევი იყო 47 პროცენტით, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მრეწველობის — 126,8 პროცენტით.

შრომისნაყოფიერება კვების მრეწველობაში იზრდებოდა 34.7 პროცენტით, თვითღირებულების შემცირება გათვალისწინებული იყო 5,4 პროცენტით.

მთლიანად კვების მრეწველობის ხაზით (საკავშირო რეს-პუბლიკური და ადგილობრივი) კაპიტალური მშენებლობა დაგეგმილი იყო 744.7 მლნ მანეთის მოცულობით. აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაის მრეწველობასა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებს ხმარდებოდა. უნდა აშენებულიყო 12 ახალი ჩაის ფაბრიკა, ჩაის გადამწონი ახალი ფაბრიკა თბილისში, უნდა მოეხდინათ არსებული ფაბრიკების რეკონსტრუქცია.

პირველ და მეორე ხუთწლედში მოპოვებულმა წარმატებებმა მტკიცე ბაზა შეუქმნეს მსუბუქი მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარების ამოცანები მესამე ხუთწლედში შემდეგი იყო: წარმოების შემდგომი გაფართოება ადგილობრივი საფეიქრო ნედლეულის ბაზაზე, ნაწარმის ასორტიმენტის გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, საწარმოო პროცესების მექანიზაცია, მრეწველობის საწარმოო ფონდების მაქსიმალური გამოყენება და სხვ.

საერთო-სამრეწველო პროდუქციის მოცულობას მესამე ხუთწლედის დამლევისათვის უნდა შეედგინა 104 981 ათასი მანეთი, ნაცვლად 1937 წლის 57 784 ათასი მანეთისა. მუშების რიცხვი გაიზრდებოდა 5876 კაციდან 8453 კაცამდე[2].

კაპიტალური სამუშაოების ხაზით გათვალისწინებული იყო თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის რეკონსტრუქცია, ქუ-

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 8, გვ. 34.
2 იქვე, № 10, გვ. 20.

თაისის აბრეშუმის კომბინატის, ბათუმისა და სოხუმის ტყავის ქარხნების, თბილისის სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება. ზუგდიდის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მშენებლობა და თბილისის ამ დარგის ზოგიერთ საწარმოთა გაფართოება.

მსუბუქ მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა მესამე ხუთწლედში ნავარაუდევი იყო 69 მლნ მანეთის ოდენობით, ნაცვლად მეორე ხუთწლედის 44,9 მლნ მანეთისა.

საკავშირო მნიშვნელობის ობიექტებიდან უნდა ამოქმედებულიყო მსხვილი სატრიკოტაჟო კომბინატი, რომლის პროდუქციას 1942 წელს 100 მლნ მანეთზე მეტი უნდა შეედგინა.

გათვალისწინებული იყო რამის სართავ-საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა და თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის — „გიგანტის" საპროექტო სიმძლავრის ათვისება.

შრომისნაყოფიერების ზრდა მსუბუქ მრეწველობაში გათვალისწინებული იყო 23,1 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება — 6,7 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდა განვითარებასთან ერთად წლითიწლობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა.

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობამ ადგილობრივი მრეწველობის წინაშე დააყენა სერიოზული ამოცანები. რესპუბლიკური დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებას 1942 წლისათვის უნდა შეედგინა 89 180 ათასი მანეთი (1926 - 1927 წწ. უცვლელი ფასებით), ნაცვლად 1937 წ. 49 022 ათასი მანეთისა.

შრომისნაყოფიერების ზრდა გათვალისწინებული იყო 42 პროცენტით. რესპუბლიკური მნიშვნელობის ადგილობრივ მრეწველობაში სასაქონლო პროდუქციის კომერციული თვითღირებულება უნდა შემცირებულიყო 20 პროცენტით. რაიონული დაქვემდებარების ადგილობრივ მრეწველობაში პროდუქციის საერთო ზრდა 106 პროცენტს აღწევდა.

კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა ადგილობრივ მრეწველობაში ნავარაუდევი იყო 67,1 მლნ მანეთის ოდენობით, ნაცვლად 47.4 მლნ მანეთისა მეორე ხუთწლედში. აქედან მანქანათმშენებლობაში დაბანდება — 11,2 მლნ მანე-

თი, სამთამადნო მრეწველობაში — 14,9 მლნ მანეთი, სამშენებლო მასალების მრეწველობაში — 259,9 მლნ მანეთი და სხვ.

მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში დიდ როლს ასრულებდა სარეწაო კოოპერაცია. ხუთწლედში სარეწაო კოოპერაციის საერთო პროდუქციის ღირებულება 1937 წლის 183,9 მლნ მანეთიდან გაიზრდებოდა 344,4 მლნ მანეთამდე 1942 წელს. ე. ი. 87.2 პროცენტით, მათ შორის ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში შესაბამისად — 155,2 მლნ მანეთიდან 308,3 მლნ მანეთამდე, ე. ი. 98,7 პროცენტით [1].

ხუთწლიან გეგმაში ყურადღება ექცეოდა მრეწველობის განლაგების საკითხს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის, ახალი ობიექტების განლაგების დროს გათვალისწინებული იყო მრეწველობის მიახლოება ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებთან.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელი პირობა იყო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს ა დ ა კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ი ს განვითარება. სარკინიგზო მშენებლობის ხაზით დაგეგმეს შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის დამთავრება, გორი-სტალინირის შტოს მშენებლობა, ტყიბულის რკინიგზის შტოს რეკონსტრუქცია, ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი შტოს გადაკეთება ფართოლიანდაგიან ხაზად და სხვ. ამ მხრივ კაპიტალდაბანდების საერთო თანხა ხუთწლედში შეადგენდა 445,2 მლნ მანეთს, მათ შორის ახალი რკინიგზების მშენებლობაზე — 190 მლნ, საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზის განვითარებაზე — 255,2 მლნ მანეთი[2].

1942 წლისათვის საავტომობილო გზების სიგრძეს 14 518 კილომეტრამდე უნდა მიეღწია, აქედან 776 კილომეტრი მოშავებულ-მოასფალტებული იქნებოდა. რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების ქსელი 2055 კილომეტრს აღწევდა[3].

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 2, გვ. 63.

2 სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 223.

3 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 2, გვ. 54-68; გაზ. „კომუნისტი", 1939, 12 აპრილი.

საკავშირო მნიშვნელობის გზებზე ნავარაუდევი იყო 194,4 მლნ მანეთის დახარჯვა, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობის — 562 მლნ მანეთის.

მთავრდებოდა მდ. იორზე და მტკვარზე (კავთისხევში), გუმისთაზე (აფხაზეთი) ხიდების მშენებლობა. გათვალისწინებული იყო გზების რეკონსტრუქცია და ახალი ხიდების აგება.

კავშირგაბმულობის განვითარებისათვის გათვალისწინებული იყო 67.890 ათასი მანეთის დაბანდება, ნაცვლად 22,3 მლნ მანეთისა მეორე ხუთწლედში. ფართოდ იზრდებოდა სატელეფონო და რადიოქსელის მშენებლობა. მარტო თბილისში 1940—1941 წლებში სატელეფონო ქსელი 2500 ნომრით დიდდებოდა.

მესამე ხუთწლიანი გეგმით დიდი ამოცანები ისახებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

სსრ კავშირის ამოცანა — უახლოეს პერიოდში მიგვეღო 7-8 მილიარდი ფუთი პური, რესპუბლიკას ავალებდა გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა გაეფართოებინა პურეულის ნათესების ფართობი და გაედიდებინა მოსავლიანობა[1].

ცხრილი 2

ნათესი კულტურების ფართობის ზრდა ათას ჰექტარებში

კულტურები	1932	1937	1938	1939	1940	1941	1942
მარცვლეული სულ	728,3	865,3	876,8	893,3	900,0	927,3	950,0
ხორბალი	228,9	322,4	339,6	355,0	355,7	378,6	384,3
ქერი	90,0	104,2	109,3	112,6	113,8	117,2	122,4
სიმინდი	381,7	400,8	401,4	401,5	402,5	403,2	415,0
ტექნიკური	61,2	49,2	47,4	50,4	54,6	55,4	56,3
ბოსტნეულ-ბაღჩეული	36,9	46,3	49,2	54,9	62,4	70,3	74,0
პირუტყვის საკვები კულტურები	24,6	69,5	77,6	103,8	131,0	150,7	167,1
სულ	851,0	1021,4	1051,0	1102,0	1148,0	1203,7	1247,4

[1] სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც 166.

მარცვლეულ კულტურებთან ერთად იზრდებოდა პირუტყვის საკვები კულტურების ფართობი, რაც განპირობებული იყო სწორი თესლბრუნვის დანერგვით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩაის კულტურის განვითარებას. საქ. კპ (ბ) ცკ-ის და სახკომსაბჭოს 1936 წლის 21 დეკემბრის დადგენილების „1937 — 1940 წლებში სუბტროპიკული კულტურების განვითარების გეგმის შესახებ" შესაბამისად ჩაის კულტურის ფართობი უნდა გაზრდილიყო 50 ათას ჰექტარამდე [1].

ხუთწლედში მთავარი ყურადღება ექცეოდა პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციას, მათი მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ყველა საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვას, რომ უკვე 1940 წელს ერთი ჰექტარიდან მიგვეღო 2190 კგ., ხოლო 1942 წლისათვის 2500 კგ. მწვანე ფოთოლი[2].

ჩაის მწვანე ფოთლის საერთო პროდუქცია გაიზრდებოდა 1937 წლის 27 254 ტონიდან 1942 წელს 70 743 ტონამდე, ანუ 160 პროცენტით [3].

ციტრუსების ფართობს 1942 წლისათვის გეგმით უნდა მიეღწია 23.000 ჰექტარისათვის, 1937 წლის 6000 ჰექტარის ნაცვლად [4].

ფართობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობა. პროდუქცია 1937 წელთან შედარებით უნდა გადიდებულიყო სამნახევარჯერ [5].

სოფლის მეურნეობის განვითარებაში გარკვეული ყურადღება ექცეოდა ტუნგოს, სუბტროპიკული მეხილეობის, კეთილშობილი დაფნის პლანტაციების გაფართოებას.

მევენახეობის განვითარების ღონისძიებანი შემუშავებულ იქნა საკ. კპ (ბ) ცკ-ის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 28 ივლისის დადგენილებით, რომლის მი-

---

1 სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც 178.

2 იქვე, ფურც. 179.

3 ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 2. გვ. 63.

4 სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 180.

5 იქვე.

ხედვითაც ვენახების ფართობს 1940 წლისათვის უნდა შეედგინა 60000 ჰექტარი.

1941 და 1942 წლებში ახალი ვენახების გაშენება არ იგეგმებოდა, გათვალისწინებული იყო არსებული პლანტაციების მოვლის გაუმჯობესება[1].

მევენახეობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა მეხილეობის განვითარებას. ხეხილის ნარგავებს მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა მიეღწია 80 ათასი ჰექტარისათვის, ნაცვლად 1937 წლის 61, 5 ათასი ჰექტარისა. მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად ყურადღება ექცეოდა ხილის ჯიშების გაუმჯობესებას[2].

საქ. კპ (ბ) ცკ-მა და სახალხო კომისარიატ საბჭომ 1938 წ. 2 თებერვალს მიიღეს დადგენილება 1938—1942 წწ. საქართველოს სსრ ეთერ-ზეთოვანი კულტურების განლაგების გეგმის შესახებ, რომლის თანახმად 1942 წლისათვის უნდა გაშენებულიყო გერანი 3000, ყაზანლიყის ვარდი—100, ევკალიპტი—1500, ლიმონის ვერბენი (ტირიფი) 500 და ჟასმინი—55 ჰექტარი[3].

სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა შეუძლებელი იყო მეცხოველეობის განვითარების გარეშე, რაც თავის მხრივ დაკავშირებული იყო პირუტყვის საკვები რესურსების მდგომარეობაზე.

1942 წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა უნდა გაზრდილიყო 2100,0, ცხენის 180,0, თხისა და ცხვრის 2200,0, ღორის—1000,0 ათასამდე[4]. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მათი რაოდენობა განსაზოგადოებულ სექტორში.

დიდი ღონისძიებები უნდა გატარებულიყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში. თუ მეორე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 44 მტს-ი 1635 ტრაქტორით, მესამე ხუთწლედში დაგეგმილი იყო 25

---

1 სცსა, (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 184.

2 იქვე, ფურც. 185.

3 პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 6, ს. 7883, ფურც. 3—5.

4 სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 191; მუშ-მოსამსახურეთა საკუთრებაში მყოფი და დამხმარე მეურნეობების პირუტყვის გამოკლებით.

ახალი მტს-ის ორგანიზაცია. მნიშვნელოვნად გადიდდებოდა სატრაქტორო პარკი. აგრეთვე ხუთწლედში უნდა არსებითად ამაღლებულიყო მემინდვრეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მაგალითად, საშემოდგომო ნათესების ნიადაგის მომზადება მექანიზაციის გზით უნდა გადიდებულიყო 49,2 პროცენტიდან 73,2 პროცენტამდე, საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვა 21 პროცენტიდან 52 პროცენტამდე[1] და სხვ.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, საკოლმეურნეო სოფლის კეთილდღეობის ზრდა საჭიროებდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიცირების აუცილებლობას. გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს 135 ათასი გლეხური მეურნეობის ელექტრიფიცირებას.

სოფლის ელექტრიფიცირების გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობა შეადგენდა 58,6 მლნ მანეთს. ენერგიის წყაროებისა და მაღალი ძაბვის გადაცემის ხაზების ღირებულება უღრიდა 31,4 მლნ მანეთს[2].

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთის ჭაობების დაშრობას და მეურნეობისათვის ვარგისი ფართობების გადიდებას. კაპიტალდაბანდება პირველი რიგის სამუშაოებზე, მეორე რიგის სამუშაოთა პროექტის შედგენის გათვალისწინებით, ხუთწლედში შეადგენდა 193,1 მლნ მანეთს. ხოლო დაშრობილი ჭაობების ტერიტორიის ათვისებისა და იქ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისათვის მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 214 მლნ მან. დაშრობილი ფართობების პირველი რიგის ათვისებისათვის დაგეგმილი იყო შემდეგი ვადები: 1937 წ. — 1000 ჰა, 1938 წ. — 8000 ჰა, 1939 წ. — 10 000 ჰა, 1940 წ. — 10 000 ჰა, 1941 წ. — 8 000 ჰა და 1942 წ. — 6 445 ჰა, სულ 44 445 ჰა[3].

კოლხეთის პირველი რიგის დაშრობილი ჭაობების 57 ათა-

---

[1] სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 197; მექანიზაციის მაჩვენებლები მოტანილია საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 198.

[3] სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 165, 216.

სი ჰექტარიდან 1942 წლისათვის გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის 38 ათასი ჰექტარი[1].

სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებასთან ერთად საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო კულტურისა და სახალხო განათლების სწრაფი ამაღლება. ხუთწლედში უნდა განხორციელებულიყო საყოველთაო საშუალო სწავლება ქალაქად და შვიდწლედის ფარგლებში სოფლად.

დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლამდელი აღზრდის საქმეს. სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი და კონტინგენტი 1935 წელთან შედარებით 1939 წლის 1 იანვრისათვის უნდა გასამკეცებულიყო, ხოლო მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვი ქალაქად, ხოლო 50 პროცენტი სოფლად უნდა აღზრდილიყო სათანადო დაწესებულებებში.

მოსწავლეთა რაოდენობას დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1942 წლისათვის უნდა მიეღწია 923,2 ათასამდე, ნაცვლად 662,6 ათასისა 1937 წელს.

განათლების ქსელის გაფართოებისათვის კაპიტალური დაბანდება გათვალისწინებული იყო 92,4 მლნ მანეთის ოდენობით, სასკოლო მშენებლობაზე ქალაქად ნავარაუდევი იყო 40,7 მლნ მანეთი. საბავშვო ბაღების მშენებლობაზე უნდა დაბანდებულიყო 10.9 მლნ მანეთი, სოფლად სკოლების მშენებლობაზე 75 მლნ მანეთი იხარჯებოდა[2].

გეგმა ითვალისწინებდა უმაღლესი სასწავლებლების. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების, მეცნიერ მუშაკთა სახლის, ბიბლიოთეკების, წიგნის სახელმწიფო პალატის და სხვ. მშენებლობას.

მუშები და კოლმეურნეები დაეწაფნენ საერთო განათლებას, ამიტომ საჭირო გახდა სათანადო სკოლების გახსნა. მნიშვნელოვნად იზრდებოდა კულტურის სახლების, კლუბების,

---

1 სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 217.

2 გაზ. „კომუნისტი". 1939, 12 აპრილი.

ბიბლიოთეკების, ქოხსამკითხველოების, კულტურისა და დასვენების პარკების ქსელი.

განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კონტინგენტი 1942 წელს 1937 წელთან შედარებით 8972 კაციდან 11969 კაცამდე იზრდებოდა.

მოსახლეობის კულტურული დონის შემდგომ ზრდასთან დაკავშირებით მატულობდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოშვება.

მესამე ხუთწლედში მუშაობა უნდა დაეწყო გორის თეატრს, თბილისის კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზს, ქუთაისის, ბათუმის, მახარაძისა და ზესტაფონის თეატრებს.

მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა მოსახლეობის კინომომსახურება. დაბანდება კინოთეატრების მშენებლობაზე 9 მლნ მანეთს შეადგენდა. უნდა აშენებულიყო 21 კინოთეატრი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დიდი წარმატების, სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული ელემენტების ლიკვიდაციის შედეგად განუხრელად უმჯობესდებოდა მ შ რ ო მ ე ლ თ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ა.

მესამე ხუთწლიანი ვეგმა ითვალისწინებდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას. მესამე ხუთწლედს უნდა უზრუნველეყო მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება საჭირო საქონელზე, პროდუქტებზე, საცხოვრებელ ფართობზე და ა. შ.[1]. ბინათმშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო 60 მლნ მანეთი. მესამე ხუთწლედში ექსპლოატაციაში უნდა შესულიყო 610 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება მოითხოვდა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებას.

საერთო საქონელბრუნვის მოცულობა (საზკვებასთან ერთად) ხუთწლიანი გეგმით უდრიდა 6600 მლნ მანეთს, ნაცვ-

---

[1] სკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, გვ. 502.

ლად 2441 მლნ მანეთისა 1937 წელს. ფართოდ ვითარდებოდა ვაჭრობა სოფლად[1].

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომ გაშლას. გათვალისწინებული იყო საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობა.

საქონელბრუნვის განვითარებასთან დაკავშირებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად გათვალისწინებული იყო კაპიტალური დაბანდება 33,9 მლნ მანეთის ოდენობით. ხილბოსტნეულის, დამამზადებელი და საზკვების ქსელის, მაღაზიებისა და სასაწყობო მეურნეობის მშენებლობასთან ერთად განსაკუთრებული ადგილი ეკავა ციტრუსოვანთა ბაზის მშენებლობას.

საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი ზრუნვის საგანი იყო ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება. ამ მიზნისათვის გათვალისწინებული იყო რიგი ღონისძიებანი. მესამე ხუთწლედში საავადმყოფოში საწოლების რაოდენობა დიდდებოდა 15237-მდე, ნაცვლად 7782-სა 1937 წელს. ფართოვდებოდა ჯანდაცვის სხვა დაწესებულებათა ქსელიც. მატულობდა ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა.

ჯანდაცვის ხაზით კაპიტალური დაბანდება 80,6 მლნ მანეთს უდრიდა, ნაცვლად 53,4 მლნ მანეთისა მეორე ხუთწლედში. გათვალისწინებული იყო მთელი რიგი საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანიტარულ-ეპიდემიური დაწესებულებების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების, სამედიცინო სასწავლებლების და სხვ. მშენებლობა.

კაპიტალური დაბანდება საკურორტო მშენებლობაში ნავარაუდევი იყო 41,3 მლნ მანეთის ოდენობით. ეს თანხა ხმარდებოდა როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს.

დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. ფიზკულტურელთა რაოდენობა 1942 წლისათვის დაახლოებით 200 ათას კაცს მიაღწევდა, ნაცვლად 106 ათასი კაცისა 1937 წელს.

ფიზკულტურული ობიექტების მშენებლობისათვის გათვა-

---

1 სცსა (თბილისი), ფ. 600, ს. 5293, ფურც. 259.

ლისწინებული იყო 12,0 მლნ მანეთი. ამ თანხის ნაწილი ხმარდებოდა თბილისის სტადიონის დამთავრებას, ფიზკულტურის ინსტიტუტის მშენებლობას და სხვ. [1].

მესამე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული იყო მრავალი სხვა ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მეურნეობისა და კულტურის უფრო სწრაფ განვითარებას, ვიდრე ეს ხდებოდა წინა ხუთწლედებში.

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უკვე 1937 წლის ბოლოდან შეუდგნენ ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებას.

§ 2. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი და შემოქმედებითი აქტივობა

სოციალიზმის დროს მასების შრომითი აქტივობა, შრომისადმი ახლებური დამოკიდებულება ვლინდება სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყეს. ვ. ი. ლენინი თავის ისტორიულ წერილში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?" ხაზს უსვამდა შრომითი შეჯიბრების უდიდეს მნიშვნელობას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ვ. ი. ლენინმა შრომისადმი ახლებური, შეგნებული დამოკიდებულების გამოვლინების პირველი ნიშნები დაინახა პირველ კომუნისტურ შაბათობებში, რომელსაც იგი „დიად თაოსნობას" უწოდებდა.

პირველ ხუთწლედში სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და მისი შემდგომი აღმავლობის მძლავრ ფაქტორად გადაიქცა. მეორე ხუთწლედში სოციალისტური შეჯიბრება ახალ საფეხურზე ავიდა. წარმოიშვა მისი ახალი ფორმა — სტახანოვური მოძრაობა, რომელიც გაჩნდა მუშათა კლასის კულტურული და კულტურულ-ტექნიკური დონის მკვეთრი ამაღლების პირობებ-

---

[1] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 2, 1939, გვ. 68—70.

ში და წარმოადგენდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მასობრივ მოძრაობას.

მესამე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის პირველხარისხოვან საბრძოლო ამოცანად გადაიქცა. პარტია წარმართავდა ხალხის მასების შრომითს და შემოქმედებითს აქტივობას, ნერგავდა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალ ფორმებს, მხარს უჭერდა ნოვატორთა პატრიოტულ წამოწყებებს.

დამკვრელობიდან სტახანოვურ მოძრაობაზე გადასვლა ერთბაშად არ მომხდარა. მთელი მეორე და მესამე ხუთწლედების პერიოდში საწარმოებში სტახანოველებთან ერთად მრავალი დამკვრელი მუშაობდა. დამკვრელები თანდათანობით უახლოვდებოდნენ სტახანოველებს, ითვისებდნენ მათი შრომის მეთოდებს და ხერხებს, გადადიოდნენ მათ რიგებში.

მესამე ხუთწლედში სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები სისტემატურად ივსებოდა წარმოების მოწინავეებით. მაღლდებოდა მუშათა კლასის შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერთო კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდასთან, სოციალისტური შეჯიბრებისა და ნოვატორული მოძრაობის შემდგომ გაშლასთან. მუშათა კლასის შემოქმედებითმა აქტივობამ თავისი კონკრეტული გამოხატულება პოვა სტახანოვური შრომის ისეთი ფორმების წარმოშობაში, როგორიცაა კომპლექსური ბრიგადების შექმნა, რომლებიც შედგებოდნენ მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან. კომპლექსური ბრიგადები ბევრ საწარმოში შეიქმნა.

სოციალისტური შეჯიბრება იყო სოციალისტური წარმოების სწრაფი განვითარების. ტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის საფუძველი.

მაგრამ თავიდან სოციალისტური შეჯიბრების დიდი მნიშვნელობა სწორად არ ესმოდა ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო მუშაკს. ბევრი მათგანი ცდილობდა დაყრდნობოდა ცალკეულ რეკორდსმენებს, ამოფარებოდა მათ წარმატებებს. ნოვატორული მოძრაობის ასეთი მანკიერი პრაქტიკა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო თავის 1937

წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში „მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკების სტახანოველთა მიმართვის შესახებ"[1]. მასში განმარტებული იყო მოსკოველ ნოვატორთა შეცდომა, რომლებმაც მოუწოდეს ყველა საწარმოს სტახანოველებს გამოეცხადებინათ სტახანოვური რეკორდების თვე. დადგენილებით პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასწორებდა მოსკოველ ნოვატორთა შეცდომებს და ამავე დროს აფრთხილებდა იმ პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური და სისტემატური ხელმძღვანელობის ნაცვლად იოლ გზას ირჩევდნენ და კმაყოფილდებოდნენ ცალკეული რეკორდების დამყარებით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა, რომ ყოველი სტახანოვური კვირეული თუ ერთთვიური უნდა ეხებოდეს ყველა მუშასა და სტახანოველს და არა მარტო რეკორდსმენებს, რომელთა მუშაობა სტახანოვური მოძრაობის ჯერ კიდევ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მოიცავდა. აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს პარტიულმა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში მთელი თავიანთი საქმიანობა სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშათა მასების უფრო ფართოდ ჩაბმის ამოცანებს დაუქვემდებარეს.

პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა არსებითად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობისადმი, რის შედეგადაც გამრავლდა ნოვატორთა რიგები და წარმოიშვა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმებიც.

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის შედეგად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდნენ. მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის ქარხანა გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა. დღითი დღე იზრდებოდა სტახანოველთა რიგები. თუ 1937 წელს ქარხანაში იყო 135 სტახანოველი, 1938 წელს კი 181, რაც მუშა-მოსამსახურეთა 64 პროცენტს შეადგენდა, მალე ქარხანა გადა-

---

[1] გაზ. „პრავდა", 1937, 29 დეკემბერი.

ვიდა კოლექტიურ სტახანოველობაზე. ერთ-ერთი საამქრო, რომლის უფროსად ჩ. იზუმსკი მუშაობდა, მთლიანად სტახანოვური გახდა. საამქრო ნორმას ერთი-ორად, ზოგჯერ ერთი-სამად ასრულებდა.

1937 წელს სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში 1172 სტახანოველი და 651 დამკვრელი იყო, ხოლო 1938 წლისათვის იმავე ქარხანაში სტახანოველთა რიცხვი 1602-მდე გადიდდა, ხოლო დამკვრელებისა — 1127 კაცამდე. სტახანოვურ მოძრაობაში ავანგარდული როლი ეჭირათ კომუნისტებსა და კომკავშირელებს. 1602 სტახანოველიდან 365 პარტიის წევრი და 231 კომკავშირელი მუშა იყო[1].

სტახანოვური მუშაობის მეთოდებზე გადასვლის მნიშვნელობაზე კარგად მოგვითხრობს თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს სტახანოვური ბრიგადის ხელმძღვანელი ორდენოსანი მ. გეწაძე. „...ამ სამი წლის წინათ. — წერდა იგი, — სანამ ჩვენი ბრიგადა სტახანოვური გახდებოდა, მაშინდელი ნორმების მიხედვით ყოველთვიურად კაპიტალურად უნდა შეგვეკეთებინა 6 საორთქლმავლო ქვაბი. იმ დროს ბრიგადაში 12 კაცი ვიყავით. მოვდიოდით თუ არა დილით საამქროში, შევეწყობდით ქურაში ლითონს გასახურებლად. სანამ ლითონი ხურდებოდა დრო გადიოდა და ბრიგადის წევრები, 12 კაცი, ველოდებოდით, ამგვარად ლითონს დღეში 20-ჯერ მაინც ეახურებდით ქურაში და ყოველდღე ვცდებოდით. სულ ცოტა 2 საათი.

მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველ მუშათა და მუშა ქალთა პირველი საკავშირო თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ შეგვეცვალა ბრიგადის მუშაობის სისტემა, დავუფლებოდით სტახანოვური მუშაობის მეთოდებს და შეკეთების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გაგვემრავლებინა კაპიტალური შეკეთებიდან გამოსულ ორთქლმავალთა რაოდენობა. ახლა, ჩვენ ბრიგადაში სამნი ვართ და 12 კაცის სამუშაოს ვასრულებთ...

ბრიგადის წევრთა საშუალო თვიური ხელფასი. სტახანოვური მუშაობის დაწყების შემდეგ. ერთი-ორად და კიდევ

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1938, 14 ნოემბერი.

უფრო მეტად გაიზარდა, მიუხედავად შეფასებათა ორმაგი შემცირებისა"[1].

მშრომელთა ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის სტიმული გახდა მესამე ხუთწლიანი გეგმის საერთო-სახალხო განხილვა, რომლის მსვლელობაში ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება როგორც თვით სამრეწველო საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს შორის.

1938 წელს. პარტიის XVIII ყრილობისათვის ბზადების პერიოდში გაფართოვდა სტახანოვური მოძრაობა, გაჩნდა ყრილობის სახელობის დამკვრელური და სტახანოვური (ნოვატორული) ბრიგადები. პირველი ასეთი ბრიგადები გამოჩნდნენ ტყიბულის ქვანახშირის შახტებში, ჭიათურის მაღაროებში[2].

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის სტახანოველმა მნგრეველმა მ. კვირიკეიშვილმა ქვანახშირის ნგრევის რეკორდი დაამყარა. 1938 წ. 26 დეკემბერს მან გეგმით გათვალისწინებული 15 ტონის ნაცვლად, მოანგრია 99 ტონა, დღიური ნორმა 660 პროცენტით შეასრულა და 151 მანეთი გამოიმუშავა.

ლენინის სახელობის მაღაროში ოსტატმა ს. ქათამაძემ 1939 წლის 1 თებერვალს ნაცვლად 14 ტონისა, მოანგრია 31,6 ტონა (225 პროცენტი). 2 თებერვალს 49.7 ტონა (355 პროცენტი), 3 თებერვალს — 50.7 ტონა (362 პროცენტი).

1-დან 5 თებერვლამდე ლენინის მაღარომ ამოიღო 2600 ტონა ქვანახშირი (110 პროცენტი).

სტალინის სახელობის მაღაროში კომუნისტ შ. ფურცხვანიძის ბრიგადამ 6 თვის გეგმის შესრულება XVIII პარტყრი-

---

[1] „კომუნისტი", 1938, 14 ნოემბერი.

[2] ტყიბულში თავი ისახელეს ლენინის სახელობის შახტის ყრილობის სახელობის ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ნოვატორები ა. ღარსაიძე და დ. გვენეტაძე (იხ. პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VII, ს. 9941, ფურც. 161, ჭიათურის მაღაროების მეხუთე უბნის ცვლა (ხელმძღვანელი ა. ქამუშაძე, ცვლის წევრები-სტახანოველები ს. ცერცვაძე, ა. ცუცქირიძე, შ. ზაქაშვილი) გეგმებს 200 — 270 პროცენტით ასრულებდა, პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ VII, ს. 9941, ფურც. 17).

ლობის გახსნისათვის იკისრა და მართლაც 300—400 პროცენტით ასრულებდა ყოველდღიურ გეგმას[1].

დღითი დღე იზრდებოდა ქვანახშირის ოსტატთა და სტახანოველთა რიგები. 1939 წლისათვის ტყვარჩელს 600-მდე სტახანოველი და დამკვრელი ჰყავდა. ქვანახშირის ამოღების ოსტატთა რიგებში იყვნენ მოწინავე მუშები ს. მოისენკო, ა. გვილავა, ი. მამონტოვი, პ. შანტალია, ლ. კოკაია, ი. იზოვი და სხვ. ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სისტემაში 1938 წელს 397 სტახანოველი და 301 დამკვრელი იყო. 1939 წელს კი 509 სტახანოველი და 204 დამკვრელი[2].

მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა მეშახტე სტახანოველთა მატერიალური მდგომარეობა, იზრდებოდა მათი გაშომუშავება. სტახანოველმა ი. ზვერევიჩმა 1938 წლის ნოემბერში გამოიმუშავა 1010 მანეთი, ხოლო დეკემბერში 1117 მანეთი, 1939 წლის მარტში კი 1541 მანეთი. ორდენოსანმა ს. მოისენკომ 1938 წელს ოქტომბერში მიიღო 1100 მანეთი, ნოემბერში — 2134 მანეთი და 1939 წლის იანვარში — 2963 მანეთი. საშუალო ხელფასი თვეში თითოეულ მუშაზე 1937 წელს შეადგენდა 323 მანეთს, 1938 წელს — 402 მანეთს, ხოლო 1939 წლის პირველ კვარტალში — 528 მანეთს[3].

ჭიათურის მანგანუმის ტრესტის საწარმოებში 1938 წელს მუშაობდა 4772 კაცი, რომელთაგან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 3794, ე. ი. 79,5 პროცენტი. აქედან სტახანოველი იყო 1043 კაცი, დამკვრელი — 1462. ამრიგად, სტახანოველები და დამკვრელები შეადგენდნენ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა 66 პროცენტს[4]. მათში დიდ როლს კომკავშირელები ასრულებდნენ, რომელთა რიცხვი 150 კაცს შეადგენდა[5].

მანგანუმის მრეწველობაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნენ მთელი რიგი მუშაკები: ლენინის

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1939, 11 თებერვალი.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. 11299, ფურც. 17.

3 გაზ. „კომუნისტი“, 1939, 1 თებერვალი.

4 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. VII, ს. 9541, ფურც. 7.

5 [illegible] 9.

ორდენით — ჭიათურის ტრესტის მმართველი და მაღაროს უბნის უფროსი ტ. ფოფხაძე, შრომის წითელი დროშის ორდენებით ვ. არჩაია — ტრესტის თბილისგურის მექანიკოსი და ა. გაგაშელი — მთავარი გეოლოგი[1].

ფეროშენადნობის ქარხანას 1938 წლისათვის ჰყავდა 473 სტახანოველი. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ა. მარქანაშვილი, შ. გიორგაძე, ბ. მგელაძე, ტ. კირკიტაძე, ნ. ქათამაძე, ი. ებანოიძე, ვ. გვალია, რ. საღარეიშვილი და სხვ.

სტახანოვური შრომის ნიმუშების გამოჩენისათვის მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა ფეროშენადნობის ქარხნის მოლიბდენის საამქროს უფროსი გ. ვეფხვაძე. ასევე ქარხნის მოწინავე მუშაკები დაჯილდოებულ იქნენ საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით[2].

მესამე ხუთწლედის პირველი წელი გადაიქცა პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადების პერიოდად, რაც ფართო სოციალისტური შეჯიბრების გაშლით აღინიშნა. შეჯიბრებაში ჩაება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ყველა კოლექტივი. შეჯიბრების დევიზად გადაიქცა საწარმოო მაჩვენებლების ამაღლება და ყრილობის სახელობის კოლექტივების წოდების მოპოვება. XVIII პარტყრილობის სახელობის ბრიგადები გაჩნდნენ ტყიბულის შახტებში, თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში, ჭიათურის მაღაროებში, ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში, თბილისის საორთქლმავლო დეპოში და სხვ.

ფართო გაქანება მოიპოვა წინასაოქტომბრო შეჯიბრებამ. მასში ერთ-ერთი პირველი ჩაება თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა. ქარხნის საერთო პარტიულ კრებაზე, რომელზეც განიხილებოდა ყრილობის მოხსენებათა თეზისები, ორდენოსანმა მ. გეწაძემ თავისი ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა შრომისნაყოფიერების ახალი რეკორდი დაემყარებინა. 14 თებერვალს

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939, 1 აპრილ.
[2] იქვე.

ღონ-შნულმა ბრიგადამ ყველა წინანდელ მაჩვენებლებს გადააჭარბა.

პარტიის XVIII ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბათუმის საწარმოთა კოლექტივები.

„მთავარნავთის“ ბათუმის ბაზის კოლექტივმა, ჩაება რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახლებურად წარმართა ბაზის ყველა ჩამომსხმელი ჯგუფების მუშაობა. ოპერატორები და ჩამომსხმელები გადაჭარბებით ასრულებდნენ აღებულ ვალდებულებებს. მათ შორის თავი გამოიჩინეს ოპერატორებმა ვაჩეიშვილმა, ვასაძემ, ჩამომსხმელმა ჩანკვეტაძემ და სხვ.

ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში წინასაყრილობო შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. ყველაზე უკეთესი შედეგები ჰქონდა პირველ უბანს (5253 ტონა), მეორე უბანში ამოიღეს 3530 ტონა, გეგმის 105 პროცენტი და ა. შ.

წარმატებით შეხვდნენ პარტიის XVIII ყრილობას თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის და თავმორთულობის № 3 სამკერვალო ფაბრიკის მუშები. მათ შორის იყვნენ ოთხდაზგოსანი მქსოველი თ. გიგოლაშვილი, მქსოველები: თ. მელიქაძე, ო. ივანოვა, ვ. არუთინოვა, ლ. ხაჩიკიანი, თ. გრიგალაშვილი და სხვ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა სოცშეჯიბრებაში გაუსწრო ჩელიაბინსკის და „ზაპოროჟსტალის“ ქარხნების კოლექტივებს. ასე, მაგალითად, თებერვლის პირველი დეკადის გეგმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ 151 პროცენტით შეასრულა, ხოლო ჩელიაბინსკის — 87,9 და „ზაპოროჟსტალმა“ — 80,9 პროცენტით. ზესტაფონელებს შორის დაწინაურდა მოლიბდენის საამქროს კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურ გეგმას 2—2,5-ჯერ გადაჭარბებით ასრულებდა. საამქროში მუშაობდნენ სტახანოველი ბრიგადირები: ტ. გველესიანი, გრ. კაპანაძე, ა. საშკოვი, და ვ. ბრეგვაძე.

წინასაყრილობო შეჯიბრება ფართოდ გაიშალა რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრის — ქუთაისის საწარმოებში.

აქ მუშაობდა 30.000-მდე სამრეწველო მუშა[1]. საწარმოო კოლექტივებმა არა მარტო აიღეს კონკრეტული ვალდებულებები, არამედ შეასრულეს კიდეც ისინი. მაგალითად, რიონჰესის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თებერვალში გამოემუშავებინა 12 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია, 18 თებერვლისათვის გამოიმუშავა 10135 ათასი კილოვატსაათი.

პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო ამოცანად გადაიქცა. ბრძოლის პროცესში გაჩნდა მასობრივი შრომითი შეჯიბრების ფორმა — მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორი იყო მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის" მუშათა კოლექტივი.

„კრასნი პროლეტარელებმა" სსრ კავშირის მშრომელებს მოუწოდეს: „აღენიშნათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავი ახალი გამარჯვებებით, მამაცი წითელი არმიის შესაფერისი გამარჯვებებით".

მოსკოველებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებები და ყველას უჩვენეს. თუ რისთვის უნდა ებრძოლათ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში. მათ იკისრეს გადაჭარბებით შეესრულებინათ მესამე ხუთწლედის მეორე წლის მეოთხე კვარტალის დავალება, შესაბამისად შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, გაედიდებინათ შრომის წლიური ნაყოფიერება 16 პროცენტით, ნაცვლად გეგმიური 11 პროცენტისა. მიეღწიათ სათბობისა და ელექტროენერგიის ზეგეგმითი დაზოგვისათვის, უფრო ფართოდ დაენერგათ მრავალი დაზგის მომსახურება, რომელიც შრომისნაყოფიერების გაზრდის დიდ რეზერვს წარმოადგენდა[2]. მრავალი დაზგის მომსახურება, პროფესიების შეთავსებას — ეს იყო სტახანოვური ინიციატივის ახალი გამოვლინება.

საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელ ქარხანა „კრასნი პროლეტარის" კოლექტივის წერილს.

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1938. 9 დეკემბერი.

2 გაზ. „კომუნისტი". 1939, 3 ოქტომბერი.

თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები. აქ გამოსული სტახანოველები, დამკვრელები, ინჟინერ-ტექნიკოსები თავის პატრიოტულ სიტყვებში მხურვალედ მიესალმებოდნენ და ერთსულოვნად იწონებდნენ ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა ინიციატივას. ისინი პირობას იძლეოდნენ, რომ პირნათლად გაანალდებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფდა ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

მიტინგები ჩატარდა სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, კამოს სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, თბილისის ტრამვაის და ტროლეიბუსების სამმართველოში, 26 კომისრის სახელობის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხნებში და სხვ.[1].

„კრასნი პროლეტარელების“ მოწოდების პასუხად შეჯიბრება გაჩაღდა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, გორის საკონსერვო ქარხანაში, ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში და ჭიათურის მაღაროებში[2].

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადასაწყვეტად და პარტიის XVIII ყრილობის დადგენილებათა საპასუხოდ ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინადადებას მესამე ხუთწლედის სახელობის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

საქართველოს სამრეწველო კოლექტივები დიდი საწარმოო ენთუზიაზმით ჩაებნენ ამ შეჯიბრებაში.

მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივიც. 31 მარტს ქარხანაში შედგა მიტინგი, რომელზეც კოლექტივმა მიიღო გადაწყვეტილება

---

1 „გაზ. „კომუნისტი“, 1939, 3 ოქტომბერი.

2 იქვე. 4 ოქტომბერი.

მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ და იკისრა წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეესრულებინა, კონკრეტული მაღალი ვალდებულებები აიღეს მექანიკური საამქროს სტახანოველმა ბრიგადირებმა: გ. ბეგალიშვილმა. ამავე საამქროს მეორე ბრიგადის ბრიგადირმა ვ. კაკაურიძემ და სხვ.

ქარხნის მთელი კოლექტივი კისრულობდა წლიური გეგმის 5 დეკემბრისათვის შესრულებას და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს შმიდტის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა.

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივი, რომელმაც პირნათლად შეასრულა წინა საყრილობო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. მაშინვე გამოეხმაურა ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მოწოდებას. ქარხნის კოლექტივი ჩაება მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა 1939 წლის გეგმის შესრულება 15 დეკემბრისათვის. აქედან გამომდინარე წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულება იკისრეს ცალკეულმა საამქროებმა. მათ შორის სალესარსმე და თუჯის სამსხმელო. საჭვალის და მექანიკური საწოლების და საზეინკლო საამქროებმა, მოწინავე ბრიგადებმა დ ცალკეულმა მუშებმა. ასეთივე ვალდებულებები იკისრა თბილისის ტრამვაის მუშათა კოლექტივმაც.

ახალი საწარმოო აღმავლობით, სტახანოვური და თავდადებული მუშაობით უპასუხა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა წერილს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. ქარხნის მოწინავეებმა მაღალი შრომითი წარმატებები მოიპოვეს.

ელექტროშემდუღებელმა ამხ. ზ. ნადირაძემ 3 ოქტომბერს ორთქლმავლის ორი ცილინდრი შეადუღა. ეს სამუშაო მან ნაცვლად 63 საათისა. 6 საათში გააკეთა და გამოიმუშავა 201 მანეთი. ორდენოსან მ. გეწაძის ბრიგადამ 4 ოქტომბერს დაამზადა ორთქლმავლის საცეცხლურის კარები, რითაც დავალება 350 პროცენტით შეასრულა. ბრიგადამ კიდევ უკეთ იმუშავა 5 ოქტომბერს და დაამზადა ორთქლმავლის ორი წინაკედელი და საცეცხლურის კარები, დავალება შეასრულა 380 პროცენტით.

სანიმუშოდ მუშაობდა ელექტროშემდუღებელი საამქროს ბრიგადირი ალ. ბერიაშვილი. მან 3 ოქტომბერს ორი დგუში შეადუღა და დავალება 500 პროცენტით შეასრულა. 4 ოქტომბერს კი გამომუშავების 600 პროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია [1].

„კრასნი პროლეტარის" კოლექტივის მოწოდებას მაღალი ვალდებულებების აღებით უპასუხა აგრეთვე თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა.

მოსკოველთა მოწოდებას მხარი დაუჭირეს ტყიბულის მეშახტეებმაც. ლენინის სახელობის შახტის მუშებმა წარმატებით განახორციელეს წინასაყრილობო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. პირველი კვარტალის გეგმა მათ 27 მარტისათვის შეასრულეს და კვარტალური გეგმით გათვალისწინებული 45 000 ტონის ნაცვლად 45.304 ტონა ქვანახშირი ამოიღეს. 31 მარტისათვის გეგმის გადამეტებით ამოღებული იყო 2256 ტონა ქვანახშირი. შახტის კოლექტივმა ახალი ვალდებულება იკისრა—5 დეკემბრისათვის შეესრულებინა წლიური გეგმა და 5 პროცენტით შეემცირებინა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

სოხუმის საწარმოების კოლექტივებმა განიხილეს და მოიწონეს მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივა. მშრომელთა მიტინგები ჩატარდა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში, ლიმონათის ქარხანასა და სხვ. საწარმოებში.

ოქტომბრის დღეებში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა მიმართა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველებს, მუშა-მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს ფართოდ გაეშალათ წინასაოქტომბრო შეჯიბრება და გამოეცხადებინათ დღესასწაულამდე დარჩენილი დრო სტახანოვურ დღეებად[2].

მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის შედეგად ზაჰესის

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1939, 8 ოქტომბერი.

2 იქვე, 10 ოქტომბერი.

კოლექტივმა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა 12 ოქტომბრისათვის შეასრულა.

1939 წლის საწარმოო გეგმები წარმატებით შეასრულეს მანქანათმშენებელმა ქარხნებმა. სტახანოველები გეგმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებდნენ. მაგალითად, კამოს სახელობის ლაზგათსაშენი ქარხნის მეექვსე თანრიგის ზეინკალმა, სტახანოველმა ვ. ჭარხალაშვილმა გეგმა შეასრულა 179 პროცენტით. ამავე ქარხნის მერვე თანრიგის ხარატმა მ. ტიმაშჩენკომ ნორმა 467 პროცენტით შეასრულა და 361 მანეთის ნაცვლად მიიღო 1730 მან. ხელფასი[1]. ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ საშუალო წლიური ნორმა შეასრულა 162 პროცენტით[2].

ნორმები საშუალოდ 1,7-ჯერ გადაჭარბებით სრულდებოდა 26 კომისრის სახელობის, კალინინის სახელობის ლითონის კონსტრუქციათა და სპილენძის საგლინავ ქარხანაში.[3]

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობაში ჩატარებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეფასებისას ცენტრალური შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილებით „საქნავთის“ ტრესტის ბურღვის კანტორის კოლექტივს 1940 წლის მეორე კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მიენიჭა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და კავკასიის ნავთობის სარეწთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ბურღვის კანტორის კოლექტივმა ჭაბურღილების გათხრის მეორე კვარტალის გეგმა შეასრულა 142,7 პროცენტით და შრომისნაყოფიერების გადიდების მეშვეობით სამუშაოთა თვითღირებულება შემცირებულ იქნა 16,5 პროცენტით[4].

1939 წლის 1 ოქტომბრისათვის მძიმე მრეწველობის 9 საამშენებლო უბანზე — ხრამჰესის, სოხუმჰესის, აწჰესის, ჭიათურა-საქარის, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის,

---

1 სცსა (თბილისი), ფ. 2512, აღწ. 1, ს. 122, ფურც. 10-35.
2 იქვე, ს. 121, ფურც. 113—115.
3 იქვე. ს. 192, ფურც. 42.
4 გაზ „კომუნისტი“, 1940, 30 აგვისტო.

ტყიბულჰესის და სხვ. 2573 მუშიდან 963 სტახანოველი (29,9%) და 718 დამკვრელი (19,3%) იყო[1]. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კოლექტივები სხვა საწარმოებთან შედარებით ჩამორჩენილთა რიგებში იმყოფებოდნენ. 1940 წლის მეოთხე კვარტალში იმავე სისტემის საწარმოთა ჯგუფში, რომელშიც 7199 კაცი მუშაობდა, სტახანოველი იყო 2370 კაცი, ანუ 32,9%, 1941 წლის პირველ კვარტალში კი 5384 მუშიდან სტახანოველები და დამკვრელები შეადგენდნენ 40%-ს[2].

საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 29 ათასი კაცი მუშაობდა. 1940 წლის 1 იანვრისათვის სტახანოველი იყო 12800 კაცი, ე. ი. 44,8 პროცენტი[3].

მრავალი სტახანოველი გამოჩნდა მსუბუქ მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში 1937 წლის 1 იანვრისათვის ნოვატორთა რაოდენობა შეადგენდა დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა 27,9 პროცენტს, 1938 წლის 1 აპრილისათვის — 42,3 პროცენტს, ხოლო 1940 წლის 1 ნოემბრისათვის 56,7 პროცენტს[4]. ზოგიერთ საწარმოში მათი რაოდენობა 55 პროცენტზე მეტი იყო[5]. სტახანოველთა და დამკვრელთა შრომითი წარმატებების შედეგად ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა აითვისეს 64 ახალი სახეობის პროდუქცია[6].

ნოვატორული მოძრაობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას მესამე ხუთწლედში წარმოადგენდა ის, რომ ამ დროს იწყება სტახანოვური (ნოვატორული) ბრიგადებისა და ცვლების შექმნა, ინდივიდუალურ შეჯიბრებასთან ერთად სტახანოვური კოლექტივების შეჯიბრება.

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატი-

---

1 საქ. სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 43ა, ს. 109, ფურც. 47.

2 იქვე, ს. 185, ფურც. 7,24.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. VIII, ს. 10455, ფურც. 13.

4 იქვე, ს. 11273, ფურც. 10.

5 А. Л. Гуния. Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР. 1961, გვ. 496.

6 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1 ნაწ. VIII, ს. 10463, ფურც. 174.

კით ბესამე ხუთწლედის სახელობის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პარალელურად გაიშალა შეჯიბრება შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

მოსკოვის საიარაღო ქარხნის კოლექტივმა მიმართა საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებელი ქარხნების ყველა მუშას, მუშა-ქალს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალების ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ: „...ჩვენ მოწოდებით მივმართავთ ჩვენი სამშობლოს მანქანათმშენებელი ქარხნების ყველა მუშაკს მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას, ბოლშევიკური მუშაობით უზრუნველყონ შრომისნაყოფიერების ზრდის დარგში მესამე ხუთწლედის დავალებათა ოთხ წელში შესრულება. ეს გაამრავლებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას და დააჩქარებს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებას"[1].

მოსკოვის იარაღის დამამზადებელი ქარხნის კოლექტივის მიერ დასახული ამოცანა — ოთხ წელში შეესრულებინათ შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმა — საკვლევით შეიძლება მიღწეული ყოფილიყო საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოებშიც.

საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის საიარაღო ქარხნის კოლექტივის ამ მიმართვას.

წლიური დავალება შრომისნაყოფიერების ზრდის ხაზით საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში 11 თვის განმავლობაში 11.5 პროცენტით იყო გადამეტებული, კერძოდ, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში — 14 პროცენტით. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ და კამოს სახელობის ქარხანაში — 16,2 პროცენტით.

თბილისის საწარმოებსა და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში მოწყობილ მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგებზე ასევე ერთსულოვნად მოიწონეს მოსკოვის საიარაღო ქარხნის მუშაკთა კოლექტივების მოწოდება.

---

1 გაზ. „პრავდა", 1940, 2 იანვარი.

საწარმოთა კოლექტივებმა აიღეს ვალდებულებები 1940 წლის სამეურნეო გეგმის ვადაზე ადრე შესრულების, საწარმოო რესურსებისა და შესაძლებლობების აღრიცხვის, მათი მთლიანად გამოყენებისა და ამის საფუძველზე შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ. შეჯიბრების მონაწილენი ეძებდნენ რეზერვებს, გადადიოდნენ მრავალ დაზგაზე მუშაობისა და პროფესიათა შეთავსების მეთოდზე. ფართოდ ვითარდებოდა მუშათა და ინჟინერთა რაციონალიზატორული ინიციატივა, რაც მიმართული იყო წარმოების ტექნიკის და კულტურის ამაღლებისაკენ.

შრომის ასეთი შედეგები ქმნიდა იმის საფუძველს, რომ საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოთა კოლექტივებს თავიანთი შესაძლებლობების და არსებული რეზერვების გამოყენებით შეეძლოთ 1941 წლისათვის მიეღწიათ შრომისნაყოფიერების ხუთწლედის ბოლოსათვის დაგეგმილი დონისათვის.

საწარმოთა კოლექტივები იღებდნენ ვალდებულებას გამოეელინებინათ სოციალისტური მრეწველობის რეზერვები და შესაძლებლობანი, განევითარებინათ მრავალ დაზგაზე მუშაობა და პროფესიათა შეთავსება, მუშათა და ინჟინერთა რაციონალიზატორული ინიციატივა, გაეუმჯობესებინათ წარმოების ტექნიკა და კულტურა, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერება.

შრომისნაყოფიერების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლის ფართოდ გაშლა შეიძლებოდა მხოლოდ სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმებისა და სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, სტახანოვური შრომისა და სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლების ყოველდღიური აღრიცხვის, მოწინავეთა წახალისებისა და ჩამორჩენილთათვის დახმარებისა და მზრუნველობის გზით.

დონბასის სტალინის სახელობის „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტის მაღაროელებმა წინადადებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშაკს — სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის, მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების ახალი ვითარების შესაბამისად გადასინ-

ჯვისა და სტახანოვური მოძრაობის მეხუთე წლისთავის ღირსეულად შეხვედრის შესახებ.

საქართველოს საწარმოებში ჩატარდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა გადასინჯვა, ახალი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლინება.

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში ჩატარებულმა საწარმოო თათბირებმა გამოამჟღავნეს, რომ საწარმოს უამრავი შესაძლებლობანი გააჩნდა, რომელიც სათანადოდ არ იყო გამოყენებული.

კომპლექსური ბრიგადის უფროსმა, ცნობილმა მექვაბემ ივ. სელიხანოვმა საწარმოო თათბირზე განაცხადა: გამოვიანგარიშეთ რა ბრიგადის შესაძლებლობანი და მოვიფიქრეთ ჩვენი ახალი ვალდებულებანი, აღმოჩნდა, რომ აგვისტოში ჩვენს ბრიგადას ორთქლმავლის 9 ქვაბის ნაცვლად შეუძლია შეაკეთოს 11 ქვაბი. ეს იქნება ჩვენი ახალი ვალდებულება და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ფილიმონოვის კომპლექსურ ბრიგადასო.

ამრიგად, განუხრელად იზრდებოდა მუშათა შრომითი აქტივობა, მრავლდებოდა შრომის ნოვატორთა, სტახანოველთა, მრავალდაზგოსანთა და პროფესიათა შემთავსებელთა რიგები, რომლებიც განაპირობებდნენ ხუთწლედით დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებას.

მესამე ხუთწლედისათვის დამახასიათებელი იყო ნოვატორული მოძრაობის ახალ სახეობათა წარმოშობა-განვითარება მრეწველობასა და ტრანსპორტზე.

ნოვატორთა მოძრაობა მესამე ხუთწლედში ახალ ეტაპზე ავიდა, იგი გადაიქცა წარმოების რაციონალიზაციისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ძირითად საშუალებად. მისი განვითარება დაკავშირებული იყო წარმოების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვასთან, მოწყობილობათა და დაზგების მწარმოებლურობის გადიდებასთან. ამის საფუძველზე მესამე ხუთწლედში წარმოიშვა ნოვატორული მოძრაობის ახალი სახეობა — მრავალდაზგოსნობა[1], რომელსაც საფუძვე-

---

1 ვრცლად იხ. ს. ჩხარტიშვილი, შრომის სოციალისტური ფორმების განვითარება საქართველოს სსრ მრეწველობაში, თბ., 1966.

ლი ჩაეყარა პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადების პერიოდში, 1939 წლის ივნისში, მოსკოვისა და ურალის მანქანათმშენებელი ქარხნებისა და ხარკოვის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშების ინიციატივით.

მრავალდაზგოსნობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა პროფესიათა შეთავსება, ე. ი. მომიჯნავე პროფესიების დაუფლებასთან.

მრავალდაზგოსანი ნოვატორი ემსახურებოდა ერთდროულად სახარატო, საბურღ თუ სხვა სახის დაზგას. ეს კი მისგან მოითხოვდა დაუფლებოდა სხვადასხვა სპეციალობას.

მრავალდაზგოსნობა და პროფესიათა შეთავსება იყო ერთ-ერთი მთავარი საფუძველი შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში, ახალი ეტაპი ტექნიკის ათვისებაში.

მრავალდაზგოსნობა და პროფესიათა შეთავსება ფართოდ გავრცელდა პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ. მრავალდაზგოსანთა მოძრაობას მთელ ქვეყანაში გამოეხმაურნენ. ბევრი მრავალდაზგოსანი მუშაობდა საქართველოს საწარმოებშიც. მესამე ხუთწლედის მრავალდაზგოსანთა შორის ერთ-ერთი პირველები იყვნენ ჭიათურის მანგანუმის ტრესტის სტალინის სახელობის გამაუხვებელი ფაბრიკის სტახანოველები. მათ მოუწოდეს ჭიათურის მანგანუმის გამაუხვებელი ფაბრიკებისა და საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნების ყველა სტახანოველს მიებაძათ მათი მაგალითისათვის.

მრავალ დაზგაზე მუშაობის უკვე მიღებული გამოცდილება იმას მოწმობდა, რომ სტახანოვური მოძრაობის ეს ახალი სახეობა შრომისნაყოფიერების ამაღლების და მაშასადამე ხელფასის შემდგომი ზრდის ახალ წყაროს წარმოადგენდა.

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალდაზგელები ერთდროულად 4—5 დაზგას ემსახურებოდნენ და აღწევდნენ გეგმის შესრულების მაღალ მაჩვენებლებს, პროდუქციის მაღალი ხარისხის დაცვით. მრავალდაზგელი ხარატი მ. მამაგეიშვილი ერთდროულად 5 დაზგას ემსახურებოდა და გეგმას 400—500 პროცენტით ასრულებდა, 1500—1800 მანეთამდე ხელფასს იღებდა.

ჭიათურის სტალინის სახელობის გამაუხვებელი ფაბრიკის სტახანოველი მრავალდაზგელები კობიაშვილი, ბაზღაძე, მაისურაძე და სხვ. ერთდროულად მანგანუმის სარეცხ რამდენიმე დაზგა-დანადგარს ემსახურებოდნენ და გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ. ტრესტის მექანიკური სახელოსნოს სტახანოველი მრანდავი მიხეილ ტინტილოზოვი სამ დაზგაზე მუშაობდა და ყოველდღიურად გეგმას 250—300 პროცენტით ასრულებდა.

მრავალდაზგოსნობასთან უშუალო კავშირში წარმოიშვა მოძრაობა მუშების რამდენიმე პროფესიის შეთავსებისათვის და სხვადასხვა სპეციალობის დაუფლებისათვის.

მრავალდაზგელთა მოძრაობა პირველად მძიმე მანქანათმშენებლობის მოწინავე ქარხნებში დაიწყო. შემდგომში იგი ვრცელდებოდა სხვა დარგის საწარმოთა მუშებს შორისაც. ამ ეტაპზე გაჩაღდა ბრძოლა მუშა-უნივერსალების მომზადებისათვის, ისეთი მუშებისა, რომლებსაც შეეძლოთ წარმოების ყველა უბანზე მუშაობა. ნოვატორული შრომით თავი გამოიჩინა რესპუბლიკის საწარმოთა ბევრმა მრავალდაზგოსანმა. მაგალითად, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საიარაღო საამქროს მღარავმა ადუაშვილმა ორ საღარავ დაზგაზე დაიწყო მუშაობა და გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა. თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ლურსმნის საამქროს ნოვატორები, სტახანოველები: ა. ბადაია, ა. ბობროვი, გ. სომხიევი და ვ. ფომინი ერთდროულად 6 დაზგაზე მუშაობდნენ და გეგმას ერთიორად აჭარბებდნენ. თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის საიარაღო საამქროს მუშა ი. საქულოვი ერთდროულად სამი ტიპის დაზგაზე მუშაობდა, ზედმიწევნით ჰქონდა ათვისებული სამი პროფესია[1].

მიუხედავად ამისა, მრავალდაზგოსნობა საქართველოში ჯერ კიდევ ნელა ინერგებოდა. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანას, რომელიც მრავალდაზგოსანთა მოძრაობის ინიციატორი იყო, 1940 წლის დასაწყისისათვის მხოლოდ 25 მრავალდაზგოსანი ჰყავდა, 26 კომისრების სახელობის ქარხანას — 14, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939, 4 ოქტომბერი.

ნას — 18, თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატს — 88, თბილისის ლენინის რაიონში შემავალ საწარმოებში 200-მდე მრავალდაზგოსანი ითვლებოდა, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში — 134 მრავალდაზგოსანი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მრავალდაზგოსნობის განვითარებას, რომლის აუცილებლობის შესახებ საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო მითითებული. ყრილობამ დაავალა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩადგომოდნენ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საწარმოო აქტივობას მესამე ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ფართო დახმარება აღმოეჩინათ სოციალისტური შეჯიბრების, სტახანოვური მოძრაობის, მრავალდაზგოსანთა მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის, აგრეთვე პროფესიათა შეთავსების პრაქტიკის გაფართოებისათვის[1].

მრავალდაზგოსნობამ მრეწველობის ცალკეულ დარგებში მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო პირველსავე წლებში. მაგალითად, აბრეშუმის მრეწველობამ 1939 წლის გეგმა, ნოვატორ-მრავალდაზგოსნების წარმატებათა შედეგად, 20 დეკემბრისათვის შეასრულა — სახელმწიფოს მისცა 47.181500 მანეთის პროდუქცია.

მესამე ხუთწლედის დამდეგიდან სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაფართოების მაჩვენებელი იყო პროფესიათა შეთავსება და მრავალდაზგოსნების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორთა მოძრაობის სწრაფი განვითარება.

ახალი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე ამაღლდა შრომისნაყოფიერება, გადიდდა მრეწველობის პროდუქციის გამოშვება იმ დარგებშიაც კი, სადაც ადგილი ჰქონდა მუშათა რიცხვის შემცირებას. მაგალითად, საქართველოს სსრ მსხვილ ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში მუშათა საშუალო რიცხვი 1940 წელს ერთი მეოთხედით ნაკლები იყო 1937 წელთან შედარებით, მაგრამ ამ დარგის პროდუქცია ამავე წლების მონა-

---

1 საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1940, გვ. 447.

ცენტებით 39,3 პროცენტით გაიზარდა. 1940 წელს რესპუბლიკის მთელი ასხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 33,3 პროცენტით სჭარბობდა 1937 წლის მაჩვენებლებს, რაც არსებითად შრომისნაყოფიერების ამაღლების შედეგად იქნა მიღწეული, ხოლო მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია 1940 წელს 1937 წელთან შედარებით 45,1 პროცენტით გაიზარდა[1].

მრავალდაზგოსნობა, პროფესიების შეთავსება, ჩქაროსნული მოძრაობა წარმოადგენდა ნოვატორობის განვითარების სახეობებს და ახალ ორგანიზაციულ ფორმებს[2]. რკინიგზის ტრანსპორტზე ასეთ ახალ სახეობად გადაიქცა ლუნინური მოძრაობა — ორთქლმავლის ყაირათიანი ექსპლოატაციისა და მისი საბრძოლო ფრონტის გახანგრძლივებისათვის. თუ რკინიგზის ტრანსპორტზე სტახანოვური მოძრაობის პირველმა წამომწყებმა პ. კრივონოსმა და მისმა მიმდევრებმა დაამსხვრიეს ძველი ტექნიკური ნორმების საზღვრები და გვიჩვენეს რა დიდი რეზერვები მოეპოვებოდა სოციალისტური ტრანსპორტის საორთქლმავლო მეურნეობას, ლუნინი და ლუნინელები უფრო შორს წავიდნენ. ისინი მაღალი სისწრაფით ატარებდნენ მძიმე მატარებლებს, ამასთან ერთად გამონახეს ლოკომოტივის სამსახურის გახანგრძლივების საშუალებანი.

ლუნინმა დაამტკიცა, რომ ორთქლმავალზე მეტი წილი სარემონტო სამუშაოები შეუძლიათ შეასრულონ თვით მემანქანეებმა. ამ ღონისძიების გატარებით ლუნინის ბრიგადამ კაპიტალურ რემონტებს შორის ორთქლმავლის გარბენა ნაცვლად ნორმით დაწესებული 35000 კილომეტრისა 62 000 კილომეტრამდე გაზარდა. ამრიგად, ლუნინელები ათავისუფლებდნენ საორთქლმავლო დეპოებს მრავალი ისეთი სახის სარემონტო სამუშაოებისაგან, რომელთაც ზეინკლები და საკომპლექსო ბრიგადები ასრულებდნენ და ამით ასეული ათასობით მანეთის ეკონომიას აძლევდნენ სახელმწიფოს.

თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლუნინურ მოძრაო-

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა (1921—1961), თბ., 1961, გვ. 386—387.

2 ს. ჩხარტიშვილი, საქართველოს მრეწველობაში სოციალისტური შრომის ფორმების განვითარების ისტორია (1921—1965 წწ.), სადოქტორო დისერტაცია, გვ. 252.

ბას, შეიძლება დავრწმუნდეთ თბილისის საორთქლმავლო დეპოს პრაქტიკიდან. იქ ლუნინურ მეთოდზე გადასვლის შედეგად სრულიად გაუქმებულ იქნა პერიოდული შეკეთების საამქრო. დეპოში ლუნინური მოძრაობის ინიციატორების, მემანქანეების ლუგოვოისა და მსხილაძის ბრიგადამ აწევითს შეკეთებაში ელმავლის დაუყენებლად გაირბინა 220 000 კილომეტრი. მოსპო პერიოდული და აწევითი რემონტი და ამით საწარმოს 25 000 მანეთის ეკონომია მისცა.

თბილისის საორთქლმავლო დეპოში ლუნინური მეთოდით მუშაობაზე გადასულმა მეორთქლმავლეთა ბრიგადებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს სარემონტო ხარჯები. ასეთი ბრიგადები კი მრავლად იყვნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სხვა საორთქლმავლო დეპოებში, მაგალითად, ქუთაისის საორთქლმავლო დეპოში № 418 ორთქლმავლის ბრიგადამ (მემანქანეები გ. ვაშაკიძე და ს. ზუმბაძე) საკუთარი ძალებით რემონტის ჩატარების შედეგად წარმოებას 20 000 მანეთის ეკონომია მისცეს[1].

გამრავლდა სამეურნეო ანგარიშზე გადასულ ორთქლმავალთა რიცხვი. გაჩაღდა ბრძოლა საწვავი მასალის ეკონომიისა და მძიმე მატარებელთა სწრაფი ტარებისათვის.

ლუნინური მეთოდის გამოყენება ხელს უწყობდა შრომისნაყოფიერების ამაღლებას, მანქანებისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებას, მრეწველობასა და ტრანსპორტზე ახალი წარმატებების მიღწევას.

ამ პერიოდში მუშახელის ნაკლებობის ლიკვიდაციისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ქ ა ლ თ ა შ რ ო მ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა მ მრეწველობასა და ტრანსპორტზე. ამ მხრივ მისაბაძი გახდა ქ. მაგნიტოგორსკელი ქალების შესანიშნავი ინიციატივა. ლუდმილა პოდსევალოვამ მოუწოდა ქალიშვილებს ემუშავათ შიდა საქარხნო ტრანსპორტზე. იგი და 16 ქალიშვილი, რომლებმაც მის მაგალითს მიბაძეს, მემანქანეების თანაშემწეები გახდნენ, ხოლო ტატიანა იპოლიტოვამ დაიწყო მუშაობა მეფოლადის თანაშემწედ.

ლ. პოდსევალოვამ და ტ. იპოლიტოვამ აქტივისტ ქალთა ჯგუფთან ერთად მოწოდებით მიმართეს დიასახლისებს — მა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941, 13 ივნისი.

გნიტოგორსკის მეტალურგთა, მშენებელთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ცოლებს დაეწყოთ მუშაობა ქარხანაში, მაგნიტოგორსკის ახალ მშენებლობებზე. რომლებიც მუშახელს საჭიროებდა. „ქალმა მამაკაცის თანაბრად უნდა დაიკავოს ყველა საპასუხისმგებლო უბანი, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — მარტენი, ბრძმედი, ავტომობილი, ორთქლმავალი, ტურბინა, ხიდური ამწე. და ელექტროჯალამბარი ისევე დაგვემორჩილება ჩვენ, როგორც მამაკაცებს“[1].

ეს რეზერვები საშუალებას იძლეოდა შეგვევსო მრეწველობა და ტრანსპორტი ახალი მუშახელით და შესაძლებელი გახდებოდა ომის პირობებში მამაკაცების შრომა ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში შეცვლილიყო ქალის შრომით.

1939 წ. 25 სექტემბერს ტყიბულის მაღაროებში 18 დიასახლისი ქალი მივიდა შახტში სამუშაოდ, მაღაროელი ქალები თამარ ლანჩავა, შურა არსენიძე, თამარ ობოლაძე, კლავდია ბაკურაძე, ოლღა ძოწენიძე და სხვები სოციალისტური შრომის საუკეთესო მაგალითს იძლეოდნენ.

მრავალი მოწინავე ქალი მუშაობდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში. ლენინის სახელობის ქარხანაში მუშა ქალები შუშანა ცუცქირიძე და შურა ბერიძე საუცხოოდ დაეუფლნენ მანგანუმის სარეცხ დაზგას და ყოველდღიურ გეგმას 150 — 200 პროცენტით ასრულებდნენ. სტახანოვური შრომის შესანიშნავ მაგალითს იძლეოდნენ აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავე მარო კერესელიძე, ლეონინა სამხარაძე, მარუსია სრედიჩენკო და სხვ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთლქმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა ქალების თათბირმა 1939 წლის 25 სექტემბერს მიმართა საბჭოთა საქართველოს ყველა ქალს მოწოდებით — აქტიურად ჩაბმულიყვნენ შრომითს საქმიანობაში. მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ჩვენი მზარდი სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტ კადრებს მოითხოვს, ახალი საწარმოო კადრების მომზადებისათვის დაუშრეტელ რეზერვს წარმოადგენენ საბჭოთა ქალები.

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1939, 26 სექტემბერი.

ამხანაგო დიასახლისებო, მუშათა და მოსამსახურეთა ცოლებო, დებო და ქალიშვილებო! ამხანაგო კოლმეურნე ქალებო! ჩვენ მოგმართავთ თქვენ მოწოდებით: წავიდეთ სამუშაოდ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში!"[1].

სტალინის სახელობის ორქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს სტახანოველი ხარატი ქალი ნ. ნატროშვილი წერდა: „პირველად ქარხანაში რომ მოვედი, დაზგაზე წარმოდგენაც კი არ მქონდა, მაგრამ მალე დავეუფლე ჩემს საქმეს და გამომუშავების პროცენტიც მაღლა იწევდა. ისე კარგად შევისწავლე დაზგის მუშაობა, რომ ახლა უკვე სხვებსაც ვასწავლი. ქალი დაზგასთან დიდი ძალაა. ამხანაგო დიასახლისო ქალებო, მოდით ჩვენთან ქარხანაში, ხელიხელ ჩაკიდებული ვიმუშაოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ახლა უკვე წარსულს ჩაბარდა ცრუ, მავნე „თეორია", თითქოს ქალს არ შეუძლია იმუშაოს მანქანაზე, დაზგაზე, დიდი სისწრაფით წაიყვანოს ორთქლმავალი, მაღლა, შორს და სწრაფად იფრინოს თვითმფრინავით"[2].

ფეროშენადნობთა ქარხნის ძირითად სადნობ საამქროში ლითონის ალაგებაზე მომუშავეთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. მათ შორის იყვნენ რიმა რობაქიძე, ალექსანდრა პეჩენსკაია, პ. კრიპნიჩენკო, ლიდა გრიცენკო, ოლია მირონოვა და სხვ. ქალები აგრეთვე მუშაობდნენ ელექტროშემდუღებლებად, ამწეებზე, ლაბორატორიებში და სხვ.

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშათა კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა ქალების მოწოდებას. 2 ოქტომბერს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე გამოსულმა სტახანოველმა მუშა-ქალმა ფ. ზაზანიამ ვალდებულება აიღო სამუშაოდ ერთი დაზგიდან ორ დაზგაზე გადასულიყო და დავალება გადაჭარბებით შეესრულებინა. ასეთივე ვალდებულება იკისრა მოწინავე ქალმა მ. ბარაბაძემ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირში ნოვატორული მოძრაობის განვითარება მეორე და მესამე ხუთწლედში სწრაფად მიმდი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939, 30 სექტემბერი.

[2] იქვე.

ნარეობდა. მასში ჩაბმული იყო მშრომელთა ფართო მასები.

მუშათა კლასის შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება ერთმანეთისაგან განუყოფელია.

რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობის განვითარება დაკავშირებული იყო მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარება-გაფართოებასთან.

რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა წარმოადგენდა ტექნიკური პროგრესის, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებს შორის კავშირის განმტკიცების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას, სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად პირობას.

რაციონალიზატორების და გამომგონებლების წინადადებათა დანერგვით შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთული მანქანების და ტექნიკურ მოწყობილობათა იმპორტის შემცირება.

რაციონალიზატორობასა და გამომგონებლობას 1931 — 1938 წლებში ხელმძღვანელობდა გამომგონებელთა ნებაყოფლობითი საზოგადოება. მესამე ხუთწლედში რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობის განვითარებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა 1938 წელს ამ საზოგადოების გაუქმებამ. ამიერიდან გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის მოძრაობის უშუალო ხელმძღვანელობა დაეკისრა პროფესიული კავშირების საწარმოო-მასობრივ კომისიებსა და პროფსაბჭოს საწარმოო განყოფილებას. ერთგვარად გაუარესდა რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობის შედეგების აღრიცხვა, ასევე გართულდა საერთო ხელმძღვანელობა.

პარტია ითვალისწინებდა რა მასების შემოქმედებითი უნარის გაშლის მნიშვნელობას, ყოველმხრივ ხელს უწყობდა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მოძრაობის განვითარებას. დადებითი შედეგები სულ მალე მივიღეთ.

კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში 1938 წელს წამოაყენეს 46 წინადადება. აქედან დაინერგა 20, რითაც წარმოებამ დაზოგა 113074 მანეთი[1]. 1939 წელს ქარხნის ერთ-ერთ საამქროში 11 წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 441, სა 37, ფურც. 7.

მხოლოდ 7, მაგრამ ქარხანამ დიდი ეკონომიური და ტექნიკური ეფექტი მიიღო. ამავე ქარხანაში 1940 წელს 47 წინადადებიდან დაინერგა 14, რომელთა საშუალო წლიური ეკონომია უდრიდა 151957 მანეთს, ანუ წინა წელთან შედარებით 26,4 ათასი მანეთით მეტს[1].

კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში რაციონალიზატორების წინადადებით ორჯერ დაჩქარდა სახარატო დაზგის დეტალების მოხსნა[2].

1940 წელს ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში 56 წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 35, წლიურმა ეკონომიამ 80549 მანეთი შეადგინა[3].

ამავე წელს მნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენეს 26 კომუნარის სახელობის მანქანათსაშენი ქარხნის რაციონალიზატორებმა. 166 წინადადებიდან დაინერგა 99, რის შედეგად ქარხანამ დაზოგა 390711 მან., რაციონალიზატორებს პრემიის სახით მიეცათ 58,4 ათასი მანეთი[4].

1941 წელს რაციონალიზატორებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენ ქარხანაში, სადაც 7 წინადადებიდან დაინერგა 5, სახელმწიფოს მიეცა 59 000 მანეთის ეკონომია[5].

მესამე ხუთწლედში რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობისაგან მიღებული ეკონომიური ეფექტი 1,5-ჯერ აღემატებოდა მეორე ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებელს.

რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა, რაც მშრომელთა შემოქმედებითი შრომისა და აქტივობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა, ომისწინა ხუთწლედში მასობრივ მოძრაობად გადაიქცა.

ამასთან გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის უდიდესი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ მასში გამოვლინდა შრომისადმი ახლებური, სოციალისტური და შემოქმედებითი დამოკიდებულება. რა-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 441, ს. 51, ფურც. 13.

2 გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1939, 4 აპრილი.

3 სცსა (თბილისი), ფ. 304, აღწ. 16, ს. 36, ფურც. 335.

4 იქვე, ფურც. 408.

5 იქვე, აღწ. 18, ს. 146, ფურც. 61—67.

ციონალიზატორები და გამომგონებლები იყვნენ მუშათა კლასის მოწინავე რაზმისა და საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები.

რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მასობრივ მოძრაობად გადაქცევამ დაამტკიცა, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს არის შესაძლებელი მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარება.

* * *

მუშათა კლასმა დიდი როლი შეასრულა სოფლადაც, შრომის სოციალისტური ფორმების განვითარებაში. მუშათა კლასის სოფლად მშრომელებისადმი დახმარების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა სოფელზე სამრეწველო საწარმოთა და საბჭოთა დაწესებულებების შეფობა.

სოფელზე ქალაქის შეფობის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის: შეფობა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების, სოფელზე პოლიტიკური გაელენისა და კულტურული დახმარების მოქნილი ფორმა იყო და ასეთად რჩება. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ მთელი ჩვენი ძალაუფლება მოვახმაროთ იმას, რომ ქალაქის მუშა ნამდვილად გავხადოთ კომუნისტური იდეების გამტარებლად სოფლის პროლეტარიატში... ურთიერთობის დამყარება ქალაქის მუშებსა და სოფლის მუშაკებს შორის... ეს ჩვენი მოვალეობაა, ეს ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა“ [1].

ამ დიად საქმეში ინიციატივა ეკუთვნოდა ლენინგრადის, მოსკოვის და საბჭოთა რუსეთის სხვა სამრეწველო ქალაქების ფაბრიკა-ქარხნების მუშებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ამ თაოსნობას გამოეხმაურა ამიერკავკასიის მუშათა კლასი. საქართველოს მუშათა კლასმა დიდი როლი ითამაშა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში [2].

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 548—549.

2 იხ. დ. გ ო გ ო ხ ი ა, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, თბ., 1965, გვ. 268.

საშეფო ორგანიზაციებმა სოფლად ჩაატარეს. უდიდესი სამუშაოები. 1923 — 1935 წლებში, ე. ი. საშეფო ორგანიზაციების არსებობის პერიოდში, სოფლად ამ ორგანიზაციების მიერ გაიგზავნა 4984 სარემონტო ბრიგადა, რომლებშიც 43140 კაცი იყო. ამ ბრიგადებმა შეაკეთეს 48 3446 ერთეული სასოფლო-სამეურნეო იარაღი, გადასცეს სოფელს 3900 ერთეული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ინვენტარი [1].

საშეფო ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევდნენ სოფელს თესვის კამპანიის ჩატარებაში, ეხმარებოდნენ სკოლების შეკეთებაში, წყალსადენების გაყვანაში, აშენებდნენ ხიდებს, წისქვილებს, გზებს, საშეფო ორგანიზაციები სოფლად მუშაობისათვის სხვადასხვა კურსებზე ამზადებდნენ მუშა აქტივისტებს. მუშათა ბრიგადების დიდი რაოდენობა იგზავნებოდა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მუშაობის ჩასატარებლად. ისინი აწყობდნენ სოფლად სპექტაკლებს, კონცერტებს, ავრცელებდნენ გაზეთებს.

მუშათა კლასის დახმარებით ომამდელ ხუთწლედებში გლეხობის შრომითი აქტივობა სისტემატურად მაღლდებოდა. გლეხობამ ბევრი ისწავლა მუშათა კლასისაგან. განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობა იყო მუშათა კლასის ყველა პატრიოტული წამოწყების გადამტანი და ორგანიზატორი სოფლად.

მეორე და მესამე ხუთწლედებში, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების პერიოდში გაძლიერდა ქალაქის დახმარება სოფლისადმი.

სოფლისადმი დახმარება მესამე ხუთწლედში ძირითადად ხორციელდებოდა პროფკავშირების მეშვეობით. პროფკავშირები ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს უკეთ მოეწყოთ საკოლმეურნეო სამუშაოები, შეეკეთებინათ ინვენტარი, ამზადებდნენ კვალიფიციურ კადრებს, სოფლად გზავნიდნენ სპეციალისტებს, აღმრიცხველებს, ტექნიკოსებს, განათლების მუშაკებს. პროფკავშირებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა

---

1 სცსა (თბილისი), ფ. 819, ს. 2487, ფურც. 8.

გასწიეს სოფლად სტახანოვური მოძრაობის განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობაში მესამე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშა-მოსამსახურეების სოციალისტური შეჯიბრება.

ჯერ კიდევ საკ. კპ (ბ) XVI ყრილობაზე ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „...შეჯიბრებაში არა ნაკლებ ღირსშესანიშნავად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი სოფლადაც ვრცელდებოდა და უკვე მოედო ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს“-ო [1]. იმ პერიოდისათვის სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მხოლოდ იწყებოდა. მესამე ხუთწლედის დასაწყისში კი უკვე არ იყო ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებსაც თავისი დამკვრელები და სტახანოველები არ ჰყოლოდა.

მეორე და მესამე ხუთწლედში სოციალისტურმა შეჯიბრებამ სოფლად კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და მასობრივი გახდა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ წარმოშვა ასფუთოვანთა შესანიშნავი მოძრაობა მარცვლეულის, ხუთასოვანთა — მეპარხლეობის, ოცდაათოვანთა — ბამბის მოყვანის რაიონებში და ა. შ.

შეჯიბრების მონაწილეებმა დაამყარეს მრავალი შრომითი რეკორდი და საფუძველი ჩაუყარეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის თვითღირებულების შემცირებას. სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოავლინა მოწინავე ადამიანები. აამაღლა შრომისნაყოფიერება.

სტალინგრადის ოლქის ბრიგადირთა ინიციატივით დაწყებული ასფუთოვანთა მოძრაობა წარმოადგენდა სოფლად სტახანოვური მოძრაობის განვითარების ახალ ეტაპს.

ბრიგადისა და კოლმეურნეობის საერთო ფართობიდან ჰექტარზე 100 ფუთი მარცვლეულის მოყვანა ნიშნავდა, რომ გადაგვეწყვიტა პარტიის საბრძოლო დავალება საბჭოთა კავ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. თბ., 1946, გვ. 171.

შირში ყოველწლიურად 8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიღების შესახებ.

სოციალისტური შეჯიბრება მტკიცედ მკვიდრდებოდა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში. გაიშალა ბრძოლა მარცვლეულის, ჩაის, ციტრუსების, ვენახის, თამბაქოს, ხილის და სხვ. კულტურების განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

ღირსშესანიშნავი იყო ცალკეული რაიონების კოლმეურნე გლეხობის თაოსნობა, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით მაგალითს იძლეოდნენ, ხელს უწყობდნენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას მთელს რესპუბლიკაში.

1937 წლის აპრილში მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, აგრონომებმა, აგროტექნიკოსებმა და სტახანოველმა კოლმეურნეებმა მიმართეს საქართველოს ყველა მეჩაიე რაიონების მშრომელებს: „წელს ჩვენმა რაიონმა სახელმწიფოს უნდა მისცეს 6200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ჰექტარზე საშუალოდ უნდა მიიღოს 2 000 კილოგრამი მოსავალი, პირველი ხარისხის ფოთლის საერთო რაოდენობა უნდა აიყვანოს 73 პროცენტამდე.

მახარაძის რაიონის ჩაის სტახანოველები — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები, აგროტექნიკოსები და ბრიგადირები ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიმდინარე წლის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ვიწვევთ მეჩაიეობის ყველა რაიონს“ [1]. მახარაძელებმა ასეთივე მოწოდებით მიმართეს საქართველოს მეჩაიეებს 1938 წელსაც [2].

მახარაძელ მეჩაიეებს ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის კოლმეურნეობის წევრები. ამ კოლმეურნეობაში იმ დროს 26 სტახანოველი და 67 დამკვრელი იყო. მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლმეურნეობაში მოიწვიეს ჩაის კრეფის ცნობილი ოსტატები: უშა ახუბა, ცაცა ქარდავა, დუშა ქვაჩახია და სხვები.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1937, 27 აპრილი.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1938, 22 მაისი.

საქართველოს ჩაის რაიონებში მრავალი მოწინავე მეჩაიე შრომობდა. მათი სახელები მთელ ქვეყანაში გახდა ცნობილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირის კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. სარსანია. 1938 წელს მან ჩაის კრეფის საკავშირო რეკორდი დაამყარა და 1915 შრომადღე გამოიმუშავა. კოლმეურნეობიდან მარტო ფულად მიიღო 15 920 მანეთი. 1938 წელს ქ. სარსანია წარდგენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნის კანდიდატად. მისი გამოკვლევა ფართოდ ინერგებოდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებში [1].

ახალგაზრდობის შრომითი აქტივობის ამაღლების მიზნით საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1938 წ. 11 ივნისს მიიღო დადგენილება ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და ფაბრიკების მუშა-ახალგაზრდობას შორის სტახანოვური მოძრაობის გაშლის ღონისძიებათა შესახებ.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლეოდა, რომ კომკავშირის საოლქო და რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებს გაეშალათ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას შორის ლენინური კომკავშირის 20 წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება და წარმატებით შეესრულებინათ 1938 წელს სახელმწიფო დავალება — საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ძირითადად ქართული ჩაით დაეკმაყოფილებინათ [2].

1938 წლის 25—26 ივლისს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა ახალგაზრდობას შორის სტახანოვური მოძრაობის გაფართოების, საკ. ალკკ ცკ-ის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობისა და ლენინური კომკავშირის XX წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრებისათვის ხელმძღვანელობის შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სერიოზული მუშაობა ჩაატარეს საკ. ალკკ ცკ-ის გადაწყვეტილების („კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდა სტახანოველებისათვის დახმარების აღმოჩენისა

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1938. 30 ივნისი.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 6, ს. 8981, ფურც. 222.

და ახალგაზრდათა შორის სტახანოვური მოძრაობის გაფართოების შესახებ") შესრულების საქმეში, რის შედეგად სტახანოველთა რიგები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პლენუმმა დაავალა კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსა და პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარების საფუძველზე უზრუნველეყოთ ყველა კომკავშირელისა და კავშირგარეშე ახალგაზრდის ჩაბმა საკ. ალკ XX წლისთავის სახელობის სოცშეჯიბრებაში და ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოეჩინათ მათთვის [1].

ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში. საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში 1939 წლის 1 იანვრისათვის უკვე 7 134 მუშიდან 2 089, ანუ 29.3 პროცენტი სტახანოველი იყო[2].

ცნობამ საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის მშრომელებში. ზუგდიდის რაიონის მოწინავე კოლმეურნეები, სტახანოველები ჩაებნენ პარტიის XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი საწარმოო ვალდებულებანი აიღეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ნარაზენისა და ჯოღეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ორსანტიისა და კოკის კოლმეურნეობები. სულ სოცშეჯიბრებაში ჩაება რაიონის 25 კოლმეურნეობა.

ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება გორის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის. მათ დაწესებულ ვადაზე ადრე შეასრულეს ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა.

წინასაყრილობო სოცშეჯიბრებაში მაღალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე აღბულაღის რაიონის ასურეთის მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმაც და შეჯიბრებაში გამოიწვიეს ლუქსემბურგის მტს-ის კოლექტივი[3].

---

1 ჟურნ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი", 1938, № 7, გვ. 7—9.

2 ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის არქივი, ფ. 1, ანაწ. ს. 425, ფურც. 11.

3 გაზ. „კომუნისტი", 1939, 4 ოქტომბერი.

ხაშურის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნიკო ბერიშვილის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 1938 წელთან შედარებით 30 პროცენტით გაეზრდებინა მარცვლეულის მოსავალი. სტახანოვური რგოლის ხელმძღვანელმა ს. ძიძიგურმა ვალდებულება აიღო ჰექტარზე 400 ცენტნერი ჭარხალი მოეყვანა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სტახანოველი მ. გელიაშვილის რგოლი[1].

წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატებმა ცხრაწყაროს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირებმა ვ. კვინიკაძემ და ს. კოპაძემ იკისრეს სანიმუშოდ მოევლოთ გამოფენაზე წარსადგენი ექსპონატებისათვის და გულნოდგინედ შეეკეთებინათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია კომინტერნისა და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობები[2].

შეჯიბრების ავანგარდში იყვნენ კოლხიდმშენის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და აგრონომები. მათ აიღეს ვალდებულება პირველი კვარტალის მიწის ამოღების, გზების გაყვანის, ხიდების მშენებლობისა და სხვა სამუშაოთა გეგმები შეესრულებინათ ვადაზე 20 დღით ადრე. კოლხიდმშენის ყველა უბანზე თვალსაჩინოდ განმტკიცდა შრომის დისციპლინა და გაიზარდა შრომისნაყოფიერება. გზებისა და ხიდების განყოფილებამ იანვრის თვის გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა, ხოლო მტვირთავთა ბრიგადა დღიურ გეგმას 220 პროცენტით ასრულებდა[3].

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და მის პოპულარიზაციაში დიდ როლს ასრულებდა პრესა. გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ შეჯიბრების მიმდინარეობას. გაიშალა ამ მიმართულებით შეჯიბრება პრესის მუშაკებს შორის.

1940 წლის 20 ნოემბერს ქართლის რაიონების გაზეთების რედაქტორების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირე-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1939, 5 თებერვალი.
2 იქვე, 6 თებერვალი.
3 იქვე, 9 თებერვალი.

ული პრესის მუშაკთა აქტივმა წერილით მიმართა კოლხეთის ზონის რაიონების პრესის მუშაკებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

შევიკრიბეთ რა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ინიციატივით მოწვეულ თათბირზე, წერდნენ ისინი, რომელზეც განვიხილეთ პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება „ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“, დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი რაიონული გაზეთებისა და ძირეული პრესის მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა უკეთ შესრულებისათვის გადავწყვიტეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგიწვიოთ თქვენ, კოლხეთის ზონის რაიონების პრესის მუშაკებო. ეს სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს მუშაობას“[1].

1941 წლის 30 მარტს ზუგდიდის რაიონის რაიონული და ძირეული პრესის მუშაკთა თათბირის მონაწილეებმა მიმართეს საქართველოს სუბტროპიკული რაიონების რაიონული გაზეთების ყველა რედაქტორსა და მუშაკს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიებს მაღალი მოსავლის მისაღებად ბრძოლის ოპერატიული გაშუქებისათვის სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ[2].

გურჯაანის რაიონული და ძირეული პრესის მუშაკებმა მიიღეს მიმართვა მოეწყოთ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული და კედლის გაზეთების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება[3].

მოწონებით შეხვდნენ გურჯაანელთა ინიციატივას რესპუბლიკის ადგილობრივი პრესის მუშაკები. ფართოდ გაიშალა შეჯიბრება რესპუბლიკის რაიონული გაზეთების კოლექტივებს შორის[4].

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1941, 21 ნოემბერი.
2 იქვე, 1 აპრილი.
3 იქვე, 5 აპრილი.
4 იქვე, 8 აპრილი.

რესპუბლიკის სოფლებში გაიშალა მუშაობა 1941 წლის სამუშაოთა ორგანიზაციისათვის.

1941 წლის 14 მარტს სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ მიმართა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების სოფლის მშრომელებს 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. ამათ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებები 1941 წელს მაღალი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის[1].

ანალოგიური წინადადებით მიმართა მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ების მუშებსა და სპეციალისტებს. მახარაძელები წინადადებას იძლეოდნენ 1941 წელს გაეჩაღებინათ რაიონებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს, ბრიგადებს, რგოლებსა და კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ცალკეულ მუშაკებს შორის სოციალისტური შეჯიბრება უსვი მოსავლისათვის, პლანტაციებისა და ნათესების სანიმუშო მოვლისათვის და სხვ.[2].

საქართველოს სოფლის მეურნეობაში, როგორც ვხედავთ ფართოდ ინერგებოდა სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, სტახანოვური მეთოდით მუშაობა. კოლმეურნეობებში სწრაფად იზრდებოდა სტახანოველთა რიცხვი. შეიქმნა სტახანოველთა ბრიგადები, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამ წარმატებებს უჩვენებდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ამრიგად, კოლმეურნე გლეხობა თავდადებით იბრძოდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე ხუთწლედით დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941, 20 მარტი.

[2] იქვე.

§ 3. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური აქტივობა და მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრება

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების მთავარი წყაროა შეგნებულობა და გმირობა მუშათა კლასისა, რომელსაც მსარს უჭერენ და თანაუგრძნობენ მშრომელთა სხვა ფენები[1]. კომუნისტური პარტია სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მათი პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას.

ომამდელ ხუთწლედებში ტრადიციად იქცა ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავი თითოეული თარიღის, თითოეული დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის აღნიშვნა, კომუნისტური პარტიის ყრილობისათვის ინტენსიური მზადება და საბჭოების არჩევნების ჩატარება მშრომელთა მაღალი, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში.

მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ აამაღლა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, რაც უმთავრესად ვლინდებოდა პოლიტიკურ კამპანიებსა და ღონისძიებებში მასობრივი მონაწილეობით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო თავიანთი მონოლითური დარაზმულობა, პოლიტიკური წრთობა საქართველოს მშრომელებმა ნათლად გამოავლინეს ახალი კონსტიტუციის მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებში, 1937 წლის 12 დეკემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 91 მილიონზე მეტი კაცი, რაც ყველა ამომრჩეველთა თითქმის 97 პროცენტს შეადგენდა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1940547 ამომრჩეველიდან კენჭისყრაში მონაწილეობდა 96,2 პროცენტი. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 150.

მისცა კავშირის საბჭოში 99.1, ეროვნებათა საბჭოში — 99 პროცენტმა[1].

[illegible]ერ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, რომელიც ჩ[illegible]ტ[illegible]ოდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, მთელ მსოფლიოს უჩვენა საბჭოთა წყობილების ძლიერება. ისტორია არ იცნობდა პოლიტიკური შეგნებულობისა და მოქალაქეობრივი აღფრთოვანების სხვა ასეთ მაგალითს[2].

1938 წლის 12 ივნისს მოეწყო საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები. 1 898 041 ამომრჩეველიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 99,2 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 99,6 პროცენტმა[3].

კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვა 1939 წლის 24 დეკემბერს ჩატარებულ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. 1 935 637 ამომრჩეველიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1 928 262 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა 99,6 პროცენტმა[1].

არჩევნების დროს გამოვლინდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობა, მისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი. ამასთან არჩევნების შედეგები დამაჯერებლად მოწმობდნენ საქართველოს მუშათა კლასისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში ხალხმა ერთხმულოვნად აირჩია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის საუკეთესო მუშაკები.

---

1 [illegible]ბ. „კომუნისტი", 1937, 18 დეკემბერი.

2 [illegible]ბ. „პრავდა", 1937, 14 დეკემბერი.

3 [illegible]ბ. „კომუნისტი", 1938, 14 ივნისი, 10 ივლისი.

[illegible] [illegible]ქვე. 1939, 27 დეკემბერი

მშრომელთა პოლიტიკურ და შრომით აქტივობას. დიად სოციალისტურ მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები. რომელთა რიგებიც განუწყვეტლივ იზრდებოდა. თუ 1940 წლის 1 მარტისათვის საქართველოს პარტორგანიზაციაში ირიცხებოდა 91 ათასი კომუნისტი, 1941 წლის 1 იანვრისათვის უკვე მასში. 98 ათასი კომუნისტი იყო გაერთიანებული. აქედან მუშები — 34 ათასი, გლეხები — 28 ათასი, მოსაზღვრეები — 36 ათასი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი 1939 წლის 1 იანვრისათვის გაიზარდა 2 543-ით. კომუნისტები იყვნენ წარმოების ნოვატორების ავანგარდში.

მესამე ხუთწლედის მანძილზე დიდი მნიშვნელობის პარტიულ-პოლიტიკური მოვლენები იყო საქართველოს კომპარტიის XI (1938 წ. იანვისი), XII (1939 წ. თებერვალი), XIII (1940 წ. მარტი) ყრილობები. მათი მომზადება და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში.

პარტიის XI ყრილობამ შეაჯამა მეორე ხუთწლედის შედეგები და დასახა სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ახალი პერსპექტივები, საქართველოს კპ (ბ) XII ყრილობამ განიხილა თეზისები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და შეიმუშავა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები.

მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი ორი წლის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობამ, რომელმაც ნათელყო ქართველი ხალხის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეული თვალსაჩინო წარმატებები სახალხო მეურნეობის განვითარებაში და დასახა სოციალისტური მშენებლობის ვრცელი პროგრამა.

საბჭოთა ეკონომიკის გარდაქმნისათვის ბრძოლაში და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ლენინური კომკავშირი. მის რიგებში ითვლებოდა ამ დროს 262 ათასზე მეტი წევრი. საქართველოს ალკკ XIII, XIV და XV ყრილობებმა დიდი ამოცანები დასახეს საქართველოს კომკავშირის წინაშე.

კომკავშირის XIII ყრილობისათვის (1937 წ. ოქტომბერი) საქართველოს კომკავშირი გაიზარდა რიცხობრივად, თვისებრივად გაუმჯობესდა მისი შემადგენლობა. ახალგაზრდობა უდიდეს არმიას წარმოადგენდა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში.

კომკავშირის XIV ყრილობამ (1939 წ. თებერვალი) შეაჯამა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის, კომკავშირის რიგების ზრდისა და კომკავშირული კადრების მომზადების საქმეში, ისე სამეურნეო მშენებლობაში. დიდი როლი შეასრულა კომკავშირის XV ყრილობის (1940 წ. სექტემბერი) გადაწყვეტილებებმა საქართველოს კომკავშირის აქტივობის ამაღლებაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს კომკავშირის, მთელი ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობა.

პროფესიული კავშირები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ საწარმოებში მუშათა კლასის საწარმოო მაჩვენებლების ასამაღლებლად, ზრდიდნენ მათში შრომით ენთუზიაზმს და აძლიერებდნენ მათ პოლიტიკურ აქტივობას.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა პირობები ახალი, სოციალისტური ერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ერებს შორის დამყარდა პრინციპულად ახალი ურთიერთობა თანასწორობის, თანამშრომლობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის საფუძველზე, რაც სოციალიზმის მშენებლობის აუცილებელი პირობა გახდა ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ხალხის ძმური თანამეგობრობის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენდა სოციალისტური შეჯიბრება. მასში მონაწილეობდნენ მოძმე რესპუბლიკების ასეულობით საწარმოს კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრების წლებში მუშათა კლასის საწარმოო აქტივობის ფორმები და მეთოდები მთელ ჩვენს ქვეყანაში, ცალკეულ ეროვნულ რესპუბლიკებში ერთნაირი იყო.

რაც საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების საერთო ტენდენციით იყო განპირობებული. ამან ნათელი გამოხატულება პოვა მოძმე რესპუბლიკების მონათესავე სამრეწველო კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებაში (1929 წლის აპრილიდან). ერთ-ერთი პირველთაგანი ასეთ შეჯიბრებაში ჩაება თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი როსტოველ და ხარკოველ კოლეგებთან.

მუშათა დელეგაციები, სოციალისტური ხელშეკრულებების გაფორმებისას ეცნობოდნენ საწარმოთა მდგომარეობას, უზიარებდნენ ერთმანეთს მოწინავე გამოცდილებას. ეს ორივე მხარეს ხელს უწყობდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

1929 წლის მაისის ბოლოს ჭიათურის მაღაროელებმა გამოიწვიეს ნიკოპოლელი კოლეგები სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს იყო მოძმე რესპუბლიკების მონათესავე საწარმოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი პირველი ხელშეკრულება. ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელთა მჭიდრო საწარმოო თანამშრომლობას, რომელიც სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა სოციალისტური მშენებლობის წლებში.

მეორე ხუთწლედის წლებში სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი შინაარსი იყო ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლა, რამაც წარმოშვა მასების შრომითი ინიციატივის ახალი ფორმები. მხოლოდ კადრებს, რომლებიც აითვისებდნენ ახალ ტექნიკას. შეეძლოთ გამოეყენებინათ მუშაობის ნოვატორული მეთოდები.

მესამე ხუთწლედის წლებში, დაახლოებით 1938 წლის შუა ხანებიდან სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოძმე რესპუბლიკების საწარმოებს შორის დიდი გაქანება მიიღო. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ჰქონდა უკრაინისა და საქართველოს მუშათა კლასის საწარმოო თანამშრომლობასა და მეგობრობას.

1938 წლის დეკემბერში სტალინის სახელობის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი. ურთიერთშეჯიბრებაში ჩაებნენ სხვა საწარმოთა კოლექტივებიც (მაგალითად, რიონჰესის და დნეპრჰესის,

26 კომისრის სახელობის და კიევის ჩარხმშენებელი ქარხნების კოლექტივები). 1939 წლიდან დაიწყო უკრაინისა და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა შეჯიბრება[1].

საბჭოულ ომის წინა პერიოდში გაიშალა და შემდგომ ტრადიციად გადაიქცა სოციალისტური შეჯიბრება დონბასისა და ტყვარჩელის მეშახტეებს შორის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავზე ქ. კიევიდან საქართველოში მომავალი უკრაინის დელეგაცია თავის მისალმებაში საქართველოს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისადმი წერდა: „...უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას, რომელიც თანდათანობით მტკიცდება, ისტორიული ფესვები აქვს. ცარიზმის შავბნელ დროს, როდესაც ცეცხლითა და მახვილით სისხლში ახრჩობდნენ ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობას, გაისმა დიდი უკრაინელი რევოლუციონერი პოეტის ტარას შევჩენკოს მრისხანე ხმა...

ჩვენ მოვდივართ მზიურ საქართველოში იმისათვის, რათა ვუამბოთ ქართველ ხალხს უკრაინელი ხალხის შეძლებულ, ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც მოპოვებულია პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენ გვაქვს უკრაინელი ხალხის დავალება... კიდევ უფრო ფართოდ გაეშალოთ კოლმეურნეობათა, საწარმოთა, რაიონთა სოციალისტური შეჯიბრება. უკრაინელმა ხალხმა მოგვცა დავალება გავაფართოოთ სოციალისტური შეჯიბრება თითოეული ქარხნის, ფაბრიკის, მაღაროს, კოლმეურნეობის გადაქცევისათვის თავდაცვის მიუვალ ციხესიმაგრედ. სიყვარულითა და სიამაყით მოვდივართ ჩვენ მზიურ კოლხეთში, თქვენთან, ძვირფასო ძმებო“[2].

სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს შორის დღითი დღე ფართოვდებოდა და ამოცანად ისახავდა სტახანოვური მუშაობის გამოცდილების მასობრივ ურთიერთგაზიარებას[3]. სწორედ ამ ხანებში ქართველმა მეშახტეებმა საქართველოში მოიწვიეს ა. სტახანოვი.

---

1 სცსა (თბილისი), ფ. 304, აღწ. 15, ს. 86, ფურც. 2.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1938. 6 ნოემბერი.

3 იქვე, 22 დეკემბერი.

უკრაინის სსრ სტალინოს ოლქის ქ. ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივი თავის 1938 წლის 27 ნოემბრის წერილში წერდა საქართველოს მეშახტეებს, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ყველა სტახანოველს, მუშებს, მთელ კოლექტივს:

„ძვირფასო ამხანაგებო!.. ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის გიწვევთ თქვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით... შევამციროთ ქვანახშირის თვითღირებულება... აღვზარდოთ ახალი კადრები"[1].

ასეთივე წერილით მიმართეს ვოროშილოვგრადის ოლქის სერგოვსკის რაიონის კიროვის სახელობის № 77 და № 226 შახტის მეშახტეებმა ტყვარჩელელ კოლეგებს.

ტყიბულის მეშახტეებიც დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ ამ მოწოდებებს და მიიღეს კიდეც გამოწვევა.

ტყიბულელები ეწვიენენ უკრაინელ კოლეგებს. რომლებთანაც ჩაბმულნი იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ სტუმრობამ კიდევ უფრო განამტკიცა მათი მეგობრობა. ქართველ სტუმრებს აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყვეს. მრავალი შეხვედრა მოეწყო მოწინავეებთან; პარტიულ მუშაკებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან. ქართველი სტუმრები გაეცნენ მოწინავე საწარმოო კოლექტივების მუშაობას. შეჯამებულ იქნა შეჯიბრების შედეგები. მათ ერთობლივად იკისრეს ვალდებულება ფართოდ გაეშალათ მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება და წლიური გეგმები შეესრულებინათ 12 დეკემბრისათვის[2].

ტყიბულის მეშახტეთა დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო ქ. ორჯონიკიძის, გორლოვკის, სტალინოს მექანიზებული, უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული შახტების მუშაობას და ამით მდიდარი გამოცდილება შეიძინა. გამომგზავრებისას ტყიბულის მეშახტეებმა აღნიშნეს, რომ მათ შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ორი მოძმე — უკრაინელი და ქარ-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1939, 2 ივლისი.

2 იქვე, 9 მაისი.

თველი — ხალხების ურყევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციას წარმოადგენდა[1].

დიდი სამამულო ომის წინა წლებში ფართოდ გაიშალა ამ ორი მოძმე რესპუბლიკის რკინიგზელთა შორის სოციალისტური შეჯიბრება.

1938 წლის თებერვალში კიევის ორთქლმავალვაგონშემკეთებელმა ქარხანამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

ორთქლმავალვაგონშემკეთებლების კვალდაკვალ სტალინის სახელობის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის საორთქლმავლო დეპო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივთან. თბილისელებმა ერთსულოვნად მიიღეს უკრაინელი რკინიგზელების გამოწვევა.

1939 წლის 22 ივნისს თბილისში ჩამოვიდა სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაცია ამიერკავკასიის რკინიგზასთან სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესრულების შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად[2].

ამ შეჯიბრებამ დიდი როლი შეასრულა სარკინიგზო ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში, აამაღლა კოლექტივების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, ხელი შეუწყო არსებული რესურსების გამოვლინებას. შეჯიბრების შედეგები მოხსენდა ამიერკავკასიის რკინიგზის მოწინავეთა შეკრებას, რომელიც 30 ივნისს ჩატარდა.

1939 წლის ივლისში რკინიგზის სრულიად საკავშირო დღესთან დაკავშირებით ჩრდილო დონეცკის რკინიგზის კოლექტივის ინიციატივით დაიწყო რკინიგზელთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება[3]. ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა დონეცკელთა მოწოდებას.

1939 წელს უკრაინელებმა და ქართველმა რკინიგზელებმა

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939, 12 მაისი.
[2] იქვე, 2 ივლისი.
[3] იქვე, 12 ივლისი.

წარმატებით შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს გეგმას.

სამამულო ომის წინა წლებში აგრეთვე ფართოდ გაიშალა საქართველოს და უკრაინის ნავთობის მრეწველობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება.

ტრესტ „საქნავთის“ მუშაკთა აქტივმა 16 აგვისტოს უკრაინელი კოლეგების წერილთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს ნავთობის მრეწველობის ყველა მუშაკს გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ორი მოძმე რესპუბლიკის მენავთობეებს შორის. ამ წინადადებამ მხურვალე გამოხმაურება პოვა. „საქნავთის“ მუშაკთა აქტივმა შეიმუშავა და დაამტკიცა უკრაინის ნავთობის მრეწველობის მუშაკებთან საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკთა შეჯიბრების საწარმოო ვალდებულებანი[1].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინისა და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც დაიწყო 1939 წლის თებერვლიდან. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ამ დროისათვის მუშაობდა 26 ათასზე მეტი სტახანოველი. ამ შეჯიბრების შედეგებზე მეტყველებს ის, რომ 1939 წ. პირველ ნახევარში ათვისებულ იქნა ფართო მოხმარების პროდუქციის 33 ახალი სახეობა. ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 15-ისა, თითქმის ორჯერ გადიდდა შრომისნაყოფიერება და სხვ[2].

სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების საწარმოებთან უფრო ფართო მასშტაბით გაიშალა 1940 წელს.

1940 წლის 8 იანვარს უკრაინის სსრ სტალინოს ტრესტ „სტალინუგოლის“ მეშახტეებმა მოუწოდეს ჩვენი ქვეყნის ყველა მეშახტეს, რომ თითოეული მეშახტის ქვანახშირის თვიური ამოღება აეყვანათ 90 ტონამდე, შრომისნაყოფიერება გაეზარდათ 1937 წელთან შედარებით 36,9 პროცენტით, ხოლო თი-

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1939, 21 აგვისტო.

2 სცსა (თბილისი), ფ. 304, აღწ. 15, ს. 86, ფურც. 2—4.

თოეული სანგრევის ნაყოფიერება აემაღლებინათ 12 ათას ტონამდე თვეში[1].

ამასთან დონბასის „სნეჟნაია ანტრაციტის“ ტრესტის სტალინის სახელობის № 18 ორდენოსანი შახტის მყელავმა მემანქანეებმა მიმართეს დონბასის საყელავი მანქანების ყველა მემანქანეს, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ მათ განკარგულებაში არსებული ტექნიკა და აგრეთვე წინადადება შეიტანეს მოეწყოთ 1940 წელს მყელავ მემანქანეთა მასობრივი შეჯიბრება.

დოხპასელთა მოწოდებამ ფართო ეხარდაჭერა პოვა ქართველ მეშახტეებში.

ტყიბულელებმა შეაჯამეს რა 1939 წლის შედეგები, მხარი დაუჭირეს წინადადებას უკრაინისა და საქართველოს მეშახტეთა შორის შეჯიბრების 1940 წელსაც გაგრძელების შესახებ და თავის მხრივ აიღეს მთელი რიგი ვალდებულებანი[2].

ტყიბულის მეშახტეებმა „ორჯონიკიძე უგოლის“ ტრესტისა და „კრასნი ოქტიაბრის“ შახტის კოლექტივებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ხელმოსაწერად დონბასში 1940 წლის 1 თებერვალს გაგზავნეს დელეგაცია[3].

1940 წლის 13 თებერვალს ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველთა შეკრებამ განიხილა „სნეჟნაია ანტრაციტის“ ტრესტის (დონბასი) № 18 ორდენოსანი შახტის ათიათასოვან მყელავ მემანქანეთა მიმართვა.

შეკრებამ ერთხმად მიიღო მიმართვა „ნიკოპოლ მანგანუმის“ ტრესტის მაქსიმოვის სახელობის მაღაროს კოლექტივისადმი, რომლითაც წინადადებას იძლეოდა დადებულიყო ორივე მაღაროს კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1940 წლისათვის.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი ვალდებულებას კისრულობდა მთელი კოლექტივი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში, მანგანუმის ამოღების წლიური გეგმა შეესრულებინა 5 დეკემბრისათვის, 1939 წელთან შედარებით 20 პროცენტით

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1940, 10 იანვარი.

[2] იქვე, 8 თებერვალი.

[3] იქვე.

გაეზარდა შრომისნაყოფიერება და 5 პროცენტით შეემცირებინა პროდუქციის თვითღირებულება[1].

გამოცდილების ურთიერთგაზიარების შედეგად ჭიათურელებმა შეძლეს დაენერგათ მუშაობის სტახანოვური მეთოდები, მიეღწიათ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა უკრაინისა და საქართველოს მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების სისტემატური, საქმიანი შემოწმება. ამისათვის გახშირდა დელეგაციების ურთიერთგაცვლა. ჯერ კიდევ 1938 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის ზეიმის დღეებში კოლმეურნეების მოწვევით საქართველოს ესტუმრა უკრაინის მშრომელთა დელეგაცია, 1940 წელს უკრაინის მშრომელებმა მოიპატიჟეს საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლები ოქტომბრის დღესასწაულის ზეიმის დღეებში, რათა შეემოწმებინათ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. 1 ნოემბერს 50 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გაემგზავრა კიევს. მასში შედიოდნენ საქართველოს გამოჩენილი ადამიანები — მოწინავე კოლმეურნეები და მაღაროელები, მწერლები და მეცნიერები: გ. კიკნაძე—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, დელეგაციის ხელმძღვანელი, დ. ყიფშიძე—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მწერლები: ალ. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ქართული თეატრისა და კინოს საუკეთესო წარმომადგენლები — ა. ვასაძე. ნ. ვაჩნაძე, თ. ჭავჭავაძე, დ. გამრეკელი; საკოლმეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ნოვატორები: მ. ორაგველიძე, ვ. ჯაბუა, კ. ერაგია, ქ. სარსანია, დ. ტაკიძე: პარტიული და საბჭოთა მუშაკები: კ. ბეჭვაია, დ. ცანავა, ვ. ჩიქავა, პედაგოგები: პ. კაპანაძე, ლ. შალამბერიძე, გ. ფიფია და სხვ.

დელეგაციამ უკრაინაში თითქმის ერთ თვეს დაჰყო. იქ ისინი შეხვდნენ მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. 22 ნოემბერს მოეწყო მათი შეხვედრა უკრაინის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან.

---

[1] გაზ. „კომუნისტი" 1940, 14 თებერვალი.

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის ცალკეული ჯგუფები ესტუმრნენ უკრაინის დიდ სამრეწველო ცენტრს, დონბასის მეშახტეებს, მოწინავე კოლმეურნეობებს, დაათვალიერეს მეტალურგიის გიგანტები, დიდი ფაბრიკა-ქარხნები, ისტორიული ადგილები.

დელეგაციის ზოგიერთმა ჯგუფმა შემოიარა დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, ოდესის ოლქები, პოლტავშჩინა, დონბასი, ხარკოვშჩინა, სუმის ოლქი, უკრაინის დასავლეთი ოლქები. დელეგაცია ესტუმრა აგრეთვე დროგობიჩისა და ბორისლავლის ნავთობის სარეწაოებს[1].

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის წევრების შეხვედრები უკრაინელ მშრომელებთან, ინტელიგენციასთან, პარტიის და მთავრობის წარმომადგენლებთან გადაიქცა ქართველი და უკრაინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

მოძმე რესპუბლიკების და კერძოდ უკრაინის მონათესავე საწარმოებთან და კოლმეურნეობებთან შეჯიბრება გაგრძელდა 1941 წელსაც.

1941 წლის 30 აპრილს ბაქოს ნავთობის მრეწველობის წარჩინებულმა სტახანოველებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქართველი მენავთობეები.

საუკეთესო სტახანოველთა შეჯიბრება, წერდნენ ბაქოელები, დაგვეხმარება მესამე ხუთწლედის დიად დავალებათა შესრულებაში[2]. ქართველმა მენავთობეებმა აიღეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი და სთხოვეს ბაქოელ მეგობრებს ჩამოსულიყვნენ სტუმრად, გაცნობოდნენ სარეწებს და საძიებო უბნებს, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება, გაცნობოდნენ ქართველ სტახანოველთა მუშაობას[3].

1940 წელს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფეიქრებმა საბჭოთა კავშირის ყველა ფეიქარს მოწოდებით მიმართეს ვადამდე შეესრულებინათ წლიური გეგმა. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფეიქრებმა თავიანთი სიტყვა შეასრულეს. ამის შემდეგ მათ ახალი მიმართვა გამოაქვეყნეს, რომელშიც ნათქვაში

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1940, 20 ნოემბერი.

2 იქვე, 1941, 30 აპრილი.

3 იქვე, 11 მაისი.

იყო: შევდივართ რა ახალ სამეურნეო წელიწადში, ჩვენ გადავწყვიტეთ მოწოდებით მივმართოთ საბჭოთა კავშირის ყველა ფეიქარს ვადამდე შეასრულონ 1941 წლის გეგმა[1].

მოსკოველთა მიბაძვით ორეხოვო-ზუევოს ბამბეულის კომბინატის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა მიმართეს საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის მშრომელებს 1941 წლის საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგები, რომლებზედაც განიხილეს მოსკოვისა და ორეხოვო-ზუევოს ფეიქართა მიმართვა 1941 წლის საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის — ორეხოვო-ზუევოს ბამბეულის საწარმოთა კოლექტივების მოწოდების საპასუხოდ საქართველოს ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს 1941 წლის საწარმოო გეგმა 21 დეკემბრისათვის შეესრულებინათ.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის წინაშე იდგა დიდი ამოცანა — საბჭოთა მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოეშვათ მაღალი ხარისხის აბრეშუმის, შალის და სხვა ქსოვილები. ამისათვის საჭირო იყო შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, წუნის ლიკვიდაცია, ასორტიმენტის გაფართოება[2]. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ, მოწინავე სტახანოვური მეთოდების გავრცელებამ.

რსფსრ-ის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ურღვევი მეგობრობის საუკეთესო დადასტურება იყო.

ხუთწლედისათვის ბრძოლაში საქართველოს გლეხობამ

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941, 24 იანვარი.

[2] იქვე, 24 აპრილი.

ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის მშრომელებთან.

ამ წლებში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოს სსრ მახარაძისა და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეთა შეჯიბრებამ უკრაინის სსრ გენიჩესკისა და ტალალაევკის რაიონების მშრომელებთან. სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით დაიწყო, თანდათან ფართო ხასიათი მიიღო.

1938 წლის 26 აპრილს მახარაძის რაიონის არტელ „შრომის“ მშრომელებმა წერილით მიმართეს უკრაინელ კოლმეურნეებს, სადაც წერდნენ: „ამჟამად ქართველი ხალხი, ისე როგორც მოძმე რესპუბლიკების მშრომელები, ემზადება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ჩვენს კოლმეურნეობაში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც გადაწყვიტა პრესის შეშვეობით მოვუთხროთ აყვავებული უკრაინის კოლმეურნეებს ჩვენს წარსულსა და აწმყოზე, როგორ ვემზადებით საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის“...[1]

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეებმა 1938 წელს მოიწვიეს კიევის, ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის ოლქების სასოფლო-სამეურნეო არტელების წარმომადგენლები.

მახარაძელები წერდნენ: ჩვენ სიხარულით გავიგეთ, რომ 26 აპრილის ჩვენმა წერილმა მეზურვალე გამოხმაურება პოვა კიევის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის ოლქის კოლმეურნეობებში[2].

დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა მიიღეს შრომელი კოლმეურნეების გამოწვევა და ჩაებნენ მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ოქტომბრის XXI წლისთავის დღესასწაულზე დასასწრებლად საქართველოში ჩამოვიდა გენიჩესკელ კოლმეურნეთა დე-

---

[1] გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1938, 27 აპრილი.

[2] იქვე, 18 მაისი.

კის მძიმე მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად[1].

მანქანათმშენებლობის განვითარებამ საბჭოთა მეტალურგიის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დააყენა ფეროშენადნობთა წარმოების საკუთარი ბაზის შექმნა.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი პროდუქცია და მესამე ხუთწლედში ათვისა ისეთი პროდუქციის გამოშვება, როგორიცაა სილიკომანგანუმი, სილიკოკალციუმი და სხვ. ქარხანაში ამუშავდა მოლიბდენის საამქრო, საცდელი საამქრო, რომელიც უშვებდა მეტალურ მანგანუმს, მეტალურ ქრომს, მცირე ნახშირბადიან ფერომანგანუმს. ქარხანამ 1938 წლის დავალება 83,5 პროცენტით შეასრულა[2].

დიდი ამოცანები იდგა სატყეო მრეწველობის წინაშე.

1938 წელს ხე-ტყის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნა 112.1 პროცენტით, ხოლო გამოზიდვის — 106,6 პროცენტით. საერთო გეგმის შესრულებამ შეადგინა 103,1 პროცენტი[3].

1938 წლის 24 დეკემბერს ამუშავდა ინგურქაღალდკომბინატის სამსხვრევი საამქრო და ალმადანის ღუმელები, პირველი ამწის სატუმბო სადგური, სატრანსფორმატორო ქვესადგური. საქვაბემ მიიღო ელექტროენერგია. კომბინატის საზეიმო გახსნა მოხდა 1939 წლის 21 იანვარს. მისი საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 12.5 ათას ტონა ხარისხოვან ქაღალდს შეადგენდა.

სატყეო მრეწველობის საწარმოებმა 1939 წელს გეგმა 108.3 პროცენტით შეასრულეს. პროდუქციის გამოშვება 1938 წელთან შედარებით 5,2 პროცენტით გაიზარდა. მერქნის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნა 102,7 პროცენტით, ხოლო გამოზიდვისა — 104,5 პროცენტით.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1938 წლის გეგმა 23 დეკემბრისათვის შეასრულა 105,7 პროცენტით და

---

1 ალ. კოკლავაშვილი. მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში 1921 — 1941 წწ.; თბ., 1966, გვ. 692, 694.

2 Архив Госплана Грузинской ССР, Опись отдела сводного народнохозяйственного плана, д. 56, л. 36.

3 გაზ. „კომუნისტი", 1939, 28 მაისი.

გამოუშვა 230.4 მლნ მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 218 მლნ მანეთისა[1]. მნიშვნელოვნად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება ჩაის, ღვინის, თამბაქოს, ლუდისა და ლიმონათის, საშაქარლამო და თევზის მრეწველობის საწარმოებმა.

მესამე ხუთწლედის პირველი წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა. 1939 წელს გასულ წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გადიდდა 20,5 პროცენტით. ბევრმა საწარმომ არსებითად გარდაქმნა მუშაობა. მაგალითად, თუ აბრეშუმსაქსოვმა, მაუდის და აბრეშუმსახვევმა ფაბრიკებმა 1938 წლის საწარმოო გეგმა 91 პროცენტით შეასრულეს, 1939 წლისათვის გეგმის შესრულებას 105.2 პროცენტით მიაღწიეს.

ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვებაში დიდი როლი ეკუთნოდა სარეწაო კოოპერაციას, რომელმაც 1938 წლის გეგმა მთელ სისტემაში 111,5 პროცენტით[2], ხოლო 1939 წლის გეგმა 131,5 პროცენტით შეასრულა. 1939 წლის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 353.3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სარეწაო კოოპერაციის არტელებში დასაქმებული იყო 23.400 კაცი. აქედან დიდი რაოდენობა შინამრეწველებისა, რომლებიც კოოპერაციის მეშვეობით იქნენ ჩაბმული სოციალისტურ მეურნეობაში.

ამრიგად, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი შნიშვნელობის საწარმოებმა მოიპოვეს წარმატებები მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. მაგალითად, 1939 წლის საერთო-საწარმოო დავალება 5.8 პროცენტით იქნა გადაჭარბებული.

მრწეველობის პროდუქციის ოდენობა 1939 წელს 18,6 პროცენტით აღემატებოდა 1938 წლის დონეს, ხოლო სარეწაო კო-

---

[1] Архив госплана Грузинской ССР. Опись отдела оводного народнохозяйственного плана, д. 56. л. 6.

[2] იქვე, ფურც. 77.

ოპერაციამ 1938 წლის დონესთან შედარებით წლიური გეგმა 39,2 პროცენტის გადამეტებით შეასრულა[1].

1924 — 25 წწ. საქართველოს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წილი შეადგენდა 13,2 პროცენტს, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარებით და ორი ხუთწლედის განხორციელების შედეგად მრეწველობის ეს წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1940 წლისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის სამ მეოთხედზე მეტს სამრეწველო პროდუქცია წარმოადგენდა.

მსხვილი სოციალისტური მრეწველობის საერთო პროდუქცია 1938 წლისათვის, 1932 წელთან შედარებით, გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1913 წელთან შედარებით 22-ჯერ. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა მრეწველობამ 1939 წელსაც[2].

1939 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი ახალი საწარმოები: შამპანური ღვინოების საკავშირო მნიშვნელობის კომბინატი, ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა და სხვ.

1939 წელს საქართველოს მრეწველობის მთელი პროდუქცია საბჭოთა წყობილების წლებში აშენებულ და რეკონსტრუირებულ საწარმოებზე მოდიოდა. ამასთან, აღნიშნული პროდუქციის 80,6 პროცენტს საბჭოთა წყობილების-პერიოდში აშენებულ საწარმოებში ამზადებდნენ.

პარტიის XVIII ყრილობამ სერიოზული ამოცანები დასახა სარკინიგზო მშენებლობის გაშლის, არარაციონალური გადაზიდვების მაქსიმალურად შემცირების და მგზავრთა გადაყვანგადმოყვანის გაუმჯობესების საქმეში.

ამ მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზელებს სერიოზული მუშაობა უნდა ჩაეტარებინათ. კაპიტალური მშენებლობის ხაზით მარტო 1939 წელს ასათვისებელი იყო 60,638 ათასი მანეთი[3].

---

[1] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 1-2, 1940, გვ. 71-75.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1940, 16 თებერვალი.

[3] იქვე, 1939, 20 აპრილი.

ლეგაცია, რომელშიც შედიოდა ოთხი მოწინავე კოლმეურნეობის წარმომადგენლები. ისინი გაეცვნენ სოფ. შრომისა და საქართველოს სხვა მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობას და გადაიღეს მოწინავე გამოცდილება[1].

მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება ფართო მასშტაბს ღებულობდა, მდიდრდებოდა ახალი, ნათელი საქმეებით, რაც დიდი შემოქმედებითი შრომის შედეგი იყო. მშრომელთა შეხვედრები და მიმოწერები წარმოადგენდნენ ცოცხალ დადასტურებას საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარულისა სამშობლოსადმი, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის დემონსტრაციას.

ამრიგად, მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლა შრომითი აღმავლობის მძლავრი სტიმული იყო. საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა ერთმანეთს უზიარებდა წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პროგრესულ მიღწევებს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობისათვის ერთიან ბრძოლაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა. სულ უფრო მტკიცე და მრავალფეროვანი ხდებოდა საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების მშრომელების თანამშრომლობა.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1938, 6 ნოემბერი.

თავი მესამე

საქართველოს სოციალისტური მრეწველობა და ტრანსპორტი მესამე ხუთწლედში

§ 1. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის შედეგები მრეწველობასა და ტრანსპორტზე

1938 — 1940 წლებში საქართველოში დამთავრდა მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი საწარმოების მშენებლობა. აღსანიშნავია ახალი მძლავრი შახტები ტყიბულსა და გელათში, აგრეთვე ზაჰესის უკანასკნელი აგრეგატი, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატი, ჩაის ახალი ფაბრიკები და სხვ. ამ წლებში რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის საწარმოთა რაოდენობა 26 პროცენტით გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში ფართოდ ვითარდებოდა ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობაც. ამ დარგის სამრეწველო საწარმოთა გაფართოებასთან დაკავშირებით წვრილ საწარმოთა რაოდენობა 1940 წელს 1937 წელთან შედარებით გაიზარდა 2,1-ჯერ[1].

ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი ორი წლის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების წინაშე XVIII პარტყრილობის მიერ დასმული ამოცანების განხორციელება შეაჯამა საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობამ (1940 წ. მარტი) და დასახა ღონისძიებანი მათი ვადამდე შესრულებისათვის.

მესამე ხუთწლედის პირველი წელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ახალი გამარჯვებებით აღინიშნა. საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი და-

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 428—429.

ქვემდებარების მრეწველობის საწარმოებმა 885 840 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, რაც გეგმის 99,2 პროცენტს შეადგენდა. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა თავისი გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულეს. 1939 წელს კი საერთო პროდუქციის დარგში რესპუბლიკური, საკავშირო-რესპუბლიკური და საკავშირო სამრეწველო სახალხო კომისარიატების საწარმოებმა გეგმა 102,9 პროცენტით შეასრულეს. გამოშვებულ იქნა 985,316 ათასი მანეთის პროდუქცია[1].

დიდი იყო ამ წელს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მრეწველობის მიღწევებიც. საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 96,5 მილიარდ მანეთს, ე. ი. 1938 წელთან შედარებით გადიდდა 14,7 პროცენტით.

მრეწველობის სწრაფ განვითარებას ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საწარმოთა დარგობრივი მართვის განმტკიცებამ. მრეწველობის სხვადასხვა დარგს ხელმძღვანელობდა 20 დარგობრივი სახალხო კომისარიატი[2].

საქართველოს სამრეწველო სახალხო კომისარიატების საწარმოთა პროდუქციის ზრდაზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა № 2 ცხრილი.

მესამე ხუთწლედში, ისევე როგორც წინა ხუთწლედებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მრეწველობის განვითარებას, რაც დიდად იყო დამოკიდებული სათბობის და ენერგეტიკული ბაზის გაფართოებაზე.

განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ქვანახშირის მოპოვების გადიდებას. ამიტომ ეს საკითხი დადგა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. მაგალითად, 1938 წლის 21 მაისს ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტმა ქვანახშირის ამოღების 1938 წლის გეგმა 18 დეკემბრისათვის შეასრულა, წლის ბოლომდე კი მოპოვებულ იქნა 260 660

---

1 საქ. კპ (ბ) XIII ყრილობა, სტენოგრ. ანგარიში, თბ., 1940, გვ. 10.
2 История СССР, 1957, стр. 507 — 508.

(პროდუქციის ზრდა ათას მანეთობით, 1926/27 წწ. უცვლელი ფასების მიხედვით)

სახალხო კომისარიატების დასახელება	1937 წ.	1938 წ.	1939 წ.	ზრდა 1939 წ. 1937 წელთან შედარებით
ყვების მრეწველობის სახ. კომისარიატი	164,100	198,000	235,842	43,7%-ით
ხორცისა და რძის მრეწ. სახ. კომისარიატი	24,205	25,573	28,201	16,5
მსუბუქი მრეწ. სახ. კომისარიატი	57,782	60,918	73,424	27,0
საფეიქრო მრეწ. სახ. კომისარიატი	54,984	57,233	67,581	23,0
ადგილობრივი მრეწ. სახ. კომისარიატი	50,314	51,952	58,486	16,2
სატყეო მრეწ. სახ. კომისარიატი	18,516	20,349	21,508	16,1
სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწ. მთავარი სამმართველო (რაიაღმასკომის საწარმოთა გამოკლებით)	4,086	4,240	5,026	23,0
	371,953	417,265	490,068	31,7%

ტონა, ანუ გეგმის 104.2 პროცენტი. 1939 წლის გეგმა (310 ათასი ტონის რაოდენობით) ტრესტმა მთლიანად შეასრულა და ქვანახშირის ამოღება 1938 წელთან შედარებით გაადიდა 19 პროცენტით[2].

გაიზარდა ქვანახშირის ამოღება ტყვარჩელშიც და 1938 წელს 167 080 ტონამდე მიაღწია. 1939 წელს ტრესტმა „ტყვარჩელქვანახშირმა“ პირველად შეასრულა თავისი საწარმოო გე-

1 საქ. კპ (ბ) XIII ყრილობის (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1940, გვ. 19.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. 11299, ფურც. 15. გაზ: „კომუნისტი“, 1939, 24 ოქტომბერი.

გმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220 ათასი ტონისა, ამოღებულ იქნა 237 400 ტონა. 1938 წელთან შედარებით ზრდა 43 პროცენტს შეადგენდა.

შახტებში მექანიზაციის გამოყენებისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარების შედეგად შრომისნაყოფიერება ერთ მუშაზე 1939 წელს 20 პროცენტით გაიზარდა 1938 წელთან შედარებით. შესაბამისად გადიდდა ხელფასიც.

მწყობრში შედიოდა ახალი შახტები. მაგალითად. 1939 წლის ნოემბერში ექსპლოატაციაში შევიდა შახტი გელათში, 60 ათასი ტონა ქვანახშირის წლიური სიმძლავრით. ხოლო 1940 წლისათვის ქვანახშირის ამოღებას ამ შახტში 50 000 ტონისათვის უნდა მიეღწია.

მესამე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე სწრაფად ვითარდებოდა რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობაც. 1938 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ზაჰესის ახალი აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 12 000 კილოვატს უდრიდა.

მშენებლობის დაწყებიდან 5 წლისთავზე, 1938 წლის 21 დეკემბერს, დამთავრდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის საერთო სიმძლავრე უდრიდა 100 ათას კილოვატს. თბოსადგური ჩართულ იქნა საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების ქსელში. იგი აიგო ტყვარჩელის ქვანახშირის მყარ საწარმოო ბაზაზე. თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგურ—სამტრედიის 110 ათასი კილოვატი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1938 წლის ნოემბერში.

1939 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 ათასი კილოვატის სიმძლავრის თბილისის თბოელექტროცენტრალის პირველი აგრეგატი.

საქართველოს სსრ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1940 წლის 1 იანვრისათვის 178 000 კილოვატს მიაღწია, ე. ი. ორი წლის განმავლობაში 43,5 პროცენტით გაიზარდა.

1938 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენდა 496 მილიონ კილოვატსაათს. საქენერგომ ელენერგიის გამომუშავების გეგმა შეასრულა 93,2 პროცენტით. 1939 წელს გამომუშავებულ იქნა დაახლოებით 700 მილიონი კილოვატსაათი.

ამასთან საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 588,1 მილიონი კილოვატსაათი ენერგია. საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა რიონჰესს. რომელმაც 1939 წელს სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა[1].

1939 წელს ამოღებულ იქნა 19,3 ათასი ტონა ნავთობი[2]. გატარდა ღონისძიებები ნავთობის ახალი რესურსების აღმოსაჩენად.

1938 წლის 21 აპრილს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქნავთის" მუშაობის გაუმჯობესების შესახებ[3]. განახლებულ იქნა „საქნავთის" ხელმძღვანელობა და დაისახა მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებანი.

1938 წელს „საქნავთმა" ნავთის მოპოვების გეგმა შეასრულა 155,5 პროცენტით. გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის № 27 ბრძანებით ტრესტ „საქნავთის" მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების და ხელმძღვანელების ჯგუფი დაჯილდოებულ იქნა „მძიმე მრეწველობის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის" ნიშნით და „მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქების სიგელით"[4].

მანგანუმის ამოღებამ 1937 წელს 1650 ათას ტონას მიაღწია. მაგრამ „მანგანუმტრესტის" არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და სათანადო პარტიული ორგანოების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად ეს დონე შემდეგში ვერ იქნა შენარჩუნებული და გეგმა 1938 წელს შესრულდა მხოლოდ 85,2 პროცენტით, ხოლო 1939 წლის გეგმა — 88,1 პროცენტით[5].

გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა მექანიზაციის დაბალი დონე, შრომის სუსტი ორგანიზაცია

---

1 საქ. კპ (ბ) XIII ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1940, გვ. 33; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 136, ს. 13, ფურც. 4.

2 პარტიული არქივი (თბ.,) ფ. 14, აღწ. 1, ს. 10920, ფურც. 42.

3 იქვე, ს. 7929, ფურც. 18-19.

4 იქვე, ს. 9870, ფურც. 36-37.

5 იქვე, ს. 10920, ფურც. 42.

და მუშათა არადამაკმაყოფილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, რაც იწვევდა მუშახელის დიდ დენადობას. მაგალითად, 1939 წლის განმავლობაში „მანგანტრესტმა“ სამუშაოზე მიიღო 4772 კაცი, ამავე პერიოდში წარმოებიდან წავიდა 4980 კაცი.

გეგმა შრომისნაყოფიერების დარგში 1939 წელს მხოლოდ 95,5 პროცენტით შესრულდა. პროდუქციის თვითღირებულება კი ნაცვლად შემცირებისა 9,5 პროცენტით გადიდდა.

მესამე ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მანქანათმშენებლობის განვითარებას, რაც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი 1938 წელს აერთიანებდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების 10 საწარმოს. აქედან წმინდა მანქანათსაშენი იყო 5 საწარმო, ხოლო ლითონდამმუშავებელი 4. ს. მ. კიროვის სახელობის დაზგათსაშენი და ბათუმის ჩაის მანქანათსაშენი ქარხნები, აგრეთვე „ცენტროლიტი“, რომელიც ძირითადად ამზადებდა მანქანათსაშენი ქარხნებისათვის სამანქანო დაზგების სხმულებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს წარმოადგენდნენ. 1936 წელს მიღებული გადაწყვეტილებით თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა, რომელიც ნავთობის მრეწველობისათვის სპეციალურ მოწყობილობას ამზადებდა, გადავიდა დაზგათმშენებლობაზე[1].

მანქანათმშენებლობის ძირითად დარგს, დაზგათმშენებლობასთან ერთად, შეადგენდა სამშენებლო დაზგათმშენებლობა. მ. კალინინის სახ. მექანიკური ქარხანა უშვებდა ლითონის ფართო მოხმარების საგნებს, ხოლო 1938 წელს პირველმა საბჭოთა კავშირში აითვისა და გამოუშვა ქვის საღარავი დაზგა. აქაევ წელს დაამზადა ქვის საჭრელი 13 დაზგა, ხოლო 1939 წელს დაიწყო ქვის სახეხი დაზგის ათვისება[2].

---

1 Л. А. Айзенштат, С. А. Чихачев, Очерки по истории станкостроения СССР, М., 1957, стр. 237.

2 სცსა (თბილისი), ფ. 2512, აღწ. 1 ს. 121, ფურც. 204, 232; ს. 192, ფურც. 42.

საქართველოს აბრეშუმის და საფეიქრო მანქანათმშენებლობა კონცენტრირებული იყო 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში. 1938 წელს ქარხანამ გამოუშვა 8170 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია, რაც 14,9 პროცენტით აღემატებოდა 1937 წელა გამომუშავებულ მთლიან პროდუქციას[1].

დამზადებული მანქანები იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის საფეიქრო გიგანტებისათვის.

1940 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. საბჭოთა კავშირში საფეიქრო მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარების შედეგად 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ამ პროდუქციის გამოშვება რამდენადმე შემცირდა. ქარხანამ თანდათანობით დაიწყო სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო მშენებლობისათვის ახალი მანქანა-დანადგარების წარმოებაზე გადასვლა[2].

ხილის გადამუშავებისა და მეღვინეობისათვის მანქანა-დანადგარებს ძირითადად ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა ამზადებდა.

მესამე ხუთწლედში ჩაის მრეწველობისათვის მანქანათწარმოება ძირითადად კონცენტრირებული იყო ბათუმის სპეციალურ მანქანათსაშენ ქარხანაში, რომელიც 1936 წელს ამუშავდა. იგი წარმოადგენდა ამ დარგის ერთადერთ უდიდეს ქარხანას სსრ კავშირში.

ჩაისა და მეღვინეობის მანქანათმშენებლობის გარდა მესამე ხუთწლედში თანდათანობით ვითარდებოდა კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების წარმოება.

მანქანათმშენებელმა ქარხნებმა აითვისეს ისეთი მანქანა-დანადგარების გამოშვება, რომლებიც წინათ საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან შემოგვქონდა და შეძლეს თავიანთი პროდუქცია მიეწოდებინათ სხვა ქვეყნებისათვის.

ამრიგად, საქართველოს მანქანათმშენებლობა მეორე და მესამე ხუთწლედებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა რესპუბლი-

---

1 სცსა (თბილისი), ფ. 2512, ს. 121, ფურც. 76.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 156, ს. 1-ბ, ფურც. 22.

უნდა აშენებულიყო გორი-სტალინირის რკინიგზის ხაზი, დაემთავრებინათ მოსავლელი შტოს მშენებლობა ზაჰესთან და მთელი რიგი სხვა სამუშაოები.

გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობას 1939 წლის 1 აპრილს ჩაეყარა საფუძველი. მისი სიგრძეა 33 კილომეტრი. 1939 წ. 22 აგვისტოს და 1940 წლის 5 მაისს გზის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი განიხილა ცენტრალურმა კომიტეტმა და დასახა ღონისძიებები რკინიგზის შტოს მშენებლობის დასაჩქარებლად[1]. 1940 წლის 28 ივლისს გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობის განხორციელებით საბჭოთა სამხრეთ ოსეთის განვითარების ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა[2].

ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე 1940 წელს ასიგნებული 10 მლნ მანეთი ათვისებულ იქნა მხოლოდ 38 პროცენტით. მუშაობის გაშლის მიზნით 1940 წ. დეკემბერში საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კპ(ბ) ცკ-მა მიიღეს დადგენილება, სადაც გათვალისწინებული იყო მშენებლობის მუშახელით. საჭაპანო ტრანსპორტით, ინსტრუმენტებითა და კადრებით უზრუნველყოფის საკითხები[3].

მესამე ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიის რკინიგზამ არსებითი ხასიათის წარმატებებს მიაღწია. საგრძნობლად გაიზარდა ვაგონების სადღეღამისო დატვირთვა, ტექნიკური და კომერციული სისწრაფე, შემცირდა ვაგონების მოცდენა.

1938 წელს რკინიგზამ საერთო ტვირთის გაგზავნის გეგმა შეასრულა 101,4, ხოლო ტვირთის მიღებისა — 100,3 პროცენტით და სხვ. ვაგონების მიმოქცევის სიჩქარე 1937 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა და მათმა სადღეღამისო გარბენამ 24 კილომეტრით მოიმატა.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რკინიგზის 88 მოწინავე მუშაკი დაჯილდოვებულ იქნა საკავშირო ორდენებითა და მედლებით და ამიერკავკა-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 7, ს. 9536, ფურც. 1-2; ნაწ. 8, ს. 10572, ფურც. 37-39.

2 გაზ. „კომუნისტი", 1940, 28 ივლისი.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1 ნაწ. 9, ს. 11761, ფურც. 93-95.

სიის რკინიგზას მიეკუთვნა გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა[1].

სწრაფად ვითარდებოდა მესამე ხუთწლედში კავშირგაბმულობის საშუალებანი. თუ 1913 წელს საქართველოში კავშირგაბმულობის მხოლოდ 108 დაწესებულება არსებობდა, 1937 წელს მათი რიცხვი 507-მდე გაიზარდა[2]. ხოლო 1939 წლის დასასრულისათვის საქართველოში იყო კავშირგაბმულობის 650 განყოფილება. მექანიზებული იყო 2806 კილომეტრი სატელეფონო ხაზი. საქალაქო-სატელეფონო სადგური იყო 77. სარაიონო სატელეფონო სადგური — 265, რადიომაუწყებლობის კვანძი — 71, სატელეგრაფო აპარატი 402, რადიოსადგური — 4 და სხვ.

საქართველოს ყველა რაიონს თითქმის პირდაპირი კავშირი ჰქონდა თბილისთან საქალაქთაშორისო ტელეფონით.

რაიონულ ცენტრებში შენდებოდა 9 ავტომატური, 5 ცენტრალური და 5 ადგილობრივი სატელეფონო სადგური. რადიოფიცირების დარგში წარმოებდა 1 მილიონი მანეთის ათვისება[3].

ჯერ კიდევ მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მზარდი სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების, მუშების კვალიფიკაციის, მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საქმეს. მეორე ხუთწლედის შუა პერიოდიდან სავალდებულო ტექნიკური სწავლება და მეორე საფეხურის კურსები გადაიქცნენ მუშების კვალიფიკაციის ამაღლების ძირითად ფორმად. 1936 — 1937 წლებში თითქმის მთელი მუშათა კლასი ჩაბმულ იქნა საწარმოო-ტექნიკურ სწავლებაში.

საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის კადრებზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძირითად წყაროს წარმოადგენდა უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლები, რომელთა ქსელი ყოველწლიურად ფართოვდებოდა. 1940

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1940, 4 აგვისტო.

2 Грузинская ССР за 20 лет, 1941, стр. 79.

3 კავშირგაბმულობის სამინისტროს არქივი, ფ. 1, აღწ. 1, ს. 163, ფურც. 1-30.

წელს საქართველოში ითვლებოდა 21 უმაღლესი სასწავლებელი 28,5 ათასი სტუდენტით. 1940/41 სასწავლო წელს არსებობდა 192 ტექნიკუმი და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებელი 26.1 ათასი მოსწავლით[1].

1928 — 1940 წლებში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 29 295 სპეციალისტი. უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების საშუალო წლიური ზრდის ტემპი მესამე ხუთწლედის პერიოდში 3-ჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა პირველ ხუთწლედში კადრების გამოშვების ტემპებს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 1000 დასაქმებულზე მოდიოდა უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლების 163 კაცი, მათ შორის 1000 მუშაზე — 124, მოსამსახურეზე — 703, კოლმეურნეზე — 36[2].

ამრიგად, რესპუბლიკის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში ომამდელი ხუთწლედების მანძილზე მიღწეულ იქნა დიდი წარმატებები.

მაგრამ საერთო აღმავლობის მიუხედავად ადგილი ჰქონდა ჩავარდნებს. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა ფეხსაცმლის, საფეიქრო წარმოებები და სხვ.

საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობამ ყურადღება გაამახვილა მრეწველობის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებით აღინიშნა მუშახელის დიდი დენადობა, უმთავრესად მსუბუქი მრეწეველობის საწარმოებში, აგრეთვე მშენებლობაში. ამის მიზეზი იყო სუსტი ხელმძღვანელობა, შრომის დაბალი დისციპლინა, ზოგიერთ საწარმოსა და მშენებლობაზე შინაგანი რესურსების არასრულად გამოყენება, ეკონომიისათვის ბრძოლის შესუსტება, სტახანოვური, მრავალდაზგოსანთა მოძრაობის და შრომის სხვა სოციალისტური ფორმების სუსტად გაშლა და სხვ.

ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ პარტორგანიზაციები

---

1 Советская Грузия к 50 летию, стр. 218, 229.

2 საქ. კპ (ბ) XIII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1940, გვ. 38.

სათავეში ჩადგომოდნენ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლას, რომლებიც აფერხებდნენ მრეწველობის განვითარებას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად საქართველოში ომამდელ ხუთწლედებში სამრეწველო მშენებლობის ტემპები გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლედის მანძილზე კაპიტალური დაბანდებანი პირველ ხუთწლედთან შედარებით 2,7-ჯერ გაიზარდა. საქართველოში ეს ზრდა თითქმის 3,3-ჯერ მეტი იყო. მათ შორის მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებანი შესაბამისად შეადგენდა 265,3 პროცენტს და 303,4 პროცენტს[1].

მესამე ხუთწლედის სამნახევარი (1938 — 1941 წ. ივნისი) წლის მანძილზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას თითქმის იმდენივე კაპიტალდაბანდება მოხმარდა, რაც მთელ მეორე ხუთწლედში და მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულის 86 პროცენტს მიაღწია. ამავე წლების მანძილზე საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 2717 მლნ მანეთი (შესაბამისი ფასებით), რაც მეორე ხუთწლედის მთელ კაპიტალდაბანდებათა 93,4 პროცენტს შეადგენდა[2].

აღნიშნულ კაპიტალდაბანდებათა დაახლოებით ერთი მესამედი ახალ ინდუსტრიულ მშენებლობას მოხმარდა.

კაპიტალდაბანდებამ მრეწველობაში მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში შეადგინა 793,8 მლნ მანეთი, აქედან მარტო 1940 წელს 306,9 მლნ მანეთი[3].

საქართველოში ახალი სამრეწველო მშენებლობის უფრო

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1941, № 2, გვ. 130; გაზ. „კომუნისტი", 1941. 25 თებერვალი.

2 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1961 წწ.", თბ. 1961, გვ. 384.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, ს. 647, ფურც. 100: საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ტომში, 1968, რუს. გამოც. 144 გვერდზე მოტანილი მრეწველობაში კაპიტალური დაბანდების ციფრი 106,3 მლნ მანეთი — არაზუსტია. იგი შეეხება კაპიტალურ მშენებლობას მრეწველობაში.

სწრაფი ტემპი თვალსაჩინო მაჩვენებელია ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისა, რომელიც მიმართული იყო წინათ ჩამორჩენილი მხარეებისა და რესპუბლიკების სწრაფი ინდუსტრიალიზაციისაკენ, მათი ჩამორჩენილობის აღმოფხვრისაკენ.

ინდუსტრიალიზაციის პროგრამის სწრაფ განხორციელებაზე მიუთითებს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობის ზრდა. 1927 — 28 წლებამდე ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით ფაქტიურ ღირებულებაში მან შეადგინა 136,6 მლნ მანეთი, პირველ ხუთწლედში — 786,8, მეორე ხუთწლედში — 2581,7, ხოლო მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში — 2343,0 მლნ მანეთი. სულ 1921 — 1940 წლებში — 5848,1 მლნ მანეთი. აქედან მარტო მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 3 122,5 მლნ მანეთი[1].

საქართველოს სსრ მრეწველობაში საშუალო წლიური კაპიტალური დაბანდება (ლიმიტგარეშე დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით) უდრიდა პირველ ხუთწლედში 79,3 მლნ მანეთს, მეორეში — 195,3 მლნ მანეთს და მესამე ხუთწლედში — 264,6 მლნ მანეთს[2].

ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპების მაჩვენებლებს წარმოადგენდა სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური გამოშვების განუხრელი ზრდა. პირველ ხუთწლედში პროდუქციის საშუალო წლიურმა გამოშვებამ შეადგინა 246,5 მლნ მანეთი, მეორე ხუთწლედში — 1104 მლნ მანეთი[3].

საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქცია მო-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, 647, ფ. 101; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მასალების მიხედვით კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში 1921 — 1940 წლებში შეადგინა 5720 მლნ მანეთი. ამასთან მარტო მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში თითქმის 3 მილიარდი მანეთი. იხ. ჟურნ. „ბოლშევიკი", 1941, № 2, გვ. 130; ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1941, № 2, გვ. 13.

2 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1946 წწ. თბ., 1947, გვ. 287.

3 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1941, №2, გვ. 13.

1940 წელს საქართველოს კვების მრეწველობამ გამოუშვა (1926-27 წლის უცვლელი ფასებით) 360,0 მლნ მანეთის პროდუქცია. ეს 14,6-ჯერ აღემატებოდა 1927-28 წლების მონაცემებს[1].

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის პროდუქციის გამოშვება. აიგო და ამოქმედდა ჩაის 35 ფაბრიკა, რომლებმაც 1940 წელს, როგორც აღვნიშნეთ, გამოუშვეს 10 961 ტონა ბაიხის ჩაი[2] და ამრიგად ამ სახის ჩაის წარმოება 1913 წელთან შედარებით 43-ჯერ გაიზარდა. აგური ჩაის წარმოებისათვის ქ. ზუგდიდში მთავრდებოდა ჩაის საწნეხი ფაბრიკის მშენებლობა. ჩაის წარმოების ნარჩენების ბაზაზე ბათუმში ორგანიზებულ იქნა საკავშირო მნიშვნელობის კოფეინის პირველი ქარხანა. თბილისში აშენდა ჩაის გადამწონი ფაბრიკა.

დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული მევენახეობის სანედლეულო ბაზის გასაფართოებლად და ოდითგანვე განთქმული ქართული ღვინოების სამრეწველო დამუშავების ორგანიზაციისათვის. თბილისის შამპანკომბინატი, რომლის პირველი რიგი 1939 წელს ამუშავდა, უშვებდა 4,0 მლნ ბოთლ შამპანურს.

ხილისა და ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის გადასამუშავებლად აგებულ იქნა მთელი რიგი საკონსერვო ქარხნები გორში, ქუთაისში, ბათუმში და სხვაგან, რომლებმაც 1940 წელს გამოუშვეს 29,1 მლნ პირობითი ქილა სხვადასხვა კონსერვი.

საქართველოს სსრ თამბაქოს ფაბრიკებმა 1940 წელს გამოუშვეს 4 632,9 მლნ ცალი პაპიროსი. აგებულ იქნა მთელი რიგი საფერმენტაციო ქარხნები ხარისხოვანი თამბაქოს გადასამუშავებლად.

სამრეწველო საფუძველზე დაიწყო პურის ცხობა. თბილისში აგებულ იქნა პურის 2 მექანიზებული ქარხანა. ამასთან მთელ რიგ რაიცენტრებში მოწყობილ იქნა მექანიზებული პურსაცხობები. თბილისში მოქმედებდა მექანიზებული წისქვილ-კომბინატი მძლავრი ელევატორით.

კვების მრეწველობის ზემოაღნიშნულ საწარმოთა გარდა გასული წლების მანძილზე აგებულ და რეკონსტრუირებულ

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941, 25 თებერვალი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, ს. 647, ფურც. 28-29.

იქნა მაკარონის, მარგარინის ფაბრიკები თბილისში, საკონდიტრო, ლიმონათის, საპნის, ზეთსახდელი და ლუდის ქარხნები.

საქართველოს ეთერ-ზეთოვანმა მრეწველობამ თავისი არსებობის ხანმოკლე დროის განმავლობაში აითვისა ეთეროვანი ზეთის გამოშვება ფართო ასორტიმენტით (დაახლოებით 20 სახის).

ხორცისა და რძის მრეწველობის დარგში ჩატარებულ იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა ბატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად. პროდუქციის გამოშვებამ 1940 წელს მიაღწია 23,3 მლნ მანეთს.

საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობა. ახლად შეიქმნა მთელი რიგი ტექნიკურად შეიარაღებული დარგები.

საქართველოს მსუბუქმა და საფეიქრო მრეწველობამ 1940 წელს 264,8 მლნ მანეთის პროდუქცია გამოუშვა (1926/27 წლების ფასებით). მსუბუქმა მრეწველობამ 1939 წელთან შედარებით პროდუქცია 9,1 პროცენტით გაზარდა.

1940 წელს სსრ კავშირის მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 20 მეტრი ბამბის ქსოვილი, 0,6 მეტრი შალის, 0,4 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი და 1,1 წყვილი ტყავის ფეხსაცმელი მოდიოდა. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ დაახლოებით 0,1 მეტრი ბამბის, 0,5 მეტრი შალის, 1,4 მეტრი აბრეშუმის (ნახევრად აბრეშუმის ჩათვლით) ქსოვილი და 2,4 წყვილი ტყავის ფეხსაცმელი მზადდებოდა[1].

მუბუქი მრეწველობის საწარმოებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, შემცირდა კადრების დენადობა, გაფართოვდა სტახანოვური მოძრაობა, ამაღლდა მუშათა კვალიფიკაციის დონე. 1940 წლის ივნისიდან გაიზარდა გამომუშავების ნორმები სამუშაო დღის გადიდებასთან დაკავშირებით. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა მარტო 1940 წელს გამოუშვეს 465 მილიონამდე მანეთის პროდუქცია, ანუ 18-ჯერ მეტი, ვიდრე 1928 წელს.

დიდი წარმატებები მოიპოვა ადგილობრივმა მრეწველობამ

---

1 Народное хозяйство ССР. стат. сб., 1965, стр. 81, 84, 85, 86, 87.

ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების საქმეში. 1940 წელს ამუშავდა მსხვილი მუსიკალური ფაბრიკა, რომელსაც შეეძლო გამოეშვა 3000 პიანინო და 35 ათასი სიმებიანი საკრავი.

კაპიტალური მშენებლობის უდიდესი მოცულობა მოითხოვდა სამშენებლო მასალათა სათანადო ბაზის შექმნას. აგებულ იქნა კასპის ცემენტის ქარხანა. 1940 წელს ამუშავდა მშრალი წნეხვის ახალი მექანიზებული ქარხანა 14.0 მლნ ცალი აგურის სიმძლავრისა.

სარეწაო კოოპერაცია, რომელიც სამრეწველო წარმოების სხვადასხვა დარგს მოიცავდა, ვითარდებოდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაფართოების ხაზით. ხუთწლედების განმავლობაში შექმნილმა საწარმოებმა 1940 წელს გამოუშვეს 291,0 მლნ მანეთის სხვადასხვა ნაწარმი (1932 წლის ფასებით), ძირითადად ფართო მოხმარების საქონელი.

1940 წელს საქართველოს რკინიგზების საექსპლოატაციო სიგრძემ უკვე 1133 კილომეტრს მიაღწია, ნაცვლად 1913 წლის 723 კილომეტრისა. მათ შორის ელექტრიფიცირებული იყო 275 კმ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის შესაბამისად იზრდებოდა გადაზიდვები. იცვლებოდა მათი სტრუქტურა. გაიგზავნა 5240 ათასი ტონა ტვირთი, მიღებულ იქნა 8191 ათასი ტონა[1]. 1940 წელს გადაზიდვათა საერთო მოცულობამ (ტვირთის გაგზავნა და მიღება) 13,4 მლნ ტონას მიაღწია.

თვალსაჩინოდ განვითარდა საავტომობილო ტრანსპორტიც. 1940 წლის ბოლოსათვის საავტომობილო გზების სიგრძე ახალი მშენებლობის შედეგად უკვე აღწევდა 13,6 ათას კილომეტრს (მკვრივი საფარით — 8,1 ათასი კილომეტრი), ნაცვლად 10,7 ათასი კილომეტრისა 1938 წლის ბოლოსათვის. გაუჯობესდა საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა. ტრანსპორტის განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სისტემატურ ზრუნვაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ 1928 — 1940 წლებში საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 483,8 ათასიდან 7 500 ათას ტონა-კილომეტრამდე გაიზარდა,

---

1 Советская Грузия по ленинскому пути, Тб., 1970, стр. 107.

სახლეობის ერთ სულზე (1926/27 წწ. უცვლელი ფასებით) თუ 1933 წელს შეადგენდა 181.7 მანეთს, 1940 წელს შეადგინა 392.2 მანეთი. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1913 წელს შეადგენდა 18,0 მანეთს, ხოლო 1940 წელს შეადგინა 331,8 მანეთი[1].

ომის წინა პერიოდში საქართველოში მოსახლეობა 2-ჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოსახლეობის ასეთი სწრაფი ზრდის მიუხედავად, ჩვენს რესპუბლიკაში ერთ სულზე მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოება 1939 წლისათვის 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 17.8-ჯერ, საბჭოთა კავშირს ამ მხრივ პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში[2].

უაღრესად შინაარსიანი და მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებით მდიდარი იყო ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი 1940 წელი. იგი იყო სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის არნახული აღმავლობის წელი. მილიონობით სტახანოველმა და სოციალისტური შრომის ნოვატორმა, მრავალდაზგოსანმა და სწრაფმბურღავმა კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი ქვეყნის დოვლათი, კიდევ უფრო განამტკიცა მისი ძლიერება. 1940 წელს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საქართველოს მშრომელებმა ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს. ამ წელს ძირითადად შეჯამდა მესამე ხუთწლედის შედეგები.

1940 წელს მსხვილი მრეწველობის მიერ გამოშვებულმა საერთო პროდუქციამ (1926/27 წლების უცვლელი ფასებით) შეადგინა 1209,1 მლნ მანეთი[3]. საკავშირო რესპუბლიკური სამრეწველო სახალხო კომისარიატების საერთო პროდუქციამ — 516,464 ათასი მანეთი[4]. სამრეწველო კოოპერაციისა და ინკო-

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1946 წწ. თბ., 1947, გვ. 289.

2 ალ. კოპლავაშვილი, საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკაა, თბ., 1971, გვ. 23.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ანაწ. 3, ს. 647, ფურც. 21.

4 იქვე, ფ. 24.

ოპის საწარმოთა პროდუქციამ 151.442 ათასი მანეთი[1]. წვრილი მრეწველობის პროდუქციამ 200,9 მლნ მანეთი[2].

კაპიტალურმა დაბანდებამ მთელ სახალხო მეურნეობაში 1940 წელს ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით შეადგინა 910,9 მლნ მანეთი[3].

მეორე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საშუალო კაპიტალურმა დაბანდებამ შეადგინა 516,3 მლნ მანეთი, ხოლო მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში იგი გაიზარდა 845,4 მლნ მანეთამდე, ანუ 63,8 პროცენტით. საშუალო წლიური კაპიტალდაბანდება მრეწველობაში მეორე ხუთწლედში შეადგენდა 195,3 მლნ მანეთს, ხოლო სამი წლის მანძილზე (1938 — 1940 წწ.) ის გაიზარდა 264.6 მლნ მანეთამდე. ანუ თითქმის 36 პროცენტით[4].

საქართველოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1940 წელს. 1913 წელთან შედარებით, გაიზარდა 10.2-ჯერ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი 2,5-ჯერ[5]. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ხუთწლედების მანძილზე მსხვილი მრეწველობა.

საქართველოს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ, როგორც აღვნიშნეთ, 1940 წელს შეადგინა 1200 მლნ მანეთზე მეტი, ანუ 1913 წელთან შედარებით იგი 26.9-ჯერ გადიდდა[6].

1940 წელს სსრ კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 8.5-ჯერ[7], ხოლო მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია დაახლოებით 12-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს[8].

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ანაწ. 3, ს. 647, ფ. 25.

2 იქვე, ფ. 26.

3 იქვე, ფურც. 101.

4 Н. М. Ткешелашвили, Очерки развития промышленности Советской Грузии, Тб., 1970, стр.

5 Страна Советов за 50 лет, М., 1967, ув. 318.

6 კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ. 4; ჟურნ. „ბოლშევიკი", 1941, № 2, გვ. 112.

7 Народное хозяйство СССР, стат. сб., М., 1955, стр. 45.

8 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1946 წწ., თბ., 1947, გვ. 20.

მაშასადამე მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპები საქართველოში ორჯერ და კიდევ უფრო მეტად სწრაფი იყო, ვიდრე საერთოდ სსრ კავშირში.

საქართველოს მაჩვენებლები სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებითაც მაღალი იყო. მაგალითად, რსფსრ-მ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაადიდა 8,7-ჯერ, უკრაინის სსრ — 7,3, ბელორუსიის — 8,1, სომხეთის — 8,7, ტაჯიკეთის — 8,8, ყაზახეთის — 7,8, ყირგიზეთის — 9,9, თურქმენეთის — 6,7, აზერბაიჯანის — 5,9 და უზბეკისტანის — 4,7-ჯერ[1].

როგორც ვხედავთ მრეწველობის განვითარების ტემპები წარმოადგენენ სოციალისტური განვითარების უპირატესობის დამახასიათებელ მთავარ მაჩვენებლებს.

წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1940 წელს შეადგენდა 40,4 პროცენტს[2]. ლითონდამმუშავებელი ქარხნების პროდუქციამ ფულად გამოხატულებაში შეადგინა 151,5 მლნ მანეთი[3]. ამდენად ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი საქართველოს მთელი მსხვილი მრეწველობის პროდუქციაში 1940 წელს 12,5 პროცენტამდე ავიდა.

1940 წლისათვის საერთო პროდუქციის გამოშვება ადგილობრივი მრეწველობის მანქანათმშენებელ და ლითონდამმუშავებელ საწარმოებში (1926/27 წწ. ფასებში) ასეთ სურათს იძლეოდა: 26 კომისრების სახ. ქარხანა — 9,9, ორჯონიკიძის სახ. — 6,2, კალინინის სახ. — 3,9, ლითონკონსტრუქციების ქარხანა — 4,2, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა — 2,0, ინსტრუმენტალური ქარხანა — 2,0, მომთუთიებელი ქარხანა — 2,0, სულ 30,2 მლნ მანეთი. აღნიშნულ საწარმოებში

---

1 СССР в цифрах в 1967 году. Краткий стат. сб., М., 1968, стр. 54.

2 საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., გვ. 397.

3 კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ. 4.

მუშათა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 1300 კაცს[1].

საქართველოს მრეწველობის სუსტ ადგილს ენერგომომარაგება წარმოადგენდა.

მესამე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობა მნიშვნელოვნად განვითარდა. მარტო 1938 — 1940 წლებში ექსპლოატაციაში შესული მსხვილი ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე (52 ათასი კვტ) სჭარბობდა ცალ-ცალკე აღებულ ზაჰესის (36,8 კვტ) და რიონჰესის (48,0 კვტ) სიმძლავრეს და 1913 წელს საქართველოს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეზე 6,5-ჯერ მეტი იყო[2]. მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის გამომუშავების 1940 წლის გეგმა 11 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა და გამოშვებულ იქნა 742 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია[3]. რესპუბლიკა მაინც ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ 1940 წლის ბოლოს 180,6 ათას კვტ-ს მიაღწია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენებული ელექტროსადგურები 37,5-ჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლეოდნენ, ვიდრე 1913 წელს არსებული სიმძლავრეები. 1937 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 500 მლნ კილოვატსაათს აღწევდა, ხოლო უკვე 1940 წელს თითქმის 1,5-ჯერ გადააჭარბა 1937 წლის დონეს და მოსახლეობის თითოეულ სულზე მოდიოდა საშუალოდ 207,8 კილოვატსაათი.

საქართველოს მრეწველობის ბევრ დარგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. ასეთი იყო, მაგალითად, მანგანუმის მრეწველობა, რომლის მუშაობაზედაც ბევრად იყო დამოკიდებული შავი მეტალურგიის საწარმოთა მიერ დავალების შესრულება. ფეროშენადნობის ქარხანა საჭირო ნედლეულს აწვდიდა მანქანათმშენებლობას, თავდაცვით მრეწველობას და სხვ. 1940 წელს მოპოვებულ იქნა 1 448,7 ათასი ტონა მანგანუმი. ჭიათურის მაღაროელები

---

[1] Н. М. Ткешелашвили, Очерки развития промышленности Советской Грузии, стр. 356.

[2] იქვე, გვ. 323.

[3] Достижения Советской Власти за 40 лет в цифрах, М., 1957, стр. 127—128.

მაღალხარისხოვანი მადნით ამარაგებდნენ სსრ კავშირის მეტალურგიულ ქარხნებს.

1940 წელს მანგანუმის სასაქონლო პროდუქციის გამოსავალი 1939 წელთან შედარებით გადიდდა, მაგრამ მანგანუმის მოპოვების წლიური გეგმა არ შესრულებულა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საკმაოდ არ იყენებდნენ მექანიზმებს და მოწყობილობას, დაბალი იყო შრომისნაყოფიერება და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ბრძოლა მადნის დანაკარგების აღმოფხვრისათვის.

ქვანახშირი ამოღებულ იქნა 625 ათასი ტონა. ტყიბული იძლეოდა საქართველოში მიღებული მთელი ქვანახშირის 61,7 პროცენტს, ტყვარჩელი — 38,3 პროცენტს. 1940 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 174 კგ ქვანახშირი, ნაცვლად 1913 წლის 27 კგ-ისა.

ტყიბულის ქვანახშირის აუზში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მექანიზაცია. 1937 წელს ხელით ამოღების ხვედრითი წილი 20,7 პროცენტს უდრიდა, 1940 წლისათვის ამოღება მთლიანად მექანიზებული იყო.

ყოველწლიურად იზრდებოდა ქვანახშირის მრეწველობაში ჩაბმული სამრეწველო პერსონალის, კერძოდ, მუშების რაოდენობა. ტყიბულის შახტებში დასაქმებული მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა რაოდენობა 1940 წელს, 1937 წელთან შედარებით, გადიდდა თითქმის 21 პროცენტით. მათ შორის მიწისქვეშ მომუშავე მუშების — 28,6 პროცენტით, სანგრეევებში მომუშავე მუშების 26,6 პროცენტით. ანალოგიურ ვითარებას ადგილი ჰქონდა ტყვარჩელის შახტებშიც.

ტყიბულის ქვანახშირის შახტების მუშების საშუალო წლიური ხელფასი 1940 წლისათვის შეადგენდა 6560 მანეთს, ხოლო ინჟინერ-ტექნიკოსი პერსონალისა — 11 260 მანეთს[1].

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა 1941 წლის 3 ივნისს განიხილეს საკითხი „საქ. სს რესპუბლიკაში ქვანახშირის მრეწველობის განვითარების შესახებ", აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წ. 12 ნოემბრის დადგენილების და ქვა-

---

[1] ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1950, ტ. IV, გვ. 220, 221.

ნახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის 1940 წ. 21 ნოემბრის № 300 ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და აღნიშნეს ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი, რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ახალი შახტების მშენებლობა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

„ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტმა 1941 წ. 5 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, „ტყიბულქვანახშირმა" კი მხოლოდ 95 პროცენტით.

სახკომსაბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში მთელი რიგი ღონისძიებანი დასახეს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის[1].

1938—1940 წლების მანძილზე ნავთობის ამოღება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1940 წელს მოპოვებულ იქნა 41,2 ათასი ტონა ნავთობი. ჭაბურღილების რემონტის გეგმა შესრულდა 128 პროცენტით. საექსპლოატაციო ბურღვის სისწრაფე გეგმის გადამეტებით გაიზარდა 18,3 პროცენტით, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გეგმა შესრულდა 116,2 პროცენტით. ექსპლოატაციაში შევიდა შირაქ-მირზაანის ნავთსადენი და მირზაანის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ამუშავებდა ბაქოს ნავთობს ექსპორტისა და შიდა მომსახურებისათვის. მარტო 1940 წელს ნავთობის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 47 790 ათასი მანეთი[2].

ასრულებდა რა პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს ადგილობრივმა მრეწველობამ მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. 1940 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,3 პროცენტით შესრულებულ იქნა 28 დეკემბრისათვის. მათ შორის რესპუბლიკურ საწარმოთა მიერ 101,3 პროცენტით, 1939 წელთან შედარებით ზრდა შეადგენდა 20,1 პროცენტს.

წარმატებები იყო მოპოვებული ფართო მოხმარების საგ-

---

1 История индустриализации Грузинской ССР. стр. 801—805.

2 გაზ. „კომუნისტი". 1941. 22 მარტი.

ნების გამოშვების საქმეშიც. გამოშვებულ იქნა 14,4 მლნ მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 1938 წლის 8 837 ათასი მანეთისა. ათვისებულ იქნა 25 სახის ახალი სახის პროდუქციის წარმოება. 1941 წლის 4 თვის გეგმა კი ადგილობრივმა მრეწველობამ შეასრულა 103,6 პროცენტით[1].

მთელმა რიგმა ქარხნებმა და სამრეწველო საწარმოებმა 1940 წლის გეგმის შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა 5 500 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და სტახანოვური მოძრაობის გაფართოების საფუძველზე 1 დეკემბრისათვის გეგმა 100,5 პროცენტით შესრულდა, წლის ბოლოსათვის კი 113 პროცენტით. ქარხანაში 153 სტახანოველი, 17 დამკვრელი და 12 მრავალდაზგოსანი იყო[2].

თბილისის 26 კომისრის სახ. მანქანათმშენებელი ქარხანა ძირითადში საფეიქრო და აბრეშუმის მრეწველობისათვის ამზადებდა მოწყობილობას და სათადარიგო ნაწილებს, ამასთან 1940 წელს მან „მექანიზაციის საწარმოო კავშირის" შეკვეთით გამოუშვა ფართო მოხმარების საგნები, რომლის ხვედრითი წილი უდრიდა 47,7 პროცენტს. ქარხნის საუკეთესო სტახანოველები იყვნენ: მ. აკოპოვი, ა. ველიკანოვი, კორძაძე, გ. ტუზევი, გ. ბასიშვილი, ნ. გვენცაძე და სხვ. ორ და სამ დაზგაზე მუშაობდნენ და გეგმას 200 — 250 პროცენტით ასრულებდნენ: პ. ედანოვი, ვ. შლეზნიაკი, ვ. ბოგდანოვი, ა. ლუჩენკო და სხვ[3].

თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხანა 1940 წლისათვის უკვე ამზადებდა 3000 ტონამდე რთული შედუღების კონსტრუქციებს. საერთო პროდუქციის გამოშვება უცვლელ ფასებში გათვალისწინებული იყო 4 200 ათასი მანეთის მოცულობით, აქედან სასაქონლო პროდუქცია შეადგენდა 4076 ათას მანეთს. შესრულებამ შეადგინა 3556,0 ათასი მანეთი. ქარხანაში 202 მუშა მუშაობდა, აქედან 79 სტახანოველი და 52 დამ-

---

1 История индустриализации Грузинской ССР, стр. 799, 800.
2 იქვე, გვ. 757, 762
3 იქვე, გვ. 764, 768.

კვრელი იყო. მათ შორის აღსანიშნავია მ. ტოტოსაშვილი, გვიმრაძე, პეტროჩენკო, ს. ბულდოგინი და სხვ.[1].

მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შრომითი აქტივობის შედეგად რესპუბლიკის მანქანათმშენებლებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს 1941 წლის პირველი ნახევრის გეგმების შესრულებაში. ზოგიერთმა საწარმომ წლიური დავალების 80 პროცენტი 5 თვეში შეასრულა. ამის შედეგად ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მანქანათმშენებლობამ ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 104,9 პროცენტით და სახალხო მეურნეობას მისცა, 16,8 მლნ მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ფარმაკოქიმიური მრეწველობის განვითარებაში. ბარიტის საბადოების (ქუთაისის რაიონი) ბაზაზე 1939 წელს ამუშავდა ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, რომელიც უშვებდა თეთრ საღებავს — ლითოფონს, რასაც ფართოდ იყენებდნენ გემთმშენებლობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

ფართოდ იყო გამოყენებული საქართველოში არსებული მინერალურ-ლითონური ნედლეულის საბადოები. ორგანიზებულ იქნა მთელი რიგი სამთო საწარმოები, რომლებიც თავისი პროდუქციით ამარაგებდნენ საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობის დარგებს. მაგალითად, ბარიტის წარმოება, დამუშავება ანდეზიტისა, ამოღება ლითოგრაფიული ქვისა და ა. შ.

„საქდიატომიტმა" 1940 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 126,5 პროცენტით, გამოშვებულ იქნა 462,8 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმით გათვალისწინებული იყო 365,6 ათასი მანეთის[2]. მოლიბდენის საბადოს ბაზაზე აგებულ იქნა საწარმო, ამ იშვიათი მადნის მოსაპოვებლად და დასამუშავებლად. სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მთებში ორგანიზებული იყო დარიშხანის მოპოვება.

კვების მრეწველობის მშენებლობასა და მისთვის სანედლეულო ბაზის ორგანიზაციაზე სამი ხუთწლედის მანძილზე დაბანდებულ იქნა 381 მლნ მანეთი.

---

1 История индустриализации Грузинской ССР, стр. 771, 778.
2 იქვე, გვ. 786.

ხოლო მგზავრების გადაყვანა 13 889 ათასიდან 118 000 ათას მგზავრ-კილომეტრამდე[1]. 1940 წელს კი საავტომობილო ტრანსპორტის მიერ გადატანილ იქნა 371,7 ათასი ტონა ტვირთი, გადაყვანილ იქნა 17 მილიონი მგზავრი[2].

სწრაფად ვითარდებოდა კავშირგაბმულობაც. 1940 წელს საქართველოში უკვე ითვლებოდა 663 ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის დაწესებულება, მათ შორის — 519 სოფლად. რომელთა მიერ გაიგზავნა 165,7 მილიონი სხვადასხვა გზავნილი. ტელეფონის აპარატების რაოდენობა რესპუბლიკაში იყო 24,2 ათასი, მათ შორის სოფლის ადგილებში 2,2 ათასი. ტელეფონიზაციის პროცენტი სოფლის საბჭოებში უდრიდა 79.9 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობებში—90.8 პროცენტს და კოლმეურნეობებში — 9,5 პროცენტს. მშრომელებს მომსახურებას უწევდა 67 ათასი რადიომიმღები წერტი, მათ შორის 13 ათასი სოფლად. აგრეთვე 55 ათასი სატრანსლაციო რადიოწერტი[3].

პერსპექტივაში ისახებოდა დიდი მშენებლობები.

1940 წლის 12 სექტემბერს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ“. 1940 წლის 14 ოქტომბერს საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. სახკომსაბჭომ იმსჯელა ამის შესახებ. მშენებლობის ადგილად შერჩეულ იქნა კავთისჭალის (ახლანდელი რუსთავის) ტერიტორია[4].

შემდგომ აღნიშნული ქარხნის მშენებლობას დიდი ყურადღება ექცეოდა. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1941 წლის 24 აპრილს განიხილეს საკითხი „ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ“. აღნიშნეს რა მშენებლობის ნელი

---

1 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1971, № 4, გვ. 65.

2 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1921—1961 წწ. თბ., 1961, გვ. 401.

3 Советская Грузия по Ленинскому пути. стр. 111, 112.

4 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14. აღწ. 1, ნაწ. 8, ს. 10657, ფურც. 81-85.

ტემპი და ასიგნებათა ათვისებაში ჩამორჩენა, დასახეს ქარხნის მშენებლობის ღაჩქარების ღონისძიებები[1].

გათვალისწინებული იყო აგრეთვე შაბიამნის ქარხნის მშენებლობა. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კპ (ბ) ცკ-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ კომისართა საბჭომ და საქ. კპ (ბ) ცკ-მა მეექვსეობის მეურნეობის შაბიამნით უზრუნველყოფის მიზნით 1940 წ. 24 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება აჭარაში აშენებულიყო შაბიამნის გადამმუშავებელი მცირე ჰიდრომეტალურგიული ქარხანა[2].

საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდის დინამიკა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით ასეთი იყო[3] (იხ. ცხრილი № 5).

1940 წელს რესპუბლიკის მრეწველობის მუშათა საერთო რაოდენობაში, ხვედრითი წილის მხრივ. პირველი ადგილი ეჭირა კვების მრეწველობას, რომლის მუშები შეადგენდა 20.6 პროცენტს, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა რაოდენობა შეადგენდა 16 პროცენტს[4].

საკავშირო კპ (ბ) XVIII სრულიად საკავშირო კონფერენციამ (1941 წ. თებერვალი) გამოამჟღავნა მრეწველობასა და ტრანსპორტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კონფერენციამ პარტორგანიზაციების წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები, რომელთა განუხრელი განხორციელება უზრუნველყოფდა ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ახალ, მძლავრ აღმავლობას.

იმისათვის, რომ ეკონომიკის განვითარებაში დავწეოდით და გაგვესწრო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, აუცილებელი იყო ყოველმხრივ აგვემაღლებინა ჩვენი წარ-

---

1 История индустриализации Грузинской ССР, стр. 793.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. 10661, ფურც. 135.

3 Советская Грузия по Ленинскому пути, стр. 117 — 118. მუშათა კლასის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. მ. ნათმელაძის სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს მუშათა კლასის ისტორია 1933 — 1941 წწ.

4 Советская Грузия за 40 лет, 1961, стр. 61.

დარგების დასახელება	1925 წ.	1940 წ.
მთელ საწარმო მეურნეობაში (ათასობით)	183	491
მათ შორის:		
მრეწველობა (სამრეწველო-საწარმოო პერსონალი)	30	130
მშენებლობა (სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოზე დასაქმებული პერსონალი),	—	36
სოფლის მეურნეობა		
მათ შორის:		
მანქანა-ტრაქტორთა სადგურები	16	—
საბჭოთა მეურნეობები და სხვა დამხმარე სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი	5	24
ტრანსპორტი	30	19
კავშირგაბმულობა	3	7
ვაჭრობა, საზოგადოებრივი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, დამზადება	10	57
საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება	2	23
ჯანმრთელობა, ფიზკულტურა და სოციუზრუნველყოფა	8	32
განათლება და კულტურა	16	67
მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება	2	7
სახელმწიფო და სამეურნეო კოოპერატიული და საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოების აპარატი	23	30

მოების კულტურა და აგვეყვანა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

კონფერენციამ დაავალა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომ 1941 წელს არც ერთ ოლქში, ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში არ დარჩენილიყო ჩამორჩენილი საწარმო, რომ გეგმა შეესრულებინა უკლებლივ ყველა ქარხანას, ფაბრიკას, შახტსა და რკინიგზას.

კონფერენციამ დაგმო გეგმების შესრულებაში იერიშობანა, რაც იწვევდა გრაფიკის დარღვევას. საწარმოებს გეგმები უნდა შეესრულებინათ ყოველთვიურად, კვარტალურად,

წლიურად, თანაბრად, გეგმის მიხედვით, წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მტკიცედ დაცვით. ამასთან გეგმის შესრულებაში აუცილებელი იყო არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლები, არამედ ხარისხობრივიც [1].

საჭირო იყო პარტიულ ორგანიზაციებს ყურადღება მიექციათ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის.

ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა საქართველოს საწარმოებშიც. მაგალითად, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში დაზგა, რომელიც ქარხანას 1940 წელს უნდა გამოეშვა, 1941 წლის იანვრის მიწურულში აიწყო. ხშირი იყო შემთხვევა, როცა დაზგის ნაწილები მზადდებოდა, დაზგა აიწყობოდა, ხოლო მისი ტექნოლოგია და ნახაზები შემდეგ ზუსტდებოდა. ისეც ხდებოდა, რომ ტექნოლოგია, რაც დოკუმენტებში იყო ჩაწერილი, არ ეთანხმებოდა იმას, რაც ფაქტიურად სამუშაო ადგილზე ტარდებოდა. ამის შედეგი იყო წუნდებული პროდუქციის გამოშვება. წუნით გამოწვეული ზარალი ქარხანაში 1940 წელს 128 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო 1941 წლის იანვარში — 8000 მანეთს[2]. ასეთივე შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თბილისის თუჯის და ფოლადის ჩამომსხმელ ქარხანა „ცენტროლიტში". ეს ქარხნები ვერ უზრუნველყოფდნენ სათანადო წარმოებებს თუჯისა და ფოლადის სხმულით. ქარხნებს სათბობისა და ელექტროენერგიის გადახარჯვებიც ჰქონდათ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები სათანადო ყურადღებას აქცევდნენ ჩამორჩენილ საწარმოებს და მათი საქმიანობა ამ მხრივ მიზანს აღწევდა. მაგალითად, 1941 წლის 6 მაისს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ (ეს იყო ამ ქარხნის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი). დადგენილება ითვალისწინებდა აჯამეთის ადგი-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1941, 5 მარტი.

2 იქვე, 6 მარტი.

ლობრივი ხალცედონის გამოყენებას. რაც იაფი ნედლეული იყო და პროდუქციის თვითღირებულებას აკლებდა[1].

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ[2], რომელიც მიეძღვნა კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხილვას, აღნიშნა, რომ ნაკლოვანებანი მრეწველობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობის საქმეში, რომლებიც XVIII სრულიად საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ გამოამჟღავნა, მთლიანად შეეხებოდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისა და სახალხო კომისარიატების მუშაობას, მრავალ საწარმოში ცუდად იყო დაყენებული აღრიცხვა, ირღვეოდა ტექნოლოგიური დისციპლინა, ადგილი ჰქონდა პროდუქციის არათანაბარ გამოშვებას, იერიშობანას.

პარტაქტივზე მოყვანილ იქნა მრავალი მაგალითი რკინიგზის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების და გზის პოლიტგანყოფილების სუსტი მუშაობის შესახებ.

საკ. კპ (ბ) XVIII სრულიად საკავშირო კონფერენციის შედეგები განიხილა სოხუმის პარტიული აქტივის კრებამ, რომელმაც დაადასტურა, რომ ის დეფექტები, რაზედაც მიუთითა საკ. კპ (ბ) XVIII კონფერენციამ, ახასიათებდა სოხუმისა და აფხაზეთის საწარმოთა მუშაობასაც. მრეწველობის რიგმა დარგებმა: ქვანახშირის, თევზის მრეწველობამ და ტყავფეხსაცმლის საწარმოებმა 1940 წლის გეგმები ვერ შეასრულეს. იყო ასეთი შემთხვევა: სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორმა მხოლოდ ფაბრიკის გაჩერების დროს გაიგო, რომ აღარ იყო სათანადო სათადარიგო ნაწილები. 1940 წელს აქ 27 ათასი სამუშაო საათი გაცდა.

სოხუმის სარეწაო არტელ „კიმში" ვერ შესრულდა გეგმები. საოცრად იყო გაბერილი შტატები. არტელში სულ 11 კაცი მუშაობდა, ხოლო გამგეობაში კი 24 მოსამსახურე, ე. ი. აპარატი ერთი ორად აჭარბებდა მუშათა რაოდენობას[3].

XVIII პარტიულ კონფერენციაზე მხილებული ნაკლოვანე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. IX, ს. 11496, ფურც. 16—17.

[2] გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1941, № 62.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1941, 19 მარტი.

ბები გარკვეულად ეხებოდა საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაობასაც. სერიოზული ნაკლი იყო ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის, აღრიცხვის დაყენებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების დარგში.

ბრძოლა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის XVIII პარტიულმა კონფერენციამ მთელი პარტიის უპირველეს საქმედ გამოაცხადა. ამ საქმეში წარმატების მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებითა და მუდმივი კონტროლით. კონფერენციამ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ბოლო მოღებოდა რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებათა მოწყვეტას ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციებისაგან, პოლიტგანყოფილებებს ანგარიში უნდა ჩაებარებინათ თავიანთი მუშაობის შესახებ პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებისათვის. პარტიის საოლქო კომიტეტებს უნდა აღმოეფხვრათ პოლიტგანყოფილებათა მუშაობაში კანცელარული მეთოდები და გადაექციათ ისინი პარტიის მებრძოლ ორგანოებად [1].

XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პრაქტიკული ბრძოლა გააჩაღეს საქართველოს სარაიონო, საქალაქო და საოლქო რკინიგზის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

XVIII პარტიულმა კონფერენციამ სერიოზული ამოცანები დასახა შრომისნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ მიმართულებით ბრძოლა საწარმოთა პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა იყო. ნედლეულის, სათბობის, ინსტრუმენტის, ელექტროენერგიის უყაირათოდ ხარჯვა-გამოყენება მნიშვნელოვნად ადიდებდა პროდუქციის თვითღირებულებას. ამ მხრივ ბევრი ნაკლი ჰქონდა საქართველოს სამრეწველო საწარმოებს. მაგალითად, საქენერგოს მონაცემებით 1940 წელს მარტო მსხვილ საწარმოებში 5,5 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯეს.

---

1 გაზ. „პრავდა", მოწინავე, 1941, 24 მარტი.

პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა (1911 წ. აპრილი) განიხილა ქალაქის მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი ქარხნების მუშაობის შედეგები. აღნიშნა, რომ პარტიის XVIII კონფერენციის შემდეგ მუშაობა საგრძნობლად გამოსწორდა. ამასთან პლენუმმა მიუთითა ზოგიერთ საწარმოში ტექნიკური მოწყობილობის, მასალისა და ელექტროენერგიის არარაციონალურად გამოყენების ფაქტებზე და ასევე მათი გამოსწორებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მრავალი ქმედითი ზომები მიიღო პარტიის XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

ნაკლოვანებების მიუხედავად 1938—1940 წლებში და 1941 წლის პირველ ნახევარში საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

საქართველოს სახალხო მეურნეობამ მკვეთრად გამოსახული ინდუსტრიული ხასიათი მიიღო. ეს იყო უდიდესი თვისებრივი ნახტომი, რომლის შედეგადაც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასასრულისათვის (1941 წ.) საბჭოთა საქართველო სსრკავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცა[1].

კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი ყველაზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა აფხაზეთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ომამდელ ხუთწლედებში აფხაზეთის მშრომელებმა მოიპოვეს უდიდესი წარმატებები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე და იგი გადაიქცა მოწინავე აყვავებულ რესპუბლიკად.

1921—1940 წლებში სამრეწველო წარმოება აფხაზეთში

---

1 ალ. კოკლავაშვილი, საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკაა, თბ., 1971, გვ. 19.

გადიდდა 360-ჯერ[1]. აშენებულ იქნა ახალი შახტები, ელსადგურები, თამბაქოს ფაბრიკა. ტყავფეხსაცმლის კომბინატი, ნაესადგურთა მოწყობილობის ქარხანა, კვების და ადგილობრივი მრეწველობის რიგი საწარმოები.

ომამდელ ხუთწლედებში აფხაზეთის მრეწველობის განვითარების ტემპი გაცილებით უფრო ინტენსიური იყო საქართველოს საერთო ინდუსტრიული წარმოების განვითარების ტემპებთან შედარებით. ამის შედეგად გადიდდა საბჭოთა აფხაზეთის მსხვილი მრეწველობის ხვედრითი წილი რესპუბლიკაში. თუ 1928/29 წელს ეს წილი დაახლოებით 0,9 პროცენტს უდრიდა. 1940 წელს უკვე 5,5 პროცენტს შეადგენდა. ამავე წელს საბჭოთა აფხაზეთის მთელი მრეწველობა საქართველოს სსრ მრეწველობის საერთო პროდუქციის 6,4 პროცენტს იძლეოდა[2].

სახელმწიფო მრეწველობამ (საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოთა ჩათვლით) საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1940 წელს შეასრულა 92,8 პროცენტით, ანუ გამოუშვა 66.5 მლნ. მანეთის პროდუქცია (1926/27 წწ. უცვლელი ფასებით). სარეწაო კოოპერაციამ კი საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა (1932 წლის უცვლელი ფასებით), სამომხმარებლო კოოპერაციის სამრეწველო საწარმოთა ჩათვლით. შეასრულა 93.4 პროცენტით, რაც შეადგენდა 24 699,4 ათას მანეთს.

სახელმწიფო მრეწველობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრეწველობაში 1939 წელთან შედარებით 1940 წელს ზრდამ შეადგინა 2.2 პროცენტი, ხოლო სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის სამრეწველო საწარმოებში ადგილი ჰქონდა შემცირებას 12,7 პროცენტით[3].

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში შეიქმნა მთელი რიგი ახალი დარგები: ელექტროენერგეტიკული, ქიმიაში-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1941, 4 მარტი.

2 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., თბ., 1967, გვ. 243.

3 აფხაზეთის კპ საოლქო კომიტეტის პარტიული არქივი, ფ. 2, აღწ. 2, ს. 415. ფურც. 324—327.

რიალ, საშენმასალათა, ქიმიური, კვების, მსუბუქი, პოლიგრაფიული და სხვ.

საბჭოთა აჭარაში 1938 წლის 1 იანვრისათვის მუშაობდა 38 საერწველო საწარმო და სარეწაო კოოპერაციის 58 არტელი. 1938—1939 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა სსრ კავშირში პირველი ციტრუსების კომბინატი, ტუნგოს ქარხანა, ძირითადად დამთავრდა აწჰესის მშენებლობა. მთავრდებოდა ლუდის ქარხნის მშენებლობა. ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ექსპლოატაციაში შევიდა ყინულის ქარხანა, ურეხისა და ოჩხამურის კრამიტის ქარხნები. დაწყებულ იქნა სპილენძის მადნის მოპოვება[1].

1940 წელს აჭარის მრეწველობამ გამოუშვა პროდუქცია, რომლის ღირებულება თითქმის 135-ჯერ ჭარბობდა 1921 წლის მაჩვენებლებს. ამ პერიოდისათვის აჭარაში უკვე იყო 50 კარგად მოწყობილი საწარმო, რომელთა უმეტესობა ხუთწლედების პერიოდში შეიქმნა. ამ ქარხნებმა აითვისეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის მოწყობილობის წარმოება. მაგალითად, ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა აითვისა ჩაისა და ღვინის წარმოებისათვის საჭირო მანქანებისა და სხვა მოწყობილობის წარმოება.

1940 წელს აჭარის მრეწველობაში (კოოპერატიულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საწარმოების გამოკლებით) მუშაობდა 6000 მუშა. მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 234 მლნ მანეთი[2].

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე სამხრეთ ოსეთი საქართველოს ერთ-ერთ ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა. აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო მსხვილი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა. 1940 წელს ექსპლოატაციაში შევიდა სსრ კავშირში პირველი წნელისის ტალკის დამმუშავებელი ქარხანა. აღმოაჩინეს ტყვიისა და თუთიის მდიდარი საბადოები და დაიწყო სამუშაოები მათი სამრეწველო დამუშავებისათვის. ექსპლოატაცი-

---

1 საქართველოს კპ აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. 1, აღწ. 4, ს. 1, ფურც. 18-19.

2 გაზ. „კომუნისტი", 1941, 18 მარტი.

აში შევიდა გორი-ცხინვალის რკინიგზა, რომლითაც სამხრეთ ოსეთის მშრომელები პირდაპირი გზით დაუკავშირდნენ ქ. თბილისს.

1940 წელს სოციალისტური სექტორი საქართველოს მთელ მრეწველობას მოიცავდა, რომელიც 14,6 ათასამდე საწარმოს შეადგენდა.

1940 წელს საქართველოს მრეწველობის მიერ გამოშვებულ იქნა 803 ლითონსაჭრელი დაზგა, 119 ათასი ტონა ცემენტი, 7,6 მლნ გრძივი მეტრი ქსოვილი, 3.9 მლნ ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, 8,7 მლნ წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 13.1 ათასი ტონა შაქარი, 11.5 ათასი ტონა ხორცი, 29.1 მლნ პირობითი ქილა კონსერვი, 1.7 მლნ დეკალიტრი ყურძნის ღვინო, 1,7 მლნ ბოთლი შაშპანური ღვინო, 11,1 ათასი ტონა პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი და ბევრი სხვა პროდუქცია[1].

შრომისნაყოფიერება რესპუბლიკის მსხვილ მრეწველობაში ომამდელი ხუთწლედების მანძილზე 3,6-ჯერ გაიზარდა. ეს მიღწეული იყო სამუშაო დღის მნიშვნელოვნად შემცირების პირობებში. 1913 წელთან შედარებით შრომისნაყოფიერება გადიდდა 5-ჯერ[2].

სამრეწველო პროდუქციის უმთავრესი სახეების წარმოება ნატურალურ გამოხატულებაში ერთ სულ მოსახლეზე 1940 წელს შეადგენდა: ქვანახშირი 171 კგ. ელექტროენერგია — 203 კვტ საათი, ცემენტი 32 კგ, ბამბის ქსოვილი (მზა) 0.1 მეტრი, შალის ქსოვილი 0.5 მეტრი, აბრეშუმის ქსოვილი 1.4 მეტრი, ტყავის ფეხსაცმელი 2.4 წყვილი, საკონდიტრო ნაწარმი 2.6 კგ, კონსერვი 8 პირობითი ქილა, ყურძნის ღვინო 0.4 დეკალიტრი, მინერალური წყლები 6,6 ლიტრი, პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი 3,0 კგ, პაპიროსი და სიგარა 1,2 ათასი ცალი[3].

მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპების მიუხედავად, საბჭოთა საქართველოს 1941 წლის სამრეწველო პროდუქ-

---

[1] Достижения Советской власти за 40 лет. В цифрах, стр. 127—128.

[2] Советская Грузия за 20 лет, Тб., 1941, стр. 33.

[3] Советская Грузия по ленинскому пути, стр. 51.

ცია მეტი შეამოჰქონდა. ვიდრე გაჰქონდა. გატანილი და შემოტანილი პროდუქციის შედარება პროცენტობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის მონაცემებით შეადგენდა: მძიმე მრეწველობის პროდუქციის გატანა 13.6. შემოტანა — 29.7. შესაბამისად ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობაში 2,1 და 7,5, მსუბუქ მრეწველობაში — 30,7 და 38,7 კვების მრეწველობაში — 53,6 და 24.1[1].

1940 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის 84 პროცენტი სახელმწიფო მრეწველობაზე მოდიოდა, ხოლო 16 პროცენტი — კოოპერაციულ მრეწველობაზე[2].

მრეწველობის საერთო პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა ასეთი იყო: ელექტროენერგეტიკას ეჭირა 1,1, საათბობ მრეწველობას — 4.1, შავ მეტალურგიას — 2,4, ქიმიურსა და ნავთობქიმიურს — 0.6, მანქანათაშენებლობას და ლითონდამუშავებას — 5.9, ხე-ტყის, ხის დამმუშავებელ და ქაღალდის მრეწველობას — 6.1 საშენი მასალების 1.7. მსუბუქ მრეწველობას — 22.9, კვების — 52.1 და დანარჩენ სხვა დარგებს — 3.1 პროცენტი[3].

საერთოდ მესამე ხუთწლედში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ინდუსტრიულ განვითარებაში მიღწეულ იქნა დიდი წარმატებები.

ახორციელებდა რა ვ. ი. ლენინის მითითებას ჩამორჩენილ რესპუბლიკათა ეკონომიკის მოწინავე სამრეწველო რაიონების დონემდე აყვანის აუცილებლობის შესახებ, საბჭოთა მთავრობამ 1938 — 1940 წლებში დიდი თანხები დახარჯა შუა აზიის, ბელორუსიის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების სამრეწველო განვითარებისათვის.

აღნიშნული წარმატებები მოპოვებული იქნა მუშათა კლასის თავდადებული შრომის შედეგად, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს კომპარტია, სკკ პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი, მოწინავე რაზმი. ხუთწლედის ამოცანათა შესრულები-

---

1 ი. მიქელაძე, საქართველოს სამეურნეო თანამშრომლობა სხვა რესპუბლიკებთან, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი". 1961, № 5, გვ. 47.

2 Советская Грузия по ленинскому пути. стр. 15.

3 იქვე, გვ. 46 47.

ათვის მშვიდობიანი შრომა შეწყვიტა გერმანიის ფაშიზმის ვერაგულმა თავდასხმამ. მთელი მრეწველობა გადაყვანილ იქნა სამხედრო რელსებზე.

§ 2. მრეწველობასა და ტრანსპორტზე შრომისნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებანი

შრომისნაყოფიერება, როგორც წერდა ვ. ი. ლენინი, „ეს საბოლოო ანგარიშში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წარმოების გასამარჯვებლად"[1].

ვ. ი. ლენინის ამ მითითებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა იმ პერიოდში, როდესაც დამთავრდა სოციალიზმის მშენებლობა და დაიწყო მისი შემდგომი განვითარება.

შრომის დისციპლინის განმტკიცება, კადრების დენადობის შემცირება უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულა იმან, რომ 1938 წლის 20 დეკემბრიდან შემოღებულ იქნა ერთიანი „შრომის წიგნაკები"[2].

შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მუშა-მოსამსახურეთა დენადობის შემცირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას: „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ". ეს იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სოციალიზმის მშენებლობის შემდგომ წარმატებათა მოპოვებაში და იგი სავსებით შეესაბამებოდა მშრომელთა მოთხოვნებს, მათ ინტერესებს. პატიოსანმა, კეთილსინდისიერმა მუშაკებმა ამ გადაწყვეტილებაში დაინახეს პარტიისა და საბჭოთა მთავრო-

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 499.

2 Директивы КПСС и Советского правительства по хозяйственным вопросам, т. 2, стр. 544. ამ დრომდე საწარმოთა მუშაკების აღრიცხვა წარმოებდა შრომითი სიების საფუძველზე.

ბის ზრუნვა მათი ინტერესების დაცვისათვის, რაც გამოიხატებოდა ფრენიების, ცუღლუტების, სამუშაოს გამცდენების, წაბგლეჯვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში[1].

პარტია ფართოდ იყენებდა მორალური წახალისების საშუალებებსაც. 1938 წელს მრეწველობის მთელ რიგ დარგებში დაწესებულ იქნა „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშანი. მორალური წახალისების ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სოციალისტური შრომის გმირის წოდების შემოღება[2]. იგი დაწესებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების შემოღებასთან ერთად დაწესდა მედლები: „შრომითი წარჩინებისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“.

სოციალისტური შრომის გმირის წოდება წარმოადგენდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში შრომითი წარჩინების უმაღლეს ხარისხს და ენიჭებოდა იმ პირებს, რომელთაც თავისი თვალსაჩინო ნოვატორული მოღვაწეობით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მეცნიერულ აღმოჩენათა და ტექნიკურ გამოგონებათა დარგში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდათ სახელმწიფოს წინაშე და რომლებმაც ხელი შეუწყვეს სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების ამაღლებას, სსრ კავშირის ძლიერების ზრდას.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ ჯილდოვდებოდნენ და ჯილდოვდებიან ის პირები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის მოწინავენი არიან, მიაღწიეს მაღალ შრომისნაყოფიერებას, თვალსაჩინო როლი მიუძღვით ტექნიკის, მეცნიერების და კულტურის განვითარებაში.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ ჯილდოვდებოდნენ

---

1 გაზ. „პრავდა“, 1938, 29 დეკემბერი. აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოცემულ იქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ) (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს განმარტება სამუშაოზე დაგვიანებისათვის სასჯელის დადების შესახებ.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1938, 29 დეკემბერი.

თვალსაჩინო დამკვრელური მუშაობისათვის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებისათვის.

მოწინავეთა წახალისების ამ მნიშვნელოვანი ფორმების შემოღება მოწმობდა პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას მშრომელ ადამიანებზე.

მესამე ხუთწლედის პერიოდში მრეწველობისა და ტრანსპორტის წამყვან დარგებში მიღებულ და გატარებულ იქნა კიდევ მრავალი ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციის მკვეთრი გაუმჯობესებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის.

1938 წლის ნოემბერში სარ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებით შემოღებულ იქნა ქვანახშირის შახტებში საგანაწესო სისტემა, რაც უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილის მოამზადებასა და მიღება-ჩაბარების სწორ ორგანიზაციას, ხელს უწყობდა შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებას. ამ სისტემის მიხედვით დაწესდა, რომ შახტის ოსტატი (ათისთავი) ღებულობდა ცვლაში შესასრულებელ სამუშაოთა წარმოების განაწესს. მასში აღინიშნებოდა სამუშაოთა მდგომარეობა უბანზე. განაწესით შახტის ოსტატს წინა ცვლის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება უნდა ეწარმოებინა. უშუალოდ მუშაობის ადგილზე. შესრულებული სამუშაოსათვის პირადად კონტროლი უნდა გაეწია უბნის უფროსს ან მის თანაშემწეს.

შახტის გამგეებსა და უბნის უფროსებს სისტემატურად უნდა შეემოწმებინათ უშუალოდ ადგილზე როგორც შესრულებული სამუშაოს განაწესში ჩაწერის სისწორე, ისე არ უნდა დაეშვათ მიწერა და შეემოწმებინათ ცვლის მიერ ჩაბარებული ნამუშევრის ხარისხი. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავენი მიცემული იქნებოდნენ პასუხისგებაში, ამასთან ერთად დამტკიცდა „გლავუგოლის“ ინსტრუქცია „შახტებში საგანაწესო სისტემის ორგანიზაციის შესახებ“.

საგანაწესო სისტემის შემოღება მიმდინარეობდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა აქტიური მონაწილეობით. მათთან ერთად გაანხილული იყო ის ღონისძიებანი, რომლებიც საგანაწესო სისტემის საფუძველზე უზრუნველყოფდნენ შრომის ორგა-

ნიზაციის გაუმჯობესებას და ქვანახშირის მოპოვების ამაღლებას. ამასთან დამტკიცებულ იქნა ინსტრუქცია შახტებში საგანაწესო სისტემის ორგანიზაციისა და ცვლის დაწესებისას საშუშაოთა მდგომარეობის გამორკვევის წესის შესახებ[1].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვანახშირის მრეწველობაში გამოუშავების ნორმებისა და შეფასებათა გადაიხედვის, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ცალკეული პროფესიების ხელფასის გადიდებისა და მათთვის პრემიების მიცემის შესახებ სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1939 წლის 27 იანვრის ბრძანებას.

1940 წლის მაისში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კპ (ბ) ცკ-მა მიიღეს დადგენილება „მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნებში ოსტატის როლის ამაღლების შესახებ", რომლის მიხედვით, ოსტატი არის წარმოების მეთაური, იგი უშუალოდ აწყობს საწარმოო პროცესს და ხელმძღვანელობს მას. ოსტატი ეკუთვნის იმ პატარა და საშუალო ხელმძღვანელთა რიცხვს, რომლებზედაც ი. ბ. სტალინი ამბობდა მეტალურგების და მაღაროელების მიღებაზე კრემლში. 1937 წ. ოქტომბერს: „ისინი, ეს პატარა და საშუალო ხელმძღვანელები, ჩვენ ათიათასობით გვყავს. ისინი თავმდაბალი ადამიანები არიან. ისინი არ მიძვრებიან წინ, ისინი თითქმის შეუმჩნეველნი არიან. მაგრამ სიბრძნეა იქნებოდა ვერ შეგვემჩნია ისინი, ვინაიდან ამ ადამიანებზეა დამოკიდებული წარმოების ბედი მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მაშასადამე, მათზეა დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის ბედიც"[2].

ოსტატის გადაქცევა თავის უბანზე სრულუფლებიან სამეურნეო ხელმძღვანელად გადაუდებელი ამოცანა იყო.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დაგმობილი იყო ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელის მხრივ ოსტატის როლის შეუფასებლობა. „სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა სწორი ხელმძღვანელობის ამოცანები. — ნათქვამი იყო ამ დადგენილებაში, —

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1938, 26 ნოემბერი.

2 გაზ. „პრავდა", 1937, 31 ოქტომბერი.

მოითხოვენ წარმოებაში ოსტატის როლის გადაჭრით განმტკიცებას. ოსტატს უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო უფლება იმისათვის, რათა წარმატებით განახორციელოს თავისი მოვალეობანი, როგორც წარმოების უშუალო ორგანიზატორმა".

დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ ოსტატი უნდა გადაქცეულიყო სრულუფლებიან ხელმძღვანელად წარმოების იმ უბანზე, რომელიც მას აბარია და პასუხს აგებს დავალების შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. დადგენილების შესაბამისად საამქროს ადმინისტრაცია მუშებს ყველა განკარგულებას აძლევდა მხოლოდ ოსტატის მეშვეობით. იგი თავისუფლდებოდა მისთვის შეუფერებელი ფუნქციების შესრულებისაგან და ენიჭებოდა უფლება დაედო დისციპლინარული სასჯელი შრომის დისციპლინის დარღვევებისათვის და საჭიროების შემთხვევაში საამქროს უფროსის დამტკიცებით მიეღო და დაეთხოვა მუშები.

ადრე ოსტატი ჩამოშორებული იყო ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხისმგებლობას და მატერიალურად არ იყო დაინტერესებული ამ ფონდის მომჭირნეობით ხარჯვით. გამომუშავების ნორმებისა და შეფასებების გადასინჯვის კამპანიის დროს ოსტატი განზე იდგა. დადგენილებით ოსტატმა უფლება მიიღო განეგო საწარმოო დავალების შესრულებისათვის დაწესებული ხელფასის ფონდი. ოსტატი აწესებდა მუშათა სატარიფო თანრიგს. ვალდებული იყო დროზე გადაესინჯა გამომუშავების ნორმები და შეფასებები. მას უნდა გაენაწილებინა მუშები, მიეცა მათთვის სამუშაო, თვალყური უნდა ედევნებინა იმისათვის, რომ ისინი არ მოცდენილიყვნენ იარაღებისა და მასალების უქონლობით, ინსტრუქტაჟი უნდა გაეწია მუშისათვის და დახმარება აღმოეჩინა დავალების შესრულებაში, დაენერგა მუშაობის სტახანოვური მეთოდები.

ოსტატი ღებულობდა არა მარტო დიდ უფლებებს, არამედ სათანადო ანაზღაურებასაც თავისი შრომისათვის. მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების ოსტატთა ხელფასი გადიდებულ იქნა და კვალიფიციური მუშის საშუალო ხელფასზე უფრო მაღალი იყო. გარდა ამისა, ოსტატი კარგი მუშაობისათვის, გე-

ვმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხელფასის ფონდის ეკონომიისათვის ღებულობდა პრემიას[1].

საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებმა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მუშათა კადრების დენადობის შემცირებისათვის გარკვეული შედეგები მოგვცა, მაგრამ მუშათა დენადობა კვლავ დიდი იყო. შექმნილი რთული საერთაშორისო ვითარება, ჩვენს ქვეყანაში იმპერიალისტური ქვეყნების თავდასხმის საფრთხის გაძლიერება მოითხოვდა ამ მიმართულებით კიდევ დამატებით ღონისძიებათა გატარებას.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარდგინების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებას რვასაათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ. ე. ი. დადგენილებით სამუშაო დღის ხანგრძლივობა ყველა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებაში გადიდდა ერთი საათით. დაშვებული იყო გამონაკლისი იმ მუშებისათვის, რომლებსაც ჯანმრთელობისათვის მავნე, მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

აიკრძალა მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, აგრეთვე თვითნებურად გადასვლა ერთი საწარმოდან მეორეში ან ერთი დაწესებულებიდან მეორეში.

საწარმოდან და დაწესებულებიდან წასვლა ან ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადასვლის ნებართვის მიცემა შეეძლო მხოლოდ საწარმოს დირექტორს ან დაწესებულების უფროსს.

საწარმოს დირექტორს და დაწესებულების უფროსს უფლება ჰქონდა და მოვალე იყო ნება დაერთო მუშისა და მოსამსახურისათვის წასულიყო საწარმოდან ან დაწესებულებიდან განსაკუთრებულ შემთხვევებში.

დადგენილების მისედვით, ის მუშები და მოსამსახურეები,

---

[1] გაზ. „პრავდა", 1940, 28 მაისი.

რომლებიც თვითნებურად წავიდოდნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებიდან ან დაწესებულებებიდან, სამართალში იქნებოდნენ მიცემულნი. საპატიო მიზეზის უქონლად სამუშაოს გაცდენისათვის კი, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები სამართალში მიეცემოდნენ და სახალხო სასამართლოს განაჩენით ისჯებოდნენ იძულებითი შრომით სამუშაო ადგილის მიხედვით.

საწარმოთა დირექტორები და დაწესებულებათა უფროსები, რომლებიც თავს არიდებდნენ იმ პირთა სამართალში მიცემას, ვისაც დანაშაული მიუძღოდა საწარმოდან, დაწესებულებიდან თვითნებურად წასვლაში და საპატიო მიზეზის უქონლად სამუშაოს გაცდენაში, პასუხს აგებდნენ სასამართლოს წინაშე.

8-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება გამომუშავების ნორმების გადიდებისა და შეფასებათა შემცირების შესახებ[1].

რვასაათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლას საბჭოთა ხალხი მოწონებით შეხვდა. მუშები, მოსამსახურეები მხარს უჭერდნენ პროფკავშირთა მოწოდებას და პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს. მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს ღონისძიებანი გამოწვეული იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

მიესალმებოდნენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას, მუშები, მოსამსახურეები და ინტელიგენცია მოითხოვდნენ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას საწარმოებში. ხმარს უჭერდნენ იმის აუცილებლობას, რომ სასტიკად ყოფილიყვნენ დასჯილნი შრომის დისციპლინის დამრღვევნი, თვითნებურად საწარმოთა მიმტოვებლები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით დიდ ზარალს აყენებდნენ სახალხო მეურნეობას და ძირს უთხრიდნენ ქვეყნის თავდაცვით ძლიერებას[2].

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1940, 27 ივნისი.

2 იქვე, 28 ივნისი.

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება. ქარხნის კოლექტივმა გამოიანგარიშა, რომ მთავრობის ამ ღონისძიებებია გატარებით წელიწადში საშობლოს დამატებით მისცემდნენ მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

ბრძანებულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მიტინგები შედგა თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში, მაუდ-კამეოლის, აბრეშუმსაქსოვ, ფეხსაცმლის, თბილისის ხის დამმუშავებელ ფაბრიკებში და სხვა საწარმოებში[1].

საქართველოს მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები არა მარტო იწონებდნენ დადგენილებას, არამედ იღებდნენ კონკრეტულ საწარმოო ვალდებულებებსაც

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სტახანოველმა კ. დიაკონიძემ იკისრა ვალდებულება—19 ტონის ნაცვლად ყოველდღიურად მოენგრია 35—40 ტონა ქვანახშირი. ასეთივე ვალდებულებები აიღეს სხვა სტახანოველებმაც. შახტის კოლექტივმა ვალდებულება აიღო, რომ ივნისის ბოლომდე ქვეყნისათვის გეგმის ზევით მიეცა 5000 ტონა ქვანახშირი.

ჭიათურის ვოროშილოვის სახელობის მაღაროს სტახანოველებმა იკისრეს ქვეყნისათვის მიეცათ მეტი მანგანუმი და ყოველდღიური დავალება 200 პროცენტით შეესრულებინათ.

რესპუბლიკის მრავალი საწარმო წარმატებით ასრულებდა საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის დავალებას მრეწველობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ. მაგრამ ზოგიერთ საწარმოში, მათ შორის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში, მაუდ-კამეოლის ფაბრიკაში და სხვ. ხშირად ირღვეოდა სტანდარტები, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო სუსტი ტექნიკური კონტროლით. საწარმოთა ხელმძღვანელების დაუდევრობით და უყურადღებობით.

სწორედ ასეთი სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ იყო

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 28 ივნისი.

მიმართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულება „სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

ბრძანებულება აწესებდა, რომ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური სამრეწველო პროდუქციის გამოშვება და სავალდებულო სტანდარტების დარღვევით პროდუქციის გამოშვება ითვლებოდა სახელმწიფოს საწინააღმდეგო, მავნებლობის თანაბარ დანაშაულად, რისთვისაც სამრეწველო საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსები მიცემულ იქნებოდნენ სამართალში და სასამართლოს განაჩენით ისჯებოდნენ 5-დან 8 წლამდე პატიმრობით[1].

არაკეთილსარისხოვანი და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება ნიშნავდა, როგორც სამართლიანად წერდა იმ დროს გაზ. „პრავდა", ნედლეულისა და მასალის გაფუჭებას, მუშების შრომის განიავებას და საწარმოო მოწყობილობის მოცდენას, ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შესუსტებას, სახელმწიფოსა და ხალხისათვის ზიანის მიყენებას. ამიტომ პარტია, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ.

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შექმნას. მისი ამოცანა იყო დაემყარებინა უსასტიკესი კონტროლი სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალური ღირებულების აღრიცხვასა და ხარჯვაზე, მისი მეშვეობით უნდა უზრუნველყოფილიყო მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. მას უნდა აემაღლებინა ჩვენი ადმინისტრაციული და სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელთა და მუშაკთა პასუხისმგებლობა იმ მუშაობისათვის, რომელსაც ისინი ეწეოდნენ, აღეზარდა მათში

---

1 გაზ. „პრავდა", 1940, 17 აგვისტო.

მზრუნველი დამოკიდებულება სახელმწიფო სახსრებისადმი[1]. 1940 წლის 31 ოქტომბერს ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატიც.

სახელმწიფო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშა-მოსამსახურეთა პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებას. ამ საქმეში გარკვეული როლის შესრულება შეეძლო დამსაქარე მებოსტნეობა-მერძეველობის მეურნეობებს. დაიწყო მათი ფართოდ დანერგვა მოსკოვის ოლქის გლუხოვოს ბამბეულის ჟომბინატის კოლექტივის ინიციატივით[2].

სამრეწველო საწარმოებთან ბოსტნეულისა და მერძეველობის დამბალარე მეურნეობების მოწყობა იყო ახალი ნაბიჯი იმ საბრძოლო ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობამ დასახა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

გლუხოველთა მოწოდებამ თბილისის და საქართველოს საწარმოების მუშაკთა შორის მხურვალე გამოხმაურება პოვა.

საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება დიდად იყო დამოკიდებული მუშახელით ორგანიზებულ მომარაგებაზე.

საქართველოს კპ (ბ) XVIII ყრილობამ კოლმეურნეობების წინაშე დააყენა ამოცანა სოციალისტური მრეწველობისათვის გაეწიათ დახმარება. ყრილობის ამ დავალების განხორციელებას მიეძღვნა ის ინიციატივა, რომელიც გამოიჩინეს კრასნოდარის მხარის შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, რომლებმაც მოუწოდეს ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურეობას გამოეყოთ მუშახელის გარკვეული რაოდენობა მზარდი სოციალისტური მრეწველობისათვის: „უზრუნველეყოთ მრეწველობა საჭირო მუშახელით, რომელიც ჭარბად მოიპოვება კოლმეურნეობებში. ამით ჩვენ მივაღწევთ,— წერდნენ შჩერბინოვსკელები, — მრეწველობის შემდგომ ზრდას, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გა-

---

1 გაზ. „პრავდა", 1940, 7 სექტემბერი.

2 იქვე, 12 სექტემბერი.

დიდებას, იმ საქონლისა, რომლის მოთხოვნილებაც კოლმეურნე გლეხობაში წლითიწლობით იზრდება"[1].

საქართველოს სსრ კოლმეურნეობები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეთა მოწოდებას.

ამ ღონისძიებით ჩვენმა მრეწველობამ გარკვეული შეესება მიიღო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულად ვერ უზრუნველყოფდა მრეწველობის მოთხოვნილებას მუშახელზე. საჭირო იყო უფრო ქმედითი ღონისძიებების დასახვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1940 წლის 2 ოქტომბერს გამოსცა ბრძანებულება სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ. ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ იმავე 2 ოქტომბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან დააარსა შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო. აგრეთვე მიღებულ იქნა დადგენილება „სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ". ამ ღონისძიებებს უდიდესი სახელმწიფოებრივი და სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენი მრეწველობის შემდგომი გაფართოების ამოცანა მოითხოვდა, რომ შახტები, მაღაროები, ტრანსპორტი, ფაბრიკა, ქარხანა სრულად უზრუნველყოფილიყო მუშახელით. ამრიგად, სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანას წარმოადგენდა.

გეგმიანი სოციალისტური მეურნეობა ნიშნავს, რომ სახელმწიფო არა მარტო განაგებს მატერიალურ რესურსებსა და ფულად სახსრებს და ანაწილებს მათ სახალხო-სამეურნეო მოთხოვნილებათა შესაბამისად, არამედ აგრეთვე ხელმძღვანელობს მუშახელის გეგმიან მომზადებას. განაწილებასა და გამოყენებას. სოციალისტური საზოგადოებისათვის კვალიფიციური მუშახელის მომზადების სისტემა, სახალხო მეურნეობის დარგებსა და სფეროებს შორის შრომითი რესურსების განაწილება

---

1 გაზ. „პრავდა", 1939, 30 მარტი.

და გადანაწილება დიდი მნიშვნელობანი საქმეა. ამათ გარეშე გეგმიანი მეურნეობა შეუძლებელია.

ჯერ კიდევ კ. მარქსმა აღნიშნა, რომ წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის კოლექტიური წარმოების საფუძველზე სამუშაო დროის გეგმაზომიერი განაწილება პირველ ეკონომიურ კანონად რჩება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების იმ პუნქტს, რომ მუშახელის სახელმწიფო რეზერვები სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდა. სახალხო კომისარიატებსა და საწარმოებს მათი გამოყენება არ შეეძლოთ მთავრობის ნებართვის გარეშე. სახელმწიფო შრომითი რეზერვების მომზადებისა და განაწილების ხელმძღვანელობისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან, როგორც ითქვა, არსებობდა შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო, რომელსაც თავისი ორგანოები ჰქონდა რესპუბლიკებში, მხარეებში, მოსკოვსა და ლენინგრადში.

სპეციალური კომისიები განსაზღვრავდნენ იმ რაიონებს და კოლმეურნეობებს, სადაც უნდა ჩატარებულიყო მუშახელის ორგანიზებული შეგროვება. სამეურნეო ორგანოები სდებდნენ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს კოლმეურნეობებთან და ერთპიროვნულ გლეხებთანაც. ეს ამცირებდა სოფლის მოსახლეობის სტიქიურ ლტოლვას გარე სამუშაოზე. მუშახელის ორგანიზებული შეგროვება შესაძლებლობას იძლეოდა ქვეყნის შრომითი რესურსების გეგმაზომიერი გამოყენებისათვის.

ბრძანებულება აწესებდა, რომ ყველა ისინი, ვინც სახელოსნო სასწავლებლებს, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებს დაამთავრებდნენ, მობილიზებულად ითვლებოდნენ და ვალდებული იყვნენ ოთხი წელიწადი ემუშავათ სახელმწიფო საწარმოებში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს მითითებით.

ყველა ისინი, ვინც აღნიშნულ სასწავლებლებს დაამთავრებდა, სარგებლობდნენ წითელ არმიასა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტში გაწვევის გადავადებით იმ ოთხწლიანი ვადის გას-

ელამდე, რომელიც სავალდებულო იყო სახელმწიფო საწარმოების მუშებისათვის[1].

ეს ღონისძიებები მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის, მისი სამეურნეო და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. საფაბრიკო-საქარხნო, სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი გადაიქცნენ მუშათა კლასის უფროსი თაობის ღირსეულ ცვლად.

შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს ბრძანების შესაბამისად სასწავლებლებსა და სკოლებში სასწავლო წელი 1 დეკემბრიდან იწყებოდა. საქართველოს აღნიშნულ სასწავლებლებში უნდა გაეგზავნა 4700 ახალგაზრდა[2].

1940 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება საქ. სს რესპუბლიკაში სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოწყობის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკაში ეწყობოდა 10 სახელოსნო სასწავლებელი, სადაც 2800 კაცი ისწავლიდა, ერთი სარკინიგზო—300 მოსწავლისათვის და 9 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 1600 მოსწავლისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სახელმწიფო შრომითი რეზერვების სამმართველოს საწარმოო-ტექნიკურ ბაზად გადაეცა ყამოს სახელობის დაზგათსაშენი ქარხანა.

ამრიგად, კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები. მაგრამ ვინაიდან საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდნენ სახალხო მეურნეობას კვალიფიციური მუშახელით, საწარმოებსა და მშენებლობებზე ფართო განვითარება პოვა საწარმოო ტექნიკური სწავლების ქსელმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ (ტექმინიმუმის კურსები, სტახანოველთა სკოლები და სხვ.).

---

1 გაზ. „პრავდა", მოწინავე, 1940, 3 ოქტომბერი.

2 გაზ. „კომუნისტი", 1940, 8 ოქტომბერი.

ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებ-ს საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულებას „ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში ინჟინერთა, ოსტატთა, მოსამსახურეთა და კვალიფიციურ მუშათა სავალდებულო გადაყვანის წესის შესახებ“.

ბრძანებულება ხელს უწყობდა კვალიფიციური კადრების ორგანიზებულ გადანაწილებას, აგრეთვე ახალ საწარმოებში და ახალ მშენებლობებზე, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ რაიონებში განლაგებულ საწარმოებში მუდმივი კადრების შექმნას.

ასეთივე დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება „მოწყობილობის და მასალების სხვებისათვის მიყიდვის, გადაცემისა და გაცემის აკრძალვის და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის შესახებ“.

აღნიშნული ბრძანებულება უზრუნველყოფდა მატერიალურ ფასეულებათა განიავებისაგან დაცვას.

სამუშაო დღის გახანგრძლივებამ, საწარმოებში კადრების დენადობის შემცირებამ და მუშათა კლასის შემოქმედებითმა აქტივობამ, რაც ვლინდებოდა სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმებში, უზრუნველყვეს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ კავშირში, სამრეწველო პროდუქციის სწრაფი ზრდა.

შრომისნაყოფიერების ზრდა ხელს უწყობდა სოციალიზმის მატერიალური ბაზის გაფართოებას. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ამრიგად, შრომის სწორი ორგანიზაციით, მტკიცე შრომის დისციპლინის დამკვიდრებით, საწარმოო კონტროლის გაძლიერებით და სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლით რესპუბლიკის საწარმოებმა შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს.

თავი მეოთხე

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა მესამე ხუთწლედში

§ 1. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის შედეგები სოფლის მეურნეობაში

უმნიშვნელოვანესი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში მრეწველობის შემდეგ ეჭირა სოფლის მეურნეობას. ამიტომ სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა იყო ჩამორჩენილი წვრილგლეხური სოფლის მეურნეობის მსოფლიო სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. პარტიამ და საბჭოთა ხალხმა ეს ამოცანა მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის წარმატებით გადაწყვიტეს.

მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წარმატებით დაიწყო სოფლის მეურნეობაში. ეს განაპირობა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებამ და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებამ. სოფლად გაიმარჯვა მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება გახდა კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საფუძველი. წესდებამ დააკანონა კოლმეურნეობაში გლეხურ მეურნეობათა წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზოგადოება. იგი კარგად უხამებდა კოლმეურნეთა პირად ინტერესებს მის საზოგადოებრივ ინტერესებთან[1].

---

1 ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის შესახებ, 1935.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ეთანრდებოდა მდიდარ ბუნებრივ შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის საფუძველზე.

მესამე ხუთწლედის მარტო პირველი ორი წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნა 441,6 მლნ მანეთი, ე. ი. პირველ და მეორე ხუთწლედებში კაპიტალდაბანდებების 57.1 პროცენტი, 1940 წელს დაბანდებულ იქნა 306.1 მლნ მანეთი, ე. ი. იმავე ხუთწლედების კაპიტალდაბანდების 69.3 პროცენტი[1].

1938 წლისათვის კოლმეურნეობებს ეჭირათ მარცვლეული კულტურების საერთო ფართობის 72.3 პროცენტი, ჩაის — 80 პროცენტზე მეტი, თამბაქოს ნარგაევების — 75.5. ჭარხლის ნათესების — 100 პროცენტი.

1939 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო 4254 კოლმეურნეობა. 406 659 კომლიდან კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 377 414 კომლი, 85 5379 შრომისუნარიანი წევრით. კოლმეურნეობის გარეთ დარჩენილი იყო 126 301 კაცი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურებას უწევდნენ 1 736 კოლმეურნეობას[2].

1940 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 4 283 კოლმეურნეობა 459 821 კომლით. მარტო 1939 წელს კოლმეურნეობებში შევიდა 53 515 კომლი. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხური მეურნეობის 92,3 პროცენტი[3].

იზრდებოდა არა მარტო კოლმეურნეობათა რაოდენობა, არამედ დიდდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაც. ამას მოწმობს სახელმწიფო დამზადების გადიდება (იხ. ცხრილი № 6).

კოლმეურნეობათა განმტკიცების ნათელი მაჩვენებელი იყო კოლმეურნეთა შემოსავლის განუხრელი ზრდა. თუ 1938 წელს

---

1 პირველ ხუთწლედში დაბანდებული იყო 217 მლნ მანეთი, მეორეში—560 მლნ მანეთი (იხ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტ. არქივი, ფ. 29; ფურც. 48, ც. 18, გვ. 25).

2 სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილების არქივი, ფ. 1, ს. 2, ფურც. 1.

3 იქვე, ს. [illegible] ფ. 1.

სას.-სამ. პროდუქტების დასახელება	დამზადებული იყო			1939 წ. %-ებით 1937 წლის მიმართ
	1937	1938	1939	
ჩაის მწვანე ფოთოლი (ტონობით)	27312,0	35366,0	44865,0	164,3
ციტრუსები მლნ ცალობით	293,5	251,1	445,7	151,9
ყურძენი (ტონობით)	17576,7	16476,2	21039,2	119,7
აბრეშუმის პარკი (ტონობით)	18510,3	387[illegible],7	4147,7	118,2
თამბაქო (ტონობით)	15666,5	16418,9	16301,4	104,0
ტუნგო (ტონობით)	34,0	919,9	2732,0	8035,0

საქართველოში იყო 19 მილიონერი კოლმეურნეობა. 1939 წლის ბოლოსათვის მათი რაოდენობა 37-მდე აკიდა.

1938 წელს კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 366 მილიონი მანეთი, 1939 წელს კი 458 მილიონ მანეთზე მეტი. გაიზარდა მოსავალიც. 1939 წელს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალმა შეადგინა 5 821 021 ცენტნერი, ნაცვლად 1937 წელს მიღებული 5 143 518 ცენტნერისა[2].

კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში 1939 წლის 1 იანვრისათვის იყო 489 975 ათასი მანეთი, 1940 წლის 1 იანერისათვის კი 606 478 064 მანეთი.

1938 — 1940 წწ. კოლმეურნეობათა ანგარიშებში განუყოფელი ფონდი გაიზარდა 218,9 მლნ მანეთით, ხოლო გრძელვადიანი კრედიტების თანხა იმავე წლებში უდრიდა 330.9 მლნ მანეთს[3]. განუყოფელი ფონდების ზრდას უდიდესი მნიშვნე-

---

1 საქ. კპ (ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1940, გვ. 40.

2 ა. ნუცუბიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1935—1940 წწ., ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 123.

3 საქართველოს სას.-სამ. ბანკის წლიური ანგარიშების მასალებიდან, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ. თბ., 1967, გვ. 448.

ლობა ჰქონდა, რაც იყო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების ძირითადი პირობა.

მაღალ ანაზღაურებას ღებულობდნენ მოწინავე კოლმეურნეები. წითელწყაროს რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში 1939 წელს კოლმეურნეებმა მიიღეს შრომადღეზე ერთ ფუთზე მეტი მარცვალი. ნატანების კოლმეურნეობაში კოლმეურნე ი. ხურციძის ოჯახმა 1380 შრომადღე გაპოიმუშავა და მიიღო 14 490 მანეთი, 216 ფუთი მარცვლეული და სხვ. პროდუქტები. ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის წევრის გ. დარჩოშვილის ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეებზე მიიღო 8 100 მანეთი ფულად, 180 ფუთი მარცვლეული და სხვ. პროდუქტები.

საქართველოს კოლმეურნეებმა 1939 წლის შემოდგომაზე საშუალოდ მიიღეს 2 მან. და 30 კაპ. ფულად, 3,4 კილოგრამი მარცვლეული და აგრეთვე სხვა პროდუქტები[1].

რესპუბლიკაში წარმატებით სრულდებოდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის დადგენილება „შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვანი კულტურების ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". 1940 წლის 1 იანვრისათვის ციტრუსების პლანტაციებს ეჭირათ 17 122 ჰექტარი, ნაცვლად 3 280 ჰექტარისა 1936 წლის 1 იანვრისათვის. 1940 წლისათვის გათვალისწინებული იყო 6 500 ჰექტარის გაშენება. 1938 წელს გაშენდა 4 338 ჰექტარი, ხოლო 1939 წელს 7 189 ჰექტარი.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე 1938—1939 წლების მანძილზე გაშენებულ იქნა დაახლოებით 7000 ჰექტარი ახალი ვენახი და 1940 წლისათვის მისი საერთო ფართობი აყვანილ იქნა 48 381 ჰექტარამდე. 1942 წლისათვის ვენახების ფართობი აყვანილი უნდა ყოფილიყო 60 ათას ჰექტარამდე. სწრაფად ვითარდებოდა რესპუბლიკაში მესილეობაც. ხილის ბაღების ფართობი საქართველოში 1938—1939 წლების განმავლობაში 6 625 ჰექტარით გაიზარდა და და 1940 წლის 1 იანვრისათვის 66 337 ჰექტარს უდრიდა. მისი დიდი ნაწილი კოლმეურნეობებს ეკუთვნოდა. მასთან ერთად

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 11 თებერვალი.

სულ უფრო მეტ ფართობს იკავებდა სუბტროპიკული ნეხილეობა. მას უკვე 1940 წლის 1 იანვრისათვის ეჭირა 2536 ჰექტარი, მაშინ როდესაც 1938 წელს მხოლოდ 843 ჰექტარზე იყო გაშენებული.

თამბაქოს კულტურის განვითარებაში ძირითადი ამოცანა იყო არა ფართობების გადიდება, არამედ მოსავლიანობის ამაღლება. 1939 წლის მოსავლიდან 1940 წლის მარტისათვის უკვე დამზადებული იყო 16 301,4 ტონა თამბაქო, ე. ი. გეგმა შესრულებულ იქნა 104.8 პროცენტით.

მესამე ხუთწლედში სტახანოველმა მეაბრეშუმეებმა მკვეთრად აამაღლეს მოსავლიანობა.

ქისტაურელების მოწინავე მეთოდების გავრცელების მეოხებით გაზაფხულის გამოკვების ერთ კოლოფ თესლზე პარკის საშუალო გამოსავალი რესპუბლიკაში 1939 წელს უდრიდა 44.1 კილოგრამს, ნაცვლად 40,8 კილოგრამისა 1937 წელს. 1939 წელს დამზადებულ იქნა 4 147.7 ტონა პარკი — 637,4 ტონით მეტი, ვიდრე 1937 წელს. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა 344 მეაბრეშუმე და 60 სპეციალისტი.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო მარცვლეულის მეურნეობა, მაგრამ მის განვითარებაში 1939 წელს წინა წელთან შედარებით ერთგვარი ჩამორჩენა შეინიშნებოდა.

1939 წელს მარცვლეულ და პარკოსან კულტურებს კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ეკავათ 654,500 ჰექტარი, ანუ 21 400 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1938 წელს.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს. 1939 წლის 8 ივლისს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ". 1939 წლის სექტემბერში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა პარტიისა და მთავრობის ეს უმნიშვნელოვანესი დირექტივები და დასახა მისი განხორციელების ღონისძიებები.

1939 წლის 1 ივლისისათვის საქართველოს კოლმეურნეო-

ბებში იყო მეცხოველეობის 3 521 საკოლმეურნეო ფერმა. მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — 1 387.

1939 წლის 8 ივლისის დადგენილების განხორციელების საფუძველზე 1940 წლის პირველი კვარტალისათვის უკვე მოწყობილი იყო მეცხოველეობის 5 456 ახალი ფერმა და რეპუბლიკას უკვე ჰქონდა 8 310 ფერმა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღშენებლობის, მისი წამყვანი დარგების სწრაფი ზრდის, საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისა საქმეში მესამე ხუთწლედში წინანდებურადვე უდიდეს როლს ასრულებდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. იგნი წარმოადგენდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაციის, მისი ტექნიკურად შეიარაღების საქმეში პარტიის დასაყრდენს, სოფლის მეურნეობის კადრების მოამზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას.

ამიტომ კომუნისტური პარტია შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა მესამე ხუთწლედში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განმტკიცების აღოცანებს.

1939 წლის 13 იანვარს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილებანი „მარცელეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დარიცხვის წესის შესახებ“ და „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შესახებ“. აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ტიპიური ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან დასადებად. ეს დადგენილებები წარმოადგენდნენ დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის დოკუმენტებს და მიმართული იყო იქითკენ, რომ უფრო გაძლიერებულიყო მტს-ების მაორგანიზებელი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადებას. 1939 წელს მომზადდა და გადამზადდა სპეციალურ სკოლებსა და კურსებზე 1449 ტრაქტორისტი, 119 კომბაინერი, 288 შოფერი და სხვ.

. ამრიგად, მესამე ხუთწლედის პირველ ორ წელში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა საქართველოს სოფლის მეურ-

ნეობამ. გაიზარდა ნათესი ფართობი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებში, მკვეთრად შემცირდა იმ კოლმეურნეთა რაოდენობა, რომელთაც არ ჰქონდათ გამომუშავებული შრომადღეები დაწესებული რაოდენობით.

გაიზარდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქცია, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი (142 მილიონი მანეთით — 316 მლნ მანეთიდან 458 მლნ მანეთამდე).

მაგრამ მიუხედავად წარმატებებისა, სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნდა. ბევრ კოლმეურნეობაში დაბალი იყო შრომისნაყოფიერება. კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ასრულებდა შრომადღეების გამომუშავების დაწესებულ ნორმას, მცირე იყო კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ანაზღაურება. თუმცა საერთოდ რესპუბლიკის კოლექტივებში გაერთიანებული იყო გლეხობის 92 პროცენტი, მაგრამ ზოგ რაიონში ამ მხრივ ჯერ კიდევ ერთგვარ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოწინავე კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების დანერგვა საკავშირო მასშტაბით პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებასთან ერთად წარმოადგენდა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ქმედით საშუალებას. მოწინავე გამოცდილების დანერგვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა მოსკოვში მოწყობილი გრანდიოზული სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იყო იმ ისტორიულ გამარჯვებათა ბრწყინვალე დემონსტრაცია, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა მოწინავე, მაღალი ტექნიკით შეიარაღებული სოციალისტური მიწათმოქმედებისათვის ბრძოლაში. იგი გამოხატავდა იმ ძირითად ძვრებს, რომლებიც მოხდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ხუთწლედების პერიოდში.

1939 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო

გამოფენაზე საქართველოდან მონაწილეობდა 587 ორგანიზაცია. მათ შორის 496 კოლმეურნეობა, საკოლმეურნეო მეცხოველეობის 59 ფერმა, 31 საბჭოთა მეურნეობა, ერთი მტს-ი და სოფლის მეურნეობის 3 487 ნოვატორი. საქართველოს პავილიონი დაათვალიერა 4 500 ათასმა კაცმა.

სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის გამოფენის მონაწილეთა შორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვა 3 კოლმეურნეობა და 1 მეურნეობა: ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის, გეგეჭკორის, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და ოჩსამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ამავე მეურნეობებს გამოფენის მთავარმა კომიტეტმა პირველი ხარისხის დიპლომები მიაკუთვნა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები მიენიჭა სულ 107 მეურნეობას, ოქროს და ვერცხლის დიდი და პატარა მედლები მიეცათ 429 მოწინავეს. დიპლომებთან და მედლებთან ერთად სოფლის მეურნეობის მოწინავეებს ჯილდოდ მიეცათ 21 მსუბუქი ავტომანქანა, 52 მოტოციკლეტი და 825 000 მანეთი.

გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით 1939 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 2 345 კოლმეურნეობა, 5890 ბრიგადა, 3 459 რგოლი, 7 მტს-ი, 24 საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობის 213 ფერმა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის 12 524 ნოვატორი.

1940 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რაოდენობა 7 924-მდე გაიზარდა. მონაწილეთა შორის იყვნენ: 1 010 მეურნეობა და ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის 6 914 მოწინავე, სპეციალისტი და ხელმძღვანელი მუშაკები.

მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა 1940 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით საქართველოს სოციალისტური მეურნეობის 166 მოწინავე ორგანიზატორი დააჯილდოვა ოქროს და ვერცხლის მედლებით. პირველი ხარისხის დიპლომები მიეკუთვნათ ზუგდიდისა და ლაგოდეხის რაიონებს, 4 მტს-ს,

მეხილეობის ერთ საბჭოთა მეურნეობას და 6 კოლმეურნეობას. მეორე ხარისხის დიპლომი მიენიჭა 41 საბჭოთა მეურნეობას და კოლმეურნეობას.

ოქროს დიდი მედლით დაჯილდოებულ იქნა კასპის რაიონის სოფ. რგვალიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი სონა ქეთიშვილი, რომელმაც 1938 და 1939 წლებში ჰექტარზე საშუალოდ 899 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო, მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების კოლმეურნეობის ბრიგადირი ს. გოგიტიშვილი, რომელმაც ორი წლის განმავლობაში სრულ მსხმოიარე ხეზე საშუალოდ 900 ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი მოკრიფა[1].

ამრიგად, 1939—1940 წლების გამოფენის მონაწილეთაგან საგამოფენო კომიტეტმა მიღწეული წარმატებებისათვის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები მიანიჭა 155 კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, მტს-ს და სხვ. ოქროს და ვერცხლის დიდი და პატარა მედლებით დაჯილდოებულ იქნა გამოფენის 643 მონაწილე. დიპლომებთან და მედლებთან ერთად დაჯილდოებულთ გადაეცათ 34 მსუბუქი ავტომანქანა, 87 მოტოციკლი და 1 011 000 მანეთი ფულად[2].

მთავარი საგამოფენო კომიტეტის ცნობების თანახმად 1941 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის 6 392 მოწინავე[3].

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ომისწინა (1940) წლისათვის მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სწრაფი ზრდა მეორე და მესამე ხუთწლედებში მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა მიხედვით.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და კოლექტივიზაციის, მოწინავე აგროტექნიკისა და მექანიზაციის დანერგვის საფუძველზე საქართველო ომამდელ ხუთ-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1941, 5 იანვარი.

2 იქვე, 4 იანვარი.

3 იქვე, 18 მაისი.

წლებში გადაიქცა საკავშირო მნიშვნელობის მქონე ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების რესპუბლიკად. საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ამ ეტაპს სავსებით ეხება ის დახასიათება, რომელიც ი. ბ. სტალინმა მოგვცა: „კოლმეურნეობანი საბოლოოდ განმტკიცდნენ და გამაგრდნენ, ხოლო მეურნეობის სოციალისტური სისტემა ამჟამად ჩვენი მიწათმოქმედების ერთადერთ ფორმას წარმოადგენს"[1].

რესპუბლიკაში განუხრელად იზრდებოდა კოლმეურნეობათა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 1940 წელს 513 მილიონ მანეთამდე მიაღწია[2]. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ (ძიწათმოქმედება და მეცხოველეობა) 1965 წლის შესაბამისი ფასებით შეადგინა 417.7 მლნ მანეთი და 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 252 პროცენტით[3].

1940 წელს კაპიტალდაბანდებამ სოფლის მეურნეობაში შეადგინა 306, 1 მლნ მანეთი. მთელმა განსაზოგადოებულმა ფონდმა — 809 481 ათასი მანეთი, ხოლო კოლმეურნეობათა განუყოფელმა ფონდებმა 1940 წლის 1 იანვრისათვის — 762 287 ათასი მანეთი[4].

მეურნეობის სოციალისტური სექტორის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდის შესაბამისად გაიზარდა განსაზოგადოებული სექტორის ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, განვითარდა მეცხოველეობაც. სოციალისტური სექტორის ხვედრი წილი რესპუბლიკის მთელი ნათესის ფართობის მიხედვით შეადგენდა 88.2 პროცენტს. სულ საქართველოს სსრ ყველა კატეგორიის მეურნეობის სათესი ფართობი 1940 წელს უდრიდა 896 ათას ჰექტარს. აქედან კოლმეურნეობებზე მოდიოდა 780.6 ათასი ჰექტარი. მარ-

---

1 ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 11 გამოც., გვ. 719.

2 გაზ. „კომუნისტი", 1941, 4 იანვარი.

2 საქართველოს სსრ მოკლე ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი, თბ., 1967, გვ. 90.

4 ა. ნუცუბიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1935 — 1940 წწ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 97, 98.

ტო მარცვლეულ კულტურებს 645 ათასი ჰექტარი ეჭირა. ტექნიკური კულტურების საერთო ფართობში, რომელიც 51,6 ათას ჰექტარს უდრიდა, კოლმეურნეობების ნათესების ხვედრითი წილი 96.1 პროცენტს შეადგენდა[1].

1940 წელს მთელი რიგი კულტურების: მარცვლეულისა და პარკოსანის, მზესუმზირის, კარტოფილის და სხვ. მოსავლიანობა საგრძნობლად შემცირდა, რაც რესპუბლიკის მასშტაბით დიდი გვალვის შედეგი იყო.

1941 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 4199 კოლმეურნეობა 465.560 მეურნეობით. 1940 წლის 1 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა სარგებლობაში იყო 3812,3 ათასი ჰექტარი მიწა; აქედან კოლმეურნეობებს ეკუთვნოდათ 3610 ათასი ჰექტარი, მათ შორის სახელმწიფო აქტებით 4042 კოლმეურნეობას მიმაგრებული ჰქონდათ 3 მილიონი ჰექტარი.

საქართველოს კოლმეურნეობების და ერთპიროვნულ მეურნეობათა სარგებლობაში იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 465,6 ათასი ჰექტარი მიწა — უპირატესად ზამთრის საძოვრები, აქედან კოლმეურნეობების სარგებლობაში იყო 385 ათასი ჰექტარი ფართობი; გარდა ამისა, მშრომელი გლეხობის დროებით სარგებლობაში იმყოფებოდა სახელმწიფო მიწის 328 ათასი ჰექტარი.

ამრიგად, მშრომელი გლეხობის მიწათსარგებლობა 1940 წლისათვის გაზრდილი იყო 1163,4 ათასი ჰექტარით (2 806, 7 ჰექტარამდე ნაცვლად 1643,3 ათასი ჰექტარისა 1937 წელს)[2]. ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში მთელ რიგ კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლიანობა და მთლიანი პროდუქცია.

ამასთან ერთად გადიდდა ნათესი ფართობებიც. მაგალითად, თუ 1932 წელს ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 433.

[2] ნ. იაშვილი, „საქართველოს სსრ მიწის ფონდი", თბ., 1961, გვ. 174.

მეურნეობაში მეადგენდა 851,6 ათას ჰექტარს, უკვე 1940 წელს იგი უდრიდა თითქმის 896 ათას ჰექტარს[1].

ნათესი ფართობები განსაკუთრებით იზრდებოდა განსაზოგადოებულ სექტორში. ამას გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

ცხრილი 72

ნათესი ფართობის ზრდა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში
(1937 — 1940 წწ. ათას ჰექტარობით)

კულტურები	1937 წ.	1938 წ.	1939 წ.	1940 წ.
სულ ნათესი ფართობი	689,7	727,0	755,1	780,6
მათ შორის:				
1. მარცვლოვანი და ცერცვოვანი	591,6	627,5	6[illegible]9,3	651,0
2. ტექნიკური	44,8	43,9	46,6	49,6
მათ შორის:				
ა. თამბაქო	17,7	16,5	18,2	20,2
ბ. შაქრის ჭარხალი	5,5	5,5	5,5	5,5
გ. მზესუმზირა	11,7	12,5	13,6	14,7
3. კარტოფილი	7,2	10,2	12,5	16,1
4. ბოსტნეული	6,6	5,6	7,4	9,0
5. საკვები	57,6	36,7	3[illegible],1	3,3
6. დანარჩენი ნათესი	—	02	—	—

1940 წელს კოლმეურნეობებმა მარცვლეული კულტურები აიღეს 360 492 ჰექტარზე. სიმინდი — 270 ათას ჰექტარზე. შემოდგომაზე რესპუბლიკაში დაითესა 244 369 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები და მზრალად მოიხნა 168 000 ჰექტარზე მეტი ფართობი.

სულ, ყველა კატეგორიის მეურნეობაში მიღებულ იქნა 537,5 ათასი ტონა მარცვლეულის მოსავალი და საშუალო საჰექტარო მოსავალმა, როგორც აღვნიშნეთ, ძლიერი გვალვების

---

1 საბჭოთა საქართველოს 13 წელი, გვ. 62-63; იხ. აგრეთვე ეკონომიკის ინსტიტუტის ფონდი 29, ფურც. 48. ტ. 5, გვ. 12.

2 საბჭოთა საქართველოს 13 წელი, გვ. 62-63; იხ. აგრეთვე ეკონომიკის ინსტიტუტის ფონდი 29, ფ. 48, ტ. 6, გვ. 13.

შედეგად შეადგინა მხოლოდ 6.6 ცენტნერი. შესაბამისად თამბაქოს მოსავალმა შეადგინა 12,7 ათასი ტონა და 6,1 ცენტნერი, კარტოფილის — 138.8 ათასი ტონა და 54 ცენტნერი, ბოსტნეულის — 103,8 ათასი ტონა და 71 ცენტნერი, ხილის — 113 ათასი ტონა და 32,3 ცენტნერი, ყურძნის — 150 ათასი ტონა და 28.1 ცენტნერი, ციტრუსების — 29,8 ათასი ტონა და 43,8 ცენტნერი, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის — 51,3 ათასი ტონა და 22,9 ცენტნერი [1].

როგორც ვხედავთ, მარცვლეული მეურნეობის განვითარების საქმეში ჩამორჩენა იყო. ადგილი ჰქონდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემცირებას როგორც ერთპიროვნულ მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მარცვლეული კულტურების ნაცვლად აშენებდნენ მრავალწლიან კულტურებს. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ნაკვეთების ანაზღაურება ახალი მიწების ათვისებით და წინათ გამოყენებული ფართობების დამუშავებით.

ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ საქართველოს სახკომსაბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლის მიხედვითაც მარცვლეული კულტურების ფართობი რესპუბლიკაში უნდა გადიდებულიყო 40 ათასი ჰექტარით, ხოლო საშუალო მოსავალი ჰექტარზე აყვანილი ყოფილიყო 12,5 ცენტნერამდე. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო მაქსიმალურად გამოეყენებინათ მოწინავე კოლმეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების გამოცდილება მარცვლეულის მაღალი და მყარი მოსავლის მიღების საქმეში[2].

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად თავისებურებას საბჭოთა პერიოდში წარმოადგენდა მთელი რიგი მრავალწლიანი ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გაშენება. მარცვლეული კულტურების წარმოების

---

[1] Советская Грузия по ленинскому пути, стат. сб., Тбилиси, 1970, стр. 85.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1941, 19 თებერვალი.

გადიდებასთან ერთად განვითარდა მრავალწლიანი. ძვირფასი, იშვიათი. სუბტროპიკული კულტურები, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი. ეკონომიურად განამტკიცა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები.

1940 წლისათვის ჩაისა და ციტრუსოვანთა, ვენახის, ხილისა და ტექნიკური კულტურების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გადიდდა. ჩაის ფართობმა შეადგინა 49 637 ჰექტარი. ჰექტარზე საშუალო მოსავალი აყვანილ იქნა 2 276 კილოგრამამდე. ჩაის ფოთლის საზღაურად კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მიიღეს 85 576 700 მანეთი. ციტრუსოვანთა კულტურებმა შეადგინა 25 600 ჰექტარი. სახელმწიფოს ჩაბარდა 423.8 მლნ ცალი ლიმონი. მანდარინი, ფორთოხალი და სხვ. ვენახის ფართობმა შეადგინა 69,9 ათასი ჰექტარი, ხეხილის ბაღების — 84 348 ჰექტარი[1].

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ტექნიკური ბოსტნეულ-ბაღჩეული და სხვ. კულტურების ნათესი ფართობები. კოლმეურნეობებში ასევე დიდად გაიზარდა ვენახის ხვედრითი წილიც.

ცხრილი 8

მრავალწლიანი ნარგავების ფართობი საქ. სსრ 1932 — 1940 წწ.
(ათასი ჰექტარობით)[2]

კულტურები	1932 წ.	1937 წ.	1940 წ.
ვენახი	34,7	41,3	69,9
ხეხილის ბაღი	39,2	59,7	84,3
ციტრუსები (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, კრეიფრუტი)	2,0	5,7	24,6
ჩაი	25,5	41,7	49,6

მიღწეულ იქნა სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგის — მეცხოველეობის აღმავლობა. პირუტყვის

---

1 Грузинская ССР за 20 лет, 1941, стр. 41, 57, 61.
2 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატ. კრებ., 1961.

სულადობა ომამდელ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა. რქიანი პირუტყვის — 31,6 პროცენტით, ცხენების — 38,1 პროცენტით, ცხვრების და თხების — 6.7 პროცენტით და ღორების — 112,5 პროცენტით. გაიზარდა საკოლმეურნეო ფერმების რაოდენობაც, 1941 წლის დამდეგს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 9500 ფერმა იყო. პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად კოლმეურნეობებში შეიქმნა საჯიშე ფერმები. საკვები ბაზის გასაძლიერებლად იზრდებოდა საკვები კულტურის ნათესები, შემოღებულ იქნა საკვების დასილოსება. ტარდებოდა ღონისძიებანი საბალახოებისა და საძოვრების არსებითად გაუმჯობესებისათვის.

პირუტყვის რაოდენობა 1941 წლის 1 იანვრისათვის უდრიდა (ათასი სულობით): მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (კამეჩების ჩათვლით) 1607, მათ შორის: ძროხა და ფურკამეჩი — 575, ღორი — 615, თხა და ცხვარი 194, ცხენი 165,2[1].

საქართველოს კოლმეურნეობის 150 ათასამდე მეურნეობა ჩაბმული იყო მეაბრეშუმეობაში. აბრეშუმის პარკის საერთო მოსავალმა 3 579 ტონა შეადგინა, ე. ი. გეგმის 92,4 პროცენტი. 6 საგრენაჟო ქარხანაში ყოველწლიურად მზადდებოდა 150 ათასამდე კოლოფი აბრეშუმის მაღალხარისხოვანი ჰიბრიდული და წმინდა ჯიშის თესლი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახავდნენ ღონისძიებებს მეფუტკრეობის განვითარებისათვის. 1940 წლის 30 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეფუტკრეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ[2].

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე საფუძველი იყო სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობის

---

[1] Советская Грузия по Ленинскому пути, 1970, стр. 89.

[2] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1940, № 12, გვ. 6—8.

ამაღლება. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი იყო ბიოლწევები მესამე ხუთწლედში. იგი გამოიხატებოდა მტს-ების რაოდენობასა და სატრაქტორო პარკის ზრდაში.

ცხრილი 9.

მტს-ები და მათი მუშაობის ხამეურნეო მაჩვენებლები[1]

დასახელება	1937 წ	1938 წ.	1939 წ.	1940 წ.
მტს-ები სულ	45	51	54	58
ტრაქტორები სულ	1954	2280	2367	3015
მათი სიმძლავრე (ცხ. ძალა)	32237	38563	41975	55000
კომბაინი სულ	222	364	443	532
წარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულება (ათას მან.)	32825	37806	46587	—

როგორც ვხედავთ, ტრაქტორებისა და კომბაინების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მტს-ებში, გაიზარდა მათი სიმძლავრე, რაც შესაძლებლობას იძლეოდა კოლმეურნეობათა უკეთ მომსახურებისათვის. 1940 წელს ტრაქტორებით მომსახურება ეწეოდა რესპუბლიკის 1786 კოლმეურნეობას, ე. ი. 42,5 პროცენტს. მტს-ები მომსახურებას უწევდნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობების ყველა ნათესი ფართობის 70 პროცენტზე მეტს.

სოციალისტურ მიწათმოქმედებაში მანქანების სრული დატვირთვით და ეფექტურობით გამოყენება ხელს უწყობდა შრომისნაყოფიერების ზრდას, მიწის დამუშავების კულტურის ამაღლებას და მოსავლიანობის გადიდებას.

როგორც ცნობილია, პირველ და მეორე ხუთწლედებში დაშრობილ იქნა 17 ათასი ჰექტარი ჭაობი, მესამე ხუთწლედის

---

[1] Советская Грузия по ленинскому пути, стр. 92;

ა. ნუცუბიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1935—1940 წწ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 98.

ორი (1938 — 1939) წლის განმავლობაში ამ მიზნით დაიხარჯა 21,3 მლნ მანეთი. ხოლო 1940 წელს — 10 მლნ.

მთავრობის 1939 წლის 4 მარტის დადგენილებით აიკრძალა ამოშრობის შედეგად ათვისებულ მიწებზე თვითნებურად დასახლება და დროებით მიწათსარგებლობა. დაწესდა, რომ კოლხიდის დაბლობზე გადმოსახლებას აწარმოებდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მას შემდეგ, რაც გადმოსახლებულთა კონტინგენტს დაამტკიცებდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წარდგენით[2].

რესპუბლიკის სარწყავი ქსელი 2153 სხვადასხვა არხსა და კოლექტორს შეიცავდა, რომელთა საერთო სიგრძე 7,0 ათას კილომეტრს (წვრილი და სამეურნეო ქსელის ჩაუთვლელად) შეადგენდა. აგებულ იქნა მაშველის, ტირიფონის, ალაზნის, დიღმის და მთელი რიგი სხვა საინჟინრო-სარწყავი სისტემა, რომელიც იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ სოციალისტურ მიწათმოქმედებას დამატებით გამოეყენებინა ასეული ათასი ჰექტარი ნოყიერი მიწა[3].

1940 წლიდან შენდებოდა სოღანლუღის სარწყავი სისტემა და კეხვის სარწყავი არხი: 1941 წელს უნდა დაწყებულიყო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამუშაოები.

* * *

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა, სოფლად მსხვილი კოლექტიური სოციალისტური მეურნეობის შექმნა გულისხმობდა საბჭოთა მეურნეობების მასობრივ მშენებლობას.

საქართველოში ფართოდ გაიშალა საბჭოთა მეურნეობების

---

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტ. ფონდი 20, ფ. 48. ც. 18. გვ. 25.

2 საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 8, 1939, გვ. 133 — 134.

3 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1941, № 2, გვ. 21 — 26.

მშენებლობა ჯერ კიდევ პირველი ხუთწლეულიდან, რაც კოლექტივიზაციის მოსახლეობის ერთ-ერთ აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენდა. საბჭოთა მეურნეობები ეწყობოდა საქართველოს ყველა რაიონსა და კუთხეში. იქნებოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები.

საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო გაჯანსაღების მიზნით მათი რაოდენობის შემცირების შემდეგ, 1940 წელს საქართველოში სულ იყო 76 საბჭოთა მეურნეობა[1]. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში იყო 15 ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ციტრუსების — 3, ციტრუსებისა და სუბტროპიკების — 21 საბჭოთა მეურნეობა და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში ორგანიზებული იყო მევენახეობის 20, ხეხილის 6 სპეციალიზებული, მეცხოველეობის — 6 და მთელი რიგი სხვა საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მოიცავდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგს[2].

საბჭოთა მეურნეობები დიდ როლს ასრულებდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობის საქმეში.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მექანიზაციისა და შრომისნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, — ნათქვამი იყო საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციაში, — საბჭოთა მეურნეობები ნამდვილად გადაქცეულ იქნან მაღალნაყოფიერ, მაღალრენტაბელურ მეურნეობებად, რომელნიც იქნებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მაგალითი, მისი მაღალი მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მაგალითი. გადიდდეს პირუტყვის სულადობა საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მოწყობის გზით“[3].

---

[1] Сельское хозяйство Грузинской ССР. Тб., 1967, часть 1, стр. 14.

[2] ა. ნ უ ცუ ბ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1935—1940 წწ., ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 114.

[3] სკკპ.. რეზოლუციებში, თბ., 1954, ნაწ. III, გვ. 189.

ხუთწლიანი გეგმით მნიშვნელოვანი ამოცანები იქნა დასახული საქართველოს მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების წინაშე. ეს ამოცანები ჩამოყალიბებული იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 ივლისის დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარებისა და ღვინის წარმოების ხარისხობრივად გაუმჯობესების შესახებ"[1].

მესამე ხუთწლედის ბოლოს სამტრესტის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ვენახი გაშენებული უნდა ყოფილიყო სულ 1437 ჰექტარზე, აქედან ნაყოფის მომცემი — 1411 ჰექტარი იქნებოდა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუმჯობესებას საბჭოთა მეურნეობებში. ამ გზით 1938 წელს ერთ ჰექტარზე მოსავალი უნდა მიეღოთ 57.0 ცენტნერი, ხოლო 1942 წელს უნდა გაეზარდათ 63.0 ცენტნერამდე.

გათვალისწინებული იყო ხეხილის ფართობების გადიდება. მესამე ხუთწლედის ბოლოს ხეხილის საერთო ფართობი მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში უნდა გაზრდილიყო 1206 ჰექტარამდე[2].

დიდი პერსპექტივები ისახებოდა საბჭოთა მეურნეობებში ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში. გათვალისწინებული იყო ყველა სახის კულტურის ფართობების გადიდება. საქართველოს სსრ მიწსახკომის „სამტრესტის" სისტემაში 1938 წელს გაერთიანებული იყო 17 საბჭოთა მეურნეობა. მათ 1940 წელს ეკავათ 5855 ჰექტარი ფართობი[3]. ამავე დროს ამაღლდა მოსავლიანობა და გაიზარდა საერთო მოსავალი.

საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, შექმნილი იყო ჩაის 15 საბჭოთა მეურნეობა, რომელთა პლანტაციების ფართობი თითქმის 18 ათას ჰექტარს უდრიდა. იყო აგრეთვე მეთესლეობის ორი საბჭოთა მეურნეობა.

---

1 სამტრესტის არქივი, ფ. 1, ს. 1910, ფურც. 3—7.

2 იქვე.

3 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1946 წწ., თბ., 1947, გვ. 151.

მესამე ხუთწლედის პირველ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს „შამპანკომბინატის“ და „საქართველოს კონსერვტრესტის“ საბჭოთა მეურნეობებმაც. „შამპანკომბინატის“ საბჭოთა მეურნეობების საერთო ფართობი 1941 წლისათვის უდრიდა 1165,8 ჰექტარს, ხოლო „საქართველოს კონსერვტრესტის“ სისტემის მეურნეობების საერთო ფართობი კი 922 ჰექტარს.

ხუთწლედში სათანადო ყურადღება ექცეოდა ტუნგოს კულტურის განვითარებას. 1937 წელს ტუნგოს მოსავალი უდრიდა 24 ტონას, ხოლო 1940 წელს 1044 ტონას.

ხუთწლედში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია „ლიმონ-მანდარინის“ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა, 16 ასეთ მეურნეობას 1940 წლისათვის ეკავა 1796 ჰექტარი. მანდარინის მოსავალი თუ 1937 წელს შეადგენდა 14,839 ათას ცალს, 1940 წელს ავიდა 76.359 ცალამდე, ლიმონი 1937 წელს მიღებულ იქნა 246 ათასი ცალი, 1940 წელს კი 2165 ათასი ცალი. ფორთოხლის მოსავალი 1937 წლის 339 ათასი ცალიდან 1944 წელს გაიზარდა 1227 ათას ცალამდე[1].

1940 წელს ორ საბჭოთა მეურნეობას მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მიეკუთვნა I ხარისხის დიპლომი და დიდი ოქროს მედალი, ხოლო II ხარისხის დიპლომი და მცირე ოქროს მედალი წილად ხვდა 8 საბჭოთა მეურნეობას[2].

მეცხოველეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა. მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები პირუტყვის სულადობის ზრდასა და ჯიშობრივ გაუმჯობესებაში. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა 1934 წლიდან 1938 წლამდე მიჰყიდეს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შეღავათიან ფასებში 4727 ძროხა და დეკეული, 13,219 ღორი, 94 637 ცხვარი და ბატკანი[3].

საქართველოში მეცხოველეობის განვითარების და, განსაკუთრებით, მეცხოველეობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათ-

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1946 წწ. თბ., 1947, გვ. 154.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14. აღწ. I, ს. 11371, ფურც. 2—10.

3 გაზ. „კომუნისტი“, 1938, 8 იელისი.

ვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებას, რომლის შესაბამისად უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა გადაეცა საქართველოს სსრ მიწსახკომის გამგებლობას და გამოყენებულ იქნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო ბაზად. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით 1941 წელს ჩამოყალიბებულ იქნა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში მნიშვნელოვნად გადიდდა საბჭოთა მეურნეობებიდან მიღებული პროდუქციის ხვედრითი წილი. ამას მოწმობს ქვემოთ მოტანილი ცნობები 1940 წლისათვის[1].

ცხრილი 10

	სულ ჩაბარდა პროდუქცია	მ. შ. საბჭოთა მეურნ.
მარცვალი	34,7 (ათასი ტონა)	1,2 (ათასი ტონა)
ყურძენი (ტონა)	35 459	7 318 ტონა
ხილი	11 860 ტონა	448 ტონა
რძე	23 852 ტონა	744 ტონა
კვერცხი ათასი ც.	13 674	940 ათასი ც.
მატყლი (ტონა)	2 636 ტონა	227 ტონა
ხორცი (ცოცხალი წონა)	20 704 ტონა	888 ტონა

ამრიგად, სახალხო მეურნეობის მესამე ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობის განვითარების დასახული ამოცანების შესრულებაში დიდი მუშაობა გასწიეს საბჭოთა მეურნეობებმა.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებული მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გადაიქცნენ

[1] Грузинская ССР за 20 лет, стат. сб., 1941, стр. 27.

საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან რაზმად. მის რიგებში 18 ათასზე მეტი კაცი ითვლებოდა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმატებები მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა მეურნეობების განვითარებამ, ძათი თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებამ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სავსებით შეიცვალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სახე.

აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კოლმეურნერობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო, პოლიტიკური განმტკიცებისა და მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. წვრილგლეხური მეურნეობების ნაცვლად აღმოცენდნენ და განმტკიცდნენ მსხვილი კოლექტიური მეურნეობები. ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ფართობმა მიაღწია 43 ათას ჰექტარს, აქედან ჩაის კულტურას ეკავა 9093 ჰექტარი, ციტრუსების პლანტაციებს — 6644 ჰექტარი, ვენახს — 3000 ჰექტარი, თამბაქოს — 11430 ჰექტარი. დაინერგა სრულიად ახალი კულტურები—გერანი, ტუნგო, ლუფა და სხვ. 1940 წელს კოლექტივიზაცია დამთავრებულ იქნა აფხაზეთში და 262 კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 35,9 ათასი მეურნეობა, რაც გლეხური მეურნეობის საერთო რიცხვის 93.8 პროცენტს შეადგენდა[1].

1940 წელს აფხაზეთში იყო 5 მტს-ი ნათესებისა და ნარგავების ფართობი 92 100 ჰექტარს უდრიდა. ნათესი ფართობი კი შეადგენდა 45,4 ათას ჰექტარს, მათ შორის მარცვლეული და პარკოსანი კულტურების — 30.6 ათას ჰექტარს. კოლმეურნეობების ძირითადმა ფონდებმა მიაღწია 104,0 მლნ მანეთს[2].

აფხაზეთის მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ნაწილი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა 1939 და 1940 წლებში

---

1 საქართველოს ისტორია, ტ. III, 1960, გვ. 166.

2 აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სოხუმი, 1957, (რუს.) გვ. 26, 44, 53.

დააჯილდოვა დიპლომებით, დიდი და პატარა ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

აჭარის ასსრ-ში დაქუცმაცებული, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი კოლექტიური მეურნეობები.

საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავზე აჭარაში 18 საბჭოთა მეურნეობა იყო. აჭარის სოფლის მოსახლეობის 18 ათასი კომლი, ანუ 97,5 პროცენტი გაერთიანებული იყო 212 კოლმეურნეობაში, სამუდამო სარგებლობაში ჰქონდათ 141,065 ჰექტარი მიწა 7783 ჰექტარი სათესი ფართობით.

1940 წლის დამლევს აჭარაში იყო 5391 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ჩაის 7-მა ფაბრიკამ 19 004 ათასი მანეთის მზა პროდუქცია გამოუშვა. ციტრუსების საერთო ფართობი უდრიდა 7766 ჰექტარს. 1939 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 315 352 ათასი ციტრუსოვანთა ნაყოფი. სახელმწიფოს მიეყიდა 33 963 კგ აბრეშუმის პარკი. კოლმეურნეობებს ჰქონდათ 418 ფერმა და ჰყავდათ 17 222 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. კოლმეურნეობების ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 41 500 ათასი მანეთი. საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობდა 200 აგრონომი, 255 აგროტექნიკოსი. 40 ვეტერინარი და სხვ. რესპუბლიკაში იყო 7 მილიონერი კოლმეურნეობა[1].

დიდი სამეურნეო და სოციალისტური გარდაქმნების შედეგად შეიცვალა სამხრეთ-ოსეთის სოფლების სახე. განმტკიცდა გამარჯვებული საკოლმეურნეო წყობა.

1940 წელს სამხრეთ ოსეთში კოლექტივიზაცია დამთავრებულ იქნა და კოლმეურნეობებში გაერთიანდა გლეხობის 99,4 პროცენტი. კოლმეურნეობების განკარგულებაში იყო 34 093 ჰექტარი სათესი ფართობი. ბაღებისა და ვენახების ფართობი 3 ათას ჰექტარს აღწევდა. დიდად გაიზარდა პირუტყვის სულადობა და 1940 წლის ბოლოს ის შეადგენდა 250 590 სულს. მარტო საკოლმეურნეო ფერმებში 91 426 სული პირუტყვი იყო.

1940 წელს ოლქის 35 კოლმეურნეობამ და სოფლის მეურ-

---

1 აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათუმი, 1958, გვ. 21, 33, 39; გაზ. „კომუნისტი", 1941, 18 მარტი.

ნეობის 74 მოწინავემ მონაწილეობა მიიღო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე 1941 წელს სერიოზული ამოცანები იდგა. გათვალისწინებული იყო გაზაფხულსა და შემოდგომაზე მარცვლეული კულტურების დათესვა 633 800, ბოსტნეულის — 11 800. კარტოფილის — 18 000, კულტურული ბალახების— 68 800 ჰექტარზე. ციტრუსოვანი კულტურების გაშენება გათვალისწინებული იყო 3570 ჰექტარზე: ჩაის — 2 100, ვენახის — 6 230, ხეხილის ბაღების — 4 850 ჰექტარზე, ბამბუკის— 500 ჰექტარზე და სხვ. წყალთა მეურნეობის ხაზით ჩასატარებელი მშენებლობის ხარჯების მოცულობა დამტკიცებული იყო 52 700.0 ათასი მანეთის ოდენობით. აქედან მარტო კოლხეთის ჭაობის დაშრობაზე უნდა დახარჯულიყო 33 მლნ მანეთი. დიდი სამუშაოები იყო დაგეგმილი სარწყავ არხთა მშენებლობის ხაზით.

დიდი მუშაობა იშლებოდა საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოსაწყობად. მარტო ჩაის ფაბრიკებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამჭმარე მშენებლობისათვის 1941 წელს უნდა დახარჯულიყო 33 მლნ მანეთი. ციტრუსოვანთა გადამმუშავებელი და კვების მრეწველობის ხაზით, მეღვინეობის გადამმუშავებელი მრეწველობის განსავითარებლად გათვალისწინებული იყო 22 მლნ მანეთი[1].

* * *

ამრიგად, როგორც აღინიშნა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მთავარ ამოცანას შეადგენდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა კოლმეურნეობების საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასაელის ხარჯთაღრიცხვის სწორად შედგენას, გამომუშავების ნორმების დაწესებას, სამუშაოთა შეფასების სანარდო სისტემის საფუძველზე, მუდმივ საწარმოო საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობას და მუ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941, 4 ივნისი.

შახელის სწორად განაწილებას ბრიგადების მიხედვით. შრომის სწორ აღრიცხვასა და ანაზღაურებას, საკოლმეურნეო საზოგადოებრივი ფონდების გამოყოფას, კოლმეურნეობის ბრიგადირის, როგორც კოლმეურნეობაში ცენტრალური ფიგურის, როლის ამაღლებას, კოლმეურნეობის ხელმძღვანელი კვალიფიციური კადრების მომზადებას.

სოფლის მეურნეობის აძაღლებაში დიდი როლი ითამაშა დაშვებული შეცდომების ლიკვიდაციამ და დამზადების რეალური გეგმების დაყვანამ კოლმეურნეობებამდე. გაუმჯობესდა დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობა, თანდათანობით ხდებოდა მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის აღკვეთა.

მესამე ხუთწლედში საქართველოს სოფელში განუყოფლად დამკვიდრდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით, რაც იყო წინა ხუთწლედში მიღწეული წარმატებების შედეგი.

მეორე ხუთწლედის დამდეგიდან სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად ლოზუნგად იქცა: „გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და ყველა კოლმეურნე შეძლებულად“.

ზემოთ აღინიშნა, რომ საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებას, რაც ხორციელდებოდა პარტიის და მთავრობის დადგენილების საფუძველზე. ამ გზით კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში. ამან ხელი შეუწყო კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას, საკოლმეურნეო წარმოებით კოლმეურნეობის დაინტერესების ამაღლებას.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად არსებითად შეიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სახე.

საქართველო გადაიქცა სსრ კავშირის ერთადერთ მხარედ, სადაც საბრეწველო მასშტაბით გაშენდა და სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურები, რო-

გორიცაა ჩაი, ციტრუსები, ტუნგო. ეთერ-ზეთოვანი კულტურები, ევკალიპტი, ვეფახისა და ხეხილის ძვირფასი ჯიშები, ძალაბარისხოვანი თამბაქო. კეთილშობილი დაფნა და სხვ. როგორც აღინიშნა, საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურება სწორედ ამ კულტურების სასრეწველო განვითარებით აიხსნება.

საქართველოში სხვადასხვა კულტურების დანერგვისა და განვითარების შედეგად გაძლიერდა და განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიური ბაზა. კოლმეურნეობებს მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცა 3 241 301 ჰექტარი მიწა.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება მიმდინარეობდა მტს-ების გაძლიერებასთან, მათი ორგანიზაციული, აგროტექნიკური ხელმძღვანელობის და ტექნიკური მომსახურების მძლავრ ცენტრებად გადაქცევასთან დაკავშირებით. საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცება უშუალო კავშირში იყო საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებასთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება თავის გავლენას ახდენდა კოლმეურნეობათა საწარმოო მიმართულებაზე. ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობდა მუშახელის გამოყენებას და წელიწადის სხვადასხვა პერიოდის მიხედვით მის შედარებით თანაბარ დატვირთვას. 1940 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებში მოზარდების ჩათვლით 1 065 432 შრომისუნარიანი წევრი ითვლებოდა. მკვეთრად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, გაიზარდა შრომისნაყოფიერება. ამაღლდა შრომის დისციპლინა, მტკიცედ დამკვიდრდა სანარდო სისტემა. შრომადღე საკოლმეურნეო წარმოებაში კოლმეურნეობათა მონაწილეობის განმსაზღვრელი ძირითადი საზომი ერთეული გახდა, გადიდდა შრომადღეების გამომუშავება. ამასთან გაიზარდა კოლმეურნე ქალთა მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუდმივი საწარმოო ბრიგადების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. სწრაფი ტემპით ინერგებოდა შრომის რგოლური სისტემა. რგოლების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო სა-

მუშაოთა უკეთ ორგანიზაციას, მოცემული საწარმოო დავალების დროულად და მაღალხარისხოვნად, გადავარბებით შესრულებას, შრომისუნარიან კოლმეურნეთა სწორ გამოყენებას და მათი შრომისნაყოფიერების გადიდებას.

კოლმეურნეობებში რგოლების ორგანიზაცია ხელს უწყობდა გაუპიროვნების ლიკვიდაციას და ქმნიდა ყველა პირობას რგოლის წევრთა მიერ თითოეული ნაკვეთის, ნარგავის და ნათესის დიფერენცირებულ-ინდივიდუალური მოვლისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოიშვა და განვითარდა სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და სახეობები. იზრდებოდა სტახანოველთა რაოდენობა. სტახანოვური მოძრაობა გახდა შეჯიბრების ძირითადი ფორმა კოლმეურნეობებში. სოციალისტური სოფლის მეურნეობის სტახანოველებმა შრომისნაყოფიერების გადიდების მაღალ შედეგებს მიაღწიეს. საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის სტახანოველთა და მოწინავეთა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები 1939 — 1940 წლებში აღინიშნა მაღალი ჯილდოებით. მათ მიიღეს 88 ოქროს, 486 ვერცხლის დიდი და პატარა მედალი.

ყოველწლიურად იზრდებოდა საქართველოს კოლმეურნეობათა ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება. მტკიცდებოდა და დიდდებოდა საკოლმეურნეო-საზოგადოებრივი საკუთრება.

აღნიშნულ წარმატებებს განაპირობებდა კოლმეურნეობების გამოცდილ სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფა. საქართველოს ყავდა აგრონომთა, ინჟინერ-მექანიკოსთა ვეტექიმთა მთელი არმია. მარტო საქართველოს სსრ მიწსახკომის სისტემის ხაზით 2640 აგრონომი, ინჟინერ-ტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი მუშაობდა.

სამი წლის განმავლობაში (1937 — 1939 წწ.) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და ვეტინსტიტუტმა გამოუშვეს 1625 სპეციალისტი. უკვე 1940 წელს ორივე ინსტიტუტში 2507 სტუდენტი სწავლობდა[1].

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 10 [illegible]

მესამე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო იყო სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწორად განაწილება-გამოყენება, რათა ისინი წასულიყვნენ უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ, მიეღოთ სათანადო გამოცდილება და კოლმეურნეობებისათვის გაეწიათ კვალიფიკაციური ხელმძღვანელობა. ითვალისწინებდა რა ამას, კომუნისტური პარტია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გზავნიდა სპეციალისტებს, საკოლმეურნეო საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს.

მესამე ხუთწლედში გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი. თუ 1937 წელს კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობის 76,5 პროცენტი, 1940 წელს იგი გაიზარდა 94.1 პროცენტამდე.

ამრიგად, მესამე ხუთწლედში, საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ გაიმარჯვა. იგი მოხდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე და წარმოადგენდა ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგს. საქართველოს, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, კოლმეურნე გლეხობა გადაიქცა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ და მტკიცე დასაყრდენად.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და საკოლმეურნეო წყობილების გაძლიერება უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საკოლმეურნეო წყობილებამ სოფლად გზა გაუხსნა საწარმოო ძალების ახალ მძლავრ აღმავლობას. ერთპიროვნულ, კარჩაკეტილ ნატურალურ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად სოფლად შეიქმნა მრავალდარგოვანი კოლექტიური მეურნეობანი.

კოლმეურნეობების სამეურნეო პოლიტიკური განმტკიცებისათვის ბრძოლაში იზრდებოდა და იწრთობოდა პარტიული ორგანიზაციები სოფლად. 1941 წლის დასაწყისში კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ითვლებოდა 1947 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. რაზმავდნენ რა თავიანთ გარშემო სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ისინი განუხრელად აღწევდნენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ

განმტკიცებასა და სასოფლო-საბეურნეო წარმოების აშენებას[1].

საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიამ ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება ეროვნულ რაიონებში მიმდინარეობდა საერთო კანონზომიერების საფუძველზე. მაგრამ ამ საერთო კანონზომიერების ფარგლებში, სხვადასხვა რაიონებში მეურნეობის გარდაქმნის ტემპებსა და ფორმებში ადგილი ჰქონდა არსებით განსხვავებას, რაც ადგილობრივი პირობებით განისაზღვრებოდა.

საქართველოს გლეხობამ მთელ საბჭოთა გლეხობასთან ერთად ბუშათა კლასის დახმარებით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი და რთული ისტორიული გზა განვლო. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შემდგომი აღმავლობის გზაზე დადგნენ. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა საბჭოთა სოფლის კლასობრივი სტრუქტურა, გლეხობის სოციალურ-ეკონომიური ბუნება.

საკოლმეურნეო წყობილებამ ქართველი გლეხობა კულტურისა და შეძლებული ცხოვრების გზაზე გამოიყვანა. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ გამოიწვია გლეხის არა მარტო მატერიალური ყოფის შეცვლა, არამედ მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნაც. მან, როგორც მ. ი. კალინინი აღნიშნავდა, „გააფართოვა მისი ჰორიზონტი, უფრო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანად აქცია იგი“[2].

მესამე ხუთწლედისათვის საქართველოს გლეხობამ საბჭოთა კავშირის გლეხობასთან ერთად მტკიცედ დაუკავშირა თავისი ცხოვრება სოციალიზმს, საკოლმეურნეო წყობილებას და თავდადებით იბრძოდა მისი ყოველმხრივი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

---

1 საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, 1963, (რუს.), გვ. 177.

2 მ. ი. კ ა ლ ი ნ ი ნ ი, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, თბ., 1944, გვ. 39.

ამრიგად, საკოლმეურნეო წყობილების გამარკვევამ მოსპო კაპიტალისტური წყობა, რითაც გლეხობის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ფენები გაანთავისუფლა კულაკური ექსპლოატაციისაგან. სოფლად დაძლეულ იქნა გლეხობის ფენებად დაყოფა. წარმოების საშუალებებზე სახოგადოებრივმა საკუთრებამ და კოლექტიურმა შრომამ, მექანიზაციის განუხრელად გაფართოებამ შრომისნაყოფიერების გადიდებამ. მშრომელი გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლების ფართო შესაძლებლობები შექმნა. სოციალიზმი, რომელმაც დიდი სამამულო ომისწინა წლებში ძირითადად გაიმარჯვა ქალაქად და სოფლად, გახდა სახალხო მეურნეობის ერთიანი, ყოველისმომცველი სისტემა.

მაშასადამე, ლენინის კოოპერაციულმა გეგმამ განსაზღვრა გენერალური კურსი, რომლითაც კომუნისტურმა პარტიამ წაიყვანა გლეხთა მასები ახალი ცხოვრებისაკენ. საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებები მიღწეული იყო პარტიული ორგანიზაციების მიერ სოფლად დიდი ორგანიზატორული მუშაობის ჩატარების შედეგად. პარტიული ორგანიზაციები განმტკიცდნენ საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებთან ბრძოლაში, იდეურად გამოიწვრთნენ, აამაღლეს თავიანთი რიგების ბრძოლისუნარიანობა და დააგროვეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მდიდარი გამოცდილება.

„საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ პარტია მუდამ ასრულებდა ვ. ი. ლენინის ანდერძს, — ნათქვამი იყო კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობაზე, — საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ყველა ეტაპზე პარტია თკალსაჩინოვით უფრთხილდებოდა, განამტკიცებდა მუშათა და გლეხთა კავშირს. მუშათა კლასი აქტიურად იბრძოდა სოციალიზმის განმტკიცებისათვის სოფლად. უდიდეს დახმარებას უწევდა და

უწევს საკოლმეურნეო წყობილების განვითარებასა და განმტკიცებასაც[1].

კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ და ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებათა გათვალისწინებამ უზრუნველყო უდიდეს სიძნელეთა გადალახვა და მშრომელი გლეხობის მასობრივი გაერთიანება კოლმეურნეობებში, გასაქანი მიეცა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას. კოლმეურნე გლეხობა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წამყვანი ძალა გახდა.

საბჭოთა ქვეყანაში წარმატებით იქნა გადაჭრილი სოციალისტური რევოლუციის ისტორიული ამოცანა — მილიონობით წვრილმესაკუთრული გლეხური მეურნეობა გადაექცია კოლექტიურ, სოციალისტურ მეურნეობად, რაც უძნელესი ამოცანა იყო მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ. ეს იყო ნამდვილი რევოლუცია. კოლექტივიზაციამ საბჭოთა ხელისუფლებას შეუქმნა მტკიცე სოციალური ბაზა სოფლის მეურნეობაში, მოამზადა გადამწყვეტი პირობები სოციალისტური სახალხო მეურნეობის აშენებისათვის, მიგვიყვანა საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებამდე სოფლად, განამტკიცა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირი.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით ისტორიაში პირველად დამკვიდრდა სოფლად ახალი წარმოებითი ურთიერთობა. შეიქმნა და განმტკიცდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა.

საკოლმეურნეო წყობილების ისტორიული როლის შესახებ ლ. ი. ბრეჟნევი კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე აღნიშნავდა: „პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო და მისი მთავარი საფუძველი მუშათა და გლეხთა კავშირი, უზრუნველყო რეალური პირობები იმისათვის, რომ გლეხებმა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი წარმოების მართვაში, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში.

---

[1] ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის გამარჯვება, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის მასალები, თბ., 1969, გვ. 5.

ეკონომიური თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ სოციალიზმისა და კომუნიზმის სამსახურში ჩააყენა მსხვილი წარმოების სარგებლიანობა, შესაძლებლობა მოგვცა სოფლის მეურნეობა განგვეთავისუფლებინა თანამედროვე, ინდუსტრიულ საფუძველზე.

სოციალური თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ არა მარტო თავიდან ააცილა მშრომელ გლეხობას ექსპლოატაცია და სიღატაკე, არამედ საშუალება მოგვცა სოფლად დაგვეყარებინა საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლასობრივი განსხვავების სრულ დაძლევას საბჭოთა საზოგადოებაში"[1].

სსრ კავშირში, ასევე საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობასა და მისი გამარჯვების საქმეში მოპოვებული წარმატებები იმის შედეგია, რომ კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ლენინის კოოპერაციული გეგმა საფუძვლად დაუდეს რა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, მოგვცეს ამ საკითხზე ლენინური მოძღვრების თეორიული გაღრმავება და ქვეყნის მთლიანი კოლექტივიზაციით პრაქტიკულად განახორციელეს ის, რაც დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

§ 2. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი

მესამე ხუთწლედისათვის ძირითადად დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. სოფლად საბოლოოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო. პარტიამ ამ ახალ ეტაპზე გაატარა მრავალი ღონისძიება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება-განმტკიცებისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1969, 26 ნოემბერი.

და საქეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციას, ანაზღაურების წესის და მატერიალური დაინტერესების საკითხებს. მართლაც, 1938 — 1941 წლებში მიღებულ იქნა მრავალი ძნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

1938 წლის 19 აპრილს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორი განაწილებისა" და კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ"[1]. ეს დადგენილებები ითვალისწინებდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის დონის შემდგომ ზრდასა და კოლმეურნეობათა განმტკიცებას, მათ საფუძველზე იმავე წლის 22 აპრილს საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება. დაისახა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის დადგენილებათა განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი.

1938 წლის ივნისის დამდეგს საქართველოს კპ (ბ) ცკ-მა განიხილა კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის წინასწარი შედეგები და ამავე დროს კიდევაც დასახა ახალი პრაქტიკული ღონისძიებები საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სერიოზულმა შეცდომებმა კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის საქმეში დიდი ზიანი მიაყენეს საკოლმეურნეო წყობილებას. ზოგიერთ რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად კოლმეურნეებს კოლმეურნეობებიდან რიცხავდნენ, უმეტეს შემთხვევაში, სამუშაოზე გამოუსვლელობისათვის ან შრომის დისციპლინის სხვა დარღვევისათვის. ასეთი პრაქტიკა დაგმო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 19 აპრილის დადგენილების შესრულების სის-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ს. 7931, ფურც. 2.

ტემატურ შემოწმებას ახდენდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. იგი ამჟღავნებდა დაშვებულ შეცდომებს, ყურადღებას აქცევდა დადგენილების ზუსტად და განუხრელად განხორციელებას ყველა რაიონში, ყველა კოლმეურნეობაში[1].

კოლმეურნეობებში ერთსულოვნად მოიწონეს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაოვებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ".

დადგენილება მიმართული იყო იმ ანტისაკოლმეურნეო მოქმედების აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობაში. დადგენილება გმობდა კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტებს, რაც გამოიხატებოდა კოლმეურნეობების მიწების დატაცებასა და საკარმიდამო ნაკვეთების უკანონო გაფართოებაში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ასეთი უხეში დამახინჯების ფაქტებს საქართველოშიაც ჰქონდა ადგილი. იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული პირები გაურბოდნენ კოლმეურნეობაში მუშაობას, მაგრამ სარგებლობდნენ კოლმეურნის ყველა უფლებით.

საკ. კპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა აგრეთვე მოიწონა საკ. კპ (ბ) ცკ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „1939 წლის მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ", რომელიც სასტიკად გმობდა შეცდომებს პურის მოსავლის აღებისა და დამზადების საქმეში.

1939 წლის 22 ივნისს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ საკ. კპ (ბ) ცკ-ისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 27 მაისის დადგენილების საფუძველზე მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწებისა და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ.

---

1 საკ. კპ (ბ) XI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1938, გვ. 31—36.

ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საყანე მიწა (გარდა საკარმიდამო მიწისა) დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის განისაზღვრა ნახევარი ჰექტარით, ხოლო აღმოსავლეთის და აჭარის ზოგიერთი რაიონებისათვის — ერთ ჰექტარამდე.

საქართველოს სსრ ყველა რაიონში ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა (იმ მიწის ჩათვლით, რომელიც შენობებს ეჭირა) განისაზღვრა 2000 კვ მეტრით.

ერთპიროვნულ მეურნეობათა ყველა ზედმეტი როგორც საყანე, ისე საკარმიდამო მიწა მიეზომებოდა საკოლმეურნეო მიწებს და უმთავრესად მოხმარდებოდა კოლმეურნეობათა მიწის საკარმიდამო ფონდის შევსებას[1].

საკოლმეურნეო მიწების განიავებისაგან დაცვის საკითხზე სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის ივნისის პლენუმმა[2]. დადგენილება გმობდა ასეთ ანტისაკოლმეურნეო და ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას, რომელსაც დეზორგანიზაცია შეჰქონდა საკოლმეურნეო ცხოვრებაში. სახელს უტეხდა კოლმეურნეობებს.

აღნიშნულმა დადგენილებამ აამაღლა კოლმეურნეობებში შრომისნაყოფიერება. შექმნა მტკიცე დისციპლინა, ახალი ძალით წასწია წინ საკოლმეურნეო მოძრაობა.

დადგენილების შესაბამისად ჩატარდა მიწების ხელახალი აზომვა. გამოირკვა, რომ საქართველოში 135 955 საკოლმეურნეო კომლს მიეთვისებინა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დაწესებულ ნორმაზე მეტი 42 748 ჰექტარი მიწა. 81 180 ერთპიროვნულ მეურნეს და სხვა პირებს, რომლებიც კოლმეურნეობებში არ მუშაობდნენ, აღმოაჩნდათ მეტი მიწა 72 563 ჰექტარის რაოდენობით. კოლმეურნეობებს დაუბრუნ-

---

1 საქართველოს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 9, 1939, გვ. 306.

2 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 5, გვ. 2—6.

დათ 115 311 ჰექტარი მიწა[1]. ჩატარდა კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწების ზუსტი გამიჯვნა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებისაგან. მოხდა მრავალნაკვეთიანობის ლიკვიდაცია და სხვ.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის დადგენილებით შრომისუნარიანი კოლმეურნეებისათვის დაწესებულ იქნა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ კოლმეურნეთა ერთი ნაწილი იმუშავებდა ძალიან მცირე შრომადღეებს, თავს არიდებდა საკოლმეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. ადგილი ჰქონდა აგრეთვე საკოლმეურნეო სამუშაოსადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტებს.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება მიმართული იყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წასახალისებლად და კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად[2].

1939 წლის სექტემბერში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე რიგგარეშე სესიაზე მიღებულ იქნა ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. კანონი აწესებდა ახალ საშემოსავლო გადასახადს კოლმეურნეობათა საკარმიდამო ნაკვეთებიდან და ანთავისუფლებდა კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეების შემოსავლის მიხედვით გადასახადისაგან. აღნიშნული კანონი ხელს უწყობდა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას და შრომისნაყოფიერების ამაღლებას.

საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში მტკიცე წესრიგის დამყარებამ და თითოეული შრომისუნარიანი კოლმეურნისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესებამ დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობებში შრომის დისციპ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 27 მაისი.

[2] Н. Шевцов. Коммунистическая партия в борьбе за упрочение и развитие социалистического общества, за постепенный переход к коммунизму (1937 г. — июнь 1941 г.) М., 1958, стр. 64.

ლის აძაღლებას. კოლმეურნეობათა კიდევ უფრო განმტკიცებას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდას.

საკოლმეურნეო წყობილების განვითარების, კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და მათგან მათი შესყიდვის წესის განახლებას. ეს ახალი წესი ჩამოყალიბებული იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 11 აპრილის დადგენილებაში „ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში"[1].

ყოველი კოლმეურნეობა ვალდებული ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა მასზე მიმაგრებული მიწის ფართობის ყოველი ჰექტარის მიხედვით. ამ დადგენილებით, აგრეთვე, გაუქმებულ იქნა არსებული წესი, რომლის თანახმადაც კოლმეურნეთა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება სწარმოებდა ამ კულტურების თესვის გეგმის მიხედვით, კანონი გატარდა 1940 წლიდან.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ახალი წესი არა მარტო უზრუნველყოფდა დამზადების სისტემაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, არამედ აძლიერებდა კოლმეურნეობათა ინიციატივას და წარმოადგენდა მძლავრ ბერკეტს საკოლმეურნეო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ დადგენილების ცხოვრებაში განხორციელების ღონისძიებანი დასახა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის მაისის პლენუმმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემა მუდამ იდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის ყურადღების ცენტრში. ეს იყო გამოწვეული საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკითაც. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის, ციტრუსების და მევენახეობის განვითარებას მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ კო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 15 აპრილი.

ბენისტური პარტია ყველა ღონისძიებას იღებდა მათი სწრაფი აღმავლობისათვის.

1940 წლის 25 აპრილს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ". დადგენილებაში აღნიშნული იყო ის სერიოზული წარმატებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კულტურის ზრდის დარგში. 1940 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხური მეურნეობის 92,3 პროცენტი. კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ერთი სამად და უფრო მეტად გაიზარდა[1].

ეს დადგენილება 1940 წლის მაისში განიხილა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება 1940—1944 წლებისათვის ციტრუსების, ჩაის, ვენახის, ევკალიპტის ნარგავების, ბამბუკის, კეთილშობილი დაფნის და სუბტროპიკული კულტურების გაშენების გეგმების შედგენის შესახებ[2].

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „ლიმონისა და ფორთოხლის გასაშენებლად გამოსადეგ მიწებზე სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენების აკრძალვის შესახებ"[3].

1940 წლის 2 ივნისს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცკ-მა დაამტკიცეს 1940—1944 წლებში ციტრუსოვანი კულტურების განლაგე-

---

1 ეურნ. „პარტიული მშენებლობა", № 9, 1940, გვ. 7—20.

2 სცსა (თბილისი), ფ. 2394, აღწ. 1, ს. 29, ფურც. 103—104.

3 საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1940, № 12, გვ. 163.

ბის რაიონობრივი გეგმა და დასახეს ციტრუსოვანი ნარგავების მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილების შესაბამისად საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კპ (ბ) ცკ-მა 1940 წლის 11 ივნისს მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის 1940—1942 წლების გეგმის შესახებ". დადგენილების მიზანი იყო ჩაის ფოთლის მზარდი მოსავლის გადამუშავების უზრუნველყოფა 1940—1942 წლებში. დიდად ფართოვდებოდა ჩაის ფაბრიკების ქსელი. ამისათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის" კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სამ წელში შეადგენდა 68 730 ათას მანეთს [1].

ციტრუსების დაცვისა და მოსავლიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 26 ივნისს მიიღეს დადგენილება სუბტროპიკულ რაიონებში ქარსაცავი ზოლების მოწყობის შესახებ. დამტკიცდა 1940—1943 წლებში ქარსაცავი ზოლების შექმნა 5 300 კილომეტრზე [2].

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 15 ოქტომბერს მიიღეს მეორე მნიშვნელოვანი დადგენილება „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ".

თუ 1930 წელს ხეხილის ნარგავებს ეჭირა 5 500 ჰექტარი, 1940 წელს ხეხილის ბაღების საერთო ფართობმა შეადგინა 16 873 ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებში — 6212 ჰექტარი. ვენახების ფართობი 1930 წლის 1 023 ჰექტარიდან გაიზარდა 6 042 ჰექტარამდე, აქედან კოლმეურნეობებში — 2286 ჰექტარამდე.

---

1 საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1940, № 12, გვ. 205—215.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 8. ს. 10600, ფურც. 24—25.

გააშენეს ხეხილის სანერგეები. რომლებიც 1941 და 1942 წლებში უზრუნველყოფდნენ 1400 ათასი ცალი სტანდარტული ნერგის მიღებას. ასეთივე წარმატებები იქნა მოპოვებული სხვა დარგებშიც.

წლითიწლობით იზრდებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. აშენდა 13 მტს-ი 666 ტრაქტორით, 114 კომბაინითა და-სხვ. სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. გაიზარდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრები, გაუმჯობესდა კოლმეურნეობათა აგრონომიული მომსახურება.

1940 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხურ მეურნეობათა 92 პროცენტზე მეტი. ამასთან ერთად სახკომსაბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ ქართლის რაიონების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გამოყენებული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის. რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ მაღალხარისხოვანი ხილითა და მეღვინეობის პროდუქციით მშრომელთა მომარაგების საქმეში.

არსებული ხეხილის ნარგავებისა და ვენახების მოვლა-დამუშავება არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. აღგილი ჰქონდა აგროტექნიკის დარღვევებს, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების დარგში. 1940 წლის 1 ივლისისათვის 193 კოლმეურნეობას ჰქონდა მეცხოველეობის მხოლოდ თითო ფერმა, ხოლო 18 კოლმეურნეობას ფერმები სრულებით არ ჰქონდა.

ღადგენილება ითვალისწინებდა: 1945 წლისათვის ქართლის რაიონებში ხეხილის ნარგავების ფართობის აყვანას 45 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც 1941—1945 წლების განმავლობაში უნდა გაშენებულიყო ახალი ხეხილი 28 ათას ჰექტარ ფართობზე. 1945 წლის დამლევისათვის ვენახების ფართობი კოლმეურნეობებში აყვანილი უნდა ყოფილიყო 10 658 ჰექტარამდე, რისთვისაც 1941—1945 წლების განმავლობაში შენდებოდა 8 372 ჰექტარი ახალი ვენახები. ასევე დიდდებოდა ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ფართობები

დადგენილება ითვალისწინებდა შაქრის ჭარხლის ნათესების მოკლისა და დამუშავების გაუმჯობესების გზით 1945 წლისათვის მიეღწიათ ჰექტარზე ჭარხლის საშუალო მოსავლის მიღება 300 ცენტნერის რაოდენობით.

1945 წლისათვის მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა უნდა ასულიყო არა ნაკლებ 13 ცენტნერამდე და სიმინდისა — 20 ცენტნერამდე ჰექტარზე.

ასეევ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ისახებოდა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ამასთან გათვალისწინებული იყო წყალთა მეურნეობის დიდი სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ 1941—1945 წლებში 27.6 ათასი ჰექტარი ახალი მიწების დამატებით მორწყვას. 3 ათასი ჰექტარი ჭაობის ამოშრობას და 12,4 ათას ჰექტარ ფართობზე არსებულ სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქციას.

სერიოზული ღონისძიებები დაისახა საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და აგროტექნიკის შემდგომი განვითარების საქმეში[1].

ამ დადგენილების სარეალიზაციოდ საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის ნოემბრის პლენუმმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება და დასახა სათანადო ღონისძიებანი[2].

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების შესრულების საქმეში დიდი როლი შეასრულეს საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. 1940 წლის დეკემბერში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგში სპეციალურად იდგა ამ დადგენილების განხორციელებაში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი.

პლენუმმა დაუსახა კონკრეტული ამოცანები ქართლის რაიონების კომკავშირის რაიკომებსა და პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს. კომკავშირის რაიკომებსა და საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებს უნდა მიეღოთ ყვე-

---

[1] ჟურნ. „ბოლშევიკი", 1940, № 10, გვ. 15—31.

[2] პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. VII, ს. 10488. ფურც. 4-10.

ლა ზომა იმისათვის, რომ გამოეცლინებინათ და მხარი დაეჭირათ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ინიციატივისათვის. აღნიშნული დადგენილებით დასახული ამოცანების შესრულებისათვის კომკავშირლებსა და ახალგაზრდობას შორის უნდა გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება და ფართოდ დაენერგათ სტახანოვური მუშაობის მეთოდები. ჩამოეყალიბებინათ კომკავშირულ-ახალგაზრდული საწარმოო ბრიგადები მეხილეობისა და მევენახეობის დარგში, მიემაგრებინათ მათზე ხეხილის ბაღებისა და ვენახების ნაკვეთები. განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და დანერგვისათვის[1].

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და დისციპლინის ამაღლების ამოცანას ემსახურებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 17 ივლისის „ბრძანებულება იმ ტრაქტორისტთა და კომბაინერთა სამუშაოდან თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ, რომლებიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობენ". ამ ბრძანებულებით ტრაქტორისტებზე, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებზე და მათ თანაშემწეებზე, რომლებიც მტს-ებში მუშაობდნენ, ვრცელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება. ასევე კომბაინერებზე, როგორც მტს-ის შტატის მუშებზე, მთლიანად ვრცელდებოდა 1940 წლის 26 ივნისის „ბრძანებულება რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ"[2].

კოლმეურნეობათა სამეურნეო ძლიერების ამაღლების ნელი ტემპების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ნაკლოვანებები წლიური ანგარიშების შედგენასა და მოსავლის განაწილების წესში. ჭიანურდებოდა მოსავლის განაწილება. ხშირად

---

1 ჟურნ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი", 1940, № 12, გვ. 11—13.
2 გაზ. „კომუნისტი", 1940, 29 აგვისტო.

ბევრი იხარჯებოდა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვაზე და სხვ.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 21 დეკემბერს მიიღეს დადგენილება კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების თავის დროზე შედგენისა და მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უნდა განეხილათ და დაემტკიცებინათ თავიანთ სხდომებზე კოლმეურნეთა საერთო კრებების დადგენილებანი 1940 წლის შემოსავლის განაწილების შესახებ. ამასთან უზრუნველეყოთ თითოეულ კოლმეურნეობაში ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილების წესის მტკიცედ დაცვა.

პარტიულ ორგანიზაციებს და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ევალებოდათ შეესწავლათ ყოველი კოლმეურნეობის საფინანსო წლის შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სასოფლო-სამეურნეო გეგმების შედგენის. შრომის ორგანიზაციის, საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების სწორი დაკომპლექტებისა და გამომუშავების ნორმებისა და შეფასებათა თავის დროზე დამტკიცებისათვის [1].

სოფლის მეურნეობის აღმავლობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი იყო მორწყვის ორგანიზაცია და სარწყავი არხების სისტემის ფართოდ განვითარება.

1941 წლის 10 იანვარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის შესახებ. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის განხორციელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც სოფლის მეურნეობის აღმავლობის, ისე ენერგეტიკული რესურსების გაზრდებისათვის.

---

1 საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული. № 2, 1940, გვ. 16—20.

სამგორის მიწების მორწყვა ქმნიდა პირობებს მყარი სოფლის მეურნეობისათვის — სამრეწველო მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და პროდუქტიული მეცხოველეობის ფართოდ განვითარებისათვის თბილისის გარეუბნების კოლმეურნეობათა მიწებზე.

ამასთან, მორწყვის შედეგად შესაძლებლობა იქმნებოდა ქართლის მცირემიწიან რაიონებიდან გლეხების გადასახლებისა სამგორის ველის ახლად ათვისებულ მიწებზე[1].

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღება პირველ რიგში მიქცეული იყო სოფლის მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი და ძირითადი დარგის განვითარებისაკენ, როგორიც იყო მეცხოველეობა. ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება მესამე ხუთწლედში ამ მიმართულებით იყო 1941 წლის თებერვალში საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებზე"[2].

მნიშვნელოვანი იყო ის ღონისძიებებიც, რაც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის და მათ შორის მეაბრეშუმეობის აღმავლობისათვის. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების განსახორციელებლად, საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს შესაბამისი დადგენილება მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის, დასახეს კონკრეტული ამოცანები თუთის პლანტაციების გაშენების დარგში[3].

საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის საქმეში ისტორიული გარდატეხის როლი უნდა შეესრულებინა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 13 მარტის დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურ-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 9, ს. 11432 ფურც. 5—8.

2 გაზ. „კომუნისტი", 1941, 22 თებერვალი.

3 საქ. სსრ მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებათა კრებული, № 17, გვ. 211—220.

ნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ".

დადგენილებით ბოლო ეღებოდა გათანაბრებას კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში და უდიდეს სტიმულს წარმოადგენდა სუბტროპიკული, ტექნიკური, მარცვლეული და სხვ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესმა ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ისტორიაში.

დადგენილებით რჩევა ეძლეოდა კოლმეურნეობებს, რომ 1941 წლიდან ბრიგადებისა და რგოლების წევრებისათვის დამატებით მიეცათ გეგმის ზევით მიღებული (მაჩვენებლების მიხედვით) პროდუქციის ნაწილი[1].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული დადგენილების პრაქტიკულად გატარების ღონისძიებანი შეიმუშავა საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის აპრილის პლენუმმა[2].

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1941 წლის ივნისში მიიღო კიდევ ერთი საყურადღებო დადგენილება „კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ", რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი. კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის[3].

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყველა აუცილებელი პირობა შექმნეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის. კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის მინიმუმის დაწესებამ და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებაზე გადასელამ უზრუნველყო საკოლმეურნეო პირუტყვის სულადობის განუხრელი ზრდა და მისი პროდუქტიულობის გადიდება.

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1941, 19 მარტი.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. IX, ს. 11413.

3 გაზ. „კომუნისტი", 1941, 7 ივნისი.

აძრიგად, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოები ქმედით ღონისძიებებს ატარებდნენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის. რაზმავდნენ კოლმეურნე გლეხობას ხუთწლედით დასახულ ამოცანათა განუხრელად განხორციელებისათვის, რის შედეგადაც საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

თავი მეხუთე

ხალხის ეკონომიური მდგომარეობა დიდი სამამულო ომისწინა პერიოდში

საზოგადოების საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ამაღლებას თან მოჰყვა მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდა.

სოციალიზმის გაშარჯვებისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის პირობებში ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება გამოიხატა ეროვნული შემოსავლისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის, კოლმეურნე გლეხობის შემოსავლის ზრდაში, საქონელბრუნვის გაფართოებაში, საბინაო მშენებლობის გაშლაში, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაში.

დიდი სამამულო ომისწინა პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ეროვნული შემოსავალი სსრ კავშირში 1940 წელს 1937 წელთან შედარებით 96,3 მილიარდი მანეთიდან 128,3 მილიარდ მანეთამდე გადიდდა. სახალხო მეურნეობაში ხელფასის ფონდი კი ამ წლებში 1,5-ჯერ გაიზარდა. საცალო საქონელბრუნვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში 126 მილიარდიდან 175 მილიარდ მანეთამდე გადიდდა[1].

საბჭოთა ხალხთან ერთად განუხრელად უმჯობესდებოდა საქართველოს მშრომელების ეკონომიური მდგომარეობა.

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის თვალსაჩინო მაჩვენებელს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ხელფა-

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1961, გვ. 664.

სის დოხე, რომელსაც სოციალიზმის პირობებში განსაზღვრავენ არა სტიქიური ფაქტორები, არამედ საწარმოო ძალების განვითარების მდგომარეობა.

ჯერ კიდევ 1937 წლის 1 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისა და ტრანსპორტის დაბალხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის გადიდების შესახებ". ხელფასი გადიდდათ აგრეთვე რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მოსამსახურეებს. საერთოდ წლიური საშუალო ხელფასი ერთ მომუშავეზე 1937 წლიდან 1939 წლამდე 3330 მანეთიდან 3 800 მანეთამდე გაიზარდა. 1938 წელს მუშების ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 690 მანეთს შეადგენდა, ნაცვლად 573 მანეთისა 1937 წელს [1].

1932—1940 წლებში მუშის საშუალო წლიური ხელფასი 2.5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა და შეადგინა 4023 მანეთი, ხოლო ხელფასის ფონდი გადიდდა თითქმის ხუთჯერ და 1939 წელს შეადგინა 406 მლნ მანეთი, ნაცვლად 82,7 მლნ მანეთისა 1932 წელს [2].

1939 წელს მუშის თვიური ბიუჯეტი შეადგენდა 180 მანეთსა და 81 კაპიკს. მუშის ოჯახის შემოსავალში მთავარი ადგილი ეჭირა ოჯახის უფროსის ხელფასს, აგრეთვე სოციალური დაზღვევის გზით მიღებულ დახმარებას, პენსიებს და სხვა შემოსავალს პირადი მეურნეობიდან. მუშის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი თვიურად, 1939 წლის გამოკვლევის მიხედვით, შეადგენდა 179 მანეთსა და 63 კაპიკს[3].

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XI პლენუმმა 1941 წლის აპრილში პროფკავშირების წინაშე მდგარ სხვა ამოცანების გვერდით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ხელფასის მოწესრიგებას საწარმოებში. აღინიშნა, რომ ხელფასი უნდა გადაქცეულიყო შრომისნაყოფიერების თანმიმდევრული და სისტემატური ზრდის საფუ-

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 2, 1938, გვ. 15.

2 Грузинская ССР за 20 лет, стр. 39.

3 ЦГАНХ СССР, ф. 1562, оп. 195, д. 3, л. 13;
გ. ნათმელაძე, მუშის ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები. თბ., 1970, გვ. 229, 230.

ძველად, გამხდარიყო მუშათა მატერიალური წახალისების ძირითად პრინციპად.

მესაქე ხუთწლედში სულ უფრო სრულად კმაყოფილდებოდა საქართველოს მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე. ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, კულტსაყოფაცხოვრებო საგნებზე და სხვ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ნათელი დადასტურება იყო მუშა-მოსამსახურეთა რიგების ზრდა. მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა 1939 წელს 1937 წელთან შედარებით 358.7 ათასი კაციდან 440 ათას კაცამდე გაიზარდა. 1940 წლისათვის კი იგი შეადგენდა 454 ათას კაცს[1].

ხელფასის ფონდი 1932 წლის 413,9 მლნ მანეთიდან 1939 წლისათვის გაიზარდა 1760,5 მლნ მანეთამდე. ანუ 14,5-ჯერ[2]. ხელფასის ფონდის ზრდაში აისახა, ერთი მხრივ, მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდუალური ხელფასის საშუალო დონის ამაღლება.

განუხრელად იზრდებოდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. როგორც აღვნიშნეთ, თუ 1938 წელს საქართველოში 19 მილიონერი კოლმეურნეობა იყო, 1939 წლისათვის უკვე გვქონდა 37 კოლმეურნეობა, რომლებმაც მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს[3]. 1939 წელს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალმა შეადგინა 5 821 021 ცენტნერი, ხოლო ფულადმა შემოსავალმა—458 059 ათასი მანეთი. 1940 წელს — 524 მლნ მანეთი, მარცვლეულმა—3 979 324 ცენტნერი.

როგორც აღვნიშნეთ, 1939 წელს კოლმეურნეებმა შრომადღეზე საშუალოდ მიიღეს 2 მან. და 30 კაპ. ფულად. 3,4 კგ მარცვლეული და პროდუქტები[4].

---

[1] Грузинская ССР за 20 лет, стр. 39.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ანაწ. ს. 647, ფურც. 121.

[3] ა. ხ ე ც ა ბ ი ძ ე, საქ. სსრ სოფლის მეურნეობა 1935 — 1940 წწ., ეკ. ინსტ. შრომები, ტ. VIII, 1962, გვ. 123.

[4] „ეკონომისტი", 1941, 11 თებერვალი.

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით სოციალური და კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნებული 590.4 მილიონი მანეთიდან, რაც დაიხარჯა 1937 წელს, 1939 წელს გაიზარდა 813.6 მილიონ მანეთამდე. აქედან ჯანმრთელობის დაცვაზე დაიხარჯა 204,4 მლნ მანეთი, ანუ 17,6 პროცენტი და სოციალურ უზრუნველყოფაზე — 63,2 მლნ მანეთი, ანუ 5,5 პროცენტი.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება დამოკიდებული იყო საქონელბრუნვისა და სახელმწიფო ვაჭრობის გაფართოებაზე. სახელმწიფო ვაჭრობას 1937 წელს უკვე გაბატონებული ადგილი ეკავა საცალო საქონელბრუნვაში და მისი ხვედრი წილი შედგენდა 67 პროცენტს. სავსებით იქნა განდევნილი კერძო ვაჭარი, გაფართოვდა სავაჭრო ქსელი, ძლიერ გაუმჯობესდა მშრომელთა მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და სამრეწველო საქონლით. 1938 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო საქონლისა და სურსათის რეალიზაცია. მოსახლეობამ 1937 წელთან შედარებით დაახლოებით 100 მლნ მანეთით მეტი სამრეწველო საქონელი შეიძინა. პროდუქციის გამოშვება 1938 წელს 1937 წელთან შედარებით გაიზარდა: კვების მრეწველობის საწარმოებში — 16,5, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში — 9,5, სარეწაო კოოპერაციაში — 18,4 პროცენტით

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1938 წლის 15 ივლისს გამოიტანა დადგენილება „ფართო მოხმარების ლითონის ნაკეთობათა საოჯახო ნივთებისა და ავეჯეულობის წარმოების შესახებ". მასში დასახული იყო ღონისძიებები ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გასაუმჯობესებლად, გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ახალი საწარმოების ამოქმედება, საწარმოთა მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება[1].

კიდევ უფრო გაფართოვდა საქონელბრუნვა 1939 — 1940 წლებში. 1939 წელს იგი 1937 წელთან შედარებით გადიდდა 2529,6 მლნ მანეთიდან 3117 მლნ მანეთამდე, ე. ი. გაიზარდა

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 1, 1939, გვ. 60—61.

25,6 პროცენტით[1]. საცალო ვაჭრობის ბრუნვამ 2820 მლნ მანეთს მიაღწია. 1940 წლისათვის სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით გაიზარდა 3325 მლნ მანეთამდე. საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ 1940 წელს სახელმწიფოებრივი ვაჭრობის ხაზით შეადგინა 2295 მლნ მანეთი, ამასთანავე სახელმწიფოებრივი ვაჭრობის ხვედრი წილი საქონელბრუნვაში გაიზარდა 69 პროცენტამდე. საქონელბრუნვის საერთო რაოდენობიდან ქალაქურ ვაჭრობაზე მოდიოდა 2361 მლნ მანეთი, ხოლო სოფლის ვაჭრობაზე — 964 მლნ მანეთი. სწრაფად ვითარდებოდა საქონელბრუნვა სოფლად 1937 — 1939 წლებში. იგი გადიდდა 703 მლნ მანეთიდან 1023 მლნ მანეთამდე, ე. ი. 45,5 პროცენტით. ამასთანავე გაიზარდა სავაჭრო წერტებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა ოდენობა[2].

დიდი ყურადღება ექცეოდა საკოლმეურნეო ვაჭრობას, საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობასა და კეთილმოწყობას. 1939 წლის 29 ივლისს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ამ საკითხზე სპეციალური დადგენილება: „თბილისში საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სახკომსაბჭომ გაატარა საკოლმეურნეო ბაზრებზე წესრიგის დამყარების ღონისძიებანი და შესაბამის ორგანოებს დაავალა მიეღოთ ზომები საკოლმეურნეო ბაზარზე საკოლმეურნეო ვაჭრობის გასაფართოებლად. ამასთან უნდა უზრუნველეყოთ კოლმეურნეობათა სტაციონარული სავაჭრო ქსელი ხორცით, რძის პროდუქტებითა და ხილბოსტნეულით[3].

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დასახეს და გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, № 6, 1940, გვ. 16—17.

2 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 440.

3 საქართველოს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 17, 1939, გვ. 286—288.

გაუმჯობესებისათვის. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 3 მარტის დადგენილებით ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს დაეკალათ ყოველმხრივი დასმარება აღმოეჩინათ კოოპერაციის მუშაკებისათვის ვაჭრობის კულტურის ამაღლებისა და სოციალისტური სოფლის მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების საქმეში[1].

მესამე ხუთწლედში მიმდინარეობდა სამომხმარებლო კოოპერაციის გაფართოება სოფლად. 1938 — 1939 წლებში შეიქმნა 57 ახალი სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოება და 16 რაისამომხმარებლო კავშირი. მარტო 1939 წელს სოფლად დამატებით გაიხსნა 670 სავაჭრო წერტი. სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურეს 3 ათასზე მეტი ახალი მუშაკი. ორი წლის მანძილზე კურსებსა და სკოლებში მომზადებულ იქნა ვაჭრობის 2500-მდე მუშაკი.

საქონელბრუნვის მაჩვენებლებს თუ ავიღებთ, ვაჭრობის სახეობის მიხედვით, დავინახავთ, რომ 1940 წელს საქონელბრუნვა ცალობრივი ქსელის ხაზით შეადგენდა 2795 მლნ მანეთს. საქონელბრუნვამ საზოგადოებრივი კვების ხაზით მიაღწია 530 მლნ მანეთს. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ხვედრითმა წონამ საერთო საქონელბრუნვაში შეადგინა 10 პროცენტი. ცალობრივი საქონელბრუნვა 1940 წელს 1928 წელთან შედარებით საქართველოში გაიზარდა 21-ჯერ[2]. ჩატარდა ქსელის ტექნიკური ბაზის ძირითადი რეკონსტრუქცია და ახალი სავაჭრო ობიექტების მშენებლობა. თბილისში, ჭიათურაში, ზესტაფონში და ტყიბულში აშენდა სასაწყობო მეურნეობები, მაცივრები და ბოსტნეულის საცავები.

1940 წელს რესპუბლიკაში საბჭოთა ვაჭრობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 50 ათას კაცს აღემატებოდა, მოქმედებდა 7642 სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების მაღაზიები და ფარდულები, საზოგადოებრივი კვების 1812 საწარმო.

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ან. I, ნაწ. 7, ს. 9466, ფურც. 116—119.

2 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 440.

მოსახლეობის 10 ათას სულზე საქართველოში მოდიოდა 21 სავაჭრო საწარმო და წერტი, აზერბაიჯანში — 23, სომხეთში — 21, რსფსრ-ში — 21, ბელორუსიაში — 20, მოლდავეთში — 15, ლიტვაში — 14, საშუალოდ სსრ კავშირში — 21. 1940 წელს საქართველოში თითოეული სავაჭრო დაწესებულება მომსახურებას უწევდა 467 კაცს, აზერბაიჯანში — 426, სომხეთში — 473, რსფსრ-ში — 477, უკრაინაში — 445, ბელორუსიაში — 494, მოლდავეთში — 668, ლიტვაში — 696, ხოლო საშუალოდ სსრ კავშირში — 471 კაცს[1].

აქედან ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობა სავაჭრო ორგანიზაციების რაოდენობის მიხედვით უკეთ იყო უზრუნველყოფილი.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1941 წლის 1 იანვრისათვის ასეთ სურათს იძლეოდა[2]:

ცხრილი 12

(სათანადო წლების ფასებში; მლნ მანეთებში)

სახეობების დასახელება	1937 წ.	1940 წ.
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მთელი საცალო საქონელბრუნვა	1568	3325
აქედან		
სახელმწიფო ვაჭრობა	1721	2295
კოოპერაციული ვაჭრობა	847	1030
ქალაქად ვაჭრობა	810	2361
სოფლად ვაჭრობა	758	964
საცალო ქსელის საქონელბრუნვა	2321	2795
საზეების საქონელბრუნვა	247	530

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., გვ. 440—441.

[2] Народное хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник, Тб., 1959, стр. 276.

სამრეწველო მუშებით დასახლებული რაიონების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა უნივერსალური და სპეციალური მაღაზიები და მუშათა სასადილოები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდნენ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისათვის. ამას მოწმობდა ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდებისათვის საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 9 იანვრის დადგენილება[1].

სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში საქონელბრუნვა ზრდასთან ერთად წლითიწლობით მატულობდა საკოლმეურნეო ვაჭრობა. ხორცის, კვერცხის, ბაღჩეულის შემოზიდვა 1940 წელს 2-ჯერ აღემატებოდა 1934 წლის მაჩვენებლებს: ფრინველის, ბოსტნეულის, ხილის — 3-ჯერ, ხოლო რძის ნაწარმის, ღვინის, კარტოფილის — 4,5 — 6-ჯერ.

1938 წლის ბოლოს თბილისში იყო 104 სტაციონარული საკოლმეურნეო სავაჭრო წერტი. ხოლო 1941 წლის 1 იანვრისათვის მათი რაოდენობა 182-მდე ავიდა.

ცეკავშირის სისტემამ დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც საქონელბრუნვის გაფართოების, ისე ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესების დარგში. მეპაიეთა რიცხვი 1940 წელს შეადგენდა 1031 ათას კაცს, სავაჭრო წერტების — 3504 ერთეულს, საქონელბრუნვა 1941 წლის პირველ ნახევარში მილიარდ მანეთს აღემატებოდა[2].

მესამე ხუთწლედში მკვეთრად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფო ასიგნებები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე. 1938 წელს დაიხარჯა 175,3 მლნ მანეთი. ამ თანხიდან სამედიცინო პროფილაქტიკური დაწესებულებების დასაფინანსებლად 1938 წელს დაიხარჯა 101,1

---

1 საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1941, № 10, გვ. 111—117.

2 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა". № 2, 1941, გვ. 62—65.

მლნ მანეთი, 1939 წელს — 111,3 მლნ მანეთი[1]. 1940 წელს ეს ხარჯები ავიდა 116,1 მლნ მანეთამდე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას. ამაზე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში დაიხარჯა 73,4 მლნ მანეთი[2].

მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამედიცინო დაწესებულებათა ქსელიც. 1939 წელს საქართველოში იყო 280-ზე მეტი სამკურნალო დაწესებულება 11718 საწოლით. სოფლად მუშაობდა 711 საექიმო პუნქტი (1938 წელს იყო 633 პუნქტი). 1940 წელს იყო 314 საავადმყოფო, 7,7-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ საქართველოში.

ყოველ 10 000 სულ მოსახლეზე მოდიოდა 36 საავადმყოფო საწოლი, რესპუბლიკაში 1940 წელს იყო 1 545 სამკურნალო ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, 834 საფერშლო-ამბულატორული დახმარების დაწესებულება (საფერშლო, საფერშლო-სამეანო და სხვ. პუნქტები)[3].

ჩამოყალიბდა მთელი რიგი სამკურნალო დაწესებულებანი: ტუბდისპანსერები, მალარიის საწინააღმდეგო სადგურები, დედათა და ბავშვთა კონსულტაციები, მუდმივი და სეზონური ბაგები და სხვ. აშენებულ იქნა მთელი რიგი მსხვილი სამედიცინო ობიექტები — ბაქტერიოფაგის, ფიზიკური მეთოდით მკურნალობის ინსტიტუტები, ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო, სისხლის გადასხმის ინსტიტუტი, ფარმაცევტული ქარხანა № 1 და სხვ.

სოფლად სამკურნალო დაწესებულებებისათვის აგებული იყო ახალი ტიპური შენობები. არ იყო არც ერთი ისეთი რაიონი, მთიანი რაიონების ჩათვლით, სადაც არ აშენებულიყოს რომელიმე სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება.

კაპიტალურ დაბანდებებთან ერთად იზრდებოდა ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე. თუ რევოლუციამდე ერთ სულზე გა-

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., გვ. 446.

2 იქვე, გვ. 446—447.

3 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1961, გვ. 173—174.

წეული დანახარჯები 35 კაპ. უდრიდა, 1940 წელს 65 მანეთი შეადგინა[1].

განუხრელად იზრდებოდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა. თუ 1938 წელს საქართველოში მუშაობდა 3220 ექიმი, 1940 წლისათვის მათმა რიცხვმა 4858 კაცს მიაღწია. საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა უდრიდა თითქმის 9,5 ათას კაცს[2].

მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფის საქმეში საქართველომ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის. ყოველ 10 000 სულ მოსახლეზე 1940 წელს მოდიოდა 12,8 ექიმი და 26,6 საშუალო სამედიცინო პერსონალი.

სანიტარული კადრების მომზადების საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოება. 1941 წლის 20 თებერვალს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სანიტარულ-თავდაცვითი კადრების მომზადების შესახებ, დააწესა ამისათვის საკონტროლო დავალებები[3].

მიღებული ღონისძიებებით ლიკვიდირებულ იქნა ბევრი მასობრივი დაავადება. განხორციელდა ორგანიზებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ[4].

1938 — 1939 წლებში მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე დაიხარჯა 24,5 მილიონი მანეთი, რის შედეგად მალარიით დაავადებულთა რაოდენობა 1937 — 1939 წლებში ერთი ორად და კიდევ უფრო მეტად შეშცირდა.

გადამჭრელი ზომები იქნა მიღებული მასობრივი საშიშ დაავადებათა წინააღმდეგ. 1939 წლის 26 სექტემბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 2, 1940, გვ. 29.

2 Достижения Советской Власти за 40 лет, в цифрах, стр. 305.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, № 1, ნაწ. 9, ს. 11454, ფურც. 95—96.

4 თბილისის საქალაქო არქივი, ფ. 23, № 1, ს. 40, ფურც. 14—15.

ყვავილის სავალდებულო აცრის შესახებ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის[1].

დიდი ყურადღება ექცეოდა მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების საქმეს. 1938 წლის მარტში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება მედიკამენტებით და სხვა საფთიაქო საქონლით ვაჭრობის გაფართოების შესახებ. ამ დადგენილებით სავაჭრო ორგანიზაციებს უნდა მოეწყოთ უმარტივესი მედიკამენტებით და სხვა საფთიაქო საქონლით ვაჭრობა სამრეწველო, საგალანტერიო და საპარფიუმერიო მაღაზიებში და უნივერმაღების სპეციალურ სექციებში, ასევე ცეკავშირის — სოფლის მაღაზიების სპეციალურ განყოფილებებში.

დიდ წარმატებებს მიაღწია სამედიცინო მეცნიერებამ. 11 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აწარმოებდა ნაყოფიერ მუშაობას და ეძებდა გზებს საბჭოთა მედიცინის მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად.

პარტია და მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს სახავდნენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად. იმ მიზნით, რომ ფართოდ ყოფილიყო გამოყენებული სამკურნალო პრაქტიკაში სისხლის გადასხმის მეთოდები, 1940 წლის 10 თებერვალს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება დონორებისათვის საშუალო ხელფასის შენარჩუნების შესახებ[2].

ასეთივე დიდი მნიშვნელობის იყო საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 29 იანვრის დადგენილება „ბავშვთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"[3].

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება აფხაზეთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

---

1 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 6, გვ. 96—98.

2 იქვე. № 2, გვ. 14.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 9, ს. 1144, ფურცლ. 5—6.

1937 წლისათვის აფხაზეთში იყო ტროპიკულ სნეულებათა და ფიზიოთერაპიული ინსტიტუტები. 31 საავადმყოფო 1260 საწოლით. 163 ამბულატორიული ტიპის სამკურნალო. 18 საექიმო პუნქტი და სხვ. რევოლუციამდელი პერიოდის 10 ექიმის ნაცვლად მეორე ხუთწლედის ბოლოს აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში 386 ექიმი მუშაობდა. 1940 წლის დასასრულს საავადმყოფო დაწესებულება იყო 40-მდე და საწოლების რაოდენობამ მიაღწია 1380-ს[1].

•ფხაზეთის კურორტები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ყოველთვიურად ეხსახურებოდა სსრ კავშირის ათეულ ათასობით მშრომელს.

მეფის ხელისუფლების დროს აჭარის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევდა ერთი საავადმყოფო. 3 კერძო აფთიაქი ბათუმში და 3 საექიმო პუნქტი სხვადასხვა რაიონში.

1941 წლისათვის აჭარაში იყო 102 სამედიცინო დაწესებულება. 12 საავადმყოფო 877 ავადმყოფის და 173 სამშობიარო საწოლით; მუდმივი ბაგები — 1722 ადგილით. მუშაობდა 253 ექიმი, აქედან სოფლად — 172.

საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავზე სამხრეთ ოსეთში მუშაობდა 141 სამედიცინო დაწესებულება. 75 ექიმი, 182 საშუალო მედპერსონალი. 1940 წელს ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფილი იყო 6 მლნ მანეთი. რის შედეგადაც ექსპლოატაციაში შევიდა ბავშვთა და ქალთა კონსულტაცია. კურორტი ნაგუთნი, ბავშვთა სანატორიუმი ჯავაში. ომიანწინა წელს ოლქში ქალაქად იყო 3 საავადმყოფო 310 საწოლით, 7 სოფლად 140 საწოლით, 5 — სამშობიარო სახლი, ბაგები და ჩვილ ბავშვთა სახლი — 9, საექიმო უბანი — 26. ოლქში მუშაობდა 68 ექიმი და 180 საშუალო მედპერსონალი.

რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის წლებში გრძელდებოდა ინტენსიური საკურორტო მშენებლობა. რესპუბლიკის ბევრ კურორტს საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა. 1938 — 1939 წლების განმავლობაში კურორტების კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 51 მლნ მანეთი. სულ ომამდელ ხუთწლედებში —

---

[1] აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სოხუმი, 1967, გვ. 105 (რუს.); გაზ. „კომუნისტი", 1937, 4 მარტი.

201 მლნ მანეთი. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საწოლების რაოდენობა 1939 წელს 14 ათასამდე გაიზარდა. მარტო ამ წელს საქართველოს სანატორიუმებში მკურნალობდა და ისვენებდა 60 539 კაცი, დასასვენებელ სახლებში კი 44 940 კაცი. 1939 წელს საქართველოში მოქმედებდა 130 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, რომლებშიც დაისვენა და იმკურნალა 210 ათასზე მეტმა ავადმყოფმა და დამსვენებელმა. ხოლო 1940 წელს 140 კურორტმა მომსახურება გაუწია ნახევარ მილიონზე მეტ კაცს.

საკავშირო მნიშვნელობის მრავალი კურორტის გარდა, მშრომელთა მკურნალობის და დასვენების კერებად გადაიქცა მრავალი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი. ამასთან ერთად რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა კურორტების სამკურნალო თვისებების შესწავლად.

დიდი ყურადღება ექცეოდა მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის საქმეს. ფიზკულტურა მასობრივ მოძრაობად იქცა. ქართველმა ფეხბურთელებმა, ფრენბურთელებმა, კალათბურთელებმა, მოჭადრაკეებმა, მოკრივეებმა და ტანმოვარჯიშეებმა საკავშირო შეჯიბრებაში არაერთი გამარჯვება მოიპოვეს.

ფიზკულტურელთა რიგებში—1938—1939 წლებში 190 ათასი „იმშთ"-ის პირველი და 3 ათასი მეორე საფეხურის ნიშნოსანი იყო, 56 ათასმა მოსწავლემ ჩააბარა „იმშთ"-ს ყველა ნორმა. ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში 2400 ფიზკულტურული კოლექტივი მუშაობდა, რომლებშიც სპორტის სხვადასხვა სახეობის მიხედვით 150 ათასი ფიზკულტურელი იყო გაერთიანებული[1]. 1938 — 1939 წლებში საქართველოს ფიზკულტურელებმა დაამყარეს 44 რეკორდი, აქედან 3 მსოფლიო.

ფიზკულტურულ მუშაობას უშუალოდ შეფობდა კომკავშირი. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კომკავშირული აქტივის ფიზიკური მომზადების შესახებ" დიდ ამოცანებს სახავდა ფიზკულტურის განვითარების საქმეში. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1940

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939, 17 მაისი.

წლის დეკემბერში სპეციალურად განიხილა აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, აღნიშნა მიღწეული დადებითი შედეგები, ასევე ახალი ამოცანები. კოლაბორაციული აქტივი მთლიანად უნდა ყოფილიყო ჩაბმული ფიზკულტურულ მუშაობაში[1].

სახალხო ჯანმრთელობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ნათელი გამოხატულება ჰპოვა დაავადებებისა და სიკვდილიანობის შემცირებასა და მოსახლეობის ზრდაში. 1940 წელს მოსახლეობის 1000 კაცზე დაბადებულთა რიცხვმა შეადგინა 27,4, გარდაცვალებულთა — 8,9. ე. ი. ბუნებრივი ზრდა ყოველ 1000 სულ მოსახლეზე უტრიდა 18,6 სულ.

რესპუბლიკაში გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური მომსახურება. ამ დარგში 1938 — 1939 წლებში დაბანდებულ იქნა 55 696 ათასი მანეთი, საბინაო და სასტუმროთა მშენებლობაში კი 19 980 ათასი მანეთი.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში აშენდა 16 წყალსადენი. მათ შორის: ფოთში, სტალინირში, ხაშურში, ბორჩალოში, ზესტაფონში, მახარაძეში, მცხეთაში და სხვ. თუ 1913 წელს წყალსადენი ჰქონდა მხოლოდ 5 ქალაქს, 1940 წელს რესპუბლიკაში უკვე 22 ქალაქს გააჩნდა წყალსადენი. გარდა ამისა წყალსადენის სიგრძე ამავე პერიოდში გადიდდა 148,6 კილომეტრიდან 613,4 კილომეტრამდე. ქალაქის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება გაიზარდა 11-ჯერ[2]. ერთი სამად გადიდდა კანალიზაციის ქსელიც. აგებულ იქნა და ექსპლოატაციაში შევიდა სოფლის მრავალი ახალი წყალსადენი. ორი წლის განმავლობაში ავრეთვე ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში აშენებულ იქნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 14 ახალი აბანო.

1938 — 1939 წლებში ფართოდ წარმოებდა საბინაო მშენებლობა, მარტო საქალაქო საბჭოების ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცა 27 680 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

---

1 ეურნ. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 12, 1940, გვ. 13—16.

2 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1961, გვ. 172.

3 კანონი საქ. სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1941, გვ. 5.

ამასთან „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტების ხაზით ექსპლოატაციაში შევიდა 20 000 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

1921 წლიდან 1941 წლის იანვრამდე სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ გაშენებულ იქნა 159 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მათ შორის 1933—1937 წლებში — 643 ათასი[1]. მესამე ხუთწლედის სამნახევარი წლის განმავლობაში საქართველოში სახელმწიფო და კოოპერაციული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ აშენებულ იქნა 1 576 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ბინები, მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა და საბინაო კოოპერაციის მიერ — 496 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი[2].

1938 — 1939 წლებში აშენებულ იქნა სასტუმროები. რესპუბლიკის დედაქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმრო „თბილისი“, აგრეთვე აშენდა სასტუმროები სოხუმში, ბათუმში, ფოთსა და თელავში.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ქალაქების კეთილმოწყობა. ქუჩების მოასფალტება და მოკირწყვლა, პარკებისა და ბაღების მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კომუნალურ და საბინაო მშენებლობას თბილისში, გორში, სოხუმში, სტალინირში, ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში.

გაჩაღდა დიდი მუშაობა ქ. თბილისის განაშენიანებისათვის. თბილისში მრეწველობის ახალი დარგების შექმნამ განაპირობა ქალაქის კეთილმოწყობისათვის გაჩაღებული მუშაობის დაჩქარება. დამთავრდა ტრამვაის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ტრამვაის საექსპლოატაციო ქსელის სიგრძე 1939 წელს 81,9 კილომეტრამდე გაიზარდა. ტრამვაის პარკი 226 ვაგონს ითელიდა, რომელსაც წლის განმავლობაში 179,9 მლნ მგზავრი გადაჰყავდა. 1937 წელს გაიხსნა ტროლეიბუსების პირველი პარკი. შემდგომ წლებში ახალი რიგის ხაზები აშენდა და მათ

---

[1] М. В. Натмеладзе, Н. И. Струруа, Из истории рабочего класса Грузии, Тб., 1961. стр. 108.

[2] Советская Грузия по ленинскому пути, Тб., 1970, стр. 133.

1939 წელს 17,3 მლნ მგზავრი გადაიყვანეს. ექსპლოატაციაში შევიდა ახალი წყალსადენი, რომლის სიმძლავრე 90 ათას კუბმეტრ წყალს შეადგენდა დღე-ღამეში. 1941 წელს დამთავრდა ნატახტარის მეორე რიგის მშენებლობა, რამაც წყლის მიწოდება ქალაქისათვის წამში 180 ლიტრით გაადიდა[1]. ამ პერიოდისათვის ქალაქს ეძლეოდა 131 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მწყობრში იადგა თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი. კაპიტალური დაბანდება ელექტრომეურნეობაზე, გარდა თბოელექტროცენტრალის მშენებლობისა, 7 მლნ მანეთს აღემატებოდა.

დიდი სამუშაოები განხორციელდა ქუჩების, მოედნების კეთილმოწყობისათვის და ახალი სანაპირო ქუჩების მშენებლობისათვის. მარტო გზების, ხიდებისა და სანაპირო ქუჩების მშენებლობაზე კაპიტალურმა დაბანდებამ 52 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ორი წლის მანძილზე მოასფალტებულ იქნა 62 400 კვ. მეტრი ქუჩის ფართობი და გაშენდა 800 ჰექტარი ახალი მწვანე ნარგავები. მოეწყო საბჭოთა კავშირის გმირთა ახალი მოედანი. იქვე აშენდა ასბინიანი საცხოვრებელი სახლი და სახელმწიფო ცირკის შენობა, ჩელიუსკინელების სახელობის ხიდი. ფუნიკულიორის ზემო პლატოზე გაშენდა კულტურისა და დასვენების დიდი პარკი. დამთავრდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის. მთავრობის სასახლის მშენებლობები, მოეწყო კომკავშირის ხეივანი, აშენდა ბალნეოლოგიური კურორტი და მრავალი სხვა ნაგებობა.

1938 — 1939 წელს მარტო არსებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის ბიუჯეტიდან გაცემულ იქნა 22 მილიონი მანეთი. ქალაქის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ბიუჯეტმა 1939 წელს 165 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტმა კი 50 მლნ მანეთი შეადგინა[2]. თბილისის საბინაო ფონდი 1940 წლის დამდეგისათვის შეადგენდა 4 609 ათას კვ მეტრს[3].

---

1 თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 528—529.
2 გაზ. „კომუნისტი", 1939, 22 სექტემბერი.
3 თბილისის ისტორია, გვ. 528—529.

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1939 წელს 145,7 ათას კაცს შეადგენდა, აქედან მრეწველობაში დასაქმებული იყო 42618 კაცი[1]. ქალაქის ინდუსტრიულ განვითარებასთან ერთად გაიზარდა მუშათა კლასის არა მარტო რაოდენობა, არამედ ამაღლდა მისი კულტურულ-ტექნიკური დონეც. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გაშლის შედეგად 1939 წელს თბილისის მცხოვრებთა რიცხვმა 519,9 ათას სულს მიაღწია[2].

სერიოზული მუშაობა ტარდებოდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრების: სოხუმის, ბათუმის და სტალინირის კეთილმოწყობისათვის. სოხუმი გადაიქცა შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად. ორი წლის მანძილზე მარტო ქ. სოხუმის საბინაო კომუნალურ მეურნეობაზე დაიხარჯა 8800 ათასი მანეთი, აგებულ იქნა ახალი სასტუმრო, სახკომსაბჭოს ადამინისტრაციული სახლი, პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა, რამდენიმე სკოლა, საცხოვრებელი ბინები. დაიწყო სოხუმის მსხვილი ელექტროსადგურის მშენებლობა. ქალაქში აშენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა. 1938 წელს შავი ზღვის რკინიგზამ სოხუმი დააკავშირა თბილისთან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებთან.

ქ. ბათუმი დაამშვენა განიერმა და სუფთა ქუჩებმა, ზღვის სანაპირო ხეივანმა, შესანიშნავმა სუბტროპიკულმა ნარგავებმა, ახალმა საზოგადოებრივმა და საცხოვრებელმა შენობებმა.

ნავთობგადამამუშავებელი და მანქანათმშენებელი ქარხნებისა და ბევრ სხვა საწარმოთა ექსპლოატაციაში შესვლამ ბათუმი საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს საბრეწველო ცენტრად და საბჭოთა კავშირის მსხვილ საზღვაო ნავსადგურად აქცია. ბათუმში აგრეთვე გაიხსნა ბევრი სასწავლო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება: შ. რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტი, დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მრავალი დაწყებითი და საშუალო სკოლა.

ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი — რევოლუციამდე იყო პატარა დაბა ორი ათასი მცხოვრებით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გადაიქცა

---

1 თბილისის ისტორია, გვ. 528—529.

2 იქვე. გვ. 524.

თანამედროვე, კეთილმოწყობილ ქალაქად. ცხინვალში აგებულ იქნა ხისგადამმუშავებელი დიდი კომბინატი, ელექტროსადგური და სხვ. გაიხსნა დრამატული თეატრი, კ. ხეთაგეროკოს სახელობის პედინსტიტუტი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სკოლები და ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

შეიცვალა საქართველოს სხვა ქალაქების სახეც. ქუთაისი გასდა საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრი. გაიზარდნენ და დამშვენდნენ ქალაქები ფოთი, გორი, ჭიათურა, ტყიბული, ტყვარჩელი, თელავი, ზუგდიდი, მახარაძე, ზესტაფონი, კასპი და სხვ. აქ გაკეთდა მოასფალტებული ქუჩები, კეთილმოწყობილი პარკები, ნათელი და განიერი საცხოვრებელი სახლები, მრავალრიცხოვანი სკოლები, კლუბები. თეატრები და კინოთეატრები. საბჭოთა საქართველოს ქალაქების მოსახლეობა სწრაფად და განუხრელად იზრდებოდა.

1921 წლიდან 1940 წლამდე საქართველოს კაპიტალურ დაბანდებათა თანხა კომუნალურ მეურნეობაში უდრიდა 408.2 მილიონ მანეთს [1].

მესამე ხუთწლედის სამნახევარ წელიწადში სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების კაპიტალურმა დაბანდებამ (შესადარი ფასებით) საბინაო მშენებლობაზე (ინდივიდუალური მშენებლობის გარდა) შეადგინა 27,8 მლნ მანეთი, ხოლო სავაჭრო და კომუნალური საწარმოების, სამეცნიერო, კულტურის, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაზე — 81,9 მლნ მანეთი[2].

მესამე ხუთწლედში ინტენსიურად ფართოვდებოდა საქართველოს სსრ ტრანსპორტის ყველა სახის მუშაობა, განსაკუთრებით იზრდებოდა სამგზავრო ავტოტრანსპორტის ქსელი.

მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი. თუ მეორე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა უდრიდა 2875,6 მლნ მან., მესამე ხუთწლედის მხოლოდ სამი წლის

---

[1] Грузинская ССР за 20 лет, стр. 93, 94.

[2] საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატ. კრებული, თბ., 1961, გვ. 114. 197.

განმავლობაში მან შეადგინა 3 507.5 მლნ მანეთი[1]. მნიშვნელოვნად გადიდდა საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტიც: 1938 წელს იგი უდრიდა 613.9 მლნ, 1939 წელს — 684,6 მლნ და 1940 წელს — 728,2 მლნ მანეთს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მეორე სესიის დადგენილებით სახელმწიფო ბიუჯეტს შეუერთდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი და ამის შემდეგ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი საშუალებები მიიღო — 1939 წელს 48 507,0 ათასი მან. და 1940 წელს — 58 776,0 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი მესამე ხუთწლიანი გეგმის სამი წლის განმავლობაში შეადგენდა 3 648 987 ათას მანეთს. ამავე წლებში კი ხარჯების მოცულობა 3 507 460 ათას მანეთს. ამრიგად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი მესამე ხუთწლედში სრულდებოდა შემოსავლის გადამეტებით, რაც წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის აღმავლობის შედეგს.

სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურული განვითარებისათვის 1938—1940 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3.3 მილიარდი მანეთი[2].

კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით სოციალისტური საზოგადოების უპირატესობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მშრომელთა სახელმწიფოებრივი სოციალური უზრუნველყოფა.

საბჭოთა ქვეყანაში საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები შეადგენდა 1938 — 1940 წლებში 176,3 მლნ მანეთს, აქედან შრომის ინვალიდებისა და სხვათა პენსიები — 153,3 მლნ მანეთს.

ომისწინა წლებში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობე-

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1946 წწ., თბ., 1947, გვ. 276.

[2] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 415—446.

სების მიზნით გაფართოვდა შემნახველ სალაროთა ქსელი, განსაკუთრებით სოფლად. 1938 წელს საქართველოში იყო 336 შემნახველი სალარო (მათ შორის სოფლად 214). 1939 წელს — 473 (მ. შ. სოფლად 339), 1940 წელს — 638 (სოფლად 405).

შემნახველ სალაროთა მიერ მოსახლეობის მომსახურებისა და ამასთან ერთად მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად იზრდებოდა ანაბრების მუდმივი ნაშთი და ანაბრის საშუალო ოდენობა. მაგალითად, 1938 წელს მუდმივი ანაბრების ნაშთი უდრიდა 99,5 მლნ მან. და 19.10 წელს — 12.5 მლნ მან., ხოლო იმავე წლებში საშუალო ანაბარი უდრიდა 44 მანეთს[1].

სეზონური მიღწევებით ხასიათდებოდა საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის მუშაობა. მისი შემოსავალი და ხარჯები თვალსაჩინოდ გაიზარდა გასულ პერიოდთან შედარებით. შემოსავალი დაზღვევის ყველა სახის მიხედვით უდრიდა 1938 წელს 34,7 მლნ მან., 1939 წელს — 34.9 მლნ მან., ხოლო 1940 წელს — 51,7 მლნ მანეთს. ხარჯები იმავე წლებში შესაბამისად შეადგენდა 27,6 მლნ., 33,4 მლნ. და 41,2 მლნ მანეთს[2].

დაძაბული საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფო ასეთ ვითარებაშიც ბევრს აკეთებდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ამრიგად, მესამე ხუთწლედში მატერიალური წარმოების აღმავლობის საფუძველზე ფართოდ განვითარდა საბჭოთა ვაჭრობა, ბინათმშენებლობა, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, ამაღლდა საქართველოს მშრომელების მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში საბოლოოდ მოისპო უნუშევრობა და

---

1 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1961, გვ. 184.

2 საქართველოს სსრ სახალხო შეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 447.

უზრუნველყოფილ იქნა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმებულობა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად განუხრელად და სწრაფად იზრდებოდა მშრომელთა კეთილდღეობა.

თავი მეექვსე

კულტურული მშენებლობა საქართველოში

მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, სოციალისტური რევოლუციის სრული გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პოლიტიკური გადატრიალება და სოციალურ-ურთიერთობათა რევოლუციური გარდაქმნა დაკავშირებულია კულტურულ რევოლუციასთან.

ძველი კულტურის ისტორიამ იცის ბევრი ეპოქა, მრავალი გარდატეხის მომენტი, რომლებმაც რევოლუციური როლი შეასრულეს კაცობრიობის სულიერ განვითარებაში, მაგრამ კლასობრივი ანტაგონიზმის პირობებში შეუძლებელია კულტურის ნამდვილი პროგრესი.

მწკავე წინააღმდეგობის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ძველის რევოლუციური დამსხვრევით, საზოგადოების მთლიანი გარდაქმნის საფუძველზე, რაც შეძლო კიდეც სოციალისტურმა კულტურულმა რევოლუციამ — უდიდესმა რევოლუციურმა გადატრიალებამ ადამიანთა გონებასა და შეგნებაში, თვისებრივმა ნახტომმა საზოგადოების სულიერი ცხოვრების მთელ სტრუქტურაში.

ძირეული ცვლილებები საზოგადოების სულიერი ცხოვრების შინაარსში ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემაში მომხდარ გარდაქმნათა ზეგავლენით. როგორც მარქსი წერდა, იცვლება თვით ტიპი სულიერი წარმოებისა, ესე იგი სულიერ ფასეულობათა წარმოების ხასიათი და მეთოდები, მასების მიერ საზოგადოების კულტურული სიმდიდრის ათვისების ხარისხი და ა. შ. ადამიანის ყოველმხრივი განვითარება წარმოადგენს კულტურულ გარდაქმნათა საბოლოო

მიზანსა და არსს საზოგადოების კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში.

კულტურული რევოლუციის განხორციელების დროს ხდება ხალხის მასების უმეცრების ლიკვიდაცია, ისპობა ეგრეთწოდებული „განათლებული კლასების“ მონოპოლია ინტელექტუალურ სფეროში. ისპობა არსებითი წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, მთელი ხალხისა და ყოველი მშრომელისათვის ხელმისაწვდომი ხდება კულტურის ყველა სიმდიდრე. მიმდინარეობს სრული გადატრიალება საზოგადოებრივი შეგნების ყველა ფორმასა და სფეროში.

კულტურული რევოლუცია საბჭოთა ქვეყანაში ატარებს თანმიმდევრულ, ჰუმანურ ხასიათს, მისი ჰუმანიზმი ნიშნავს, რომ ყოველი მშრომელი არა მარტო უნდა ეზიაროს კულტურის ყველა სიმდიდრეს, არამედ სულიერ ცხოვრებაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა. იგი გულისხმობს ხალხთა მასების გარდაქმნას ნამდვილ შემომქმედებად, სულიერ ფასეულობათა უშუალო შემქმნელებად, რომელთაც ბურჟუაზია საუკეთესო შემთხვევაში აკუთვნებდა კულტურის უბრალო მომხმარებლის როლს.

კულტურული რევოლუცია არის საზოგადოების კულტურული ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის გრანდიოზული, რთული და ხანგრძლივი პროცესი პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში.

როგორც ვ. ი. ლენინი განმარტავდა, კულტურული რევოლუცია არის „მთელი გადატრიალება, ხალხის მთელი მასის კულტურული განვითარების მთელი ხანა“ [1].

ამრიგად, კულტურული რევოლუცია არის საზოგადოების ყოველმხრივი სულიერი განახლების რევოლუციური, ახალი, ნამდვილად ხალხური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც შეადგენს კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კომუნიზმის კულტურის ჩამოყალიბება იწყება ცარიელ ადგილზე, რომ კულტურული რევოლუციის მსვლელობისას უნდა უკუგდებულ ან განადგურებულ იქნეს სოციალი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 555.

ზმამდელ ეპოქაში შექმნილი კულტურული ფასეულობანი. პირიქით, ახალი საზოგადოების კულტურა ვითარდება ყოველივე იმის შემოქმედებითი, კრიტიკული ათვისებით, რაც მოპოვებულია ადრე კაცობრიობის მიერ ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ მარქსიზმმა „შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათასწელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში"[1].

კულტურული რევოლუცია ძველი ბურჟუაზიული კულტურის უარყოფაა. მაგრამ ეს დიალექტიკური უარყოფაა. ისევე როგორც სოციალისტური რევოლუცია, ანგრევს რა კაპიტალიზმს, არ უკუაგდებს მის მიერ შექმნილ საწარმოო ძალებს, ასევე სოციალისტური კულტურული რევოლუცია არ უკუაგდებს ძველი საზოგადოების კულტურას, არამედ კრიტიკულად იყენებს მას, გვეელინება მის ნამდვილ მემკვიდრედ.

სოციალისტური კულტურის განვითარებაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მარქსისტულ-ლენინურ პარტიას. ვ. ი. ლენინი არაერთხელ უსვამდა ხაზს, რომ პარტია გეგმაზომიერად უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურულ მშენებლობას და განსაზღვრავდეს მის შედეგებს. საქმე უნდა ეხებოდეს კულტურის განვითარების მეცნიერულ პროგნოზირებას, კ ულ ტ ურ ულ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მ ი ზ ა ნ დ ა ს ა ხ უ ლ შ ე გ ნ ე ბ უ ლ ხ ა ს ი ა თ ს. სწორედ ამ მიმართებით ხორციელდება პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელი ზეგავლენა ახალი კულტურის ჩამოყალიბების მთელ პროცესზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მუშათა კლასისა და გლეხობის მთავარ ამოცანას შეადგენდა სოციალიზმის აშენება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ვ. ი. ლენინს სოციალიზმის მშენებლობის პროცესში გარდუვალად მიაჩნდა სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვება, სოციალისტური კულტურის შექმნა და ახალი ადამიანის აღზრდა. ამიტომ იყო, რომ სოციალისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის ერთერთ აუცილებელ პირობად ვ. ი. ლენინი თვლიდა კულტურულ

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 381.

რევოლუციას, რომელიც ქმნის ამ საზოგადოების აშენებისათვის აუცილებელ სულიერ წანამძღვრებს.

კულტურული რევოლუციის ობიექტური აუცილებლობა ღრმად დასაბუთებულია ვ. ი. ლენინის მიერ, რომელმაც არა მხოლოდ პირველმა პოლიტიკაში და საზოგადოებრივ მეცნიერებაში შეიტანა თვით ცნება „კულტურული რევოლუცია" (1923 წელს), არამედ გვიჩვენა ამ ცნების კონკრეტული შინაარსი, დაამუშავა კულტურული მშენებლობის ძირითადი პრინციპები. ხაზს უსვამდა რა იმას, რომ კულტურული რევოლუცია არ არის ლოგიკურ ან ზედაპირულ ღონისძიებათა ერთგვარი ჯამი, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „...ეს იქნება განსაკუთრებული ისტორიული ეპოქა, და ამ ისტორიული ეპოქის გაუვლელად ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ"[1].

ლენინმა დაასაბუთა, რომ კულტურული რევოლუცია პროლეტარული რევოლუციის შემადგენელი ნაწილია. კულტურული რევოლუციის განუხორციელებლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფა. ხალხის კულტურის ზრდა წარმოადგენს აუცილებელ პირობას საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის, შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის, სახელმწიფოს მართვაში ხალხის ფართო მასების ჩაბმისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კულტურის განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, რომელსაც ხელს აწერდა ლენინი, შეეხებოდა ხალხის კულტურის საგანძურთა დაცვას.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თვითმპყრობელობის დროს ჩაგრული ერების განათლებისა და კულტურის განვითარების საკითხებს. კულტურული რევოლუცია ეროვნული საკითხის გადაწყვეტის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კულტურული რევოლუციის ამოცანები წარმატებით იქნა გადაწყვეტილი ეროვნულ რესპუბლიკებში. იმის ერთ-ერთ მაგალითს, თუ რა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 555.

დიდი წარმატებით გაიარეს ეს ამოცანები, წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

საქართველოში, მის ისტორიულ თავისებურებათა გამო, კულტურული რევოლუციის ფორმები და გზები რამდენადმე განსხვავებოდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კულტურული რევოლუციისაგან. ამასთან ბევრი საერთო ჰქონდა, რამდენადაც მას საფუძვლად ედო იგივე პროცესები და პრინციპები.

ქართული კულტურა ვითარდებოდა როგორც ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური. ი. ბ. სტალინმა გააშუქა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ერთიანობის კანონზომიერება. „პროლეტარული კულტურა, — წერდა ი. ბ. სტალინი, — კი არ უარყოფს ნაციონალურ კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას. და, პირიქით ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას“ [1].

ქართული კულტურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ქართველი ხალხის კულტურა ვითარდებოდა მოწინავე ეროვნულ ტრადიციათა ბაზაზე, არა განცალკევებულად საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების კულტურისაგან, არამედ მათთან მჭიდრო კავშირში [2].

ქართული სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხების კულტურის განვითარებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მოწინავე კულტურასთან ურთიერთობას.

სოციალისტურ საზოგადოებაში უზრუნველყოფილია ერების არა მარტო პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა, შექმნილია საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, არამედ ლიკვიდირებულია ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიური და კულტურული უთანასწორობა.

ურთიერთ ძმურ დახმარებაზე, პირველ რიგში რუსი ხალხის დახმარებაზე დაყრდნობით, ყველა საბჭოთა რესპუბლი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 152.

[2] ს. კალანდაძე, კულტურული -რევოლუცია საქართველოში, 1921 — 1941 წწ., თბ., 1969, გვ. 4.

კამ, მათ შორის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ. შექმნეს თავიანთი თანამედროვე მრეწველობა, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ეროვნული კადრები, განავითარეს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

მეორე ხუთწლედში განხორციელდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია, ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობა. უაღრესად დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა ამ დროს საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების შექმნა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

კულტურული რევოლუცია უდიდესი ძალით მიმდინარეობდა მოკავშირე.რესპუბლიკებში, სადაც შეიქმნა მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები. კულტურულმა რევოლუციამ გამოაჩინა სახალხო შემოქმედების უდიდესი წყაროები, დაგვანახა, თუ. რა ტალანტები მოეპოვებათ კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ ხალხებს.

კულტურული რევოლუციის განვითარების და გაღრმავების კიდევ უფრო. უკეთესი პირობები შეიქმნა მესამე ხუთწლედში, ამ ეტაპზე სსრ კავშირი შეეიდა განვითარების ახალ ხანაში, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას.

მესამე ხუთწლედს უნდა უზრუნველეყო სოციალიზმის გადამწყვეტი წარმატება მის ისტორიულ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან. მშრომელთა შეგნებულობის ამაღლებაზე დამოკიდებული იყო მესამე ხუთწლედის უდიდესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რაც ახალ მოთხოვნებს უყენებდა საბჭოთა კულტურას.

კულტურული რევოლუციის ისტორიული პროცესისათვის დამახასიათებელია ის, რომ იწყება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის საზღვრების თანდათანობით წაშლა და მთავრდება ახალი სახალხო ინტელიგენციის შექმნა.

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებით, კომუნისტურმა პარტიამ ცხოვრებაში გაატარა სოციალისტური ინტელიგენციის აღზრდის ფართო პროგრამა, რაც გულისხმობდა: ჯერ ერთი, ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა

ვოზიდვასა და ახალი ცხოვრების შესაბამისად ხელახლა აღზრდას; მეორეც. მშრომელი კლასების ყველაზე უნარიან წარმომადგენელთა წამოწევასა და აღზრდას პარტიულ. სახელმწიფო, საწარმოო და საზოგადოებრივ სამუშაოზე: მესამეც. მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული კადრების სპეციალურ პროფესიულ მომზადებას.

ცნობილმა ლენინურმა ფორმულამ „მიზიდვა+აღკვეთა", ცხადად გამოავლინა ძველ სპეციალისტებთან პროლეტარიატის დამოკიდებულების დიალექტიკა. დარწმუნებისა და აღზრდის მეთოდთან ერთად ადგილი ჰქონდა ბრძოლის ცალკეულ ფორმებსაც ძველ სპეციალისტთა ნაწილის მხრივ მტრული მოქმედების აღკვეთას. ამასთან საჭირო ხდებოდა იმის გათვალისწინება, რომ სოციალიზმის პოზიციებზე ინტელექტუალური შრომის მუშაკთა გადასვლა, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ კაპიტალისტური საზოგადოების მიერ და იზიარებდნენ ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობას. რთული და მტკივნეული პროცესი იყო. ჩვენი პარტია ებრძოდა მათ. ვინც ქადაგებდა სექტანტურ შეხედულებებს, აბუჩად იგდებდა მთელ ინტელიგენციას, როგორც კლასობრივად უცხო ძალას, არ ენდობოდა მას, უარს ამბობდა მასთან მუშაობაზე. იჩენდა რა გულისხმიერების, ყურადღების და მოთმინების მაქსიმუმს ძველი ინტელიგენციის მიმართ, პარტია ხელს უწყობდა მის დაახლოებას მასებთან და ქმნიდა კეთილსასურველ პირობებს გონებრივი შრომის ადამიანთა შემოქმედების გაფურჩქვნისათვის.

ახალი, სახალხო ინტელიგენციის შექმნა არ იყო შემთხვევით მიღწეული ექსპერიმენტი, როგორც ცდილობენ ამის დამტკიცებას ბურჟუაზიული სოციოლოგები, არამედ წარმოადგენდა კანონზომიერ მოვლენას, რომელიც დამახასიათებელია სოციალიზმის ქვეყნისათვის.

ი. ბ. სტალინი განსაზღვრავდა რა კულტურული რევოლუციის შედეგებს პარტიის XVIII ყრილობაზე. აღნიშნავდა. რომ ხალხის კულტურული განვითარების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი იყო ჭეშმარიტად კულტურული რევოლუციის პერიოდი. სწორედ ამ წლებისათვის ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი საბჭოთა ინტელიგენცია, რაც მოასწავებდა ნამდ-

ვილ გადატრიალებას საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიაში. სსრ კავშირში გაიმარჯვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიამ. რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული მთლიანი კულტურა. თითოეული მშრომელი საბჭოთა პატრიოტიზმით გაისუნთქვალა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეა სსრ კავშირში გაბატონებული გახდა.

მესამე ხუთწლედში საწარმოო აღმავლობა, მთელი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შესაძლებლობას აძლევდა ჩვენს პარტიას წამოეყენებინა და გადაეჭრა ახალი ამოცანები ქვეყნის კულტურული განვითარების სფეროში.

კულტურული რევოლუცია მოითხოვდა პირველ რიგში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას, კულტურის კერების — ქოხსამკითხველოების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნას და განვითარებას, მრავალრიცხოვანი საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდას.

წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე ადამიანს სრულფასოვნად არ შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო სოციალისტურ მშენებლობაში. „ვიდრე ჩვენს ქვეყანაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ძალიან ძნელია ლაპარაკი. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა, ეს არის პირობა, ურომლისოდაც პოლიტიკაზე ლაპარაკი შეუძლებელია“ [1]

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ლენინს მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან ერთად ვ. ი. ლენინმა გადაუდებელ ამოცანად დააყენა სავალდებულო სასკოლო განათლების შემოღება.

პირველ ხუთწლედებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 72.

ტარდა მშრომელთა ზოგადი განათლების ასამაღლებლად. ფართოდ გაიშალა სახალხო განათლების ქსელი.

სსრ კავშირში სახალხო განათლების წარმატებებმა საშუალება მისცა პარტიას XVIII ყრილობაზე დაესახა ამოცანა: ქალაქებში თანდათანობით შემოეღო საყოველთაო საშუალო, ხოლო სოფლის ადგილებში — საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება. სახალხო განათლების დარგში მოპოვებული წარმატებები გახდა კულტურული რევოლუციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

კულტურული რევოლუციის წარმატებები თავის მხრივ ხელს უწყობდა საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლას. ვინაიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა შესაძლებელია მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებით საყოველთაო უმაღლესი განათლების ბაზაზე.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარ ამოცანას ამ პერიოდში, როგორც წინა წლებში, წარმოადგენდა მშრომელთა იდეური აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. ამ ამოცანას ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის: ბიბლიოთეკების, კლუბების, ქოხსამკითხველოების, მუზეუმების. წითელი კუთხეების და სხვ. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად მესამე ხუთწლედში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ქართველი ხალხის კულტურული დონის ამაღლების, მისი სახალხო განათლების გაუმჯობესების. ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების, მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

სახალხო განათლება ისე როგორც ადრინდელ ხუთწლედებში, მესამე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახალხო განათლების საქმეს, საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1936 წლის 4 ივლისის დადგენილებაში დაგმო არსებული ღამახინჯებანი პედაგოგიკის დარგში. უარყოფილ იქნა მკვდარი პედოლოგიური სქემები.

რომლებიც მასწავლებელს არ აძლევდნენ შემოქმედებითი ზრდის შესაძლებლობას და ამახინჯებდნენ ბავშვებს. მასწავლებელმა ფართო შესაძლებლობა მიიღო საკუთარი გაეშალა თავისი პედაგოგიური ნიჭი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო განათლების გაუმჯობესების საქმეში საქართველოს კპ (ბ) XI ყრილობის გადაწყვეტილებებს[1]. ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ ღონისძიებანი სახალხო განათლების ორგანოების კადრებით განმტკიცებისათვის, მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, განსაკუთრებით სასკოლო მშენებლობისა და სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის დარგში.

ყრილობამ მოიწონა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ღონისძიებები საქართველოს სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. დადგენილებაში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული უმაღლეს სასწავლებლებში კადრების მომზადების, სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის დაყენების გაუმჯობესების ამოცანებს.

მესამე ხუთწლედის წლებში მეტად ეფექტური ღონისძიებანი იქნა გატარებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გაუმჯობესების, სტაბილური სახელმძღვანელოების შექმნის, სკოლებში სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვის, სასკოლო რეჟიმის სრულყოფისა და დისციპლინის განმტკიცებაგაძლიერების მიმართულებით. მასწავლებლის როლის ამაღლების შედეგად საბჭოთა კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მოთხოვნათა ვითარებაში, სამამულო ომის წინ საბჭოთა სკოლა საქართველოში წარმატებით ართმევდა თავს მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს.

1939 წელს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე საშუალო განათლე-

---

1 საქართველოს კპ (ბ) XI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1939, გვ. 367—373.

ბით მოდიოდა 113 კაცი, ხოლო საშუალო განათლების მქონე ადამიანების რაოდენობამ 400 ათასს გადააჭარბა[1].

თვალსაჩინოდ გაიზარდა სახალხო განათლების ბიუჯეტი. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით სოციალური და კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნებები 590.4 მლნ მანეთიდან (1937 წელი) 1939 წელს გაიზარდა 813. 6 მლნ მანეთამდე, ე. ი. 38 პროცენტით, აქედან სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 545,9 მლნ მანეთი. 1938 წელს მარტო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით დაიხარჯა 344 776 ათასი მანეთი, ხოლო 1939 წელს — 377 361 ათასი მანეთი, ნაცვლად 324 500 ათასი მანეთისა 1937 წელს.

1937—1938 სასწავლო წელს განათლების ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 111 მანეთს, ნაცვლად 3.60 მანეთისა 1924 — 1925 წელს[2].

1938 — 1939 წლებში აშენდა მრავალი სასკოლო შენობა ქალაქად და სოფლად. საბავშვო ბაღები და კულტურის სახლები. ამ პერიოდისათვის საქართველოში ითვლებოდა 4441 დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა 713 550 მოსწავლით და 200 ზე მეტი სპეციალური საშუალო სასწავლებელი, ტექნიკუმი და სკოლა 31 824 მოსწავლით. გარდა ამისა, არსებობდა 277 არასრული საშუალო და საშუალო სკოლა მოზრდილთათვის, სადაც 23 962 კაცი სწავლობდა[3]. მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს 26 ათასი მასწავლებელი ემსახურებოდა.

განათლების სახალხო კომისარიატის სკოლამდელ დაწესებულებებში 22 ათასზე მეტი ბავშვი იზრდებოდა.

სკოლების რაოდენობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის საერთო ზრდასთან ერთად მასობრივად ხდებოდა დაწყებითი სკოლების არასრულ საშუალო სკოლებად და არასრული საშუალო სკოლების საშუალო სკოლებად გარდაქმნა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდებოდა პედაგოგიური

---

1 Грузинская ССР за 20 лет, стр. 100.

2 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 422.

3 საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობის სტენოგრამული ანგარიში, 1940, გვ. 60—65.

კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და სკოლების შესაფერისი კადრებით უზრუნველსაყოფად. პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლები უშვებდა ახალ კადრებს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობის შესავსებად. ამის შედეგად მასწავლებელთა კვალიფიკაცია შესამჩნევად ამაღლდა. 1939 წლის 1 სექტემბრისათვის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 29 144 მასწავლებლიდან 5544 მასწავლებელს ჰქონდა უმაღლესი განათლება, 1590 მასწვალებელს დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 2 312 მასწავლებელს დამთავრებული ჰქონდა სამასწავლებლო ინსტიტუტები, საშუალო განათლებით სკოლებში იყო 19 097 მასწავლებელი და დაბალი განათლებით მხოლოდ — 601 კაცი.

ჩატარდა მასწავლებელთა ატესტაცია. ის პირები, რომლებსაც სათანადო მომზადება არ ჰქონდათ და შემთხვევით ეწეოდნენ პედაგოგიურ მუშაობას, განთავისუფლებულ იქნენ სკოლებიდან. პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებში კვალიფიკაციას იმაღლებდა 6 978 მასწავლებელი[1].

დიდი ყურადღება ექცეოდა მასწავლებელთა კადრების მომზადებას, რომელიც ხორციელდებოდა 8 პედაგოგიურ ინსტიტუტსა და 25 პედაგოგიურ სასწავლებელში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენდა საბჭოთა მასწავლებლის მიმართ, მაღლა სწევდა მის ავტორიტეტს. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო ის, რომ 1939 წელს საქართველოს სოფლის 126 საუკეთესო მასწავლებელი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისა და სოფლად ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნენ ორდენებითა და მედლებით. ამასთან ერთად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის 84 საუკეთესო პედაგოგს მიენიჭათ დამსახურებული მასწავლებლის წოდება[2].

დაჯილდოებულთა შორის იყვნენ: ვ. აბდუშელიშვილი, ვ. ბათიაშვილი, ნ. ბოცვაძე, ე. ბურჯანაძე, მ. ბურჭულაძე,

---

1 საქ. კპ (ბ) XIII ყრილობის სტენოგრ. ანგარიში, 1940, თბ., გვ. 66.
2 გაზ. „კომუნისტი", 1939, 1 სექტემბერი.

ვ. ბერდოშვილი, ა. გვახარია, დ. დონდუა, კ. ჯორჯიკია, ნ. ჯ[illegible]ფარიანი, ნ. ძიძიგური, ა. კვაჭაძე, თ. მათიაშვილი, ა. მუჯირი, ბ. [illegible]ედლიძე, ი. ნიკურაძე, ფ. ფერაძე და სხვ.

ფართო ღონისძიებები გატარდა ცალკეულ დისციპლინებში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლების ორგანიზაციის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საქმეს. რუსული ენის ცოდნა არის სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან ქართველი ხალხის კავშირისა და ურთიერთობის მძლავრი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს მის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ ზრდას, ეროვნული კადრების ზრდის შემდგომ გაუმჯობესებას. გამოდიოდა რა ამ აუცილებლობიდან, საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1938 წლის 13 აპრილს მიიღეს დადგენილება არასრულ სკოლებში რუსული ენის სწავლების მკვეთრად გაუმჯობესების შესახებ. 1938 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნა რუსული ენის სავალდებულო სწავლება მესამე კლასიდან. მიღებულ იქნა ზომები სკოლების უზრუნველსაყოფად რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით. გაიზარდა პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებათა სტუდენტების კონტინგენტი. გარდა ამისა, რუსული ენის 600-ზე მეტი მასწავლებელი კვალიფიკაციის ასამაღლებლად სწავლობდა პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზე. წარმოებდა აგრეთვე რუსული ენის მასწავლებლების გადამზადება მოკლევადიანი კურსების საშუალებით.

აღნიშნული დადგენილება მთელი ჩვენი სახალხო განათლების ფრონტის უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანა იყო. იგი მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს სახავდა რესპუბლიკის სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

გაითვალისწინა რა რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა ინტალგაზრობის დიდი ლტოლვა ქართული უმაღლესი სას-

წავლებლებისაკენ, აგრეთვე ის, რომ ქართული ენის ცოდნა საჭირო იყო სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 ივნისის დადგენილებით 1938 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნა ქართული ენის, როგორც სასწავლო საგნის, სავალდებულო სწავლება საქართველოს სსრ ყველა არაქართულ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში[1].

სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1939 წლის 15 აპრილს მიიღო დადგენილება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცემის შესახებ[2]. საშუალო სკოლის V—VI—VII კლასებისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენისათვის შეიქმნა კომისია აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის, პროფესორების ს. ჯანაშიას, გ. ხაჭაპურიძის და დოც. ნ. ბერძენიშვილის შემადგენლობით.

სოციალისტური მშენებლობის ამოცანები გადაუდებლად მოითხოვდა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სწავლების გაუმჯობესებას. ამ მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 16 სექტემბერს მიიღო დადგენილება „გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენების სწავლების შესახებ". ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 22 ნოემბერს გამოიტანა სათანადო გადაწყვეტილება, რითაც დაევალა განათლების სახალხო კომისარიატს უზრუნველეყო რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში ერთი უცხო ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული) სწავლება მე-5 კლასიდან 1943 წლისათვის[3].

მესამე ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცა საშუალო სპეციალური განათლების ქსელის გაფართოებას: 1940 წლის 5—8 ივნისს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავ-

---

1 საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1938, № 17, გვ. 301—306.

2 პარტიული ხრქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ან. 7, ს. 9475, ფურც. 9.

3 საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 26, გვ. 356.

შირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების სკოლების ორგანიზაციის შესახებ". ამ დადგენილების განხორციელებისათვის საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭომ იმავე წლის 9 ივლისს მიიღეს დადგენილება საქართველოში სამი საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების სკოლის (ბათუმში, ზესტაფონსა და საგურამოში) შექმნის შესახებ[1].

სახალხო განათლების ორგანიზაციისა და სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა ლენინური კომკავშირი. 1940 წელს საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი „სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ" და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. იმავე წლის აპრილში ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბევრმა სასკოლო კომკავშირულმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა თავისი მუშაობა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეძლეს თავის მუშაობაში ჩაებათ ბევრი მასწავლებელი. ამასთან პლენუმმა აღნიშნა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახა მათი გამოსწორების ღონისძიებანი[2].

სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად სკოლებში განმტკიცდა დისციპლინა, 1939/40 სასწავლო წლის პირველ ნახევართან შედარებით 8—10 პროცენტით ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

ამასთან კომკავშირულ ორგანიზაციებს სკოლაში დისციპლინის განმტკიცებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებისათვის მუშაობის მხრივ ჯერ კიდევ გააჩნდათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებათა გამო-

---

1 საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 26, გვ. 356.

2 ეკონ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი", № 4-5, 1940, გვ. 40.

სასწორებლად პლენუმმა მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებანი.

სახალხო განათლების საკითხები პარტიის ყურადღების ცენტრში იდგა. საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დასახა სკოლებზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის სწორ საფუძველზე დაყენება. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უმაღლეს სასწავლებლებში კადრების მომზადების ხარისხისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეს[1].

ამ დიდი ღონისძიებების შედეგი იყო სასკოლო განათლების არნახული განვითარება საბჭოთა საქართველოში.

1940 — 1941 სასწავლო წელს 1914 — 1915 სასწავლო წელთან შედარებით საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი 2.5-ჯერ, მოსწავლეთა რიცხოვნობა 4,5-ჯერ და მასწავლებელთა რიცხვი 5,2-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ყოველი ათასი კაციდან 113 საშუალო და 11 უმაღლესი განათლება ჰქონდა[2].

1940 — 1941 სასწავლო წელს საქართველოში 4.7 ათასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო, მათ შორის — 2042 საშუალო და შვიდწლიანი. ამ სკოლებში 767 ათასი მოსწავლე სწავლობდა. მათ შორის 5—10 კლასებში 341 ათასი, მუდმივ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ირიცხებოდა 48 ათასი ბავშვი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს 30.5 ათასი პედაგოგი ემსახურებოდა[3]. მარტო 1936 — 1940 წლების მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში 525 ახალი სასკოლო შენობა და საბავშვო ბაღის 33 შენობა ააგო.

მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლებისა და ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლის გარეშე დაწესე-

---

[1] საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1940, თბ., გვ. 449.

[2] ჟურნ. „ბოლშევიკი", № 2. 1941, გვ. 114.

[3] Страна Советов за 50 лет, М., 1967, стр 319; თ. ლაშქარაშვილი, სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1967, გვ. 11.

ბულებებს. მათ შორის თბილისის პიონერთა და მოწავლეთა სასახლეს, რომელიც 1941 წლის მაისში გაიხსნა.

სახალხო განათლების დაწესებულებათა ფართო ქსელი იყო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

აფხაზეთის ასსრ-ში 1940/41 სასწავლო წლის დასაწყისში სულ იყო 477 სასწავლო დაწესებულება. აქედან 461 დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ნუშა ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლა, 15 ტექნიკუმი და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულება, ერთი უმაღლესი სასწავლებელი. უმაღლეს სასწავლებელში 1940/41 წელს სწავლობდა 997 სტუდენტი, ხოლო ტექნიკუმებში — 1953 და სკოლებში 64 448 მოსწავლე[1].

აჭარის ასსრ-ში 1940/41 სასწავლო წელს იყო ერთი უმაღლესი სასწავლებელი 500 სტუდენტით, 15 ტექნიკუმი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი 1500 მოსწავლით, 398 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. მათ შორის 255 დაწყებითი, 109 რვაწლიანი და 33 საშუალო სკოლა. სახალხო განათლების ქსელში მუშაობდა 1800 მასწავლებელი და 33 800 მოსწავლე[2].

1940 წლისათვის საქართველოში 192 ტექნიკუმი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი იყო, რომლებშიც სწავლობდა 26 ათასზე მეტი კაცი[3].

1938 — 1940 წლებში რესპუბლიკის ტექნიკუმებმა და სხვა სპეციალურმა საშუალო სასწავლებლებმა (დაუსწრებელთა ჩათვლით) 1941 წლის 1 იანვრის ცნობით სულ გამოუშვეს 23 073 სპეციალისტი. აქედან: 1920 მრეწველობისა და მშენებლობის, 716 კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის ტექნიკოსი, 3020 აგროტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი, სოფლის და სატყეო მეურნეობის ტექნიკოსი, ვეტტექნიკოსი და ვეტფერშალი, 624 ბუხჰალტერი, სტატისტიკოსი და მგეგმავი, 8419 პე-

---

1 აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, 1957, გვ. 91—93, რუს. გამოცემა.

2 აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, 1959, გვ. 83, 85.

3 Страна Советов за 50 лет, стр. 319.

დაგოგი და კულტსაგანმანათლებლო მუშაკი, 7814 მედმუშაკი, 432 ხელოვნების მუშაკი, 128 ფიზკულტურის მუშაკი[1].

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გაფართოებასთან ერთად მესამე ხუთწლედის ბოლო წლებში დიდი ყურადღება მიექცა პროფესიული განათლების ორგანიზაციის საქმეს, რაზეც დიდად იყო დამოკიდებული სახალხო მეურნეობისათვის მასობრივი პროფესიის მუშათა კადრების მომზადება.

როგორც აღვნიშნეთ, 1940 წლის 2 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ". იმავე დღეს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გამოიტანა დადგენილება „ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვევის შესახებ". ამ დადგენილებათა საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 15 ოქტომბერს დაადგინა, რომ ნოემბრის ბოლომდე გაეწვიათ სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობიდან მამრობითი სქესის 4700 ახალგაზრდა (14—15 წლის)[2].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენილებათა განსახორციელებლად საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1941 წლის 28 მარტს მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ სამშენებლო მასალათა მრეწველობის და რკინიგზის მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ორგანიზაციის შესახებ" და შექმნეს 8 სკოლა 3-თვიანი სწავლების ვადით[3].

მესამე ხუთწლედის პერიოდში ახალ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საბჭოთა საქართველოს უ მ ა ღ ლ ე ს მ ა

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა (სტატ. კრ.), თბ., 1959, გვ. 322—323 (რუს. გამოც.).

2 საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 26, გვ. 356.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, № 19, ს. 11479, ფურც. 145—148.

სკოლამ. შეიქმნა ახალი უმაღლესი სასწავლებლები: თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი (1938 წ.), თელავისა და ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტები (1939 წ.). თბილისის თეატრალური ინსტიტუტი (1939 წ.).

უმაღლესი განათლების წამყვან კერას ომამდელ ხუთწლედებში წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც დაარსების 20 წლისთავზე. 1938 წელს ჰქონდა 8 ფაკულტეტი.

უნივერსიტეტთან არსებობდა დაუსწრებელი უმაღლესი პედაგოგიური განათლების სექტორი, სადაც სკოლისაგან მოუწყვეტლივ კვალიფიკაციას იმაღლებდა (სწავლობდა) 5 300 მასწავლებელი. სექტორს რესპუბლიკის მსხვილ რაიონებში მოწყობილი ჰქონდა საკონსულტაციო ბაზები. უნივერსიტეტში მუშაობდა 60 კათედრა. მათ შორის აღსანიშნავია გეოლოგიის (ხელმძღვანელი პროფ. ა. ჯანელიძე); კრისტალოგიის (ხელმძღვანელი პროფ. ალ. თვალჭრელიძე), ფიზიოლოგიის (ხელმძღვანელი პროფ. ი. ბერიტაშვილი), სსრ კავშირის ისტორიის, საქართველოს ისტორიის და სხვა კათედრები. მათემატიკურ სკოლას ხელმძღვანელობდა პროფ. ნ. მუსხელიშვილი. სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოზარდა მრავალი ნიჭიერი, ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერი. თავიანთი სამეცნიერო მუშაობით, დიდმნიშვნელოვანი შრომებით გაამდიდრეს საბჭოთა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, გ. ახვლედიანმა, კ. კეკელიძემ, არ. ჩიქობავამ, ა. შანიძემ, ი. ვეკუამ, ე. ხარაძემ, ვ. კუპრაძემ, ა. ხარაძემ, ალ. ბარამიძემ, ვ. თოფურიამ და სხვ.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის, აგრეთვე სასწავლო მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესების, სამეცნიერო და მასწავლებელთა კადრების რაციონალურად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 15 მაისის დადგენილებით განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ლიტერატურის შ. რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, ფიზიოლოგიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ინსტიტუტის, გეოლოგიური, ფიზიკური, გეოგრაფიული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების რეორგანიზაცია.

რის შედეგად ისინი გაერთიანდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო კათედრებთან[1].

ფართოდ აღინიშნა საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავი. 1938 წლის 25 მაისს უნივერსიტეტში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია. სესიამ პირველი მოისმინა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება: „საქართველოს უმაღლესი სასწავლებლისათვის ბრძოლა". მოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორები ა. ჯანელიძე, შ. ნუცუბიძე, ი. ბერიტაშვილი[2]. სესიამ მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მისალოცი წერილი[3].

ამ პერიოდისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მსხვილი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი იყო. ლენინგრადის უნივერსიტეტის შემდეგ მას მეორე ადგილი ეკავა სტუდენტთა რაოდენობით (5 105 კაცი). ორი წლის შემდეგ კი სტუდენტთა რაოდენობით მან საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი დაიკავა. 1938 წლის 1 იანვრისათვის თბილისის უნივერსიტეტში მუშაობდა 66 პროფესორი, 163 დოცენტი, 58 მასწავლებელი, 84 ასისტენტი და 87 ასპირანტი. 1940 წელს კი უნივერსიტეტი აერთიანებდა 66 კათედრას 439 პროფესორ- მასწავლებლით[4].

თბილისის უნივერსიტეტი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო კიევის უნივერსიტეტთან: 1938 წლის 5 დეკემბერს დაიდო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ამ უნივერსიტეტებს შორის. ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის შეჯიბრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოძმე რესპუბლიკის შემდგომი კულტურული ზრდის, ახალი ინტელიგენციის კადრების აღზრდის საქმეში[5]. თბილისის სახელმწიფო უნი-

---

1 საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1938, № 13, გვ. 236.

2 გაზ. „კომუნისტი", 1938, 27 მაისი.

3 გაზ. „კომუნისტი", 1938, 30 მაისი.

4 ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1968, გვ. 71, 72, 73.

5 გაზ. „კომუნისტი", 1939, 27 იანვარი.

ვერსიტეტი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო აგრეთვე მოძმე აზერბაიჯანის და სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების კოლექტივებთან.

მესამე ხუთწლედში დიდი ღონისძიებები გატარდა უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის. ამ მიმართულებით ახალი ამოცანები იყო დასახული სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის მუშაკთა სრულიად საკავშირო პირველი თათბირის და საქართველოს უმაღლესი სკოლის მუშაკთა კრების მიერ, 1938 წლის ივნისში რომ მოეწყო. თავიანთ მიმართკაში მათ მოუწოდეს უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკს, პროფესორს, მასწავლებელს და სტუდენტს ძალ-ღონე არ დაეშურებინათ უმაღლესი განათლების საქმის შემდგომი აღმავლობისათვის[1].

უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების გასაუმჯობესებლად 1939 წლის 13 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილება. მასში გამომჟღავნებული იყო უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. არ სრულდებოდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს დადგენილება „უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების შესახებ“, დაუსწრებელ განყოფილებებში კონტინგენტის მიღება ხდებოდა არა საწარმოო ნიშნის მიხედვით, არამედ ამ განყოფილებებს უმეტეს შემთხვევაში ავსებდნენ ის პირთაგან, რომლებიც სტაციონარულ ინსტიტუტებში ვერ აბარებდნენ საკონკურსო გამოცდებს. სახკომსაბჭომ დასახა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი[2].

1940 წლისათვის რესპუბლიკაში იყო 21 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 5 სამასწავლებლო ინსტიტუტი, სადაც 28.5 ათასამდე კაცი სწავლობდა. უმაღლეს სასწავლებლებში დაახლოებით 2500 კვალიფიციური მასწავლებელი, პროფესორი და დოცენტი მუშაობდა[3].

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1941, 25 თებერვალი.

2 საქართველოს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1939, № 15, გვ. 254.

3 გაზ. „კომუნისტი“, 1941, 25 თებერვალი.

უმაღლესი სასწავლებლები წარმატებით ახორციელებდნენ სოციალისტური მშენებლობის მაღალკვალიფიცირული კადრებით უზრუნველყოფის დიდსა და რთულ ამოცანებს. მრავალად ამზადებდნენ კადრებს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კულტურის ყოველი დარგისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა აღზარდეს უმაღლესი განათლების მქონე 29 ათასამდე ახალგაზრდა ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, ეკონომისტი და სხვა კვალიფიციური მუშაკები ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის. უმაღლეს სასწავლებლებში გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. აქედან მარტო მესამე ხუთწლედში გამოშვებული იყო მესამედზე მეტი — 10991 — სპეციალისტი. მათ შორის 1568 მრეწველობისა და მშენებლობის, 580 ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინჟინერი, 1171 აგრონომი, სოფლისა და სატყეო მეურნეობის მუშაკი, 403 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, 683 ეკონომისტი და იურისტი, 4439 განათლების მუშაკი (უნივერსიტეტის, პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულები), 166 ხელოვნების მუშაკი, 1542 — ექიმი, 183 ფარმაცევტი, 256 ფიზკულტურის მუშაკი[1].

განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ამ დროს 72 პროფესორი და 200 დოცენტი მუშაობდა. 1938 — 1939 წლების განმავლობაში უმაღლესი სკოლების ასპირანტურა დაამთავრა 58 კაცმა.

დიდი მუშაობა ჩატარდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მასწავლებელთა კადრების შერჩევისა და უმაღლეს სასწავლებლებში ამ დისციპლინის სწავლების რადიკალური გარდაქმნისათვის. სულ შერჩეულ იქნა და უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორებად გაიგზავნა 122 კაცი. მათში 120 კაცი პარტიის წევრი და კანდიდატი, 2 კომკავშირელი იყო.

ყველა უმაღლეს სასწავლებელთან შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის სპეციალური კათედრები და კათედრების ხელმძღვანელად გაიგზავნენ შემოწმებული და კვალიფიციური მუ-

---

[1] Народное хозяйство Грузинской ССР, стр. 320—321.

მაკეში [1]. ამ ღონისძიებათა შედეგად მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება უმაღლეს სკოლაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ახალი წარმატებები მოიპოვა მეორამე ხუთწლედში ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ. გამოიზარდა საბჭოთა მეცნიერების მთელი ახალი თაობა. შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური თეორიით და ღრმა მეცნიერული ცოდნით.

განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საქართველოს და ქართული კულტურის ისტორიის კვლევის საქმე. მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომით გაამდიდრეს საქართველოს ისტორია გამოჩენილმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და სხვებმა. ახალი შუქი მოჰფინა საქართველოს ადრინდელ ისტორიას რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა ეძველესი კულტურის უნიკალურმა ძეგლებმა. განსაკუთრებით ძვირფასი არქეოლოგიური ძეგლები იქნა მოპოვებული მცხეთა-არმაზის რაიონსა და თრიალეთში.

ძველი ქართული კულტურის კვლევის დარგში მოპოვებულ მიღწევებზე მოწმობდა აკად. კ. კეკელიძის ორტომიანი ქართული ლიტერატურის ისტორია. მეცნიერების დიდი შენაძენი იყო აგრეთვე აკად. გ. ჩუბინაშვილის და შ. ამირანაშვილის შრომები ქართული ხელოვნების ისტორიაში. შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის თაოსნობით და დაჟაბული მუშაობით გამოცემულ იქნა ძველი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შრომები ორ ტომად. აკად. შ. ნუცუბიძემ თავისი შრომებით საფუძველი ჩაუყარა ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას და შექმნა ფუნდამენტური ნარკვევები ქართული ფილოსოფიის ისტორიაზე.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის საქმემ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც 1939 წელს ჩამოყალიბდა, მნიშვნელოვანი სამეცნიერო მუშაობა გაიშალა და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარიც აღიზარდა.

---

[1] საქ. კპ (ბ) XII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1940, გვ. 65—66.

გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათ ფართო ქსელი. დაარსდა ფიზიკის, გეოფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგია-მინერალოგიის ინსტიტუტები და სხვ. ამ ინსტიტუტებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლის საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებას. ბოტანიკის ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტი, მეევენახეობის, მეღვინეობისა და მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტები დიდ დახმარებას უწევდნენ სოფლის მეურნეობას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის გაუქმების შემდეგ, 1935 წელს, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში დაარსდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალები. ამ დროიდან მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი გადაიქცა დიდ სამეცნიერო დაწესებულებად.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შემადგენლობაში შედიოდა აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის, მათემატიკის, ბოტანიკის, ქიმიის, გეოფიზიკისა და აფხაზეთის ენისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ორი სამეცნიერო-კვლევითი სექტორი — ზოოლოგიური და ენერგეტიკული, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში 211 მეცნიერ-თანამშრომელი მუშაობდა, მათ შორის 19 დოქტორი, 69 მეცნიერებათა კანდიდატი და 22 პროფესორი. ფილიალში 50 ასპირანტი სწავლობდა[1]. 1940 წელს კი რესპუბლიკაში 524 ასპირანტი მზადდებოდა[2].

გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ივ. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ნ. მუსხელიშვილი არჩეულ იქნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად, ხოლო

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1939, 3 ოქტომბერი.

2 Советская Грузия за 40 лет, стр. 160.

პროფ. ა. შანიძე და გ. ალკლეფიანი — აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად.

ქართველი მეცნიერები ნაყოფიერად მუშაობდნენ ისეთ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო სახალხო წაკითხვებასთან და ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ აშაღლებასთან. წამყვან მეცნიერთა გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი ბაზა შეუქმნეს მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის და ხელს უწყობდნენ მეცნიერთა კადრების ზრდა-განვითარებას რესპუბლიკაში.

ისტორიულ-პარტიულ პრობლემათა დამუშავების ძირითად ცენტრს წარმოადგენდა 1933 წელს იასოყალიბებული საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლა-დამუშავებისა და საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის. ინსტიტუტის ფილიალმა მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოქვეყნა საქართველოში სოციალიზმის გამარჯვების ისტორიაზე, თარგმნა და გამოსცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები.

ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ახალი პერიოდი დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნით საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 14 იანვრის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1941 წლის 7 თებერვალს დაადგინა შექმნილიყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და გადასცემოდა მას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ყველა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. აკადემიკოსთა პირველი შემადგენლობა განისაზღვრა 16 კაცის რაოდენობით, რომლებიც მტკიცდებოდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობის კომისიის წარდგინებით [1].

1941 წლის 10 თებერვალს საქართველოს სსრ სახალხო

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ან. 9, ს. 11445, ფურც. 3.

კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ.

აკადემიის შექმნა მომზადებული იყო ქართული საბჭოთა მეცნიერების ბოლო წინანდელი განვითარებით. რესპუბლიკაში შექმნილი იყო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ფართო ქსელი, გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები. ამიტომ სამეცნიერო-საკვლეო საქმის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვდა რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ხელმძღვანელობის ცენტრალიზებული წესით მოწყობას[1].

ახლად ჩამოყალიბებული აკადემიის ნამდვილ წევრებად დამტკიცებულ იქნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჯანელიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, გ. ჩუბინაშვილი, ა. თვალჭრელიძე, დ. უზნაძე, ნ. კეცხოველი, გ. ხაჭაპურიძე, კ. ზავრიევი, ფ. ზაიცევი და ტ. კვარაცხელია.

მეცნიერებათა აკადემიის დაარსება იმ დიდი წარმატების მაჩვენებელი იყო, რომელსაც მიაღწია მეცნიერებამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად. აკადემია, რომელმაც გააერთიანა საბჭოთა მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები, გახდა მეცნიერების ცენტრი და მისი შემდგომი აღმავლობის მძლავრი ბაზა.

მეცნიერებათა აკადემიის მუშაკთა კოლექტივთან ერთად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივები.

უკვე 1941 წელს საქართველოში იყო 74 სამეცნიერო დაწესებულება, რომლებშიც მუშაობდა 3 513 მეცნიერი მუშაკი[2].

საქართველოს მეცნიერებმა ომისწინა წლებში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილ-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1941, 11 თებერვალი.

2 Советская Грузия за 40 лет, стр. 162.

დოებით. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 13 მარტის დადგენილებით მეცნიერების დარგში შესანიშნავი მიღწევებისათვის სტალინური პრემიები, სხვა საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, მიეკუთვნათ ცნობილ ქართველ მეცნიერებს. პირველი ხარისხის პრემია მიიღო ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, მეცნიერული ნაშრომისათვის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ამოცანა". მეორე ხარისხის პრემია მიეკუთვნა ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მეცნიერული ნაშრომისათვის „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია"[1].

მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და მეცნიერთა წახალისების მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1939 წლის დეკემბერში დააწესა სპეციალური პრემიები და სტიპენდიები. პრემიები ყოველწლიურად მიენიჭებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს თვალსაჩინო ნაშრომებისათვის. პრემია წესდებოდა საუკეთესო გამოგონებისათვის, თვალსაჩინო მიღწევებისათვის სამხედრო მეცნიერების დარგში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს ისტორიული წარსულის საფუძვლიან შესწავლას. საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 30 ნოემბერს მიიღეს დადგენილება არქეოლოგიური სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ არმაზ-მცხეთის რაიონში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ იქნა მდიდარი ისტორიული მასალა. ამიტომ ეს რაიონი გამოცხადებულ იქნა არქეოლოგიურ ნაკრძალად, ამ უბანზე კატეგორიულად აიკრძალა

[1] კაზ. „კომუნისტი", 1941, 15 მარტი.

დასაბამი და რაიმე ნაგებობათა მშენებლობა. დარჩა ლონისძიებანი არქეოლოგიური გათხრების გასაგრძელებლად[1].

პარტია და მთავრობა ყველ მზრუნველობას იჩენდნენ მეცნიერული კადრების მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

1937 წლის 11 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გაუქმა უმაღლეს სკოლაში არსებული პროფესორ-მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების სისტემა, ღაწესდა საშტატო თანამდებობანი და თანამდებობრივი გასაკეთები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი მატერიალური მდგომარეობა. სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 28 დეკემბრის დადგენილება უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებების სამეცნიერო პედაგოგიური მუშაკების პენსიით უზრუნველყოფის დებულების შესახებ[2].

1940 წლის 18 ნოემბერს ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. რომელმაც ფუნდამენტური შრომები უძღვნა ჩვენი ხალხის წარსულის შესწავლას. ივ. ჯავახიშვილი მშობლიური ქვეყნის ისტორიასთან ერთად დიდი სიყვარულით იკვლევდა მეზობელ, მოძმე ხალხთა ისტორიასაც. მისი შრომები ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ. სომხეთის ხალხის ისტორიაში ძვირფასი განძია.

აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით თბილისის, მე-18 საშუალო სკოლას მიენიჭა მისი სახელი. თბილისში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ივ. ჯავახიშვილის სახელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაიდგა მისი ქანდაკება. დაწესდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის 10 სტიპენდია, სსრკ

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ან. I, ნაწ. 8, ს. 10681, ფურც. 45—47.

2 საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, № 4, გვ. 39.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს დაეკალა. [illegible] ძრომების გამოქვეყნება[1] და სხვ.

სალხის მასების იდეური და ორგანიზაციული დარაზმვისა და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი როლი ეკისრებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ წარსულის გადმონაშთები შეიძლება აღმოფხვრილ იქნას მუდმივი, შეუპოვარი, ყართო საგანმანათლებლო მუშაობით[2].

მიარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად რესპუბლიკაში შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელი. 1913 წელს საქართველოში სულ იყო 25 მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების ფონდი შეადგენდა 8 ათას ეგზემპლარს. 1922 წელს კი საქართველოში იყო 129 მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნად ფონდში 1103,7 ათასი წიგნი იყო[3], უკვე 1940 წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 1598 მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნადი ფონდი შეადგენდა 1745 ათას ეგზემპლარს[4].

წლითიწლობით იზრდებოდა სასოფლო ბიბლიოთეკების ქსელი, 1940 წელს რესპუბლიკაში იყო 1332 სასოფლო ბიბლიოთეკა[5] (სულ 3 ათასზე მეტი). ყველა საშუალო სკოლაში შეიქმნა ბიბლიოთეკა.

1938 წლიდან ბიბლიოთეკებისათვის კვალიფიციური კადრების მოამზადება დაიწყო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა საკლუბო მუშაობას.

---

1 პარტიული არქივი (თბილისი)), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 8, ს. 10679, ფურც. 55.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 470.

3 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ., თბ., 1967, გვ. 422.

4 Достижения Советской Власти за 40 лет. В цифрах, М., 1957, стр. 305.

5 საქ. სსრ სახალხო მეურნეობა, სტატ. კრ., თბ., 1963.

1940 წლისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არსებობდა 1483 საკლუბო დაწესებულება[1].

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ხალხური შემოქმედების — პოეზიის, მუსიკის, სიმღერის, ცეკვის, თეატრალური და სახვითი ხელოვნების განვითარებას და პოპულარიზაციას.

რესპუბლიკაში მუზეუმების ფართო ქსელი ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ღრმა შინაარსიან ასახვას ემსახურებოდა. 1940 წელს საქართველოში 38 მუზეუმი იყო[2].

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ფართოდ შესწავლისა და გაშუქების მიზნით საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 13 ივნისის დადგენილებით 18 ივნისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი[3].

ფილიალში თავმოყრილ იქნა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ყველა ძირითადი ექსპოზიცია — ხელნაწერთა ასლების დიდი რაოდენობა, წიგნები, ბროშურები, გაზეთები, ფურცლები, დოკუმენტური ფოტოსურათები და მასალები, რომლებიც ასახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ეტაპებს. ფილიალის დარბაზებში გამოფენილი დოკუმენტები თვალნათლივ ასაბუთებენ ვ. ი. ლენინის პირად ურთიერთობას ქართველ ბოლშევიკებთან, მის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებაში.

ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს მემორიალურმა მუზეუმებმა: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, ვ. მაიაკოვსკის და სხვ. სახლმუზეუმები იყვნენ აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვანი კერები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1941

---

1 Советская Грузия по ленинскому пути, стр. 159.

2 იქვე.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 6, ს. 7993, ფურც. 25.

წლის 4 მარტს მიიღო დადგენილება სოფ. ღორეშაში გ. კ. (სერგო) ორჯონიკიძის სახლის შეკეთების და მასში გამოფენის ორგანიზაციის შესახებ. ამ სახლში გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკა-სამკითხველო და მოეწყო სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტებისა და მასალების გამოფენა[1].

მშრომელთა შორის გაწეულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოთა პრესას. პრესა მასებზე იდეური ზემოქმედების და მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. გაზეთებს შორის წამყვან როლს „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა" ასრულებდნენ. ისინი თანმიმდევრობით ეწეოდნენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა ურღვევი დიადი მეგობრობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობის პრინციპების პროპაგანდას, ხელს უწყობდნენ მშრომელი მასების შემოქმედებითი ძალების დარაზმვას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

1922 წლიდან გამოდიოდა გაზ. „მუშა"—საქ. კპ (ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს ორგანო. ის იყო პირველი მასობრივი მუშური გაზეთი საქართველოში.

1927 წლიდან სომხურ ენაზე გამოდიოდა საქართველოს კპ (ბ) ც. კ-ის, თბილისის კომიტეტისა და საქ. ცაკ-ის ორგანო გაზეთი „პროლეტარი". ამ გაზეთმა უდიდესი როლი შეასრულა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასა და ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცებაში. იგი მტკიცედ იბრძოდა მასების ბოლშევიკურად აღზრდისათვის, კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის.

ომისწინა წლებში ფართო ტირაჟით გამოდიოდა რესპუბლიკური ორგანოებისა და უწყებების გაზეთები: „კოლექტივიზაცია", „საბჭოთა ხელოვნება", „სალიტერატურო გაზეთი", „ლიტერატურული საქართველო", „კომუნისტური განათლე-

---

1 საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 10, 1941, გვ. 122.

ბა", „საბჭოთა აღმოსავლეთი", „საბჭოთა აჭარა", „საბჭოთა ოსეთი". ამასთან მასობრივი ტირაჟით გამოდიოდა მრავალი რუსული გაზეთი.

გაზეთებთან ერთად რესპუბლიკაში გამოდიოდა მრავალი ჟურნალი. მათ შორის აღსანიშნავია: „ბოლშევიკი", „პარტიული მშენებლობა", „ახალგაზრდა ბოლშევიკი", რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ კომუნისტებისა და კომკავშირელების, უპარტიო მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, ნერგავდნენ მათში მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას და შეუწყნარებელ ბრძოლას აწარმოებდნენ მის მოწინააღმდეგეებთან.

სახალხო მეურნეობის განვითარებას ასახავდა ჟურნალი „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა". ჟურნალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მკითხველთა ფართო მასებში. მისი გამოშვება შეწყდა 1941 წ. ივნისში, განსაკუთრებულ ფრონტის ომის თავრების შემდეგ. ჟურნალში სისტემატურად იბეჭდებოდა სპეციალური სტატიები პარტიისა და მთავრობის საბეურნეო ხასიათის დადგენილებებთან დაკავშირებით. იგი ეხმაურებოდა ყოველ მნიშვნელოვან ეკონომიურ მოვლენას და ახალ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ჩვენი ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ აღმავლობას.

აღნიშნულ პერიოდში გამოდიოდა აგრეთვე ისეთი ჟურნალები, როგორიცაა: „კომუნისტური აღზრდისათვის", „მნათობი", „მშრომელი ქალი", „პიონერი", „პროლეტარული რევოლუცია", „დრამა", „საბჭოთა მწერლობა", „ტექნიკა და შრომა", „საბჭოთა ხელოვნება", „მეცნიერების მოამბე" და სხვ. ამასთან რუსულ ენაზე გამოდიოდა რამდენიმე ჟურნალი.

კულტურულ მშენებლობაში უაღრესად დიდი მიღწევების მაჩვენებელი იყო წიგნების, ჟურნალ-გაზეთების ტირაჟის უმაგალითო ზრდა. 1940 წელს გამოიცა 130 სახელწოდების სასკოლო სახელმძღვანელო 3 მლნ ტირაჟით, 1639 დასახელების 5600 ათასზე მეტი წიგნი. გამოდიოდა 120 გაზეთი 716 ათასი ერთდროული ტირაჟით და 77 ჟურნალი 1683 ათასი წლიური ტირაჟით[1].

---

[1] Советская Грузия по ленинскому пути, стр. 160.

1921 წელს კი წიგნების წლიური ტირაჟი ელ 390 000 ცალს შეადგენდა. 1940 წლისათვის ქართულ ენაზე მილიონიანი ტირაჟებით გამოიცა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, რამდენიმე ათეულ ათას ცალად გამოდიოდა დიდი რუსი პოეტებისა და მწერლების პუშკინის, ლერმონტოვის, გორკის, მაიაკოვსკის და სხვათა ნაწარმოებები[1].

გამოსული ლიტერატურის ფართო გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, რაც აუცილებელი იყო სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ამაღლებისათვის, ისე ეროვნულ კულტურათა მიღწევების ურთიერთგაზიარებისათვის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1939 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით დააწესა გამომცემლობების ნიერ უმნიშვნელოვანესი წიგნთსაცავებისათვის სავალდებულო სასიგნალო ეგზემპლარების მიწოდება. თავის მხრივ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1939 წლის 4 დეკემბერს მიიღო შესაბამისი დადგენილება. საქართველოს სსრ პოლიგრაფიულ საწარმოებს დაევალათ სავალდებულო ეგზემპლარები გაეგზავნათ სრულიად საკავშირო წიგნის პალატისათვის მოსკოვში და საქართველოს სსრ სახელმწიფო პალატისათვის თბილისში[2]. ამ წესის დადგენას უდიდესი მშინვნელობა ჰქონდა სამეცნიერო და კულტურული ინფორმაციის მიღების გაუმჯობესებისათვის.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა და ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა. ლიტერატურას და ხელოვნებას პარტია მუდამ განიხილავდა. როგორც მშრომელი მასების იდეური აღზრდის მძლავრ საშუალებას. ამიტომ შეუფერებელი ბრძოლა ყოველგვარ ანტისაბჭოთა მიმდინარეობებთან ლიტერატურაში პარტიის გადაუდებელ ამოცანად იქცა.

იმ უმდიდრესმა ტრადიციებმა, რომლებიც ქართველმა ხალხმა გამოიმუშავა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ძლიერ გააადვილეს ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლობა. ამისათვის შექმნილი იყო ყველა აუცი-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1941, 25 თებერვალი.

2 საქართველოს სსრ კანონთა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მოკრძალების დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული 1921 — 1940 წწ., ტ. I, გვ. 409.

ლებელი წინაპირობა. მაგრამ თავისთავად ცხადია, ადვილად დასაძლევი როდი იყო ის სიძნელენი, რომელთაც სოციალისტური ლიტერატურა და ხელოვნება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში წააწყდა.

ქართული კლასიკური მწერლობის ნამდვილი დაფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი. გაიშალა ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა და პოპულარიზაცია.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა ჩვენი ეროვნული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ორგანული გაგრძელებაა და თვისებრივად ახალი ეტაპია. ამასთანავე იგი განუყოფელი შემადგენელი ნაწილია მრავალეროვნული სოციალისტური ლიტერატურისა, რომელიც ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური ლიტერატურაა მთელ მსოფლიოში[1].

20-იანი წლების ასოციაციათა და დაჯგუფებათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი გაერთიანება იყო „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია", რომელშიც თავდაპირველად შედიოდნენ უფროსი თაობის მწერლები, მათ შორის: იაკინთე ლისაშვილი, სანდრო ეული, რაჟდენ გვეტაძე, იონა ვაკელი, სევასტი თალაკვაძე, ნოე ზომლეთელი, პავლე საყვარელიძე, სილიბისტრო თოდრია და სხვ.

ქართველი მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის უფროსი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, მჭიდროდ დაუკავშირდნენ ახალ საზოგადოებრივ წყობილებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში მათთვის ნათელი გახდა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ქართველი ხალხი სამეურნეო და კულტურული განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანა. მაგრამ მხატვრული ინტელიგენციის, განსაკუთრებით მწერლების ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ არ იდგა მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე. მათგან ზოგი კვლავ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს ინარჩუნებდა, ზოგიც თავს ვერ აღწევდა ინდივიდუალიზმს და სხვა ანტისოციალისტურ იდეებს.

---

[1] ბ. ეღენტი, ქართული საბჭოთა მწერლობა 40 წლის მანძილზე, თბ., 1961, გვ. 3.

ამ წრეში მოხვედრილი ზოგიერთი ნიჭიერი მწერალი განიცდიდა იდეურ დაბნეულობას, შემოქმედებით კრიზისს, ვერ ქმნიდა სრულფასოვან ნაწარმოებებს. მწერლები ერთიმეორისაგან მოწყვეტილ, განცალკევებულ იდეურ და მხატვრულ მიმართულებად იყვნენ დაჯგუფებულნი[1].

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაციისა და სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი მისი იდეურ-შემოქმედებითი გეზის განადგურების შემდეგ დაიშალა მწერლების ახალი კარჩაკეტილი, განცალკევებული ლიტერატურული ჯგუფებიც. მოხდა საბჭოთა მწერლობის კონსოლიდაცია. დადგა ინტენსიური შემოქმედების პერიოდი. ქართველ მწერალთა ძირითადი მასა აქტიურად ჩაება სოციალიზმის მშენებლობისათვის წარმოებულ მუშაობაში.

მოკლე ხნის განმავლობაში ისტორიას ჩაბარდა ის მერყეობა და ოპოზიცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ძველი თაობის მწერლების ერთ ნაწილს ახასიათებდა. საბჭოთა მწერლობა იქცა ერთიან ძლიერ ბანაკად. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ღირსეულად და წარმატებით გააგრძელა კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიცია, მისი მიღწევები და მონაპოვარი.

მალე პროლეტარულ მწერალთა რიგებში მოვიდა ახალი თაობა. მათ შორის იყვნენ კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), კარლო კალაძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი მდივანი, ბორის ჩხეიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ელიზბარ ზედგენიძე (პოლუმორდვინოვი), ფრიდონ ნაროუშვილი და სხვები, რომლებმაც თან მოიტანეს ახალი თემები და ბევრი ჟეშმარიტად მაღალი იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები შესძინეს ომისწინა წლების ქართულ ლიტერატურას. ისინი წარმოადგენდნენ ლიტერატურაში პარტიის პოლიტიკის გამტარებელ ძირითად ბირთვს, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ანტისოციალისტური, ფორმალისტური მხატვრულ-ესთეტიკური იდეების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში.

---

[1] საქართველოს ისტორია, 1960, ტ. III, თბ., გვ. 180.

30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა მწერლობაში საბოლოოდ გაიმარჯვა ახალმა შემოქმედებითმა მიმდინარეობამ სოციალისტურმა რეალიზმმა, რომლის საფუძველზე დადგა ქართული პოეზია, პროზა და დრამატურგია. ქართველმა მწერლებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს საბჭოთა ლიტერატურაში.

საბჭოთა ლიტერატურას უნდა გადაეწყვიტა კომუნისტური პარტიის მიერ დასმული ამოცანა — მშრომელი მასების დარაზმვა სოციალისტური გარდაქმნების პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანების გარშემო, აღეზარდა ისინი სოციალიზმისათვის უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მრავალსაუკუნოვანი საბჭოთა მწერლობა 30-იანი წლების მეორე ნახევრისათვის უკვე მტკიცედ იყო დარაზმული სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო. განსაკუთრებულ კარჩაკეტილ ორგანიზაციათა დაშლამ, მთელი მწერლობის გაერთიანებამ საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირში, სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის დამკვიდრებამ ლიტერატურულ შემოქმედებაში განაპირობა ყველა საბჭოთა ხალხის მწერლებისა და მათ შორის ქართული საბჭოთა ლიტერატურის ახალი დიადი შემოქმედებითი მიღწევები. ამ წლების ქართულ საბჭოთა მწერლობაში პრავალფეროვნად და მკვეთრად გამოისატა საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი ხალხის ეროვნული სიამაყის, ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი გრძნობები. მწერლობის ყოველ ჟანრში შეიქმნა მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც აისახა ჩვენი დროის გმირის—საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მაღალი და კეთილშობილური თვისებები, გაიზარდა მწერლობის მხატვრული დონე, პროგრესული ოსტატობა[1].

30-იან წლებში ძლიერ აღმავლობას განიცდის ქართული პროზა. ისევე როგორც პოეზია და დრამატურგია. 30-იანი წლების მეორე ნახევარში ქართველი საბჭოთა მწერლების რიგებს გამოაკლდა მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვი-

---

1 ბ. ეღენტი, ქართული საბჭოთა მწერლობა 40 წლის მანძილზე. გვ. 32.

ლი და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამ დიდი დანაკლისისა, ქართველმა მწერლებმა ომისწინა წლებში შექმნეს მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთა შორის საუკეთესონი სამუდამოდ შევიდნენ საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში.

ამ ხანებში ქართულ პროზაში განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდნენ: ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე. დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, პანტელეიმონ ჩხეიკვაძე, ალექსანდრე ქუთათელი, რაჟდენ გვეტაძე. აკაკი ბელიაშვილი, მიხეილ მრევლიშვილი, ბორის ჩხეიძე, იაკინთე ლისაშვილი, პავლე საყვარელიძე, გერცელ ბაზოვი, სევასტი თალაკვაძე, დავით სულიაშვილი, ელიზბარ ზედგენიძე (პოლუმორდვინოვი), სოლომონ თავაძე, პარმენ ლორია, მარიამ გარიყული, ნოფო მგელაძე და სხვ.

აღნიშნული პერიოდის ქართული საბჭოთა პროზის მთავარი თემებია: ახალი ადამიანის — ახალი სინამდვილის გმირის — დამკვიდრება, ძველი ყოფის მსხვრევა, ახალი ცხოვრების შენება და ის უდიდესი ძვრები, რასაც ეს პროცესი იწვევს ადამიანის ფსიქიკაში, პარტიის, კომუნისტის როლი ახალი ყოფის ჩამოყალიბებაში, სამშობლო და საბჭოთა პატრიოტიზმი, საქართველოს ისტორია, ხალხისა და გმირის ადგილი ამ ისტორიაში.

ახალი ყოფის დამკვიდრება, დრომოჭმულის, ძველის რღვევა და დაუნდობელი განადგურება, ახალი გმირის მოსვლა ცხოვრებაში და ხალხის ძალების შემოქმედებითი ინიციატივის უდიდესი აღმავლობა იქცა ომისწინა წლების ქართული პროზის ბევრი ნაწარმოების მთავარ თემად. მათ შორის ყველაზე მკვეთრად და მკაფიოდ ამ პრობლემებმა მაღალმხატვრული განხორციელება პოვეს ისეთ ფართოდ აღიარებულ რომანებში, როგორიცაა კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“.

„მთვარის მოტაცებაში“ გამსახურდიამ გვიჩვენა ერთი მხრივ, ახალი იდეების მატარებელი და ამ იდეათა მატერიალურ

ძალად გარდამქმნელი ადამიანების, ხოლო მეორე მხრივ, გარდასული დროის, დამარცხებული კლასების უკანასკნელ წარმომადგენელთა ბედი. კ. გამსახურდიას კალამს ეკუთვნის შესანიშნავი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა".

ახალი გმირის — ეპოქის ახალი ადამიანის მეტად კოლორიტული სახე დაგვიხატა კ. ლორთქიფანიძემ ცნობილ რომანში „კოლხეთის ცისკარი". შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაზე მკაფიოდ არის ასახული ტიპიური ხვედრი მთელი თაობისა, ვისი ბედიც სულ სხვაგვარად წარმართა ახალმა სინამდვილემ. მან ცხოვრების ბატონ-პატრონად აქცია ძველად მონური და უბადრუკი ცხოვრებისათვის განწირული თაობა.

კ. ლორთქიფანიძის რომანის დიდ პოპულარობას მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი თარგმნილი და გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა და დასავლეთ ევროპის ხალხების მრავალ ენაზე.

სხვა კუთხით მიუდგა ახალი გმირის ხასიათის გახსნას ლ. ქიაჩელი თავის ნაწარმოებში „გვადი ბიგვა". იგი ეძღვნება ქართულ სოფელში მომხდარ ძირფესვიან გარდაქმნებს. ძველი ყოფის გადმონაშთთა თანდათანობით დაძლევას ადამიანის შეგნებაში, რასაც ადამიანი განიცდის სოციალისტური ყოფის გავლენით.

„გვადი ბიგვა" ეხება საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ახალ პერიოდს. მასში დასმულია წვრილმესაკუთრული ინსტინქტების აღმოფხვრის პრობლემა.

აღნიშნულ პერიოდში ქართველმა პროზაიკოსებმა ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები უძღვნეს საქართველოს მრავალფეროვან ცხოვრებას, ახალი სინამდვილის რევოლუციურ გარდამქმნელ ძალას, ქართველი ხალხის წარსულს, მოძღვნ ხალხთა ცხოვრების ასახვას და სხვა თემებს.

აღნიშნული პერიოდის ქართული პროზა წარმოადგენს იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ განვითარების რა ფართო შესაძლებლობა მისცა ქართულ ლიტერატურას, მთლიანად ქართულ კულტურას საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორ გაამდიდრა მან ლიტერატურა თემატიკურად და როგორ გააძლიერა მწერალთა ინტერესი აქტუალური პრობლემატიკისადმი.

ომისწინა პერიოდი ქართულ ლიტერატურაში ფრიად მნიშვნელოვანი ხანა იყო საბჭოთა პოეზიის აღმავლობა-განვითარების თვალსაზრისითაც.

.მდროინდელ პოეზიას ტონს აძლევდა რევოლუციისა და ეანახლების შთაგონებული ტრუბადურის გალაკტიონ ტაბიძის პოეტური გენია. ვინც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიით ჩაება ახლის შენებაში: „სწორედ მან დაუდო სათავე დღევანდელ ჩვენს პოეტურ მაჯისცემას, როგორც შთაგონებული ქართული ლექსის დიდმა ნოვატორმა და ხელოვანმა"[1].

გ. ტაბიძის შემოქმედების მთავარი თემებია: ოქტომბრის რევოლუცია და მისი ბელადი — ლენინი, ახალი სამყაროს ორგანიზატორი — კომუნისტური პარტია, თავისუფალი საქართველო და მისი ხალხის ახალი ცხოვრება. ახალი ადამიანი — ეპოქის გმირი, სამშობლო, პატრიოტიზმი და სხვ.

აღნიშნული პერიოდის ქართულ საბჭოთა პოეზიაში მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. მირცხულავამ (მაშ.შვილმა), გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, კ. კალაძემ, გ. ქუჩიშვილმა, ი. აბაშიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, გ. აბაშიძემ, ი. მოსაშვილმა, ა. გომიაშვილმა, ს. ეულმა, პ. სამსონიძემ, ი. ვეკელმა, გ. შატბერაშვილმა, ლ. ასათიანმა, მ. გელოვანმა, ი. ნონეშვილმა, რ. მარგიანმა, ა. შენგელიამ, გ. კაჭახიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, მ. მრეველიშვილმა, კ. ბობოხიძემ და სხვ.

ახალმა ეპოქამ თვით წამოაყენა ცხოვრებაში პოეზიის აქტიური მონაწილეობის აუცილებლობის. მისი შემოქმედებითი ძალის გაძლიერების საკითხი. მხოლოდ ეპოქის მაჯისცემის შეცნობით, მხოლოდ არსებული სინამდვილის აქტუალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევით, ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულებით შეიძლებოდა პოეზიის ამ დანიშნულების ჭეშმარიტი განხორციელება.

ამ დროის ქართული პოეზიის დამახასიათებელი მოტივებია: ახალი, საბჭოთა სინამდვილე და მისი დამამკვიდრებელი გმირი, ბრძოლისა და შრომის ადამიანი. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნა, ახალი იდეოლოგიის დამკვიდრება ადამიანთა შეგნებაში — ახალი ფსიქიკის

---

[1] ვ. ჯიბლაძე, ეტიუდები, 1959, ნ. III, გვ. 161.

ჩამოყალიბება, ჩვენი პარტია, სამშობლო, ქართველი ერის ბედი და სხვ

ამ პრობლემებსა და თემებს უძღვნეს ქართველმა პოეტებმა ბევრი შესანიშნავი ლექსი და პოემა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი გ. ტაბიძის ისეთ ციკლურ პოემებს, როგორიცაა „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“ და „პაციფიზმი“. ამ პოეტურ ქმნილებებში კონცენტრირებული გამოხატვა პოვა ეპოქის თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა მოვლენამ.

ქართველ პოეტთა ისეთ ლექსებში, როგორიც არის: გ. ტაბიძის „ლენინის ხსოვნას“, პ. იაშვილის „ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძისა“, ა. აბაშელის „ოქტომბრის ქუხილი“, ვ. გაფრინდაშვილის „ოქტომბრის სტრიქონები“, ა. მირცხულავას „კეცხოველი“, ი. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“, გ. ქუჩიშვილის „ფიცი ლენინზე“, გ. ლეონიძის „საქართველოს ბოლშევიკებს“, ლ. ასათიანის „ლენინის ტომი“ და სხვ. დიდი მხატვრული ოსტატობით, პოეტური შთაგონებით არის დახატული რევოლუციისა და პარტიის დიდი ბელადის — ლენინის სახე. აღნიშნული ლექსები გამოხატავენ პარტიისა და ხალხის ერთიანობას, მსოფლიოს ხალხთა უსაზღვრო სიყვარულს დიდი ლენინისადმი, ოქტომბრის უდიადეს მისიას და მისი საქმის უკვდავებას.

სოციალისტური საზოგადოების ახალი ადამიანის სახეები დახატეს თავიანთ პოემებში ა. მირცხულავამ („ენგური“) და კ. ლორთქიფანიძემ („მუშა გამომგონებელი“). მათში ნაჩვენებია საქართველოს მუშათა კლასის ახალი თაობის შრომითი გმირობა, ახალი სულიერი სამყარო, ადამიანის ახალი დამოკიდებულება შრომისადმი.

ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო ომისწინა წლების ქართული საბჭოთა პოეზიისათვის.

ხალხთა ლიტერატურულ დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი მთარგმნელობითმა მუშაობამაც. ქართული კლასიკური თუ საბჭოთა ლიტერატურის ბევრი ნიმუში ითარგმნა რუსულად და საბჭოთა ხალხების სხვა ენებზე. ასევე ქართულად გამოიცა საბჭოთა ხალხების მწერალთა და საზღვარგარეთულ კლასიკოსთა მრავალი ნაწარმოები.

ნეშმარიტად დიდი აღმავლობა განიცადა დრამატურგიამ. ამ პერიოდს განეკუთვნება ქართული საბჭოთა დრამატურგიის მთელი რიგი კლასიკური ნიმუშების შექმნა.

ქართული დრამატურგიის პრობლემატიკა ფართოა და მდიდარი. მისთვისაც ნიშანდობლივია თანამედროვე ცხოვრების რთული პრობლემების ხატოვანი გააზრება. ესენია: ახალი იდეოლოგიისა და რწმენის ადამიანთა შეჯახება ძველი ყოფის ადამიანებთან; ახალი გმირის ფორმირების რთული სულიერი პროცესი; ხალხი და ხელმძღვანელი; ქალაქისა და სოფლის სოციალისტური გარდაქმნა; საშობლოს დაცვა; რევოლუციური წარსული; სამშობლოს ისტორია; სოციალისტური თანაცხოვრების დამკვიდრება; ბრძოლა მავნებლობასთან. ბიუროკრატიზმთან. ძველი ყოფის გადმონაშთებთან და ა. შ.

ამ თემებისა და პრობლემებისადმია მიძღვნილი შ. დადიანის, ს. შახშიაშვილის, პ. კაკაბაძის, კ. კალაძის, ა. მირცხულავას, ს. კლდიაშვილის. ი. ვაკელის. პ. სამსონიძის, ვ. გაბესკირიას. გ. ბაზოვის, გ. ნახუცრიშვილის. გ. მღვენის. გ. შატბერაშვილის, უ. ჩხეიძის. გ. ბერძენიშვილის პიესები.

ამ პერიოდში ქმნის შალვა დადიანი თავის ცნობილ პიესებს: „კაკალ გელნში“, „თეთრულდი“. პიესით „ნაპერწკლიდან“ დრამატურგმა ვააცოცხლა საქართველოს რევოლუციური წარსული და საქართველოს მუშათა კლასის, მისი პარტიის, მისი მოწინავე ადამიანების ბრძოლის მეტად შთამბეჭდავი სურათები.

ქართული თეატრის აღორძინებაში მეტად თვალსაჩინო როლი შეასრულა ს. შანშიაშვილმა, განსაკუთრებით ისტორიულ თემებზე შექმნილი პიესებით.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის მშვენებას წარმოადგენს პ. კაკაბაძის კომედიები — „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“.

ომამდელ პერიოდს განეკუთვნება ქართული საბავშვო ლიტერატურის მძლავრი განვითარება. ამ დროს ახალი ძალით გაიშალა შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართული საბავშვო მწერლობის კლასიკოსის შიო მღვიმელისა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ბავშვთა სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში, მათ გათვითცნობიერებაში, პატრიოტიზმის

სულისკვეთებით აღზრდაში. ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებაში მეტად თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ნინო ნაკაშიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, მარიჯანმა (მარიამ ალექსიძემ), ანა ხახუტაშვილმა, ნიკოლოზ ჩაჩავამ, ილია სიხარულიძემ, ჰაყვალა მრევლიშვილმა, როდიონ ქორქიამ და სხვ. მათი ნაწარმოებები გამსჭვალული დიდი მოქალაქეობრივი პათოსით, პატრიოტული სულისკვეთებით, ემსახურებიან ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას.

ლიტერატურის ფართო განვითარებას თან ახლდა ლიტერატურათმცოდნეობის აღმავლობაც. ქართველმა ლიტერატურათმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა დიდი მუშაობა გასწიეს როგორც ძველი და ახალი პერიოდების ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის, ასევე თანამედროვე. საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საკვანძო პრობლემების დამუშავების, მისი გზებისა და ტენდენციების გარკვევის, მისი იდეური შინაარსის გაძლიერებისა და მხატვრული დონის ამაღლებისათვის.

ლიტერატურის ისტორიის კვლევაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, გრ. წერეთელმა, ა. შანიძემ, პ. ინგოროყვამ, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ვ. კოტეტიშვილმა, ა. ბარამიძემ, ს. დანელიამ, იუსტ. აბულაძემ, გ. წერეთელმა, მ. ზანდუკელმა, ი. აბულაძემ, ს. კაკაბაძემ, ს. ჭიჭინაძემ, მ. გოგიბერიძემ, ს. ხუნდაძემ, გ. ქიქოძემ, ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ლ. ასათიანმა და სხვ.

საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს მიუძღვნეს თავიანთი შრომები ფ. მახარაძემ, მ. ტოროშელიძემ, ვ. ბახტაძემ, ბ. ჟღენტმა, გ. ჯიბლაძემ, შ. რადიანმა, ბ. ბუაჩიძემ, დ. ბენაშვილმა, გ. ნატროშვილმა, პ. ქიქოძემ, ა. გაწერელიამ, ა. დუდუჩავამ, ს. ჭილაიამ, გ. თავზიშვილმა, მ. დუდუჩავამ და სხვ.

ახალი ძალით გაიშალა მუშაობა ქართული ფოლკლორის მეცნიერული კვლევის დარგში, რასაც მტკიცე საფუძველი შეუქმნა მდიდარი ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა-გამოცემამ. ქართული ფოლკლორისტიკის დარგში თვალსაჩინო მუშაობა შეასრულეს ა. შანიძე, ვ. კოტეტიშვილმა, მ. ჩიქოვანმა და სხვ.

როგორც დავინახეთ, მრავალიცხოვან ქართველ მწერლებში ბევრი იყო პოეზიისა და პროზის დიდად ნიჭიერი, შესანიშნავი ოსტატი. მათი უდიდესი ნაწილი წარმატებით დაეუფლა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს და თავისი შემოქმედებით თავდადებით ემსახურებოდა ახალი ადამიანის ჩამოყალიბების კეთილშობილ ამოცანებს. ასახავდა სოციალისტური მშენებლობის პათოსს, მოუწოდებდა სოციალიზმის მშენებლობისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური ზზრუნველობა განაპირობებდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას.

ქართული ლიტერატურის აღორძინებაში მოპოვებული წარმატებები შეაჯამა საქართველოს მწერალთა II ყრილობამ 1939 წლის სექტემბერში და დასახა მისი განვითარების პერსპექტივები. საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს: „ზოგიერთი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შესახებ" (1939 წ. და „ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ" (1940 წ.)[1].

მთელი ოცი წლის მანძილზე ქართული მწერლობა არ იშურებდა ძალასა და ღონეს აესახა ის დიდი ისტორიული გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა გაიარა სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში. „საუკეთესო რომანები, მოთხრობები, ლექსები, პიესები სწორედ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ცხოვრების ძალამ შექმნა. შემდეგ ეს ნაწარმოებები ჩვენი ადამიანების აღზრდის მძლავრ ფაქტორებად იქცნენ. ასე გახდა საბჭოთა მწერლობა ახალი ადამიანის სულიერი ფორმირების აქტიური მონაწილე. ამ მხრივ უაღრესად დიდია ქართული საბჭოთა მწერლობის როლი და მნიშვნელობა"[2].

---

[1] Журн. «Большевик». 1939, № 17, стр. 51—57; 1940, № 23, стр. 37—39.

[2] ს. ჯილაია, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, თბ., 1962, ნაწ. III, გვ. 13—14.

ამრიგად, ომისწინა პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია იმის ნათელი დადასტურებაა, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულ ლიტერატურას არა მარტო შეუქმნეს სწრაფი, თანმიმდევრული და ძლიერი განვითარების ყველა პირობა, არამედ უზრუნველყვეს კიდეც ამ პირობათა განხორციელება.

1938 — 1939 წლების განმავლობაში ქართული საბჭოთა მწერლობა გამდიდრდა თვალსაჩინო ნაწარმოებებით. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ქართველი მწერლების მოღვაწეობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით საბჭოთა მსატვრული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოებულ იქნა 13 მწერალი: შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია და სხვ.[1], 1941 წლის 15 მარტის დადგენილებით სახელმწიფო პრემიები მიეკუთვნათ: ლ. ქიაჩელს და გ. ლეონიძეს[2].

ქართველი ხალხი დიდი პატივით და სიხარულით აღნიშნავდა ქართველი მწერლებისა და პოეტების იუბილეებს, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა და კულტურა.

ქართველმა ხალხმა 1940 წელს დიდი ზეიმით და პატივისცემით აღნიშნა თავისი საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავი. ეს თარიღი აღინიშნა საკავშირო მასშტაბითაც.

აკაკი წერეთლის სახელის უკვდავსაყოფად საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება ქ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის, ქ. ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის და დაბა საჩხერის საშუალო სკოლისათვის მიეკუთვნებინა მისი სახელი[3].

1940 წლის ოქტომბერში ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი პედაგოგის, ნიჭიერი საბავშვო

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1940, 1 იანვარი.

2 იქვე, 1941, 18 მარტი.

3 იქვე, 1940, 22 ივნისი.

მწერლის და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავი, რომელმაც მთელი ცხოვრება შესწირა თავისი ხალხისადმი უანგარო სამსახურს.

ქართველმა ხალხმა დიდად დააფასა ი. გოგებაშვილის ღვაწლი, რომლის შესანიშნავ „დედა ენაზე" აღიზარდა ქართველი ახალგაზრდობის არაერთი თაობა.

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით და მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 5 ნოემბერს დაადგინა: ქ. თბილისში გოგებაშვილის ბიუსტის დადგმა, აგრეთვე მემორიალური დაფების დადგმა თბილისსა და მშობლიურ სოფელ ვარიანში. ქ. თბილისში განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით მოეწყო გოგებაშვილის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა. დაწესდა გოგებაშვილის სახელობის სტიპენდიები ფრიადოსანი ასპირანტებისათვის[1].

1939 წლის ნოემბერში დიდი ზეიმით აღინიშნა გამოჩენილი ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 80 წლისთავი. ოსი ხალხისა და ლიტერატურისათვის კოსტა ხეთაგუროვს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის — იგი იყო ოსური სამწერლო ენის ფუძემდებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულებით სახალხო პოეტის უკვდავყოფის მიზნით სტალინირის რაიონის სოფ. წუნარს ეწოდა — ხეთაგუროვი, პოეტის სახელი მიენიჭა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრს, სტალინირის მუზეუმს, ჯავის საშუალო სკოლას, დაწესდა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტალინირის პედინსტიტუტში, სამხატვრო სასწავლებელსა და მუსიკალურ სკოლაში. ამასთან კოსტა ხეთაგუროვის სახელი მიეკუთვნა თბილისის 36-ე საშუალო სკოლას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე დაწესდა კ. ხეთაგუროვის სახელობის სამი სტიპენდია

---

[1] საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 27, 1940, გვ. 372

ოსი სტუდენტებისათვის. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნა აგრეთვე კ. ხეთაგუროვის სახელი[1].

ეს საიუბილეო ზეიმები საბჭოთა ქვეყნის ხალხების ინტერნაციონალური ერთსულოვნებისა და ძმური მეგობრობის ნათელ დემონსტრაციად გადაიქცნენ.

სოციალიზმის პირობებში ხელოვნების ყველა დარგში დიდი ძალით გაიშალა შემოქმედებითი მუშაობა. სახვითმა ხელოვნებამ, მუსიკამ, ქართულმა თეატრმა და კინომ მრავალი ახალი თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვა. მუშაობაში ჩაება საბჭოთა წყობილების დროს აღზრდილი, ხალხის წიაღიდან გამოსული ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ თავისი უნარის ყოველმხრივი გამოვლინების საშუალება მისცა და წინსვლის ფართო გზა გაუხსნა.

აღზარდნენ საბჭოთა მხატვრების, არქიტექტორებისა და მოქანდაკეთა კადრები. საქართველოს ბევრმა მხატვარმა, არქიტექტორმა და მოქანდაკემ ომისწინა წლებში საბჭოთა კულტურის სახვითი ხელოვნება ახალი, მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით გაამდიდრეს.

აღორძინდა და აყვავდა ქართული სახვითი ხელოვნება. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნა 1940 წლის მაისში საბჭოთა მხატვრების მეორე ყრილობამ.

საქართველოს მხატვრებმა ომისწინა წლებში შექმნეს ახალი ტილოები, რომლებიც მოწმობდნენ, მათს იდეურ და შემოქმედებით ზრდას. სისტემატური ხასიათი მიიღო სამხატვრო გამოფენების მოწყობამ. გაიმართა რამდენიმე გამოფენა. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრების გამოფენა.

1938 წელს მოსკოვსა და შემდგომ ლენინგრადში ორგანიზებულ სამხატვრო გამოფენაზე ძველ ნამუშევრებთან ერთად ექსპონირებული იყო ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა ახალი ნაწარმოებები.

---

1 სსა (ობილისი), ფ. 1165, ან. 3, ს. 20, ფურც. 2.

ამ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი მხატვრები, რომელნიც არიან ირაკლი თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, უჩა ჯაფარიძე, თამარ აბაკელია და სხვ.

განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა ქართული კინოხელოვნება. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა 20 წლის მანძილზე შექმნეს 150 სრულმეტრაჟიანი ფილმი. 1940 წელს რესპუბლიკაში იყო 351 კინოდანადგარი[1]. კინოქსელის ზრდასთან ერთად სრულყოფილი ხდებოდა მისი მოწყობილობა.

ომამდელ ხუთწლედებში ქართველი კინემატოგრაფისტები დიდი ენთუზიაზმით შრომობდნენ და უშვებდნენ მაღალხარისხოვან ფილმებს.

1935 წლის 11 იანვარს დიდი ზეიმით აღინიშნა საბჭოთა კინოხელოვნების 15 წლისთავი. ამ ხანებში გამოსული ქართული ფილმები „დარიკო", „არსენა", „ნარინჯის ველი", „ფრთოსანი მღებავი", „ქაჯანა", „დაკარგული სამოთხე", „გაჭარჯვების თხუთმეტი წელი" და სხვ. ქართული კინოხელოვნების მუშაკთა გულწრფელი შემოქმედებითი პასუხი იყო აღნიშნული ამ ისტორიული თარიღის საპასუხოდ[2].

1938 წლის დამლევს საკავშირო მთავრობის დადგენილების საფუძველზე მოხდა საქართველოს კინომრეწველობის რეორგანიზაცია. ამ დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან მოეწყო კინოფიკაციის სამმართველო, რომლის გამგებლობაშიც გადავიდა რესპუბლიკის ყველა კინოთეატრი და დანადგარი. ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო ქართული კინოხელოვნების შემდგომ ფართო განვითარებას.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა ბრძოლას თავისუფლებისათვის მიეძღვნა რეჟისორ მ. ჭიაურელის ფილმი „დიადი განთიადი", საბჭოთა ისტორიული ფილმების საგანძურს ერთ-ერთი შესანიშნავი ფილმი შეემატა.

წარსული ცხოვრების ღრმა სოციალური ვითარების მხატვრულ კინემატოგრაფიულ ასახვას წარმოადგენს ქართული კლასიკური ლიტერატურის მიხედვით შექმნილი ფილმები:

---

1 Грузинская ССР за 20 лет, стр. 104.

2 კ. გოგოძე. ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის 40 წელი, თბ., 1961, გვ. 15.

„დაკარგული სამოთხე“ და საბავშვო ფილმი „ქაჯანა“. ეს ნაწარმოებები ნათელი ფერებით გვიხატავენ საქართველოში საბჭოთა კაპიტალის შემოჭრის ნიადაგზე გაღატაკებული თავადაზნაურების ცხოვრებას, ცრუმორწმუნეობის ბურუსში გახვეული ღარიბი გლეხკაცობის დუხჭირ ყოფას. ფილმი „დაკარგული სამოთხე“ საბჭოთა კლასიკურ კინოკომედიად ითვლება.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში თანამედროვე თემებისაკენ მძლავრი შემობრუნებით აღინიშნა. ამ პერიოდში გამოსული ფილმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე თემაზე შექმნილი ფილმები „მეგობრობა“, „კოლხიდის ჩირაღდნები“, „დაგვიანებული სასიძო“. ამ პერიოდის უკანასკნელ ფილმს წარმოადგენდა „კოლხიდის ჩირაღდნები“. იგი მაღალმხატვრულად, შთამბეჭდავად ასახავდა ქართველი ხალხის იმ გრანდიოზული, დიდი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის მშენებლობას, რომელსაც ჩვენი მშრომელები კოლხეთის ჭაობების დაშრობისათვის აწარმოებდნენ. ეს იყო მშვენიერი ტილო სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაზე, გამარჯვებულ შრომაზე.

ამრიგად, ქართულმა კინოხელოვნებამ ომისწინა წლებში მოგვცა მაღალი ოსტატობით შესრულებული კინოფილმები. მათი შემქმნელების შრომა სათანადოდ იქნა შეფასებული. 1939 წლის თებერვალში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებით დააჯილდოვა კინემატოგრაფიის მუშაკები. მათ შორის იყვნენ მ. ჭიაურელი, ს. დოლიძე, ნ. შენგელაია, მ. გელოვანი, კ. მიუფკე და სხვ.[1].

ომისწინა წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული ქართული ნახატი, დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების შექმნის საქმეში.

„1933 — 1941 წლები ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განსაკუთრებულ პერიოდად ითვლება. ამ პერიოდში შექმნილმა მთელმა რიგმა როგორც მხატვრულმა, ისე დოკუმენტურმა ფილმებმა დიდი სახელი და ავტორიტეტი მოუპოვეს საქართველოს კინოხელოვნების მუშაკებს. ეს ფილმები,

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1940, 1 იანვარი.

მცირე გაწონაკლისს გარდა. შექმნილი იყო თანამედროვე თემებზე და საბჭოთა ქვეყნის დიად აღმშენებლობით მუშაობას ეხმაურებოდა"[1].

ქართულ თეატრს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა ფართო განვითარების საშუალება.

სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში თეატრს უმნიშვნელოვანესი როლი დაეკისრა. ის წარმოადგენდა კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელს და პარტიის მძლავრ ტრიბუნას მასების ესთეტიკური აღზრდის საქმეში. საქართველოში მუშაობდა 48 სახელმწიფო თეატრი, აქედან თბილისში — 14, ავტონომიურ რესპუბლიკებში — 7, რაიონებში — 27 (მათ შორის 10 საკოლმეურნეო). თეატრებში მუშაობდა 1650 მსახიობი, 200 სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი[2]. საქართველოში იყო ისეთი შესანიშნავი თეატრები, როგორიცაა: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის დრამატული, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრები, რომლებიც თავიანთი მაღალმხატვრული დადგმებით საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრების რიგებში ჩადგნენ.

ქართული თეატრის წინსვლა-აღმავლობა ახალი თაობის მოსვლასთან იყო დაკავშირებული. უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში 1939 წელს თბილისში დაარსებულმა შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურმა ინსტიტუტმა — თეატრალური კადრების სამზედლომ. მან აღზარდა არაერთი ნიჭიერი მსახიობი, რეჟისორი, თეატრმცოდნე[3].

რუსთაველის სახელობის თეატრმა განახორციელა მთელი რიგი დადგმები: ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი", კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკი", შიუკაშვილის „სულელი", შ. დადიანის „ნაპერწკლიდან" და სხვ. მარჯანიშვილის თეატრმა დადგა საბჭოთა პიესები—პ. კაკაბაძის, „კოლმეურნის ქორ-

---

[1] ა. გ ო გ ო ძ ე, ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის 40 წელი, თბ., 1961, გვ. 22.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1940, 16 თებერვალი.

[3] ე. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული საბჭოთა თეატრი, თბ., 1971, გვ. 102.

წინება“, „მათი ამბავი“ და სხვ. წამყვანი თეატრალური კოლექტივების შემოქმედებით ანგარიშად გადაიქცა 1939 წლის ზაფხულში თბილისის შ. რუსთაველისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრების გასტროლები მოსკოვში. გრიბოედოვის სახელობის თეატრს დამსახურებული წარმატება ჰქონდა მაყურებლის წინაშე. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საოპერო თეატრის რეპერტუარი — დაიდგა საბჭოთა ოპერები „წყნარი დონი“, „ჯავსნოსანი პოტიომკინი“ და ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი“. 1938 წლის აგვისტო-სექტემბერში წარმატებით ჩატარდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები ლენინგრადში. 1938—1939 წლებში საქართველოს თეატრებმა უჩვენეს სულ 278 ახალი დადგმა და 9 639 რიგითი წარმოდგენა.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის საქართველოში ყოველწლიურად 20 მილიონ მანეთამდე იხარჯებოდა.

ოცდაათიანი წლების დასასრულს ქართულმა თეატრმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია და ამ დროისათვის თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარებაში. განსაკუთრებით განმტკიცდა და გაძლიერდა მისი ავტორიტეტი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გასტროლების დროს მოსკოვსა და უკრაინაში, აგრეთვე ქართული ხელოვნების პირველი დეკადის დღეებში მოსკოვში, როდესაც მოსკოველი მაყურებლისა და მსმენელების წინაშე პირველად წარსდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი [1].

ქართულმა მუსიკამ სახელი მოიხვეჭა და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა მთელ საბჭოთა კავშირში. ქართველმა კომპოზიტორებმა, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებები.

„ჩვენი მუსიკალური ფოლკლორი წარმოადგენს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, მისი ყოფა-ცხოვ-

---

[1] ე. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული საბჭოთა თეატრი, გვ. 13.

რების, ადათ-ჩვეულებების და მრავალშეგრძნებების მხატვრულ გამოხატულებას...

ამასთან ერთად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დიდი როლი, რაც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შეასრულა ქართველი ხალხის მხატვრული ნიჭის მრავალმხრივი გამოვლინების საქმეში. ხელოვნების მუშაკებს "მეექვნათ ჯერ არნახული ხელსაყრელი პირობები ქართული თვითმყოფადი კულტურის შეუზღუდველი განვითარებისათვის"[1].

ქართველ კომპოზიტორთა ახალგაზრდა თაობის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ეროვნული სამუსიკო კულტურის განვითარებას, თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა რეალისტურად ასახვას.

ქართველ კომპოზიტორთა შორის შალვა თაქთაქიშვილმა პირველმა სცადა თანამედროვეობის თემაზე ეროვნული საბჭოთა ოპერის შექმნა. 1940 წლის 29 აპრილს დაიდგა მისი ოპერა „დეპუტატი" (ლიბრეტო გ. თაქთაქიშვილისა და ა. თაყაიშვილისა). იმავე 1940 წლის 19 ოქტომბერს შედგა აკაკი ანდრიაშვილის 4-მოქმედებიანი გმირულ-რომანტიკული ოპერა „აკაკი ყაჩაღის" პრემიერა. ქართველმა საზოგადოებრიობამ სიამოვნებით მოუსმინა ა. ანდრიაშვილის გულწრფელ, ხალასი ხალხურობითა და ემოციურობით გამორჩეულ მუსიკას.

ადრინდელ საბჭოთა ოპერებს მიეკუთვნება იონა ტუსკიას ლირიკულ-დრამატული ოპერა „სამშობლო" (1939 წ. ა. ვასაძის ლიბრეტო) მასში ასახულია დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეთა ცხოვრება, მათი შრომითი პათოსი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით 1941 წლის 26 თებერვალს დაიდგა გრიგოლ კილაძის ისტორიულ-რევოლუციური ოპერა „ლადო კეცხოველი". ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ბიოგრაფიული ფაქტები მგზნებარე რევოლუციონერის ცხოვრებიდან.

ანდრია ბალანჩივაძის გმირულ-რომანტიკული ბალეტი „მთების გული" (1938 წლის 28 ივნისს) დიდი წარმატებით

---

1 პ. ხუჭუა, ქართული სამუსიკო კულტურა, თბ., 1961, გვ. 6.

დაიდგა ჯერ ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე (ვ. ჭაბუკიანის დადგმა), ხოლო 1940 წლის 2 ნოემბერს — თბილისში.

ქართული საბჭოთა ბალეტის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი დროის უსაყვარეს მოცეკვავეს, ბალეტმეისტერსა და პედაგოგს ვახტანგ ჭაბუკიანს. მან არა მარტო ჩამოაყალიბა ეროვნულ-საბალეტო ხელოვნება, არამედ მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა[1].

შესანიშნავი ღვაწლი ქართული ბალეტის მხატვრულ გაფორმებაში მიუძღვის ნიჭიერ მხატვარს სოლომონ ვირსალაძეს.

პირველ ბალეტს, აგებულს საბჭოთა თემატიკაზე, წარმოადგენდა შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“ (ლიბრეტო გ. თაქთაქიშვილისა), რომლის პრემიერა შედგა 1938 წლის 30 აპრილს.

ქართული ვოკალურ-სიმფონიური ციკლის პირველ ნიმუშს წარმოადგენს ვანო გოკიელის ნაწარმოები — „სიყვარული“ (1939 წ.), დაწერილი პოეტების ი. აბაშიძის და გრ. ცეცხლაძის ლექსებზე. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა გადმოსცა სიყვარულის მაღალი, კეთილშობილური გრძნობა.

ეროვნული მუსიკის იდეურად გამდიდრების და კომპოზიტორთა პროფესიული ოსტატობის ზრდა საბჭოთა საქართველოს მთელი ეროვნული კულტურის საერთო აღმავლობასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა. ვოკალურ ჟანრებთან ერთად (ოპერა, რომანსი, სიმღერა) განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ინსტრუმენტალური მუსიკისადმი. ამ მსრივ აღსანიშნავია გ. კილაძის „განდეგილი“ და შ. მშველიძის „ზვიადაური„—სიმფონიური პოემები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სიმფონიური მუსიკის განვითარებაში. ამავე პერიოდის ღირსშესანიშნავ მიღწევას, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“.

1937 წლის 12 ივნისს თბილისში ჩატარდა ნორჩ მუსიკოს-

---

1 ვ. ხუჭუა, ქართული სამუსიკო კულტურა, თბ., 1961, გვ. 39.

თა ოლიმპიადა, რომელმაც გამოამჟღავნა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობა და უკვე 1938 წელს თბილისის კონსერვატორიასთან შემოკრებილ იქნა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი. ასე ჩაეყარა საფუძველი ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ათწლედს.

დიდი მუშაობა ტარდებოდა ქართული ხალხური შემოქმედების შესწავლისა და შემდგომი განვითარებისათვის. ხალხური შემოქმედების ყოველწლიური ოლიმპიადები გვიჩვენებდნენ, თუ როგორ გაშალა ფრთები ხალხის მდიდარმა შემოქმედებითმა ნიჭმა. 1937 წლის 8 ნოემბერს თბილისში მოეწყო ხალხური სიმღერისა და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელმაც დაგვანახვა მხატვრული თვითშემოქმედების ინტენსიური ზრდა. საქართველოს ყველა რაიონში. 1938 წლის სექტემბერში ჩატარდა ხალხური შემოქმედების მესუთე რესპუბლიკური ოლიმპიადა.

ქართული მუსიკის წინსვლასა და წარმატებას დიდად შეუწყო ხელი 1939 წლის დამდეგს ჩამოყალიბებულმა საქართველოს ფილარმონიამ და სახელმწიფო ესტრადამ.

ომისწინა წლებში ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა ქორეოგრაფია, რასაც დიდი ამაგი დასდეს ლ. გვარამაძემ და დ. ჯაერიშვილმა.

ლენინგრადში 1938 წლის 12 აპრილს ქართული მუსიკის კონცერტი გაიმართა. ამ კონცერტს ადგილობრივმა პრესამ დიდი შეფასება მისცა. აღსანიშნავია ასეთივე მასშტაბის ქართული მუსიკის კონცერტი, გამართული 1938 წლის 22 აპრილს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ამრიგად, ქართულ მუსიკაში მტკიცდებოდა სოციალისტური რეალიზმი — საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ეს წამყვანი შემოქმედებითი მეთოდი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს სახავდა საბჭოთა ხელოვნების შემდგომი აყვავება-განვითარებისათვის.

თეატრალური ხელოვნების ფართოდ განვითარებას ემსახურებოდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 19 მაისის დადგენილება საქართველოს სსრ თეატ-

რალური განათლების შესახებ[1]. თეატრალური კადრების სწორად აღზრდის დაყენებია და საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების კვალიფიციურ მსახიობთა კადრებით უზრუნველყოფის მიზნით საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით რუსთაველის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის, ბათუმის, სოხუმის დრამატული და საქართველოს ესტრადასთან არსებული თეატრალური სტუდიები ლიკვიდირებულ იქნა. თბილისში შეიქმნა სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. გაუქმებულ თეატრალურ სტუდიათა სტუდენტები გადაყვანილ იქნენ ინსტიტუტში. მსმენელთა საერთო კონტინგენტი ინატიტუტში 1939—1940 წლისათვის განისაზღვრა 120 კაცით.

საბჭოთა სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას ემსახურებოდა საქართველოს ხელოვნების მუშაკების ინიციატივა, რომლებმაც 1940 წლის 22 თებერვალს მიმართეს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების საფუძველზე ახალი რეპერტუარის შექმნის შესახებ. მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული საცირკო ხელოვნების განვითარებაზე[2].

საქართველოს ხელოვნების მუშაკების მიმართვა დაკავშირებული იყო 1940 წლის 24 თებერვალს თბილისის ახალი ცირკის გახსნასთან, რომელიც გადაიქცა მასობრივ-სახალხო ზეიმად, საცირკო ხელოვნების ოსტატთა დღესასწაულად[3].

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 20 მარტს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით საქართველოში საკონცერტო-საესტრადო ღონისძიებათა ხარისხისა და მხატვრული ღირებულების ამაღლების, რაიონებში გასაგზავნი სამხატვრო ბრიგადების, ანსამბლებისა და კოლექტივების კვალიფიციური ძალებით დაკომპლექტების, მაღალმხატვრული საესტრადო რეპერტუარის შექმნის და საორკესტრო მუსიკო-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ № 1, ნაწ. 7, ს. 9494, ფურც. 2.

2 გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1940, 25 თებერვალი.

3 გაზ. „კომუნისტი", 1940, 25 თებერვალი.

ების დაქუცმაცებული ჯგუფების მუშაობის მოწესრიგების საქმე ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას დაექვემდებარა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში.

ყველა სხვა ორგანიზაციასა და პირებს აეკრძალათ კონცერტის მოწყობა საქართველოს სახელმწიფო ესტრადისა ან საქართველოს ფილარმონიის ნებართვის გარეშე[1].

ხალხური ისტორიული კულტურის გამოვლინებისა და შესწავლის, განსაკუთრებით ქართული ხალხური ცეკვების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 14 ავგისტოს დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო ესტრადასთან მოეწყო ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გუნდების გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ერთიანი ანსამბლი, რომლის რეპერტუარში შეტანილ იქნა საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერებისა და ქორეოგრაფიული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები[2].

1940 წლის ნოემბერში ქ. თბილისში მოეწყო საბჭოთა მუსიკის დეკადა[3]. ეს დიდი მნიშვნელობის კულტურული ღონისძიება ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენს ხელოვნებაში და იგი წარმოადგენდა ლენინური მეგობრობით შეკავშირებული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის ურთიერთგამდიდრების საშუალებას.

საქართველოს კულტურული აყვავების ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულება იყო თბილისში მოწყობილი ხალხური შემოქმედების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო: მხატვრული ქარგვა, მხატვრული დაჩითულობა, ჭედური ხელოვნება ხეზე კვეთილობა, ამოწვა და მოჭედვა, სპილოს ძვალზე კვეთილობა, კერამიკა, ქვისკვეთილობა, ფერწერა და სხვ.[1].

---

1 საქ. სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, № 2, 1940, გვ. 23.

2 იქვე, № 21. 1940. გვ. 294.

3 გაზ. „კომუნისტი", 1940, 20 ნოემბერი.

4 იქვე.

1940 წლის ივლისში მოეწყო ქუთაისის სახელმწიფო თეატრის 60 წლისთავის იუბილე, რომელიც მთელი ქართული კულტურის დღესასწაულად გადაიქცა. ქუთაისის თეატრის კოლექტივთან ერთად ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკები, მოწინავე თეატრების წარმომადგენლები, მშრომელი ინტელიგენცია.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო წარმატებისათვის სახალხო არტისტისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები მიენიჭა თეატრის წამყვან მუშაკებს.

დაკმაყოფილებულ იქნა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის შუამდგომლობა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით ქუთაისის სახელმწიფო თეატრს მიეკუთვნა ლადო მესხიშვილის სახელი [1].

1939 წლის იანვარში აღინიშნა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის 10 წლისთავი. თეატრმა განახორციელა დიდი და მრავალფეროვანი რეპერტუარი, რომელმაც ფართო მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მხურვალედ მოულოცა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივსა და ხელმძღვანელობას სახელოვანი იუბილე [2].

პარტია და მთავრობა დიდად აფასებდა ხელოვნების დარგის მოღვაწეთა დამსახურებას.

ხელოვნების დარგში ღირსშესანიშნავი ნაწარმოებების შექმნისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 15 მარტის დადგენილებით სახელმწიფო პრემიები მიეკუთვნათ: გრიგოლ კილაძეს — სიმფონიური პოემისათვის „განდეგილი", ირაკლი თოიძეს — შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებისათვის; სილოვან კაკაბაძეს — ი. ბ. სტალინის მონუმენტისათვის, რომელიც დაიდგა

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 30 ივნისი.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1939, 15 იანვარი.

ქ. თბილისში: აკაკი ხორავას — ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატული ხელოვნების დარგში; ვახტანგ ჭაბუკიანს — საბალეტო ხელოვნების დარგში; გამოჩენილ კონმოღვაწეებს მიხვილ ჭიაურელს, მიხეილ გელოვანს, სპარტაკ ბაღაშვილს, ნიკოლოზ შენგელაიას, ნატა ვაჩნაძეს და სხვ.[1].

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ეროვნული კულტურის განვითარებას. ამის ნათელი დადასტურება იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების თბილისში ჩატარებული დათვალიერების მონაწილეთა დიდი ჯგუფის დაჯილდოება, რომლებსაც მიენიჭათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული არტისტის წოდებები და აგრეთვე დაჯილდოებულ იქნენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით[2].

ომისწინა პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო სსრ კავშირის მოძმე ერების, გაცხოველებული კულტურული ურთიერთობა. 1939 წელს თბილისში ჩატარდა ხარკოვის ტ. შევჩენკოს სახ. უკრაინული დრამის თეატრის გასტროლები. იგი გადაიქცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად. ასევე ჩატარდა თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის გასტროლები უკრაინის სსრ ქალაქებში[3].

1940 წლის 7 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შედგა დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო[4].

ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოძმე რესპუბლიკების კულტურის დარგის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირსა და თანამეგობრობას.

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1941, 18 მარტი.
2 იქვე, 1940, 7 სექტემბერი.
3 იქვე, 1939, 12 ივლისი.
4 იქვე, 1940, 8 მაისი.

ოქტომბრის რევოლუციის 23-ე წლისთავის ზეიმის დღეებში უკრაინის მწერლებმა წერილით მიმართეს ქართული კულტურის მოღვაწეები. ისინი წერდნენ შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობაზე. აღნიშნავდნენ ორ მოძმე ხალხს შორის დამყარებულ შრომითი კავშირის დიდ მნიშვნელობას ახალი საზოგადოების აშენების საქმეში.

თავის მხრივ ქართველი მწერლები საპასუხო წერილში მიესალმებოდნენ უკრაინელთა ინიციატივას და აცხადებდნენ მზადყოფნას კიდევ უფრო განემტკიცებინათ ორი ხალხის მეგობრობა [1].

პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდნენ საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდის საქმეს. კულტურული რევოლუციის ომისწინა პერიოდისათვის საქართველოში საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები ქართული საბჭოთა ინტელიგენციის ძირითად ძალად ვადაიქცნენ. რევოლუციამდელი მოწინავე ინტელიგენცია შეერწყა საბჭოთა ეპოქაში მომზადებულ ახალ სპეციალისტთა კადრებს. განხორციელდა ცხოვრებაში ლენინის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ ყველა გამოცდილება ინტელიგენციას აუცილებლად ჩვენს რიგებში მოიყვანს.

სოციალისტურ მშენებლობაში ძველი ინტელიგენციის ჩაბმის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის თავდადებულ შრომას.

ახალი საბჭოთა ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შემოქმედებითი თანამშრომლობა, ქართული საბჭოთა ინტელიგენციის თავდადება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმისადმი, კოლექტიურობა და მაღალი საზოგადოებრივი აქტივობა, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიისადმი ერთგულება.

ყველაფერი ეს განაპირობებდა ქართველი ინტელიგენცი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 31 ოქტომბერი.

ის აქტიურ მონაწილეობას სოციალიზმის წარმატებებით აშენებ-
ლობის საქმეში. ქართველი ინტელიგენცია მუშათა კლასისა
და კოლმეურნე გლეხობის მხარდამხარ იბრძოდა მესამე ხუთ-
წლედის ამოცანათა განსახორციელებლად.

ქართველი ინტელიგენციის დიდი ზეიმი იყო 1940 წლის 27
მაისს მ. ი. კალინინის ჩამოსვლა თბილისში. საყოველთაო სი-
ხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისის მშრომე-
ლები ძვირფას სტუმარს.

მ. ი. კალინინი შეეხო საქართველოს საბჭოთა ინტელიგენ-
ციის დიდ შემოქმედებით წარმატებებს და მისი ცხოვრებისა
და მუშაობის მრავალი საინტერესო და აქტუალურ საკით-
ხებს[1].

მ. ი. კალინინის გამოსვლაში ნათელი პერსპექტივები იქნა
დასახული რესპუბლიკაში კულტურული მშენებლობის შემდ-
გომი განვითარებისათვის.

ამრიგად, ომისწინა წლები საბჭოთა ქართული კულტურის
მიღწევების პერიოდია.

დიდად გაფართოვდა ქართული კულტურის მატერიალუ-
რი ბაზა, რაც სოციალისტური ეკონომიკის უმაგალითო ზრდამ
განაპირობა.

საბჭოთა ხელისუფლების XX წლისთავისათვის საქართვე-
ლოში დამთავრდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდა-
ცია. განხორციელდა საყოველთაო დაწყებითი სწავლება და
ძირითადად გატარდა საყოველთაო 7-წლიანი სწავლება. სო-
ციალისტური მშენებლობის ტემპების შესაბამისად პირველი
რიგის ამოცანად გადაიქცა სახალხო მეურნეობისათვის უმაღ-
ლესი კვალიფიკაციის კადრების მეტი რაოდენობით მომზა-
დება. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში ფართოდ განვი-
თარდა უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. მაღალ დონეს
მიაღწია მეცნიერებამ, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრუ-
ლებდა სოციალისტურ მშენებლობაში.

ომისწინა პერიოდისათვის შესამჩნევად ამაღლდა მუშათა
კლასისა და გლეხობის კულტურულ-ტექნიკური დონე. ერთ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940, 28 მაისი.

ეოთ დიდ მიღწევას წარმოადგენდა ხალხისა და სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული მრავალრიცხოვანი ქართული საბალხო სოციალისტური ინტელიგენციის შექმნა.

მესამე ხუთწლედში შემდგომ ახალ აღმავლობას მიაღწია ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა ქართულმა საბჭოთა კულტურამ.

საბჭოთა საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელება, რომელიც ხასიათდებოდა თავისი სპეციფიკური თავისებურებებით, იმავე დროს ემორჩილებოდა სსრ კავშირში კულტურული რევოლუციის საერთო კანონზომიერებებს.

კულტურულ ფრონტზე მოპოვებული მიღწევები საქართველოში კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი იყო კულტურული რევოლუციის განხორციელების შედეგად მთელ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში შესაძლებელი გახდა მასებში კომუნისტური იდეოლოგიის სრული გამარჯვება.

საუკუნეების მანძილზე მრავალრიცხოვან მტრებთან სასტიკ ბრძოლაში გამოატარა ქართველმა ხალხმა თავისი ენა, თავისი შესანიშნავი კულტურა. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კულტურა აღარ იყო რჩეულთა კუთვნილება, მას მასებს დაეუფლნენ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე კულტურის დარგში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. რესპუბლიკაში გაიზარდა საკუთარი ხალხური ინტელიგენცია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო კულტურის საგანძურში.

* * *

ამრიგად, მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის ძირითადად დამთავრდა სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. მასში გადამწყვეტი როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ. პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდში კიდევ უფრო

გაიზარდა. პარტია საზოგადოებრივი განვითარების კანონებს იყენებდა და იყენებს სოციალიზმისა და კომუნიზმის ინტერესებიაათვის. პარტიის მითითებათა საფუძველზე მეცნიერულად დამუშავებული გეგმები სახალხო მეურნეობის განვითარების, სოციალისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის საფუძველს წარმოადგენდა.

მესამე ხუთწლიანი გეგმა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე წარმოადგენდა ახალი დიადი მშენებლობის დამაგვირგვინებელ ეტაპს. ეს იყო სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და განმტკიცების, მისი შემდგომი განვითარების ეტაპი.

კომუნისტური პარტიის მთავარი ყურადღება მიმართული იყო სოციალისტური სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგის — მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარებისაკენ, რაც უზრუნველყოფდა მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდას და ხელს უწყობდა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცება-განვითარებას.

საქართველოს მშრომელები, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოპოვებული წარმატებებით აღფრთოვანებული, იჩენდნენ არნახულ ენთუზიაზმს და შრომით გმირობას სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, მისი განმტკიცებისა და განვითარებისათვის ბრძოლის პროცესში წარმოიშვა მასების შრომითი და შემოქმედებითი აქტივობის ახალი ფორმები და მეთოდები.

მრავალდაზგოსნობის, მრავალდანადგართა მომსახურების, პროფესიათა შემთავსებლების და მომიჯნავე პროფესიების შემსწავლელთა, ქალთა მიერ იმ პროფესიების დაუფლება, რომლებიც ადრე მათთვის შეუძლებლად ითვლებოდა — ასეთი იყო სოციალისტური შრომის, სოციალისტურ საზოგადოებაში შრომისნაყოფიერების ამაღლების ახალი პროგრესული მოძრაობის ფორმები და მეთოდები.

1937 — 1941 წლებში იზრდებოდა საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალის — მუშათა კლასის რიგები, მაღლდებოდა მისი კულტურულ-ტექნიკური დონე, იზრდებოდა პოლი-

ტიკური შეგნებულობა. ამან ხელი შეუწყო შრომისნაყოფიერების მკვეთრ ამაღლებას. მუშათა კლასში საბოლოოდ დამკვიდრდა იმის შეგნება, რომ იგი მუშაობს არა კაპიტალისტებისათვის. არამედ თავიანთი თავისათვის, საბჭოთა საზოგადოებისათვის. მუშათა კლასის შრომითი მამაცობის შედეგად მრეწველობა ვითარდებოდა ორნახულა ტემპებით. ჩვენმა ქვეყანამ ჩამოიტოვა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები ტემპების მხრივ. ახალ საფეხურზე ავიდა მუშათა კლასის შემოქმედებითი აქტივობა. მუშათა კლასის რიგებში გაჩნდა მრავალი გამოგონებელი და რაციონალიზატორი.

საბჭოთა მუშათა კლასმა ნათლად დაანახვა მთელ კაცობრიობას, რომ მას შეუძლია მეურნეობის გაძღოლა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება.

ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა საქართველოს მაგალითი. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის ნაშთებისა და კაპიტალისტური ბორკილებისაგან განთავისუფლებული საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია, რამაც დააჩქარეს საბჭოთა საზოგადოების წინსვლა სოციალიზმისაკენ.

საქართველოს მუშათა კლასმა კოლმეურნე გლეხობასთან კავშირში ყოფილი აგრარული, მეურნეობრივად ჩამორჩენილი საქართველო გადააქცია ინდუსტრიულ, მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად. 1937 — 1941 წლებში საქართველოში იწარმოებოდა მრავალი ახალი ტიპის მანქანა-მოწყობილობა, ამით მას დიდი წვლილი შეჰქონდა მთელი საბჭოთა ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში, ხელს უწყობდა უცხოეთის საბელმწიფოებისაგან ჩვენი მრეწველობის დამოუკიდებლობის მოპოვებას.

მესამე ხუთწლედის წლებში საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულმა ძლიერებამ ნათლად გვიჩვენა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორე და სიცოცხლისუნარიანობა.

მძიმე მრეწველობის შექმნასა და განვითარებასთან ერთად სოციალიზმის აშენების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია სოციალისტური გარდაქმნის შესახებ ცხოვრებამ პრაქტიკით შეამოწმა და სინამდვილედ აქცია. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას საქართველოს მაგალითი წარმოადგენს. საქართველო წვრილი და დაქუცმაცებული, ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა მსხვილი და განვითარებული, გამარჯვებული და განმტკიცებული საკოლმეურნეო-წყობილების ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად.

ოცამდელი ხუთწლედების მანძილზე განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვა ქართველმა ხალხმა კულტურული რევოლუციის დარგში. აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, სწრაფად ხორციელდებოდა ხალხში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა უმაღლესი განათლების საქმეს, უმაღლესი სასწავლებლები ამზადებდნენ ეროვნული ინტელიგენციის მრავალრიცხოვან კადრებს. ეს იმის ნათელი დამადასტურებელი იყო, თუ როგორ შეუძლია ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ხალხს გიგანტური ნაბიჯებით წავიდეს პროგრესის გზით.

სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება იყო მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ზეიმი. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია საბჭოთა საზოგადოებაში გაბატონებული გახდა. ქართველი ხალხი მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით ძლევდა რა წინააღმდეგობებს და სიძნელეებს, მტკიცედ აშენებდა ახალ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას — სოციალისტურ საზოგადოებას და კომუნიზმში თანდათანობით გადასელის საფუძვლებს ქმნიდა.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყო პროლეტარიატის დიქტატურამ, რომელიც მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელში იყო, იარაღი, რომლის საშუალებითაც მან ძველი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი დაამსხვრია და შექმნა ახალი — სოციალისტური. პროლეტარულმა სახელმწი-

ფომ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ დახმარებამ ყოფილი მეფის რუსეთის განაპირა მხარეებისადმი. მათი ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა უზრუნველყვეს მოკლე ვადაში სოციალიზმის გამარჯვება.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიადი პრინციპების განხორციელების საფუძველზე საქართველოს მშრომელებმა რუსი ხალხის ძმური დახმარებით ისტორიულად მოკლე ვადაში მიაღწიეს ადრე არნახულ აყვავებას სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

სოციალისტური მშენებლობის პირველი ორი ათეული წლების ბოლოს როგორც სსრ კავშირში, ისე საბჭოთა საქართველოს მთელი საზოგადოებრივი წარმოება უკვე ემყარებოდა წარმოების საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებასა და მოწინავე ტექნიკურ ბაზას. იგი ხასიათდებოდა განუწყვეტელი გეგმაზომიერი აღმავლობით და ემსახურებოდა მშრომელების მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინტერესებს.

სოციალიზმის აშენებამ ნათლად დაადასტურა კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე ვ. ი. ლენინის სიტყვები: „ვერავითარი ძალა ქვეყნად, რამდენი ბოროტება, უბედურება და ტანჯვაც უნდა მოუტანოს კიდეც მან მილიონობით და ასეულ მილიონობით ხალხს, ჩვენი რევოლუციის ძირითად მონაპოვართ უკან. ვერ წაიღებს, რადგან ეხლა ეს არის უკვე არა „ჩვენი“, არამედ მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარი“[1].

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ დიდი სამამულო ომისწინა წლებში სავსებით გაიმარჯვა საქართველოში. სოციალისტური წარმოების წესი საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოს რესპუბლიკაში. მეურნეობის სოციალისტური სისტემის ხვედრითი წილი საქართველოს მრეწველობის მთელ პროდუქციაში 1940 წელს შეადგენდა 100 პროცენტს, სოფ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 136—137.

ლის მეურნეობაში—99 პროცენტს, 1941 წლის დასაწყისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 95 პროცენტი.

ამრიგად, საბჭოთა საქართველო, როგორც სსრ კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა, სწრაფად ვითარდებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და კულტურის განუხრელი აღმავლობის გზით, განამტკიცებდა სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას, ახორციელებდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიად საბრძოლო ამოცანას.

1941 წლის თებერვალში შესრულდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი. ამ საიუბილეო დღეებში ქართველმა ხალხმა შეაჯამა ამ წლების მოღვაწეობის შედეგები და დასახა ახალი პერსპექტივები.

სოციალიზმის მშენებლობას საქართველოში ხელმძღვანელობდა სკკპ ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — საქართველოს კომპარტია, რომელიც უნარიანად წარმართავდა რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და ინტელიგენციის მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, განუხრელად იბრძოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის.

საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძოდნენ მესამე ხუთწლედით დასახულ ამოცანათა განუხრელად განხორციელებისათვის და სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ-ახალ სახელოვან წარმატებებს აღწევდნენ, მაგრამ საბჭოთა ხალხის და მათ შორის ქართველი ხალხის მშვიდობიანი შრომა შეწყდა ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმის შედეგად. კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ქართველი ხალხი სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად აღდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ ომისწინა წლებში მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის

ამაღლებ ს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განძტკიცების, კულტურისა და მეცნიერების აყვავების საქმეში მოპოვებულ-მა უდიდეს მა წარმატებებმა მთელი ძალით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის პერიოდში. პარტიის აღზრდილმა საბჭოთა ადამიანებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს საბჭოთა სახელმწი-ფოს ძლიერება, საბჭოთა წყობილების უძლეველობა.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი პირველი

სოციალიზმის გამარჯვება საქართველოში 8

თავი მეორე

საქართველოში სოციალისტური საზოგადოების განმტკიცება-განკითარების პროგრამა და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის . 26

§ 1. სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები . . 26

§ 2. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი და შემოქმედებითი აქტივობა . . 51

§ 3. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური აქტივობა და მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრება 86

თავი მესამე

საქართველოს სოციალისტური მრეწველობა და ტრანსპორტი მესამე ხუთწლედში 101

§ 1. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის შედეგები მრეწველობასა და ტრანსპორტზე 101

§ 2. მრეწველობასა და ტრანსპორტზე შრომისნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებანი 138

თავი მეოთხე

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა მესამე ხუთწლედში 152

§ 1. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის შედეგები სოფლის მეურნეობაში 152

§ 2. საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებანი 183

თავი მეხუთე

ხალხის ეკონომიური მდგომარეობა დიდი სამამულო ომისწინა პერიოდში 198

თავი მეექვსე

კულტურული მშენებლობა საქართველოში 219

რედაქტორი ს. ჩხარტიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ზ. კილაძე
მხატვარი გ. ავსაჯანიშვილი
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი მ. ჩიხრაძე
გამომშვები ნ. მანგაძე

გადაეცა წარმოებას 23/III — 72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII—72 წ., ქაღალდის ზომა 84×108 1/32, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15.1, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.3

უე 00724 ტირაჟი 1.000 შეკვ. № 644

ფასი 1 მ. — 08 კ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 12, უშ. ჩხეიძის ქ. № 8

Тбилисская типография № 12, Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Груз. ССР по печати, ул. Уш. Чхеидзе, № 8.

Чикава Иосиф Лаврентьевич

Советская Грузия в период упрочения и развития социалистического общества

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1972